

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

მნის ინსტიტუტი აკად. ნ. მარის სახელობისა

სერგი ულენტი

სვანური ენის ფონეტიკის
ძირითადი საკითხები

ექსპერიმენტული გამოკვლევა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი—1949

შ ი ნ ა ა რ ს ი

შემოკლებანი .
წინასიტყვაობა

VII
1—5

A. სვანური ვოკალიზმი

I. სვანურ ხმოვანთა პალატოგრაძები (§ 1—42)	7—39
II სვანურ ხმოვანთა რენტგენოგრაძები (§ 43—64)	40—68
III. გრძელი ხმოვნები (§ 65—105)	69—95
IV. აქცენტუაცია სვანურში (§ 106—127)	96—107
V. დიფთონგიზაცია და მარცვალთა რაოდენობის შემცირება მახვილის გავლენით (§ 128—136)	108—112
VI. უძლაუტი სვანურში (§ 137—141)	113—116
VII. ხმოვანთა შემართვა სვანურში (§ 142—154)	117—128

B. სვანური კონსონანტიზმი

VIII. შიშინა ფენა სვანურში (§ 155—157)	129—133
IX. ლაბიო-ველარიზაცია სვანურში (§ 158—165)	134—140
X. მკლერი ხშული ფარინგალის საკითხისათვის სვანურში (§ 166—173)	141—148
XI. სვანურ თანხმოვანთა კლასიფიკაცია (§ 174)	149—150
XII. მკლერობის ზარისხიანობა სვანურის მკლერ ხშულებში (§ 175—184)	151—157
-XIII. თანხმოვანთა ასიმილაცია სვანურში (§ 185—188)	158—162
XIV. დისიმილაცია სვანურში (§ 189—202)	163—172
XV. პალატალიზაცია სვანურში (§ 203—210)	173—178
XVI. აფრიკატიზაცია და დეზაფრიკატიზაცია სვანურში (§ 211—212)	179—182
XVII. ბგერათმონაცვლეობა, მეტათეზისი, ბგერათა დაკარგვა და განვითარება (§ 213—217)	183—188
XVIII. მარცვლის აგებულება სიტყვის თავსა და ბოლოში (§ 218—226)	189—194

დასკვნითი დებულებანი

ა) ქართულად	195—202
ბ) რუსულად	203—210
ძირითადი ლიტერატურა	211—215
საძიებლები: ა) პირთა	216—217
ბ) ხანობრივი	217—224

О Г Л А В Л Е Н И Е

Сокращения .
Предисловие

VII
1—5

А. Сванский вокализм

I. Палатограммы сванских гласных (§ 1—42) . .	7—39
II. Рентгенограммы сванских гласных (§ 43—64)	40—68
III. Долгие гласные (§ 65—105) .	69—95
IV. Акцентуация (106—127) .	96—107
V. Дифтонгизация и уменьшение количества слогов в слове под влиянием ударения (§ 128—136) .	108—112
VI. Умлаут (§ 137—141) .	113—116
VII. Приступ гласных (142—154)	117—128

В. Сванский консонантизм

VIII. Шпьяющий слой в сванском языке (§ 155—157) .	129—133
IX. Лабио-веляризация (§ 158—165) .	134—140
X. К вопросу о смычном фарингальном в сванском языке (§ 166—173)	141—148
XI. Классификация сванских согласных (§ 174)	149—150
XII. Степень озвончения смычных согласных в сванском языке (§ 175—184)	151—157
XIII. Ассимиляция согласных (§ 185—188) .	158—162
XIV. Диссимиляция (§ 189—202) .	163—172
XV. Палатализация (§ 203—210) .	173—178
XVI. Аффрикатизация и деаффрикатизация (§ 211—212) .	179—182
XVII. Субституция, метатеза, утеря и возникновение согласных (§ 213—217)	183—188
XVIII. Структура слога в начале и в конце слова (§ 218—226) .	189—194

Заключение

а) на грузинском языке .	195—202
б) на русском языке .	203—210
Литература .	211—215
Указатели а) *лиц .	216—217
б) предметный .	217—224

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი

ენები, დიალექტები

ბზ. = ბალსხემოური კილო, დამოწმებისას = ა. შ ა ნ ი ძ ე, ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური პროზაული ტექსტები. I. ბალსხემოური კილო, თბილისი 1939.

ბქვ. = ბალსქვემოური კილო.

ვიწ.-არქ. = ვიწურ-არქაბული კილოკავი, დამოწმებისას = არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, კანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, თბილისი 1936; ი. ყ ი ფ - შ ი ძ ე, კანური ტექსტები, თბილისი 1939; ს. ქ ლ ე ნ ტ ი, კანურა ტექსტები. არქაბული კილოკავი, თბილისი 1938.

ლნტ. = ლენტეხური.

ლშხ. = ლაშხური კილო, დამოწმებისას = არსენა ე ო ნ ა შ ნ, ლეშნუ ამბჯარ ლღღ-შხუ შუმი ნინშუ, პეტროგრად 1917.

ლხმ. = ლახამულური.

რუს. = რუსული

ხვან. პოეზ. = ა. შ ა ნ ი ძ ე, ვ. თ ო ფ უ რ ი ა, მ. გ უ ჯ ე ჯ ი ა ნ ი, სვანური პოეზია, თბილისი 1939.

უშგ. = უშგულური.

ფრანგ. = ფრანგული.

ქართ. = ქართული.

ჩბხ. = ჩუბეხური.

ხოფ. = ხოფური კილოკავი, დამოწმებისას = არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, კანური ტექსტები. I. სარფული - თქმა, თბილისი 1929; ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, კანური ტექსტები. თბილისი 1939.

წინასიტყვაობა

სვანური ქართველურ ენათა შორის ბგერითი შედგენილობით ყველაზე უფრო მდიდარია. მასში, როგორც უმწერლობო ენაში, დასტურდება ზოგად ფონეტიკაში ცნობილი მრავალი სახის ბგერითი ცვალებადობა.

სვანური ენის ფონეტიკის ქვაკუთხედი ვოკალიზმია, მაგრამ საკმაოდ რთულია სვანური კონსონანტიზმიც.

ამ მრავალბუნებოვანი ენის შესწავლას დიდი ამაგი დასდო ნ. მარშა. კერძოდ, მან სვანური ფონეტიკის მთელი რიგი საკითხები დასვა და გადაწყვიტა. ნ. მარშის მიერ დადგენილი ქართულ-მეგრულ-სვანური ფონეტიკური შესატყვისობანი დღეს ჩვენთვის სახელმძღვანელო დებულებაა. ნ. მარშა პირველმა გაამახვილა ყურადღება სვანური ენის მდიდარი დიალექტების შესწავლაზე. ამ მხრივ სანიმუშოა მის მიერ შედგენილი დიდი სვანურ-რუსული ლექსიკონი, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილი გამოქვეყნდა („Извлечение из сванско-русского словаря“, Петроград 1922).

ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ სვანური ენის შესწავლის საქმეში ახალი ეტაპი შექმნეს სვანური დიალექტოლოგიური მასალების შეკრებითა და გამოქვეყნებით, სვანური ფონეტიკური პრაცესებისა და სვანური ზმნის საფუძვლიანი ანალიზით.

ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ სამართლიანად გაამახვილეს ყურადღება სვანური ენის ვოკალიზმზე, რათა დაესვათ და გადაეწყვიტათ სვანური ენის სტრუქტურის საკითხები. მათს გამოკვლევებში, როგორცაა: ა. შანიძის „უმლაუტი სვანურში“, „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის“; ვ. თოფურიას „კვლავ უმლაუტისათვის სვანურში“, „რედუქციისათვის ქართველურ ენებში“, „სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში“, „სვანური ენა. I. ზმნა“ და მთელ რიგ სპეციალურ წერილებში მოცემულია ანალიზი და საყურადღებო დასკვნები როგორც სვანური ვოკალიზმისა, ისე კონსონანტიზმის შესახებ.

წინამდებარე გამოკვლევა ძირითადად ემყარება ექსპერიმენტს. გარდა ამისა, იგი შედეგია ჩვენ მიერ სვანურ წარმოთქმაზე ხანგრძლივი და სისტემური დაკვირვებისა.

სვანური ენის შესწავლას ჩვენ 1936 წ. შევეუდეთ. ამ მიზნით ექსპედიციის ვიყავით მივლინებული სვანეთში (ერთხელ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 1937 წ. ზაფხულში და ხუთჯერ ენიმკი-სა და ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტის მიერ 1938, 1939, 1940, 1945, 1946 წ.წ. ზაფხულში). მასალების ჩაწერას ვაწარმოებდით მესტიაში, მულახში, უშგულში, ლატალში, ჩუბხევეში, ლახამულაში, ლენტეხში, ჩოლურში, ლაშხეთში. ჩვენ მიერ შეკრებილი სვანური მეტყველების ნიმუშები შინაარსობლივად მრავალფეროვანია და რაოდენობლივ 30 ნაბეჭდ თაბახს აღემატება. გარდა ამისა, თბილისში განვაგრძეთ სვანურ წარმოთქმაზე დაკვირვება. ამ მხრივ ჩვენი მუღმივი ცდის პირები იყვნენ: მ. გუჯეჯიანი (მულახიდან), არს. ონიანი (ლაშხეთიდან), ალი დავითიანი (ლახამულიდან) და სპ. ტვილდიანი (ლენტეხიდან).

შრომაში წარმოდგენილი ექსპერიმენტული მონაცემები მოპოვებულია გრაფიკული, რენტგენოგრაფიისა და ხელოვნური სასის მეთოდების გამოყენებით.

კიმოგრაფული მრუდები შესრულებულია სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრასთან არსებული ექსპერიმენტული ფონეტიკის კაბინეტში (ვამე პროფ. გ. ახვლედიანი). კიმოგრამების გაზომვა-გამოანგარიშება ჩავატარეთ ლენინგრადში აკად. ლ. შჩერბას სახელობის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიაში.

სვანური ვოკალიზმისა და კონსონანტიზმის კვლევის პროცესში ჩვენ წინაშე ბუნებრივად დაისვა ფონემის თეორიისა და საერთოდ ფონოლოგიის საკითხები.

ამ უკანასკნელ წლებში ამ საკითხთა შესახებ დიდძალი შრომა დაიწერა. ამჟამად მიანიც სადავოდ რჩება ფონემის საზღვრის საკითხი, სახელდობრ საკითხი იმის შესახებ, ფონემათა შორის შესაძლებელია კომბინატორული შენაცვლება თუ შეუძლებელი. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ინგლისურ ხმოვან ფონემათა რიცხვის განსაზღვრის ფაქტი. სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა აზრისაა ამ საკითხის შესახებ. აკად. ლ. შჩერბას მტკიცებით ინგლისურს 14 ხმოვანი ფონემა აქვს, პროფ. ჯონსის აზრით კი 8 ხმოვანი ფონემა მოეპოვება. ზოგიერთი ფონეტიკოსი კიდევ თანამედროვე ინგლისურში 20 ხმოვან ფონემას გამოყოფს.

მკითხველი ქვემოთ დარწმუნდება, რომ ჩვენ სვანური ენის ბგერითი სისტემის განხილვისას ვიძლევიტ როგორც ფონეტიკურს, ისე ფონოლოგიურ დახასიათებას და ისინი ერთიმეორის გარეშე ვერ წარმოგვიდგენია. ერთადერთი სწორი თვალსაზრისი ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, ფონეტიკურისა და ფონოლოგიურის მთლიანობაში განხილვაა.

სვანური ვოკალიზმისა და კონსონანტიზმის ექსპერიმენტული შესწავლის საფუძველზე ზოგადი ფონეტიკის თვალსაზრისით საყურადღებო შედეგები მივიღეთ. პალატოგრამულმა და რენტგენოგრაფიის მეთოდებმა სვანურში დაადასტურეს საკმაოდ ძლიერი პალატალიზაცია და ლაბიალიზაცია, რომელთაც მოჰყვა, ერთი მხრით, უკანა არტიკულაციის ცვლა წინა არტიკულაციით, ხოლო, მეორე მხრით, პირის ღრუს წინა ნაწილში ახალი არტიკულაციები, რომელთა შედეგადაც წარმოიშვა როგორც მდიდარი ვოკალიზმი, ისე თანხმოვანთა გარკვეული მოდიფიკაცია.

ზოგადი ფონეტიკის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ზემოსვანურში—ბალსზემოურსა და ბალსქვემოურში—ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა, რომელიც ქვემოსვანურში—ლაშხურსა და ლენტეხურში—გადაშენებულა. ამ მხრივ სხვა ქართველურ ენათა ისტორიული სინამდვილის გათვალისწინებამ დაგვარწმუნა, რომ შესამჩნევია საერთო ტენდენცია ასპირაციის შესუსტებისაკენ. ასეთ ტენდენციას სხვა ენათა განვითარების ისტორიაც ნათლად ადასტურებს.

ცნობილია, რომ ამა თუ იმ ენაში ზოგჯერ ხდება საწარმოთქმო ორგანოთა ერთი ჯგუფის მოქმედების შესუსტება და გაძლიერება მეორე ჯგუფისა. ასე მაგალითად, ამის შედეგად თანამედროვე ენათა უმრავლესობას მოშლილი აქვს ფარინგალიზაცია. ამჟამად ქართულსა და მეგრულ-ქანურში ფარინგალები შერყეულია, სვანურს კი დაცული აქვს ფარინგალთა სამეფლი, თუმცა მკლერი ფარინგალი ნაშთის სახითა არის შემონახული. ფარინგალთა გადაშენება, როგორც ამას სვანური გვიჩვენებს (და ეს ასეც იყო მოსალოდნელი), მკლერი ფარინგალის დაკარგვით იწყება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სვანური მეტყველების მუსიკალობა. სვანურის აქცენტუაცია და ინტონაცია იმდენად მრავალფეროვანია, რომ ამ მხრივ მას დღეს ვერ შეედრება ვერც ერთი სხვა ქართველური ენა. ბევრი რამ, რაც მოძმე ქართველურ ენებში მიჩქმალულია სავსებით, ან შესუსტებულია, სვანურში რელიეფურადაა წარმო-

ჩენილი. გამოიჩვენა, რომ სევანური მახვილი ნარევი ტიპისაა და იგი შეიცავს რამდენიმე მომენტს: მუსიკალურს, სუსტ დინამიკურსა და ამავე დროს რაოდენობით ანუ კვანტიტატურს. მუსიკალური და კვანტიტატური მახვილი სევანურში დღესაც ძლიერი ჩანს და ისტორიულადაც ისინი ერთმანეთთან ძალიან მჭიდრო კავშირში უნდა განვითარებულიყვნენ.

სევანურში არსებული ე. წ. გრძელი ხმოვნები ჩვენ მიგვაჩნია ამ ენაშივე მოქმედი მახვილის ფუნქციად. ამის საბუთს წარმოადგენს ის, რომ აქ ხმოვანთა თავისებური სიგრძე გვაქვს. ეს სიგრძე ფონეტიკურია და არა ფონოლოგიური.

გარდა ამისა, სევანური საუცხოო ნიმუშს იძლევა ხმოვანზე თანხმოვნის გავლენისას და, პირიქით, ხმოვნის თანხმოვანთან შეგუებისას. სამაგიეროდ, თანხმოვანი თანხმოვნის მეზობლობაში საკმაო გამძლეობას იჩენს.

სევანური ფონეტიკის ძირითადი საკითხების კვლევისას ხშირად იბადებოდა საკიროება პარალელები გაგვევლო სხვა ქართველურ ენათა ფონეტიკასთან. ეს ჩვენ შევასრულეთ, რამდენადაც შეგვეძლო.

კვლევის პროცესში იგრძნობოდა, რომ სევანურს ბევრი ფონეტიკური მოვლენა საერთო აქვს მთის კავკასიურ ენებთან, მაგრამ შედარების ჩატარება მომავლისათვის გადავდევით.

შედლებისდაგვარად ვცდილობდით, რომ შრომაში დასმული საკითხების კვლევა როგორც თეორიულს, ისე ექსპერიმენტულ ნაწილში ყოფილიყო ენათმეცნიერების და, კერძოდ, ფონეტიკის განვითარების თანამედროვე სიმაღლეზე.

დღეს სევანურის შესწავლის მხრივ სულ სხვაგვარ პირობებში ვიმყოფებით, ვიდრე ამ რამდენიმე წლის წინათ ვიყავით.

წინამდებარე გამოკვლევაში საილუსტრაციო მაგალითები უმთავრესად დამოწმებულია გამოცემული ტექსტების მიხედვით.

ამ შრომის ოთხი თავი დაბეჭდილი და გამოქვეყნებული იყო სხვადასხვა დროს: 1. „სევანურ ხმოვანთა პალატოგრაფები“ და 2. „სევანურ ხმოვანთა რენტგენოგრაფები“ დაიბეჭდა ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტის ორგანოში „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. I, 1946 წ., ხოლო 3. „ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა სევანურში“ და 4. „მქლერი ხშული ფარინგალის საკითხისათვის სევანურში“ — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მო-

ამბეში (№ 5, 1945 წ. და № 7, 1946 წ.). მათ აქ ვებეჭდავთ გადამუშავებული და გავრცობილი სახით.

ავტორს სასიამოვნო მოვალეობად მიაჩნია მადლობით აღნიშნოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრების გ. ახვლედიანი, ა. შანიძისა და ვ. თოფურიას ყურადღება ამ შრომისადმი. მათ ამ გამოკვლევაში აღძრული ზოგიერთი საკითხის გამო მოგვცეს არსებითი შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებულია შრომის დაბეჭდვისას.

ავტორი

А. სვანური მოკალიზმი

I. სვანურ ხმოვანთა პალატოგრაფიები:

§ 1. სვანური ქართულურ ენათა შორის ხმოვანი ბგერებით უველაზე უფრო მდიდარია; სვანურის ოთხ დიალექტში კი ამ მხრივ გამოირჩევა ბალსზემოური. ამ დიალექტში ხმოვანთა რიცხვი დღეს 20-მდის აღწევს. მას ახასიათებს ჩვეულებრივი (ა ე ი ო უ ჯ), შერეული (ა რ უ), გრძელი (ა ე ი რ უ ჯ), შერეული გრძელი (ა რ უ) და იოტირებული (ა ე ი ო უ გ) ხმოვნები. ბალსქვემოურსა და ლენტეხურს მხოლოდ ჩვეულებრივი (ა ე ი ო უ გ) და შერეული (ა რ უ) ხმოვნები აქვს, ხოლო ლაშხურს—ჩვეულებრივი (ა ე ი ო უ გ) და გრძელი (ა ე ი რ უ ჯ) ხმოვნები. ამიტომ ბუნებრივია, თუ ჩვენ სვანურ ხმოვანთა შედგენილობის გამოსარკვევად უმთავრესად ბალსზემოური დიალექტოლოგიური მასალები გამოვიყენეთ.

სვანურის რთულ ხმოვნებზე უშუალო (არაექსპერიმენტულმა) დაკვირვებამ ბევრი ავტორი შეიყვანა შეცდომაში. ისეთი მკვლევარი, როგორც ნ. მარტიუკო, გარკვეულ სიძნელეს წააწყდა ამ მხრივ. ის წერს: „მე გვიან შევნიშნე უშგულურში ხმოვანთა სიგრძე და არა ერთბაშად და სავსებით კარგად შევითვისე შერბილებული ა, რომელსაც პირველ ხანებში ხშირად ეურევედი თითქმის და-ში“¹.

სვანურ ხმოვნებს ისტორიულად მნიშვნელოვანი მოდიფიკაცია განუცდია. ამდენად სვანური ვოკალიზმის ზუსტ შესწავლას ამ ენის ბევრ ფონეტიკურსა და მორფოლოგიურ მოვლენებში შეუძლია გაგვარკვიოს. სვანურში დღესაც ცოცხალი მოვლენებია პალატალიზაცია და ლაბიალიზაცია.

§ 2. სვანურ ხმოვანთა პროფილების ზუსტად გამოსარკვევად ჩვენ გამოვიყენეთ ხელოვნური სასისა და რენტგენოგრაფიის მეთოდები.

ხელოვნური სასის საშუალებით, როგორც ცნობილია, შეიძლება ხმოვანთა წარმოთქმისას მაგარ სასაზე ენის გვერდითი კიდების

¹ Н. Я. Март, Извлечение из сванско-русского словаря, гл. VII.

შეხების საზღვართა გამორკვევა; ხოლო ამა თუ იმ ხმოვნის წარმოთქმისას პირის ღრუში ენის ზურგსა და სასის კამარას შორის სარეზონანსო არის განსაზღვრა და საგიტალურად წარმოდგენა შესაძლებელი შეიქნა რენტგენის გადაღების საშუალებით. გარდა ამისა, რენტგენის საშუალებითვე შესაძლებელი გახდა ბაგეთა აქტიური მონაწილეობის განსაზღვრა ლაბიალიზებული ხმოვნების წარმოთქმისას.

ქვემოთ მსჯელობა გვაქვს იმ შედეგების შესახებ, რომლებიც ხელოვნური სასის გამოყენებით მივიღეთ.

§ 3. ჩვენ მიერ სვანური ხმოვნებისათვის შესრულებული პალატოგრამების ანალიზთან დაკავშირებით შესადაარებლად გამოვიყენეთ სხვადასხვა ავტორის მიერ სხვადასხვა ენის ბგერებისათვის შესრულებული პალატოგრამები; ასე მაგ., Rousselot-ის შესრულებული პალატოგრამები ქართული, ფრანგული და სხვა ევროპული ენების ბგერებისათვის¹, ს. ე რ შო ვ ის პალატოგრამები (მოსკოვური) რუსულის ბგერებისათვის², პროფ. ვ. ბოგოროდიცკის პალატოგრამები (აღმოსავლური) რუსულის ბგერებისათვის³, პროფ. ლ. შჩერბას პალატოგრამები რუსულისა და ფრანგულის ბგერებისათვის⁴, გ. შარაფის პალატოგრამები თათრულისა და, კერძოდ, პოვოლჯიის თათრული სალიტერატურო ენისა და რუსულის ბგერებისათვის⁵.

¹ Principes de Phonétique Expérimentale par L'abbé Rousselot, t. I, II, 1924, p. 543—621; 651—686, 867.

² С. И. Ершов, Экспериментальная фонетика: Ученые записки Казанского университета, 1902, декабрь, 33. 104—114.


³ Проф. В. А. Богородицкий, Фонетика русского языка и свете экспериментальных данных, 1930, 73—83; 128—152; იმავე ავტორისა: Опыт физиологии общерусского произношения в связи с экспериментально-фонетическими данными, 1909 г.

⁴ Л. В. Щербя, Русские гласные в качественном и количественном отношении, 1912, 33. 60, 63, 71. იმავე ავტორისა: Фонетика французского языка, 1939, 32—35; 57—65.

⁵ Г. Шараф, Палатограммы звуков татарского языка сравнительно с русским: Вестник Научного Общества Татароведения, 1927, № 7, 65—102.

ჩვენი პალატოგრაფები¹ იმავე ტექნიკითაა შესრულებული, როგორცაც მას ლენინგრადის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიაში ასრულებდნენ ლ. შ ჩ ე რ ბ ა ს ხელმძღვანელობით².

§ 4. შემდგომი ჩვენი მსჯელობისას ხელოვნურ სასაზე ორიენტაცია რომ გაგვიადვილდეს, შეიძლება იგი კბილების განლაგების მიხედვით ხუთ ზონად დავყოთ (ფიგ. 1):



ფიგ. 1.

პირველი მოიცავს საჭრელი კბილების—მედიალურისა და ლატერალურის (პირველი და მეორე წყვილის)—არეს; მეორე—საკბეჩი კბილების ანუ ეშვების არეს, თითო-თითო ორივე მხარეზე; მესამე მოიცავს მცირე ძირითადი კბილების პირველი და მეორე წყვილის არეს; მეოთხე—ძირითადი კბილების პირველი და მეორე წყვილის არეს, ხოლო მეხუთე—სიბრძნის კბილების არეს, თითო-თითო ორივე მხარეზე.

სვანურ ხმოვანთა პალატოგრაფების ინტერპრეტაცია

§ 5. პალატოგრაფების გაანალიზებისას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმას, რომ ზუსტად განვსაზღვროთ ენის მაგარ სასასთან შეხების არე, ადგილი და მისი ფარგლები, არამედ ყველა ამასთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, როგორც ეს გ. პანკონჩელი-კალციამ განსაკუთრებით აღნიშნა, ენის მაგარ სასასთან შეხების მიმართულეების განსაზღვრაც³.

¹ პალატოგრაფების გადაღებაში გვეხმარებოდა ირ. ქავთარაძე, ნახაზები შესრულებულია მის მიერ ჩვენი ხელმძღვანელობით.

² Проф. Л. В. Шерба, Фonetика французского языка-ში დაბეჭდილი პალატოგრაფები, გვ. 32—35; 57—65.

³ G. Panconcelli-Calzia, Über Palatogrammetrie: Vox, Heft 5/6, 1918, S. 186.

როგორც წესი, სვანურ ხმოვანთა პალატოგრამების გადაღებისას ცდის პირი ბგერებს წარმოთქვამდა საშუალო სიძლიერით¹. ასევე, როგორც წესი, თითოეული პალატოგრამის მისაღებად ვაწარმოებდით რამდენიმე გადაღებას, რომ კანონზომიერებისათვის მიგვეღწია და შემთხვევითობა თავიდან აგვეცილებინა.

§ 5

§ 6. ა ა ა ა ხმოვანთა წარმოთქმისას ენის შეხებას მაგარ სასასთან არა აქვს აღვლილი, რადგანაც ხმოვანთა სიფართოვის გამო ენა ვერ აღწევს მაგარ სასამდის. არც რუსული საშუალო ა-სა და ფრანგული ა-ს წარმოთქმისას ეხება ენა მაგარ სასას². მით უფრო მაგარ სასასთან შეხების კვალი არა ჩანს თათრული ა-ს წარმოთქმისას; იგი ოდნავ ლაბიალიზებულიცაა და უფრო უკანა არტიკულაცია ახასიათებს მას, ვიდრე რუსულ ა-ს³.

როგორც რენტგენოგრამებიდან ირკვევა, სვანური ა ა-ს წარმოთქმისას ენის წვერი ქვედა საკრელი მედიალური კბილების ძირთან ძვეს, ენის უკანა ნაწილის ზურგი ნახევრად რკალისებურ ფორმას იღებს და ა-ს წარმოთქმისას იგი მცირე ძირითადი და ძირითადი კბილების დონეს არ სცილდება; ა-ს წარმოთქმისას კი ენის შუა ტანის ზურგი, მისი დაკიმულობის გამო, შედარებით უფრო ზევით იწევს და ოდნავ სცილდება მცირე ძირითადი და ძირითადი კბილების დონეს.

ირკვევა, რომ ო. ჟესპერსენის მიერ დადგენილი ოთხი ტიპის ა ხმოვიდან სვანური ა ტიპოლოგიურად განეკუთვნება უკანა ა-ს⁴. ამ მხრივ სვანური ა უახლოვდება მეგრულ-ქანურ ა-ს, უფრო კი ქანურ ა-ს, ვინაიდან ოდნავი დიალექტური სხვაობა შეიმჩნევა მეგრულ და ქანურ ა-ს შორისაც⁵. სამაგიეროდ სვანური ა, ისე როგორც მეგრულ-ქანური ა-ც, ტიპოლოგიურად განსხვავდება ქართული ა-საგან, რომელიც უფრო წინა წარმოების ა ხმოვანია⁶.

¹ ცდის პირი მ. გუჯეჯიანი მულახელია, ზემო სვანეთიდან, კარგად წარმოთქვამს სვანურ ხმოვნებს.

² Проф. Л. В. Ш е р с а, Фонетика французского языка, გვ. 38.

³ Г. Ш а р а ф, Палатограммы..., გვ. 95.

⁴ O. Jespersen, Lehrbuch der Phonetik, Leipzig 1932, S. 162.

⁵ ჩვენი: მეგრულ-ქანური ვოკალიზმი: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. III (იბეჭდება).

⁶ ჩვენი: ქართული ვოკალიზმი, გვ. 253.

სვანური პალატალიზებული ა-ს წარმოთქმისას, როგორც რენტგენოგრაფიით ირკვევა, ენის შუა ტანის ზურგი ოდნავ უფრო ზევით იწევს ა-ს წარმოთქმასთან შედარებით და ამით უფრო მეტ სიეიწროვეს ქმნის პირის ღრუს არეში. სვანური ა-ს წარმოთქმისას ენის შუა ტანის ზურგი ოდნავ კიდევ უფრო ამობურცულია, მისი დაქიმულობის გამო, ვიდრე ა-ს წარმოთქმისას.

ე ე აე

(ფიგ. 2, 3, 4, 5)


§ 7. სვანურ წარმოთქმაში ე ორგვარია: ერთი შედარებით უფრო ფართო ე, როგორც გვხვდება სიტყვებში: ე ს ღ რ ი 'მიდის', ე ჯ ნ ე მ 'მან' და სხვ., და მეორე დახურული ანუ ე. წ. დიფთონგიდური ე, რომელსაც ა-სებური დაწყება აქვს სიტყვებში: ა ე ვ ა, ა ე ლ ე ნ ე, ა ე ლ ო (საკუთარი სახელებია), ა ე რ ვ ა ა 'ვიც', ა ე შ დ 'ათი', ა ე ც ე რ 'ეცერი' (თემის სახელია) და სხვ. ა

სვანური ე-ს ღიაობა და დახურულობა ფონოლოგიური მნიშვნელობისა არ არის, როგორც, მაგ., ეს მას ფრანგულში ახასიათებს; ეს განსხვავება მხოლოდ ფონეტიკურია, როგორც, მაგალითად, რუსულში დასტურდება.

პირველი სახის, ესე იგი ღია ე-ს წარმოთქმისას ენის წვერი ქვედა საჭრელ მედიალურ კბილებთან ძვეს, ენის შუა ტანის ზურგი იწევს ზევით მაგარი სასის ცენტრისაკენ; ენის გვერდითი კიდეები მოიტავენ მაგარი სასის გვერდებს მცირე ძირითადი მეორე წყვილისა და ძირითადი კბილების არეში (ფიგ. 2):




ფიგ. 2.



ფიგ. 3.

სვანური ე-ს ეს პალატოგრაფა ძალიან მიაგავს ს. ერშოვის. შესრულებულ პალატოგრაფას ღია რუსული ე-სათვის და ლ. შჩერბას პალატოგრაფას ოდნავ დახურული ფრანგული ე-სათვის (ფიგ. 3).


სვანური ჟ -ს პალატოგრამა უახლოვდება სვანური ე -ს პალატოგრამას (ფიგ. 2 და 4), ოღონდ განსხვავება ისაა, რომ ენის



ფიგ. 4

გვერდითი კიდეების შეხების არე მცირდება რამდენადმე. ეს იმას ამტკიცებს, რომ ჟ -ს წარმოთქმისას სამეტყველო ორგანოთა მეტ დაქიმულობას აქვს ადგილი ე -სთან შედარებით¹.

სვანური დახურული ანუ დიფთონგოიდური ჟე -ს წარმოთქმისას კი სრულიად განსხვავებულ სურათთან გვაქვს საქმე (ფიგ. 5).



ფიგ. 5.

არტიკულაცია შესამჩნევად იწვევს წინ მაგარი სასის წინა ნაწილისაკენ. სვანური დახურული ე -ს პალატოგრამა ძალიან მიაგავს სვანური ჟ -ს პალატოგრამას. ეს იმიტომ, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დახურულ ე -ს დაწყება ჟ -სებური აქვს. იგი იოტირებულია, თუ შეიძლება ითქვას, და ამიტომაც თავისი არტიკულაციით უახლოვდება ჟ -ს.

ს. ერშოვის დაკვირვებით, რუსულში ყველა იოტირებული ხმოვანი თავისი არტიკულაციით უახლოვდება ჟ -ს².

ი ნ ჟ

(ფიგ. 6, 7, 8).


§ 8. სვანური ი -ს წარმოთქმისას ენის წვერი, მსგავსად ე -ს წარმოთქმისა, ქვედა საკრელი მედიალური კბილების ძირთან ძეგს,

¹ შტრ. Ell Fischer Jorgensen, Objektive und subjektive Lautdauer deutscher Vokale: *Archiv für vergleichende Phonetik*, Band 4, Heft I/II, 1940, S. 6.

² С. И. Ермош, *Ор. сч.*, გვ. 107.

ხოლო ენის წინა ნაწილისა და ენის შუა ტანის ზურგი იწევს კიდევ უფრო მაღლა, ვიდრე ეს ე-ს წარმოთქმისას გვექონდა, და ამით იქმნება ვიწრო სარეზონანსო არე ენის ზურგსა და სასის კამარას შორის; ენის გვერდითი კიდეების შეხებას მაგარი სასის გვერდებთან აქვს მიმართულება მაგარი სასის წინა ნაწილისაკენ და შეხება აღწევს საკბეჩ კბილებამდის ანუ ეშვებამდის.

სვანური ი-ს პალატოგრამა ძალიან მიაგავს იოტირებული ანუ დახურული ე-ს პალატოგრამას (ფიგ. 6), მხოლოდ იმ განსხვავებით,




ფიგ. 6.

რომ ენის გვერდითი კიდეების შეხების სიფართოვე ი-ს წარმოთქმისას ოდნავ შემცირებულია.

სვანური ი-ს პალატოგრამა (ფიგ. 7) თითქმის არ განსხვავდება ი-ს პალატოგრამისაგან.



ფიგ. 7.



ფიგ. 8.

სვანური ი-სა და ი-ს პალატოგრამები ძალიან უახლოვდება ს. ერშოვის შესრულებულ რუსული ი-ს პალატოგრამას, მხოლოდ ერთი განსხვავებით: რუსული ი-ს წარმოთქმისას ენის გვერდითი კიდეების შეხების არე უფრო ფართოა, ვიდრე ეს სვანური ი-ს წარმოთქმისას გვაქვს.

რაც შეეხება სვანურ ა-ს (ფიგ. 8), მისი წარმოთქმისას არტიკულაცია კიდევ უფრო ოდნავ წინ მოიწევს სვანურ ი-სთან შედარებით და ამით კიდევ უფრო ვიწროვდება სარეზონანსო არე პირის ღრუს წინა ნაწილში. ენის გვერდითი კიდეების შეხებას მაგარი სასის გვერდებთან მიმართულება აქვს მაგარი სასის წინა ნაწილისაკენ

და აღწევს ლატერალურ კბილებამდის. ენის გვერდითი კიდეების შეხების არე უფრო ფართოა, ვიდრე ეს ი-ს წარმოთქმისას არის.

ლ ო

§ 9. სვანური ო-სა და ო-ს წარმოთქმისას ენის შეხებას მაგარ სასასთან აღგილი არა აქვს. ჩანს, ო-სა და ო-ს არტიკულაცია იმდენად უკან ხდება, რომ ენის უკანა ნაწილი ამ შემთხვევაში ვერ აღწევს მაგარ სასამდის.

როგორც რენტგენოგრაფით ირკვევა, სვანური ო-ს წარმოთქმისას ენის წვერი ოდნავ სცილდება ქვედა საჭრელ მედიალურ კბილებს, ენის ტანი უკან არის გადაწეული და ენის უკანა ნაწილის ზურგი ოდნავ წამოწეულია რბილი სასის უკანა ნაწილის მიმართულებით. ამგვარად, ენის ზურგი რკალისებურ ფორმას იღებს, მაგრამ მაგარი სასის ბოლომდის ვერ აღწევს. მით უფრო სვანური ო-ს წარმოთქმისას, საარტიკულაციო ორგანოთა დაქიმულობის გამო, უკანა ენის არტიკულაცია ვერ აღწევს მაგარი სასის ბოლომდის.

პროფ. ვ. ბოგოროდიცკი რუსული ო-ს შესახებ შენიშნავს, რომ მის წარმოთქმაში ზოგჯერ ხდება ენის უკანა ნაწილის შეხება სიბრძნის კბილების არეში და ზოგჯერ არა¹. საყურადღებოა, რომ ლ. შჩერბას აღწერით რუსული ო-ს წარმოთქმისას ენა მაგარ სასასთან შეხების კვალს არ ტოვებს². ამ განსხვავებას ლ. შჩერბა და ვ. ბოგოროდიცკი ხსნიან „წარმოთქმის ინდივიდუალურ-დიალექტური თავისებურებით“³. ამ მხრივ სვანური ო თავისობრივად უახლოვდება მეგრულ-ქანურ ო-ს და შორდება ქართულ ო-ს. სვანური ო, მეგრულ-ქანური ო-ს მსგავსად, ღრმად უკანაენისმიერია; იგი უფრო რუსული ო-სებურია⁴, ქართული ო კი უფრო ნეიტრალური წარმოების ხმოვანია. ამიტომ ქართული ო-ს წარმოებისას ენის გვერდითი კიდეები საკმაო სიფართოვის შეხების

¹ Проф. В. А. Богородицкий, Фонетика русского языка в свете экспериментальных данных, გვ. 76.

² Л. В. Щерба, Русские гласные в качественном и количественном отношении, С.-Петербург. 1912, გვ. 66.

³ Проф. В. А. Богородицкий, Op. cit., 79.

⁴ ჩვენი: მეგრულ-ქანური ვოკალიზმი.

კვალს ტოვებს სიბრძნისა და ნაწილობრივ მეორე წყვილი ძირითადი კბილების არეში¹. განსაკუთრებით აღსანიშნავია სეანური ო-ს ტენდენცია დავიწროებისაკენ უფრო ხშირად სიტყვის თავში.

ჲ ჳ



ფიგ. 9

§ 10. სეანურის ლაბიო-პალატალიზებული ჲ-ს წარმოთქმისას არტიკულაცია შესამჩნევად წინ მოდის სეანურ ო-სთან შედარებით. როგორც რენტგენოგრაფიდან ირკვევა, ენის წვერი ქვედა საკრელ მედიალურ კბილებთან ძვეს, ენის წინა ნაწილია და შუა ტანის ზურგი იმდენად ამოიბურცება და იწვევს მაგარი სასის ცენტრისაკენ, რომ ენის გვერდითი კიდეების შეხება მოიცავს ძირითადი და მცირე ძირითადი მეორე წყვილი კბილების არეს. სეანური ᲁ-ს პალატოგრაფა ძალიან მიაგავს სეანური ნ-ს პალატოგრაფას (ფიგ. 4). ირკვევა, რომ სეანური ჲ-ს წარმოთქმისას ენის ზურგსა და სასის კამარას შორის სარეზონანსო არე უფრო მეტია, ვიდრე სეანურ ფართო ე-ს წარმოთქმისას (ფიგ. 2).

სეანური ჳ-ს წარმოთქმისას ენა მაგარ სასასთან შეხების კვალს არ ტოვებს:

უ უ უ უ

(ფიგ. 10, 12, 13)

§ 11. სეანური უ-ს პალატოგრაფა (ფიგ. 10) გვიჩვენებს, რომ




ფიგ. 10

ენის გვერდითი კიდეები ოდნავ ეხება სიბრძნის კბილებსა და ნაწილობრივ ძირითად მეორე წყვილ კბილებს. ენის უკანა ნაწილის

¹ ჩენი: ქართული ენობათმცოდნეობა, გვ. 257.

არტიკულაცია კიდევ უფრო ავიწროებს სარეზონანსო არეს, ვიდრე ეს ო-ს წარმოთქმისას გვექონდა.

სვანური უ-ს პალატოგრამა ძალიან მიაგავს პროფ. ვ. ბოგოროდიცკის შესრულებულ პალატოგრამას რუსული ყ-სათვის (ფიგ. 11).



ფიგ. 11


სამაგიეროდ სვანური უ-ს წარმოთქმისას ენის გვერდითი კიდეების შეხება მაგარ სასასთან არ ხდება.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მეგრულ-ქანური უ-ს წარმოთქმისას მაგარ სასასთან შეხების კვალი ვერ მივიღეთ. ეს იმას გვიჩვენებს, რომ მეგრულ-ქანური უ იმდენად ღრმად უკანა-ენისმიერია, რომ ენის უკანა ნაწილის არტიკულაცია ვერ აღწევს მაგარი სასის ბოლომდის. ის ფაქტი, რომ სვანური უ-ს წარმოთქმისას სიბრძნისა და ნაწილობრივ მეორე წყვილი ძირითადი კბილების არეში სასასთან ენის შეხების კვალი რჩება, შეიძლება მიუთითებდეს სვანური უ-ს უფრო მეტ დახურულობაზე მეგრულ-ქანურ უ-სთან შედარებით. სვანურში როგორც ო-ს, ისე უ-საც ახასიათებს ტენდენცია დახურულობისაკენ. აქვე დავძენთ, რომ ლ. შჩერბას წარმოთქმაში რუსული ყ-ს არტიკულაცია მაგარ სასასთან შეხების კვალს არ ტოვებს. ამის გამო ლ. შჩერბა სწერდა: „Мы считаем даже такое ненормальное „закрытое“ и за особо выразительное в изолированном виде: этим только я и могу объяснить себе появление следов касания языка на искусственном небе у Ершова и Богородицкого. Мое нормальное и не оставляет никаких следов, так как язык у меня безусловно не касается неба. Может быть, впрочем, здесь играют роль диалектические различия“¹.

¹ Л. В. Щерба, Русские гласные..., გვ. 69.

ქართული უ არტიკულაციურად უფრო წინა არეში წარმოებულ ხმოვანია, ამიტომ მისი წარმოთქმისას ენის გვერდითი კიდეები საკმაოდ ფართოდ მოიცავენ სიბრძნისა და ძირითადი მეორე წყვილი კბილების არეს¹.

რაც შეეხება სვანური ჟ-ს პალატოგრაამას (ფიგ. 12), იგი



ფიგ. 12

თითქმის ემთხვევა სვანური ი-ს პალატოგრაამას (ფიგ. 6). თავისებურ სარეზონანსო არეს ქმნის (ისევე, როგორც ი-ს წარმოთქმისას) ბაგეთა აქტიური მონაწილეობა, რაც რენტგენის სურათებზე ნათლად ჩანს.

სვანური ჟ-ს პალატოგრაამა (ფიგ. 13) არ განსხვავდება სვანუ-



ფიგ. 13

რი ჟ-ს პალატოგრაამისაგან (ფიგ. 12). ეს აიხსნება, მსგავსად ი-სა, ჟ-ს წარმოთქმისას ვიწრო სარეზონანსო არის შექმნილი და ლაბიალიზებული.

ზ ზ აზ

§ 12. სვანურში ზ-სა და ზ-ს გარდა გვაქვს ამ ხმოვანთა კიდევ უფრო დახურული, იოტირებული სახის ზ, რომელსაც პირობითად ასე გამოვხატავთ: აზ. იგი გარკვევით ისმის სიტყვებში: აზ რ ეი 'მწვანე', აზ რ თ ხ ი ლ 'ცილა', აზ დ ი 'ღებს', აზ გ ე მ 'აგებს' და სხვ.


¹ ქართული ვოკალიზმი, გვ. 258.

სვანური გ-სა და ჯ-ს წარმოთქმისას ენის მაგარ სასასთან შეხებას ადგილი არა აქვს. როგორც რენტგენის სურათებიდან ირკვევა, ენის წვერი სცილდება ქვედა საკრელ მედიალურ კბილებს ისე, როგორც ო-სა და უ-ს წარმოთქმისას, და ენის შუა ტანის ზურგი იწევს ზევით მაგარი სასის ბოლოსაკენ, მაგრამ მაგარ სასამდის ვერ აღწევს.

ჯ-ს წარმოთქმისას სარეზონანსო არის შექმნაში, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ო-სა და უ-ს წარმოთქმისას, ბაგეები არ მონაწილეობენ.

სვანური დიფთონგოიდური ანუ იოტირებული აჯ-ს წარმოთქმისას ენა მაგარ სასას ეხება (ფიგ. 14). მისი პალატოგრამაც მეტად თავისებურია.

აჯ-ს, როგორც იოტირებული ხმოვნის წარმოთქმისას, არტიკულაცია გ-სთან შედარებით შესამჩნევად იწევს წინ, მაგარი სასის წინა ნაწილისაკენ; სარეზონანსო არე იმდენად მცირდება პირის ღრუს წინა ნაწილში, რომ ენის გვერდითი კიდეების შეხება მაგარი სასის ბოლოდან დაწყებული მოიცავს მაგარი სასის კედლებს ძირითადი და მცირე ძირითადი კბილების არეში და აღწევს საკბერ კბი-



ფიგ. 14



ფიგ. 15

ლებამდის ანუ ეშვებამდის. მაგარი სასის წინა ნაწილში, ეშვების არეში, ენის შეხება ოდნავ უფრო ფართოა და შეკრილია შიგ; მიმართულება მას ნუნებისაკენ აქვს.

სვანური აჯ-ს ეს პალატოგრამა ძალიან მიიგავს ს. ერშოვი ს შესრულებულ პალატოგრამას რუსული ჯ-სათვის (ფიგ. 15).

§13. ზემოთ განხილული პალატოგრამებიდან ნათლად ირკვევა, რომ სვანურში გვაქვს ხმოვანთა წყვილეულები: ა—ჰ, ე—ჟ, ი—ჯ, ო—ზ, უ—ჟ, გ—ჯ. მეორე რიგის ხმოვნები ვიწრო და იოტირებული ხმოვნებია. ისინი წარმოქმნილია არტიკულაციის წინ

წამოწვევით შესატყვის ძირითად ხმოვნებთან შედარებით და წარმოადგენენ ძირითადი ხმოვნების პალატალიზებულ ვარიანტებს. ამდენად მათ შეიძლება ვუწოდოთ პალატალიზებული ხმოვნები. //


§ 14. ბუნებრივია დავსვათ კითხვა: პალატალიზებული ხმოვნები ახდენენ თუ არა გავლენას თანხმოვნებზე და ცვლიან თუ არა მათ ბუნებას?

სენური ნ-ს წარმოთქმისას სიტყვაში ნაქუ 'ნათქვამი' ენის წვერი ებჯინება ზედა საკრელ მედიალურ კბილებს და მისი ზურგი ოდნავ მოიცავს ნუნებს მედიალური კბილების არეში, ხოლო ენის გვერდითი კიდეები მოიცავს მაგარი სასის გვერდებს მცირე ძირითადი და ძირითადი კბილების არეში სიბრძნის კბილებამდის (ფიგ. 16).




ფიგ. 16

სამაგიეროდ, ენის შეხების არე საგრძნობლად ფართოვდება როგორც მაგარი სასის წინა ნაწილში, ისე მაგარი სასის გვერდებზე და ც-ს წარმოთქმისას სიტყვაში ნაჟ 'ჩვენ' (ფიგ. 17). უკანასკნელ შემთხვევაში უდავოდ პალატალიზებულ ნ-სთან გვაქვს საქმე.



ფიგ. 17



ფიგ. 18


სენური მაგარი და პალატალიზებული ნ-ს პალატოგრამა ძალიან მიაგავს ს. ერშოვის შესრულებულ პალატოგრამას რუსული მაგარი და პალატალიზებული მ-სათვის (ფიგ. 18). ნ-ს პალატალობა სიტყვაში ნაჟ აუსტიკურადაც ადვილი შესამჩნევია ('მღრ. ნაბოზ 'სალამო').

საყურადღებოა, რომ პროფ. ალ. ცაგარელს შერბილებული ნ აკუსტიკური შთაბეჭდილების მიხედვით შენიშნული აქვს მეგრულში, ოღონდ იმ შემთხვევებში, სადაც ნ განვითარებულია ენაკბილისმიერ და უკანაენისმიერ თანხმოვანთა წინ¹.

§ 15. სვანური ლ-ს წარმოთქმისას სიტყვაში ლოთ 'ლოთი' (ფიგ. 19) ენის წვერი ებჯინება ზედა საჭრელ მედიალურ კბილებსა-



ფიგ. 19



ფიგ. 20

და ნუნებს შუა, ხოლო ენის წინა ნაწილის ზურგი და ენის გვერდითი კიდეები მაგარი სასის წინა ნაწილზე შეხების ოველურ კვალს ტოვებენ. ენის გვერდითი კიდეების შეხება მცირე ძირითად მეორე წყვილ კბილებამდის აღწევს (მარცხნივ მცირე ძირითადი მეორე კბილის არესაც მოიცავს) და იქ იქმნება ჰაერის გვერდებზე გამოსასვლელი ნაპრალი.

განსხვავებულია ლ-ს პალატოგრამა სიტყვაში ლჷსჷ 'იყო' (ფიგ. 20). ენის წინა ნაწილის ზურგის შეხების არე მაგარი სასის წინა ნაწილში საგრძნობლად გაფართოებულია; ასევე უფრო ფართოა ენის გვერდითი კიდეების შეხების არე მაგარი სასის კედლებზე და აღწევს ძირითად მეორე წყვილ კბილებამდის.

სვანური პალატალიზებული ლ-ს პალატოგრამა ძალიან მიაგავს ლ. შჩერბას შესრულებულ პალატოგრამას რუსული პალატალიზებული ჰ'-სათვის, ოღონდ განსხვავება ისაა, რომ რუსული ჰ'-ს წარმოთქმისას მაგარ სასასთან შეუხებელი რჩება მცირე ადგილი საჭრელი კბილების არეში.

როგორც ცნობილია, პალატალიზებული ლ განსაკუთრებით დამახასიათებელია მეგრულისათვის. ლ-ს პალატალიზაციის ხარისხი მეგრულის კილოკაეებში სხვადასხვაგვარია. ასე მაგ.: მარტილურბანძურში ლ-ს გაშუაენისმიერება იმდენად დიდია, რომ იგი თვი-


¹ А. Цагарели, Мингрельские этюды, II, გვ. 53—56. ამის შესახებ. საეციალურად ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

სობრივად ახალ ბგერად იქცევა და მასობრივად იორჭში გადადის. ამ მხრივ მარტივლურ-ბანძური ლ უფრო მეტ თვისობრივ მახლობლობას ამქლავნებს ფრანგულ | mouillé-სთან, რომელიც სტანდარტულ წარმოთქმაში საბოლოოდ გადავიდა j-ში¹.

არის შემთხვევები, როდესაც მეგრულში ლ-ს ვოკალიზაცია დასტურდება იმავე პალატალიზაციის საფუძველზე; მაგ.: ჩ ი ი (ჩილი) 'ცოლი', კ ა ა თ ი (← კალათი), ა ხ ა ი (← ახალი), ც ა ი (← ცალი), ი რ ი ფ ე ი (← ირიფელი), 'ქ ო ბ ა ი (← ქობალი 'პური') და სხვა².

ამის მიხედვით ირკვევა, რომ მარტივლურ-ბანძური ლ უფრო მეტად პალატალიზებული ბგერაა, ვიდრე რუსული პალატალიზებული ლ. ამ მოსაზრებას საეცებით ადასტურებს ბანძური შერბილებული ლ-ს პალატოგრამული სურათი³. მაგრამ ამას ვერ ვიტყვიტ სარფული ლ-ს შესახებ, რომელიც საკმაოდ ველარიზებულია.

§ 16. სევანური რ-ს წარმოთქმისას სიტყვაში რ ა ს 'რასა' (ფიგ. 21) ენის წვერის თრთოლა ხდება ნუნების არეში; საკრელი



ფიგ. 21

მედიალური კბილების არეში მაგარ სასასთან ადგილი შეუხებელი რჩება, მხოლოდ ენის გვერდითი კიდეები ოდნავ მოიცავენ კბილების არეში მაგარი სასის გვერდებს ბოლომდის.

როგორც რუსული p-სათვის ს. ერ შ ო ვ ი ს შესრულებული პალატოგრამიდან ირკვევა, რუსული p-ს არტიკულაცია ოდნავ უფრო უკან ხდება, ვიდრე სევანური რ-სი.

სევანური რ-ს არტიკულაცია წინაა წამოწეული.


სევანური რ-ს წარმოთქმისას სიტყვაში რ ა შ 'რაში' არტიკულაცია კიდეე უფრო წინ იწევს და ენის წვერის შეხება მოიცავს მაგარი სასის წინა ნაწილს მთლიანად (ფიგ. 22). გარდა ამისა, ენის

¹ Л. В. Щ е р б а, Фонетика франц. языка, გვ. 70.

² А. Ц а г а р е л и, Мингрельские отгуды, 49.

³ ჩენი: მეგრულ-ქანური ვოკალიზბი.

გვერდითი კიდების შეხების არც მაგარი სასის კედლებთან უფრო: ფართოა, ვიდრე არაპალატალიზებული რ-ს წარმოთქმისას გვეკონდა. სვანური პალატალიზებული რ-ს პალატოგრამა შესამჩნევად განსხვავდება რუსული პალატალიზებული რ'-ს პალატოგრამისაგან.



ფიგ. 22

პალატალიზებული რ ახასიათებს ქანურს. კერძოდ, ქანურის სარფულ თქმაში რ იმდენად პალატალიზებულია, რომ იგი ხშირად იოტად იქცევა, ხოლო ხმოვნებს შორის და აგრეთვე ხმოვნებსა და სპირანტებს შორის მას ვოკალიზაცია მოსდის. საკითხის სპეციალურმა კვლევამ იმ დასკვნამდის მიგვიყვანა, რომ სარფული რ ენის წვერის ვიბრაციის გარეშე წარმოითქმის. ეს ნათლად ჩანს სარფული რ-ს პალატოგრამიდან. ამ მხრივ სარფული რ მოგვაგონებს ინგლისურ რ-ს, რომლის ვოკალიზაცია ხმოვნის შემდგომ ჩვეულებრივია. მეგრული რ-ს პალატოგრამული მონაცემები განსხვავდება სარფული რ-ს პალატოგრამული მონაცემებისაგან¹.

§ 17. სვანური მ-ს წარმოთქმისას სიტყვაში მ ა რ ე 'კაცი' ენის შეხება მაგარ სასასთან ვერ მივიღეთ. არც რუსულში აქვს ადგილი ენის შეხებას მაგარ სასასთან ბაგისმიერების (ნ ი მ-ს) მაგარი ვარიანტის წარმოთქმისას.

მ-ს წარმოთქმისას სიტყვაში მ ა მ 'რა' (ფიგ. 23) ენის გვერდითი კიდები მოიცავენ მაგარი სასის გვერდების არეს ეშვებიდან სიბრძნის კბილებამდის; ენის გვერდითი კიდების შეხებას მიმართულება აქვს მაგარი სასის წინა ნაწილისაკენ.

სვანური პალატალიზებული მ-ს პალატოგრამა ძალიან მიაგავს ს. ერ შო ვ ის შესრულებულ პალატოგრამას რუსული პალატალიზებული მ'-სათვის (ფიგ. 24).

¹ ჩენი: რ ფონემა მეგრულ-ქანურში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. X, № 2, 1949 წ.

§ 18. სვანური ფ-ს წარმოთქმისას სიტყვაში ჟადე (საკ. სახელია) ენის შეხებას მაგარ სასასთან ადგილი არა აქვს. არც რუ-




ფიგ. 23



ფიგ. 24

სული მაგარი მ-ს წარმოთქმისას რჩება ენის შეხების კვალი მაგარ სასაზე.

სვანური ფ-ს წარმოთქმისას სიტყვაში ჟაღურ 'ველური' (ფიგ. 25) ენის გვერდითი კიდეები ეხება მაგარ სასას ძირითადი და მცირე ძირითადი მეორე წყვილი კბილების არეში.



ფიგ. 25


ფ-ს პალატოგრამის შედარება მ-ს პალატოგრამასთან (ფიგ. 23) გვიჩვენებს, რომ ფ-ს, როგორც ლაბიალური ბგერის წარმოთქმისას არტიკულაცია უფრო უკან არის გადაწეული, ვიდრე მ-ს წარმოთქმისას. გარდა ამისა, ფ-ს წარმოთქმისას ენის გვერდითი კიდეების მაგარ სასასთან შეხების არე მცირდება.

§ 19. სვანური ხ-ს წარმოთქმისას სიტყვაში სამ 'ძალის დასაბმელი მოკლე ჯოხი' (ფიგ. 26) შეუხებელი რჩება მაგარი სასის წინა ნაწილში მხოლოდ საკრელი მედიალური კბილების არე. ხ-ს წარმოთქმისას ენის წინა ნაწილში ოდნავ ლარისებრი ჩაღრმავება იქმნება და ენის წვერი ეხება ნაწილობრივ ქვედა მედიალურ კბილებსა და ნაწილობრივ ზედა მედიალურ კბილებს.


სვანური ხ-ს პალატოგრამა ძალიან უახლოვდება ს. ერმოვის შესრულებულ პალატოგრამას რუსული მაგარი ც-სათვის და ლ. შჩერ-

ბ ა ს პალატოგრამას ფრანგული s-სათვის (Фонетика франц. яз., გვ. 65).

საგრძნობლად განსხვავებულია სვანური ს-ს პალატოგრამა სიტყვაში ს ა ვ 'მარხილი' (ფიგ. 27). მაგარი ს-ს პალატოგრამისაგან



ფიგ. 26




ფიგ. 27


განსხვავებით აქ ენის წინა ნაწილის ზურგი მთლიანად მოიცავს მაგარი სასის წინა ნაწილს.

სვანური პალატალიზებული ს-ს პალატოგრამა განსხვავდება რუსული პალატალიზებული ც'-ს პალატოგრამისაგან (იხ. ლ. შჩერბა, ვ. ბოგოროდიცკი, ს. ერშოვი).

§ 20. სვანური ზ-ს პალატოგრამა სიტყვაში ზ ა რ ა 'ეკონომია, ზოგვა' (ფიგ. 28) განირჩევა სვანური მაგარი ს-ს პალატოგრამისა-



ფიგ. 28




ფიგ. 29

გან (ფიგ. 26): ზ-ს წარმოთქმისას ენის წვერის ზურგის შეხება მოიცავს მაგარი სასის წინა ნაწილს მედიალური კბილების არეში, ენის გვერდითი კიდეები კი, მსგავსად მაგარი ს-სა, მოიცავენ მაგარი სასის გვერდებს ბოლომდის.

სვანური პალატალიზებული ზ-ს წარმოთქმისას სიტყვაში ზ ა ე 'წელიწადი' (ფიგ. 29) ენის შეხების სიფართოვე მაგარ სასასთან კიდევ უფრო შესამჩნევად დიდდება და ამ შეხებას მიმართულება აქვს მაგარი სასის წინა ნაწილში მაგარი სასის ცენტრისაკენ.

§ 21. სვანური ზ-ს პალატოგრამა სიტყვაში ზ ა ე 'ეაი' (ფიგ. 30) გვიჩვენებს, რომ ეშვების არეში წინა ენის შეხება შეკრილია


შიგ და მიმართულება აქვს ნუნებისაკენ. მაგარი სასის წინა ნაწილში არე შეუხებელი რჩება იმიტომ, რომ ენის წვერი ქვედა მედიალურ კბილებთანაა ახლოს. ენის გვერდითი კიდეები მოიცავენ მაგარი სასის გვერდებს ბოლომდის.



ფიგ. 30

რუსული ყ-ს პალატოგრამებთან შედარება გვიჩვენებს, რომ სვანური შ-ს არტიკულაცია შედარებით უფრო წინაა წამოწეული-ამით აიხსნება, ალბათ, ის, რომ რუსულში ყ ყოველთვის მაგარია (იხ. პროფ. ე. ბოგოროდიცკისა და ს. ერშოვის შესრულებული პალატოგრამები რუსული ყ-სათვის).


სვანური შ-ს წარმოთქმისას სიტყვაში შაბ 'შაბი' (ფიგ. 31) ენის გვერდითი კიდეების შეხების სიფართოვე მაგარი სასის გვერ-



ფიგ. 31

დებზე მატულობს; ეშვების არეში შიგ შეკრილი შეხების არეც უფრო ფართოა და ნუნების არეს კიდევ უფრო უახლოვდება.


§ 22. სვანური ჟ-ს წარმოთქმისას სიტყვაში ჟაგარ 'წამალი' (ფიგ. 32) არტიკულაცია ოდნავ უკანაა გადაწეული, ვიდრე არაპალატალიზებული შ-ს წარმოთქმისას (ფიგ. 30).



ფიგ. 32

სვანური ჟ-ს ეს პალატოგრამა უფრო უახლოვდება ს. ერ-
შოვის შესრულებულ პალატოგრამას რუსული ჯ-სათვის.


სვანური ჟ-ს წარმოთქმისას სიტყვაში ეპგ 'თოფისწამალი'
(ფიგ. 33) არტიკულაცია იმდენად წინ იწევა, რომ ენის წინა ნაწი-




ფიგ. 33

ლის შეხება მოიცავს მთლიანად მაგარი სასის წინა ნაწილს. ამ მხრივ სვანური პალატალიზებული ჟ-ს პალატოგრამა ძალიან მიაგავს სვანური პალატალიზებული ზ-სა (ფიგ. 29) და პალატალიზებული ს-ს (ფიგ. 27) პალატოგრამებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პალატალიზებული ჟ-ს წარმოთქმისას მაგარი სასის წინა ნაწილზე წინა ენის შეხების არე უფრო ფართოა, ვიდრე პალატალიზებული ზ-სა და ს-ს წარმოთქმისას.

§ 23. სვანური დ-ს წარმოთქმისას სიტყვაში დაჯღლ 'თხა'
(ფიგ. 34) ენის წვერი ებჯინება ზედა მედიალურ კბილებს, ხოლო



ფიგ. 34



ფიგ. 35


ენის წინა ნაწილის ზურგის შეხება მოიცავს მაგარი სასის წინა ნაწილს მთლიანად, ენის გვერდითი კიდეები კი მაგარი სასის გვერდებს ბოლომდის.

სვანური დ-ს წარმოთქმისას სიტყვაში დჷბ 'ყანა' (ფიგ. 35) ენის წინა ნაწილის ზურგისა და ენის გვერდითი კიდეების შეხების არე მაგარ სასასთან უფრო ფართოა.

სვანური პალატალიზებული და არაპალატალიზებული დ-ს პალატოგრამები ძალიან მიაგავს ს. ერშოვის შესრულებულ პალატოგრამებს რუსული მაგარი და პალატალიზებული დ-სათვის,

ოლონდ განსხვავება ისაა, რომ სვანურში ენის შეხება მაგარი სასის წინა ნაწილთან უფრო ფართოა, ვიდრე რუსულში.


§ 24. სვანური თ-ს პალატოგრაფი სიტყვაში თ ა ლ 'სოლი' (ფიგ. 36) ძალიან უახლოვდება ზ-ს პალატოგრაფს სიტყვაში ზ ა რ ა



ფიგ. 36

(ფიგ. 28), მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თ-ს წარმოთქმისას მაგარი სასის წინა ნაწილში ენის შეხების არე ოდნავ უფრო ფართოა. თ-სა და ზ-ს პალატოგრაფების შეხვედრა აქ არ არის შემთხვევითი, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ როგორც ზ ს-ს წარმოთქმისას, ისევე დ თ-ს წარმოთქმისას ენის წინა ნაწილი უახლოვდება მაგარი სასის წინა ნაწილს. ისინი საარტიკულაციო ორგანოების მიხედვით კი არ განსხვავდებიან, არამედ გვარობის მიხედვით: ზ ს ნაპრალოვნებია, დ თ ტ ხშულები.

სვანური თ-ს წარმოთქმისას სიტყვაში თ ა შ 'ყველი' (ფიგ. 37) ენის შეხების სიფართოვე მაგარი სასის წინა ნაწილსა და გვერდებზე




ფიგ. 37

უფრო გადიდებულია, ვიდრე არაპალატალიზებული თ-ს წარმოთქმისას (ფიგ. 35).


§ 25. სვანური ტ-ს პალატოგრაფი სიტყვაში ტ ა ბ ა 'თლა' (ფიგ. 38) ძალიან უახლოვდება თ-ს პალატოგრაფს სიტყვაში თ ა ლ (ფიგ. 36), განსხვავება ისაა, რომ ტ-ს წარმოთქმისას ენის მაგარი სასისთან შეხების სიფართოვე ოდნავ შემცირებულია.

სვანური ტ-ს პალატოგრამები სიტყვებში ტ ა ხ ლ ‘ტახტი’ (ფიგ. 39), ტ ო ტ ‘ხელი’ (ფიგ. 40) გვიჩვენებს, რომ ენის შეხების სიფართოვე მაგარი სასის წინა ნაწილსა და გვერდებზე შესამჩნევად დიდდება.




ფიგ. 38

V.



ფიგ. 39



ფიგ. 40

გ. ახვლედიანის მიერ ქართული ტა თა და-სათვის შესრულებული პალატოგრამებით ნათლად ირკვევა¹, რომ მაგარ სასთან ენის შეხების არე უფრო ფართოა, ვიდრე სვანურის შესატყვის თანხმოვანთა წარმოთქმისას. განსაკუთრებით ეს ითქმის ტ-ს შესახებ, რაც მხოლოდ წარმოთქმის თავისებურებით შეიძლება აიხსნას. გ. ახვლედიანი სამართლიანად დაასკვნის: „რაც შეეხება დაკვიმულობას, ქართულიდან ცხადად ჩანს, რომ კ ტ ჰ-ს სიმკვეთრეს ეს არ ქმნის“². ასეა სვანურშიც, მაგრამ ქართლისაგან განსხვავებით სვანურში, როგორც ეს სვანურის პალატოგრამებიდან ჩანს, არაპალატალიზებული თანხმოვნები საარტიკულაციო ორგანოთა დაკვიმულობით იწარმოება, ხოლო პალატალიზებულ თანხმოვანთა წარმოთქმისას საარტიკულაციო ორგანოთა დაკვიმულობას ადგილი არა აქვს.

§ 26. სვანური ძ-ს პალატოგრამა სიტყვაში ძ ი ძ ‘ძაძა’ (ფიგ. 41) ძალიან უახლოვდება ზ-სა (ფიგ. 28) და ტ-ს (ფიგ. 38) პალატოგრამებს. ეს მსგავსებაც, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის. ძ რთული თანხმოვანია, რომელიც აერთიანებს ღ-სა და ზ-ს. მისი პირველი კომპონენტი მჟღერი ხშულია, მეორე კი—მჟღერა ნაპრალოვანი, ე. ი. ძ და საერთოდ ყველა აფრიკატი ხშვით იწყება და ნაპრალოვნობით მთავრდება. არტიკულაცია ერთი და იმავე ორგანოებით ხდება, ოღონდ ეს კია, რომ როგორც ეს პალატოგრამებიდან ჩანს, წინა ენის შეხება და ხშვა მაგარი სასის წინა ნაწილში

¹ გ. ახვლედიანი, მკვეთრი ხშულნი ქართულში: ტფ. უნივ. მოამბე, ტ. II, 1922—23, გვ. 124.


² იქვე, 123.

დ-სათვის უფრო სწრაფად და უფრო ნაკლები ენერგიით ხდება¹, ვიდრე ზ-სათვის, და ამიტომაც პალატოგრაფა უახლოვდება არა დ-ს, არამედ ზ-ს პალატოგრაფას².

სვანური ძ-ს პალატოგრაფა სიტყვაში ძჰძ 'ტომარა' (ფიგ. 42) თითქმის ემთხვევა პალატალიზებული ზ-ს პალატოგრაფას (ფიგ. 29);



ფიგ. 41




ფიგ. 42


მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პალატალიზებული ძ-ს წარმოთქმისას მაგარი სასის წინა ნაწილში ენის შეხება ოდნავ უფრო ფართოა, ვიდრე პალატალიზებული ზ-ს წარმოთქმისას.

§ 27. სვანური ც-ს პალატოგრაფა სიტყვაში ცაბუ (საკ. სახელია) (ფიგ. 43) ნათლად გვიჩვენებს ამ ბგერის რთულ ბუნებას. ც-ს პალატოგრაფა უახლოვდება თ-ს პალატოგრაფასაც (ფიგ. 36) და პალატალიზებული ს-ს პალატოგრაფასაც (ფიგ. 27), ოღონდ განსხვავება ისაა, რომ ამ უკანასკნელში ენის შეხების არე მაგარი სასის წინა ნაწილში უფრო ფართოა, ვიდრე ც-ს წარმოთქმისას.

სვანური ც-ს წარმოთქმისას სიტყვაში ცჰგ 'ეკალი' (ფიგ. 44) წინა ენის შეხების არე მაგარი სასის წინა ნაწილზე უფრო ფარ-



ფიგ. 43




ფიგ. 44

თოვდება; უფრო ფართოა ენის გვერდითი კიდეების შეხება მაგარი სასის გვერდებზე. ც-ს ეს პალატოგრაფა ძალიან უახლოვდება პალატალიზებული ს-ს პალატოგრაფას (ფიგ. 27).


¹ შტრ. С. И. Ершов, Op. cit., გვ. 112.

² ჩენი: ქართული აფრიკატების შედგენილობა ექსპერიმენტული მონაცემებით: საქ.-სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. VI, № 2, 1945.

§ 28. სვანური წ-ს პალატოგრაფია სიტყვაში წ ა მ 'პალო' (ფიგ. 45) თითქმის ემთხვევა ც-ს პალატოგრაფიას (ფიგ. 43), ხოლო წ-ს




ფიგ. 45




ფიგ. 46

წარმოთქმისას სიტყვაში წ ა მ 'ნათესავი' (ფიგ. 46) ენის წინა ნაწილის შეხება მაგარი სასის წინა ნაწილთან და ენის გვერდითი კიდეების შეხება მაგარი სასის გვერდებთან უფრო ფართოვდება. წ-ს ეს პალატოგრაფია ასევე ემთხვევა პალატალიზებული ც-ს პალატოგრაფიას (ფიგ. 44).

§ 29. სვანური ჯ-ს პალატოგრაფია სიტყვაში ჯ ა 'თვით' (ფიგ. 47) ნათლად ჩანს ამ ბგერის რთული ბუნება. ჯ-ს წარმოთქმისას ენის წვერი ებჯინება ქვედა მედიალურ კბილებს, წინა ენის ზურგი კი ხშვას ახდენს ნუნების არეში და ენის შეხება მოიცავს მაგარი



ფიგ. 47




ფიგ. 48


სასის წინა ნაწილს მთლიანად; ენის გვერდითი კიდეები მაგარი სასის გვერდებს ეხება. სვანური ჯ-ს პალატოგრაფია ძალიან მიაგავს როგორც პალატალიზებული დ-ს პალატოგრაფიას (ფიგ. 35), ისე პალატალიზებული უ-ს პალატოგრაფიასაც (ფიგ. 33). ამ უკანასკნელში, ჯ-საგან განსხვავებით, ენის შეხების არე მაგარი სასის წინა ნაწილში უფრო შემცირებულია.

სვანური ჯ-ს წარმოთქმისას სიტყვაში ჯ ა ბ 'ცხენის ჩლიქი' (ფიგ. 48) ენის წინა ნაწილის შეხების არე მაგარი სასის წინა ნაწილში და ენის გვერდითი კიდეების შეხების არეც მაგარი სასის გვერდებზე უფრო ფართოვდება, ვიდრე არაპალატალიზებული ჯ-ს წარმოთქმისას.

§ 30. სენური ჩ-ს პალატოგრამა სიტყვაში ჩალ 'ჩალა' (ფიგ. 49) ძალიან უახლოვდება ჯ-ს პალატოგრამას სიტყვაში ჯა 'თვით' (ფიგ. 47), ხოლო ჩ-ს პალატოგრამა სიტყვაში ჩპჩ 'მომშებული წერი (გლოვისას)' (ფიგ. 50) საგრძობლად განსხვავებულია




ფიგ. 49



ფიგ. 50

ენის წინა (და ნაწილობრივ შუა) ნაწილის ზურგის მაგარი სასის წინა და შუა ნაწილზე (ნაწილობრივ) შეხების სიფართოვის გამო. ასევე ენის გვერდითი კიდეები უფრო ფართოდ მოიცავენ მაგარი სასის გვერდებს, ვიდრე პალატალიზებული ჯ-ს წარმოთქმისას სიტყვაში ჯპბ (ფიგ. 48).

§ 31. სენური ჭ-ს პალატოგრამა სიტყვაში კა 'ჭა' (ფიგ. 51) თითქმის ემთხვევა ჩ-ს პალატოგრამას სიტყვაში ჩალ 'ჩალა' (ფიგ. 49), ხოლო ჭ-ს პალატოგრამა სიტყვაში ჭპშ 'ჭმარი' (ფიგ. 52)



ფიგ. 51




ფიგ. 52

ასევე ძალიან მსგავსია პალატალიზებული ჩ-ს პალატოგრამისა სიტყვაში ჩპჩ (ფიგ. 50).


სისინა და შიშინა აფრიკატებისა და სპირანტების პალატოგრამებით ნათლად დადასტურდა, რომ სისინა თანხმოვნები უფრო წინა არტიკულაციით ხასიათდება, ხოლო შიშინა თანხმოვნები შედარებით უფრო უკანა არტიკულაციისაა. ამიტომ სისინა თანხმოვანთა წარმოებისას მაგარი სასის წინა ნაწილში ენის შეხების სიფართოვე მცირეა, შიშინა თანხმოვანთა წარმოთქმისას კი უფრო დიდია. ჰვერი ენის ისტორიაში ცნობილია, რომ პალატალიზაციის საფუძველზე სისინა თანხმოვნები შიშინა თანხმოვნებად ქცეულან.

§ 32. სვანური გ-ს წარმოთქმისას სიტყვაში გ აბუ 'დოლა-ურქო თხა' (ფიგ. 53) ენის უკანა ნაწილი ახდენს ხშვას რბილ სასათან და ნაწილობრივ მოიცავს მაგარი სასის ბოლოს. ენის შუა და წინა ნაწილი იღებს კოვზისებრ ფორმას. მისი გვერდითი კიდეები მოიცავენ მაგარი სასის გვერდებს საკბეჩ კბილებამდის ანუ ეშვებამდის, ამგვარად, პალატოგრაფია სწორ კუთხედისებრ ფორმას იძლევა.

სვანური გ-ს ეს პალატოგრაფია ძალიან მიაგავს Rousselot-ის შესრულებულ პალატოგრაფიას ფრანგული გ-სათვის (ფიგ. 54).




ფიგ. 53




ფიგ. 54

სვანური გ-ს პალატოგრაფიის შედარებამ ფრანგულის, რუსულისა და თათრულის გ-ს პალატოგრაფიებთან დაგვარწმუნა, რომ სვანური და ფრანგული ენების გ-ს არტიკულაცია უფრო წინაა წამოწეული, ვიდრე რუსული და თათრული რ-სი.

სრულიად განსხვავებულია სვანური გ სიტყვაში გ აჩ 'დანა' (ფიგ. 55). ამ შემთხვევაში არტიკულაცია კიდევ უფრო საგრძნობლად წინ იწევს მაგარი სასის წინა ნაწილისაკენ. შეუხებელი ადგილი



ფიგ. 55




ფიგ. 56

რჩება მაგარი სასის წინა ნაწილსა და ზედა მედიალური (და ნაწილობრივ ლატერალური) კბილების არეში. შეუხებელი რჩება აგრეთვე მაგარი სასის ცენტრში წრისებური ადგილი, რომელიც შეეფარდება შუა ენის კოვზისებრ ფორმას გ-ს წარმოთქმისას.

სვანური გ-ს ეს პალატოგრაფია უახლოვდება ლ. შჩერბას პალატოგრაფიას ფრანგული ვი-სათვის (ფიგ. 56), მხოლოდ იმ განსხვა-

ვებით, რომ ფრანგული ეი-ს წარმოთქმისას მაგარი სასის ბოლოზე შეუხებელი რჩება სამკუთხედის ფორმის არე.

§ 33. სვანური კ-ს პალატოგრაფი სიტყვაში ქან 'კანაფი' (ფიგ. 57) უახლოვდება გ-ს პალატოგრაფის სიტყვაში გ ა ბ უ (ფიგ. 53), ოლონდ ის განსხვავებაა, რომ ფშვინეიერი კ-ს წარმოთქმისას




ფიგ. 57


მაგარ სასასთან ენის შეხების არე უფრო ფართოა, ვიდრე გ-ს წარმოთქმისას. კ-ს წარმოთქმისას ენის გვერდითი კიდეების შეხება მაგარი სასის გვერდებთან აღწევს საკრულ ლატერალურ კბილებამდის, უფრო ზუსტად, ლატერალური კბილების შუა წერტილამდის.

სვანური კ-ს წარმოთქმისას სიტყვაში ქ ა მ 'ფერფლი' (ფიგ. 58) ენის მაგარი სასის უკანა ნაწილში შეხების არე საგრძნობლად ფართოვდება; შესამჩნევად ფართოვდება აგრეთვე ენის გვერდითი კიდეების შეხების არე მაგარი სასის გვერდებთან და მიმართულება აქვს მას მაგარი სასის ცენტრისაკენ.

§ 34. სვანური კ-ს პალატოგრაფი სიტყვაში ქ ა 'ფიქილი' (ფიგ. 59) ძალიან უახლოვდება სვანური გ-ს პალატოგრაფის



ფიგ. 58




ფიგ. 59

(ფიგ. 53), ოლონდ ერთი განსხვავებით: კ-ს წარმოთქმისას დარღვეულია ენის გვერდითი კიდეების მაგარ სასასთან შეხების სიმეტრიულობა და მარჯვენა კბილების მხარეზე შეხება აღწევს მცირე მეორე ძირითად კბილებამდის. გარდა ამისა, იმ მხარეზე ენის შეს, ელენტი.

ხების სიფართოვეც შემცირებულია. სევანური კ-ს არტიკულაცია უფრო წინაა, მსგავსად გ-ს არტიკულაციისა, ვიდრე რუსული და თათრული მ-ს არტიკულაცია (იხ. პალატოგრაფები).

სევანური პალატალიზებული კ-ს წარმოთქმისას სიტყვაში კან 'კანი' (ფიგ. 60) არტიკულაცია იმდენად მოიწვეს წინ, რომ შეუხებელი რჩება მხოლოდ მაგარი სასის წინა ნაწილში.

სევანური კ-ს პალატოგრამა ძალიან უახლოვდება Rousselot-ს შესრულებულ პალატოგრამას ირლანდიური პალატალიზებული მ'-სათვის (ფიგ. 61), მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ირლანდიური




ფიგ. 60



ფიგ. 61

პალატალიზებული მ'-ს წარმოთქმისას მაგარი სასის წინა ნაწილში უფრო მეტი ადგილი რჩება შეუხებელი, ვიდრე სევანური პალატალიზებული კ-ს წარმოთქმისას.


§ 35. სევანური ღ-ს არტიკულაცია სიტყვაში დანავ 'ფეხმძიმე' (ფიგ. 62) უფრო უკან ხდება, ვიდრე სევანური არაპალატალიზებული გ-სა (ფიგ. 53) და კ-ს (ფიგ. 59) არტიკულაცია. სევანური ღ-ს წარმოთქმისას უკანა ენა უახლოვდება რბილ სასას და იქ აჩენს ნაპრალს, ხოლო ენის გვერდითი კიდეები მოიცავენ მაგარი სასის გვერდებს მცირე ძირითად კბილებამდის.



ფიგ. 62

სევანური ღ-ს ეს პალატოგრამა ძალიან უახლოვდება ს. ერ-შოვის პალატოგრამას რუსული x-სათვის, ერთი განსხვავებით: სევანური ღ-ს წარმოთქმისას ენის გვერდითი კიდეების შეხების არე მაგარი სასის გვერდებთან ოდნავ უფრო წინ წამოწეულია.

სვანური ლ-ს წარმოთქმისას სიტყვაში ლ ორ 'ლარი' (ფიგ. 63) არტიკულაცია კიდევ უფრო წინ მოიწევს მაგარი სასის წინა ნაწილისაკენ და ენის გვერდითი კიდეების შეხება მაგარი სასის გვერ-



ფიგ. 63

დებთან მცირე ძირითად პირველ წყვილ კბილებამდის აღწევს. მაგარი სასის უკანა ნაწილში ენის შეხებაც ოდნავ უფრო ფართოა.

§ 36. სვანური ხ-ს პალატოგრაფით სიტყვაში ხ ორ 'აქეს' (ფიგ. 64) ირკვევა, რომ ხ-ს წარმოთქმისას არტიკულაცია ოდნავ წინ იწევს ლ-ს არტიკულაციასთან შედარებით (ფიგ. 62), ენის გვერდითი კიდეები მოიცავენ მაგარი სასის გვერდებს საკბეჩ კბილებამდის ანუ ეშვებამდის. ამდენად სვანური ხ-ს არტიკულაცია უფრო წინ ხდება, ვიდრე რუსული x-სი (გვ. 34).

სვანური პალატალიზებული ხ-ს პალატოგრაფა სიტყვაში ხ ორ 'ლორი' (ფიგ. 65) ძალიან უახლოვდება პალატალიზებული ლ-ს პალატოგრაფას სიტყვაში ლ ორ (ფიგ. 63).




ფიგ. 64



ფიგ. 65

§ 37. სვანური ჯ-ს წარმოთქმისას სიტყვაში ჯ ან 'სუნი დის' (ფიგ. 66), ჩვენი დაკვირვებით, აქტიურ ორგანოდ არა მარტო ენის ძირი და ნაწილობრივ უკანა ენა გვევლინება, არამედ ხახის უკანა და გვერდითი კედლებიც „ხახის მომჭერი (ზევითა და შუა) კუნთების“ მეშვეობით (musc. constrictor pharyngis). „ხახის მომჭერი კუნთების“ აქტიურობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი იკიმებიან

და მკიდროდ ეკვრიან. ენის ძირს ხშვის მოსახდენად, ენის გვერდითი კიდეები მაგარ სასასთან შეხებას ახდენენ მხოლოდ ძირითადი და სიბრძნის კბილების არეში.



ფიგ. 66



ფიგ. 67

სვანური პალატალიზებული ჯ-ს წარმოთქმისას სიტყვაში ჯან 'ხარი' (ფიგ. 67) ენის შუა ნაწილის მაგარ სასასთან მიახლოების გამო მცირდება სარეზონანსო არე და ენის გვერდითი კიდეების შეხება აღწევს საჭრელ კბილებამდის. მაგარი სასის ბოლო ნაწილში ენის შეხების არე განსაკუთრებით ფართოა.

§ 38. სვანური ყ-ს წარმოთქმისას სიტყვაში ყაბ 'ყაცის წვერი' (ფიგ. 68), მსგავსად ჯ-ს წარმოთქმისა, აქტიურ მონაწილეობას იღებენ ხახის კედლები „მომკერი კუნთების“ მეშვეობით, ენის ძირი და ნაწილობრივ უკანა ენა და ხშვა მათი აქტიური მოქმედების შედეგად ხდება. ენის გვერდითი კიდეების შეხება მაგარი სასის გვერდებთან საკბერ კბილებამდის ანუ ეშვებამდის აღწევს. ეს ამტკიცებს იმას, რომ ყრუ ფშვინვიერ ჯ-სთან შედარებით მკვეთრი ყ-ს წარმოთქმისას სარეზონანსო არე შესამჩნევად მცირდება.



ფიგ. 68



ფიგ. 69

სვანური პალატალიზებული ყ-ს პალატოგრამა სიტყვაში ყაჯ 'ყაქი' (ფიგ. 69) სავსებით ემთხვევა პალატალიზებული ჯ-ს პალატოგრამას სიტყვაში ჯან (ფიგ. 67). ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ ჯ და ყ ერთი და იმავე საარტიკულაციო ორგანოებით იწარ-

მოება და მათი წარმოების ადგილი საერთოა (განსხვავება ფშვინ-ვიერობასა და ყელხშულობაშია).

ე. ზელმერი თავის ექსპერიმენტულ გამოკვლევაში ქართული ბგერების შესახებ, სხვათა შორის, წერს: „განსაკუთრებით, სამწუხაროდ ჩემდა, უნდა გამოვტყდე, რომ „პოსტცელარული ხშულის“ (ჟ) ბუნება ჩემთვის ბნელი და გამოუცნობი დარჩა. სარისკო და დაუსაბუთებელი ჰიპოთეზების წამოყენებას („იპლოზიური წოვითი ბგერა“) ვამჯობინე შემეწყვიტა ჯერჯერობით ყოველგვარი დაწერილობითი ანალიზი იმ იმედით, რომ, თუ მე თვითონ არა, ვინმე სხვა მკვლევარი შეძლებს—შესაძლოა, პალატოგრაფული გზით—ფარდა ახადოს მას“¹.

§ 39. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პალატოგრაფებმა გამოარკვიეს არა მარტო ყ-ს ბუნება, არამედ ყრუ ფშვინვიერი ჳ-საც². გარდა ამისა, პალატოგრაფების ანალიზით ერთი მეტად საყურადღებო ფაქტი გამოვლინდა: მკვეთრ ხშულ თანხმოვანთა წარმოთქმისას ენის მაგარ სასასთან შეხების არე უფრო ფართოა, ვიდრე შესატყვის ფშვინვიერ და მკლერ ხშულთა წარმოთქმისას. ამ მხრივ სვანური პალატოგრაფების შედეგები სავსებით დამტკიცებდა გ. ახვლედიანის მიერ ქართული ტოლ-სათვის შესრულებული პალატოგრაფების შედეგებს³. ჩვენი აზრით, მკვეთრ თანხმოვანთა წარმოთქმისას ენის სასასთან შეხების უფრო ფართო არის არსებობა, ვიდრე ეს გვაქვს შესატყვის ფშვინვიერ და მკლერ ხშულთა წარმოთქმისას, იხსნება ყელხშულობითა და იმ სარეზონანსო არის პირში შემცირებით, რომელიც დამახასიათებელია მკვეთრთა წარმოთქმისათვის.

§ 40. ზემოთ განხილული პალატოგრაფების მიხედვით მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: სვანურს აქვს არა მარტო პალატალიზებული ხმოვნები, არამედ პალატალიზებული თანხმოვნებიც. პალატალიზებული ხმოვნები გავლენას ახდენენ თანხმოვნებზე და სცვლიან მათ ბუნებას, ე. ი. თანხმოვნებსაც აპალატალიზებენ.

¹ E. Selmer, Georgische Experimentalstudien, Oslo, 1935, გვ. 49. თარგმანი მოგვყავს გ. ახვლედიანის მიხედვით (ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, გვ. 173).

² ოტო-ლარინგოლოგმა არჩ. ჩარგეიშვილმა სავსებით დაადასტურა ჳ-სა და ყ-ს წარმოთქმაზე ჩვენი დაკვირვების შედეგები.

³ გ. ახვლედიანი, მკვეთრი ხშულნი ქართულში, გვ. 124.

პალატალიზებულ თანხმოვანთა არტიკულაცია უფრო წინაა წამოწეული, ვიდრე არაპალატალიზებულ თანხმოვანთა არტიკულაცია. გარდა ამისა, სვანურ პალატალიზებულ თანხმოვნებში შესამჩნევია არტიკულაციის ენერგიის შეცვლა, რაც პალატოგრამებიდან ნათლად ჩანს და აკუსტიკურადაც ადვილად იგრძნობა.

§ 41. აკუსტიკური შთაბეჭდილების მიხედვით სვანური ენის მკვლევრებს შენიშნული აქვთ სვანურში რამდენიმე თანხმოვნის სილბო. ასე მაგ., ა. შანიძე წერს: „ერთი თვისება აქვს ამ ანის უმლაუტს (ა'ნს): როცა მას წინ უძღვის ერთ-ერთი ამ გუტურალთაგანი: კ გ ქ (კა გა ქა კა გა ქა), მას უსათუოდ იოტაცია უჩნდება: კაა, გაა, ქაა, კაა, გაა, ქაა“¹. იქვე შენიშვნაში წერია: „ოდნავი იოტაცია მოისმის აგრეთვე მაშინაც, როცა კ'ანს და განსაკუთრებით კი გ'ანს ენი მოსდევს ხოლმე (მაგ. ც ა გ ე რ' ში). იშვიათად შემომჩნევია სულ მცირეოდენი იოტაცია შ'ინის შემდგვაც, როცა მას ანის უმლაუტი მოსდევს“. აღსანიშნავია ისიც, რომ ნ. მარს სვანურში დადასტურებული აქვს პალატალიზებული ლ. მას თავის პატარა ლექსიკონში „Извлечение из сванско-русского словаря“ ლ-ს სილბოს გამოსახატავად სპეციალური ნიშანიც (კბილაკი) აქვს გამოყენებული და ამბობს: „ლ-ს შესახებ საჭიროა აღინიშნოს, რომ ყველგან [წიგნში] არაა აღნიშნული ეს შერბილებული ნარნარა (ლ): მისი არსებობა და შემდეგ მნიშვნელობა ჩემ მიერ არა ერთბაშად იქნა დაკერილი“ (გვ. VI). ნ. მარს იმავე ლექსიკონში ერთ ადგილას მსგავსი შენიშვნა რ-ს მიმართაც მოეპოვება სიტყვაში: ე რ ი (რ რბილია): ა მ ე რ ი ' ვიტყვი'... (გვ. 5).

როგორც ზემოთ პალატოგრამებით გამოვარკვეით, სვანურში ლ-სა, რ-სა და უკანაენისმიერ გ ქ კ-ს ბედს პალატალობის მხრივ გამოუკლებლივ ყველა თანხმოვანი იზიარებს.

§ 42. როგორც ცნობილია, მაგარ და რბილ თანხმოვანთა ვარიანტები აქვს რუსულსა და ფრანგულ ენებს². ამ ენებშიც, მსგავსად სვანურისა, თანხმოვანთა რბილი ვარიანტები წარმოშობილია ენის შუა ნაწილის მაგარი სასის მიმართ მოქმედების საფუძველზე.

¹ ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში: არილი, 1925, გვ. 174.

² Л. В. Ш е р б а, фонетика французского языка, 90.

მხოლოდ რუსულში - თანხმოვანთა სილბოს ელფერი უფრო თავისებურია, ვიდრე ფრანგულსა და სვანურში. რუსულში თანხმოვანთა რბილი ვარიანტები თვისობრივად მეტად შეცვლილი არის¹. იმიტომ თანხმოვანთა სილბო სვანურში უფრო ფრანგულისებურია, ვიდრე რუსულისებური.

სვანურში თანხმოვანთა პალატალიზებული ვარიანტების დადასტურება, ვფიქრობთ, კიდევ უფრო ნათელს ჰფენს სვანურ ხმოვანთა ბუნებას.

II. სვანურ ხმოვანთა რენტგენოგრაფები

§ 43. უკანასკნელი წლების ფონეტიკური კვლევის შედეგად, შეიძლება ითქვას, უკვე დადგენილია ის ფაქტი, რომ ხმოვნის წარმოქმნის მექანიზმი, განსხვავებით თანხმოვნისაგან, მდგომარეობს პირის ღრუს, როგორც რეზონატორის, გარკვეული მოცულობისა და ფორმის შექმნაში, მისი კედლების სიმკვრივესა და დაკვიპლობაში. ხმოვნის წარმოქმნაში ყველაზე მეტი მნიშვნელობა პირისა და ხახის ღრუს ენიჭება. ეს ორი ღრუ ერთმანეთთან გაერთიანებულია. თითოეულ მათგანს თავისი დამახასიათებელი ტონი აქვს, ხოლო მათი შეერთება იძლევა ტემბრს ანუ კვალიტეტს. ამგვარად, ხმოვნის ტემბრული ხასიათი დამოკიდებულია პირისა და ხახის ღრუთა კონფიგურაციაზე, ხოლო პირისა და ხახის ღრუთა სიდიდეს განსაზღვრავენ ენა, ქვედა ყბა და ბაგეები. ენის არტიკულაცია ყველაზე არსებითია ხმოვნის წარმოქმნაში, რადგანაც ენას თავისი მოქნილობის გამო შეუძლია მიიღოს მრავალგვარი ფორმა და ამით პირის ღრუს, როგორც რეზონატორის, ფორმა და მოცულობა განსაზღვროს (ფიგ. 70).

ჯერ კიდევ ე. ზივერსმა აღნიშნა, რომ პირის ღრუს ფორმა და მოცულობა მცირდება ან ღიღდება ენის ვერტიკალური და ჰორიზონტალური მოძრაობის შესაბამისად¹.

ენის ზურგის მოძრაობა სასის კამარის მიმართ იქნება ენის ვერტიკალურად მოძრაობა. თუ ენის ზურგი მაღლა იწევს და სასის კამარას უახლოვდება, წარმოვთქვამთ მაღალი წარმოების ხმოვნებს. ისინი სხვაგვარად ეიწრო ანუ დახურულ ხმოვნებად იწოდებიან.

¹ Л. В. Щерба, Фонетика франц. яз., гл. 91.

² Ed. Sievers, Grundzüge der Phonetik, 1893, S. 255.

საბიტალურად ჰრილი საწარმოთქმო ორგანოები



ფიგ. 70.

აქტიური ორგანოები: ხ—ზედა ბაგე. L—ქვედა ბაგე. A—ენის წინა ნაწილი.
M—ენის შუა ნაწილი. P—ენის უკანა ნაწილი. V—რბილი სასა. U—ნაჭი.

პასიური ორგანოები: d—ზედა წინა კბილების უკანა ზედაპირი. f—ნუნები.
გ—წინა სასა. h—სასის შუა ნაწილი. i—რბილი სასის წინა ნაწილი. j—რბილი
'ის უკანა ნაწილი.

ასეთებია, მაგ., ი უ ჯ უ და სხვა. თუ ენის ზურგი სასის კამარას საკმაოდ დაშორებულია, მაშინ წარმოვთქვამთ დაბალი წარმოების ხმოვანს ანუ ფართო ხმოვანს, როგორცაა ა; საშუალო წარმოებისანი არიან ფართო ე ო და შერეული ხმოვნები ო ა.

ენის ჰორიზონტალურად მოძრაობა შესაძლებელია წინ ან უკან. თუ ენის ძირი ენისკვეშა ძვლითურთ წინ წამოიწევს, მაშინ ენის ტანი პირის ღრუს წინა ნაწილს ამოავსებს და ამით შეამცირებს პირის ღრუს რეზონატორს. ენის ასეთი არტიკულაციით წარმოვთქვამთ ე ი-ს და სხვ. ამ შემთხვევაში წინა სარეზონანსო არის შემცირების ხარჯზე იქმნება ფართო სარეზონანსო არე ხახის ღრუსთან ერთად პირის ღრუს უკანა ნაწილში. სამაგიეროდ, უ ო ა-ს წარმოთქმისას ენის ჰორიზონტალურად უკან მოძრაობის გამო ვიწროვდება ხახის რეზონატორი და დიდდება პირის ღრუში წინა სარეზონანსო არე¹.

§ 44. ლ. შჩერბას თავის „კარდინალურ ხმოვანთა“ სისტემაში, გარდა ზემოთ მოხსენებული ხმოვნებისა, შეაქვს უკანა რივის წინ წამოწეული ხმოვნები (იხ. ფიგ. 71).


ამ ხმოვანთა წარმოთქმისას ენის უკანა ნაწილი ენისკვეშა ძვლითურთ გადაიწევა უკან და ენის უკანა ნაწილი უახლოვდება რბილი სასის უკანა ნაწილს. ამის გამო საგრძნობლად მცირდება ხახის სარეზონანსო არე. სამაგიეროდ, პირის ღრუში სარეზონანსო არე გადიდებულია. ასეთი სარეზონანსო არის შექმნით წარმოიქმნება უკანა ა (მაგ. ფრანგ.), დახურული და ლია ო და უ (მაგ. რუს.).

§ 45. პირის ღრუს რეზონატორის გარკვეული ფორმის შექმნაში აქტიურად მონაწილეობენ ბაგეები. განსაკუთრებით ლაბიალიზებულ ხმოვანთა წარმოთქმისას ბაგეების ენერგიული მონაწილეობით (მომრგვალებითა და წინ წამოშვებით) პირის ღრუს რეზონატორი გრძელდება და გარკვეულ ფორმას იღებს².

¹ Ludwig Hegedüs, Röntgenaufnahmen von ungarischen Vokalen: *Archives Néerlandaises de Phonétique Expérimentale*, 1937, XIII, p. 74.

² J. Forchhammer, Vokal und Konsonant: *Archiv für vergleichende Phonetik*, Band 4, Heft 1/II, 1940, S. 58.

ასევე პირის ღრუს რეზონატორის გარკვეული ფორმის შექმნაში აქტიურ მონაწილეობას იღებს ქვედა ყბა. იმის გამო, რომ ქვედა ყბა მოძრავია, მას ზედა ყბის მიმართ მოძრაობით (გაღებითა და დახურვით) შეუძლია პირის ღრუში სხვადასხვა ფორმის სარე-



ფიგ. 71. ლ. შ ჩ ე რ ბ ა ს მიხედვით — წინა ხმოვნები, — — — უკანა-
 ხმოვნები, — · — · — უკანა წინ წაშლადი ხმოვნები, შერეული ხმოვნები.

ზონანსო არე შექმნას. ნაწილობრივ ხმოვანთა ლიზობა და დახურულობა ამ ფაქტორზეა დამოკიდებული.

გარდა ზესადგამი მილისა ხმოვანთა წარმომქმნელ აპარატს განეკუთვნება გულ-მკერდის ღრუ დიაფრაგმით, ფილტვებითა და სასულე მილით. ზოგი ავტორი ფილტვებს სასულე მილითურთ სა-

ბერველს მიამსგავსებს და ასედაც უწოდებს მას, ვინაიდან იქიდან ხდება ჰაერნაკადის ამომდინარეობა. საეენტოლაციო აპარატის როლში ხორხი გამოდის საჩქველითა და სახმო სიმებით. ეს უკანასკნელნი მოწოლილი ჰაერნაკადის რიტმულ წყვეტას ახდენენ. ხორხში ჰაერნაკადის გადამუშავება სახმო სიმების მეშვეობით ხდება. რენტგენისა, ლარინგოსკოპისა და სტრობოსკოპის გამოყენებით გამოკვლეულია, რომ ხმის წარმოშობისას სახმო სიმების კუნთები მომსხო პატარა ბალიშებივითაა ერთმანეთზე მიკეცილი და ჰაერნაკადის ჯახებით მათი პერიოდული გაღება და ხშვა წარმოშობს ტონს, რომელიც ხმოვნის საფუძველია¹. ზოგიერთი ავტორი სახმო სიმთა მოქმედების სურათს ხმის წარმოშობისას ადარებს ბაგეთა მოქმედების სურათს არტიკულაციისას. ცნობილია, რომ გერმანელები სახმო სიმებს სახმო ბაგეებს (Stimm lippen) უწოდებენ. როგორც ყოველი ინდივიდის ბაგეთა მოძრაობა წარმოთქმისას თავისებურია, ასევე თავისებურია ყოველი ინდივიდის სახმო სიმთა მოქმედების სურათი². გამოკვლეულია, რომ სახმო სიმთა რხევები ორი მიმართულებით ხდება: ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად. ჩვეულებრივი სუნთქვის დროს სახმო სიმები ერთმანეთისაგან ისეა დაცილებული, რომ ბგერის წარმოქმნელი არავითარი რხევა არ წარმოიშვება. ამიტომ რხევები არ წარმოიშვება არც ხახისა და პირის ღრუში. მაგრამ საკმარისია, რომ ყიაში შეიქმნეს ოდნავი ან სრული დახშულობა, მოწოლილი ჰაერნაკადის ამოხეთქა რხევებს წარმოშობს, რასაც ხახისა და პირის ღრუში შესატყვისი რხევები გამოეხმაურება. ხმოვნის ტონის სიმაღლე შესატყვისება განმეორებათა იმ პერიოდებს, ყიაში ხშვისას და გაღებისას რომ წარმოიშვება.

პროფ. ფ. ზასედატელევი განიხილავს ზედა და ქვედა რეზონატორების დანიშნულებას და დაასკვნის, რომ ქვედა რეზონატორებს შეგვიძლია ვუწოდოთ ბგერის რენტგენოგრაფები, ხოლო ზედა რეზონატორებს—ბგერის ფორმატორ-რეზონატორიო³.

¹ E. W. Scripture, Die Natur der Vokale, II: *Zeitschrift für Experimental-Phonetik*, 1932, S. 123—124; შდრ. Panconcelli-Calzia, Die experimentelle Phonetik in ihrer Anwendung auf die Sprachwissenschaft, 1924, S. 61—64.

² Проф. Е. Н. М а л ю т и я, Стробоскопия в фонологии и вокальной педагогике (Из Лаборатории экспериментальной фонетики Моск. Гос. Консерватории): *Русская клиника*, 1930, № 73—74, стр. 684.

³ Проф. Ф. Ф. З а с е д а т е л е в, Научные обоснования правильной постановки голоса для пения и речи, გვ. 133 (სტატია დართული აქვს წიგნს: Проф. В. К. С е р е ж в и к о в, Техника речи, 1924, стр. 119—141).

§ 46. ხმოვნის წარმოქმნის საკითხი ზოგადი ფონეტიკის ერთ-ერთი ძირითად საკითხთაგანია. მის შესახებ სხვადასხვა თეორიაც კი შეიქმნა.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს განვიხილოთ ყველა ავტორის შეხედულებანი, რომლებიც არსებობს ხმოვნის წარმოქმნის საკითხის შესახებ. ჩვენ სანიმუშოდ მხოლოდ E. Scripture-ის შეხედულებას შევეხებით როგორც უახლესსა და ორიგინალურს ამ საკითხზე.

დღეს ფონეტიკოსთა უმრავლესობის მიერ ობერტონების თეორია ხმოვნის წარმოქმნის საკითხში უარყოფილია და იგი გამოცხადებულია მცდარ თეორიად. ხმოვნის წარმოქმნის საკითხში დღეს გაბატონებული შეხედულება ყველაზე უფრო ნათლად ჩამოაყალიბა A. Graham Bell-მა: „კვალიტეტი ანუ ტემბრი ადამიანის ხმისა, ვფიქრობთ, ნაკლებ არის დამოკიდებული სახმო სიმებზე და უფრო მეტად დამოკიდებულია კონფიგურაციაზე ზესადგამი მილისა, რომელშიც გაივლის რხევადი ჰაერნაკადის კოლონა“¹.

ხმოვნის ტემბრის წარმოსაქმნელად ხმის ტონს სარეზონანსო არეში უნდა მიემატოს პირისა და ხახის ღრუთა საკუთარი ტონები, რომლებიც ამ ღრუებში წარმოიშვება².

E. Scripture თავის ვრცელ გამოკვლევაში „ხმოვნის ბუნება“³ დაწვრილებით განიხილავს ობერტონების თეორიის მომხრეთა შეხედულებას ხმოვნის წარმოქმნის საკითხში და იძლევა ამ შეხედულების მკაცრ კრიტიკას. E. Scripture ფორმანტების თეორიას ემხრობა, მაგრამ მას კიდევ უფრო ავითარებს და მეტად საყურადღებო ორიგინალურ აზრებს გამოთქვამს.

ობერტონების თეორიის მიხედვით ზესადგამი მილის ღრუები მხოლოდ აძლიერებენ იმ ობერტონებს, რომლებიც ტონთან ერთად სახმო სიმებში წარმოიშვება. ამ თეორიის მიხედვით სახმო სიმები ირხვევა როგორც მთლიანი, ნახევარი, მესამედი და ა. შ. ისე, როგორც ჩვეულებრივს სიმზე ჰაერნაკადში წარმოიშვება ნაწილაკთა რხევების ჰარმონიული ჯამი. ობერტონების თეორიის მიხედვით

¹ Alexander Graham Bell, The Mechanism of Speech, Volta Bureau, Washington 1907, p. 28. ციტატი მოგვყავს H e g e d ũ s-ის სტატიის მიხედვით.

² Л. В. Щ е р б а, Фонетика французского языка, 1939, стр. 28.

³ Die Natur der Vokale, I, II: Zeitschrift für Experimental-Phonetik. 1930-1932, I, III, S. 16—33; 115—146.

ვიბრაციები თვით სახმო სიმებში წარმოიშვება და ეს ვიბრაციები თავის მხრით ზესადგამი მილის ღრუებში წარმოშობს რხევებს, ე. ი. რეზონატორში ძლიერდება სახმო სიმებში წარმოქმნილი რხევები. ამდენად, ხმოვანი წარმოიქმნება ე. წ. სინუსურ რხევათა ჰარმონიული ჯამისაგან. ამ თეორიის შესახებ E. Scripture დაასკვნის: „ობერტონების თეორია, რომელსაც უსაფუძვლოდ მიაწერენ ჰელმჰოლცს მაშინ, როდესაც ის იყო საწინააღმდეგო მოსაზრებისა, უნდა იქნეს გამოცხადებული (ეს უკვე დამტკიცებულია) მცდარად“¹.

E. Scripture ობერტონების თეორიას უპირისპირებს ექსპერიმენტული გზით ხმოვნის ბუნების შესწავლის საფუძველზე შემუშავებულ თავის შეხედულებას ხმოვნის წარმოქმნის საკითხში. მისი აზრით, ხმოვანი შედგება მთლიან მოძრაობათა პროფილისაგან ანუ მწკრივისაგან. ხმოვნის გრაფიკული მეთოდით ჩაწერა გვიჩვენებს, რომ მრუდი შედგება უწყვეტი (გაბმული) ნაწილაკების მწკრივისაგან. ნაწილაკებს ერთგვარი მსგავსება აქვთ ერთმანეთთან. ავტორი ამ ნაწილაკებს ხმოვნის პროფილებს უწოდებს. იგი კატეგორიულად უარყოფს ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ხმოვანი თითქოს შედგებოდეს ტალღათა მოძრაობისაგან. ხმოვნის კიმოგრაფული მრუდი არ გვიჩვენებს სრულებით ტალღისებურ მოძრაობას. მკვლევარი დაასკვნის, რომ „ხმოვნის მრუდის განხილვისას ან გაზომვისას ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე ჩანს, რომ თითოეული ცალკეული პროფილი მრუდისა მეტად თუ ნაკლებად განსხვავდება წინა და მომდევნო პროფილისაგან როგორც ფორმით, ისე ხანგრძლიობითაც. ფორმა და ხანგრძლიობა თანდათან იცვლება“².

ხმოვნის პროფილის ფორმა და ხანგრძლიობა იცვლება თანდათანობით და მულმივ. E. Scripture შენიშნავს, რომ ბევრს ისე წარმოუდგენია, თითქოს, მაგ., ხმოვანი ა იყოს რალაც მულმივი და უცვლელი რამ მაშინ, როდესაც ეს არის პროცესი დროში. იგი იწყება ერთგვარად, იცვლება განუწყვეტლივ და თავდება სხვა-

¹ E. Scripture, I, გვ. 30. მსურველს ამ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურა შეუძლია იპოვოს გ. ახვლედიანის წიგნში: ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, 1937, გვ. 60—61; აგრეთვე: С. Н. Ржевский, Слух и речь, 1936, стр. 270—271; Музыкальная акустика, პროფ. ვარბუხოვის რედაქციით, 1940, გვ. 156.

² Scripture, I, გვ. 18.

გვარად. გარდა ამისა, ხმოვანი განუწყვეტლივ იცვლის ხმოვნობას თავიდან ბოლომდის. იგი თავდება სრულიად სხვაგვარად, ვიდრე იწყება. სხვადასხვა ხმოვნის მრულთა შედარება გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა ხმოვნის პროფილების ფორმა სხვადასხვაგვარია.

ლარინგო-სტრობოსკოპიული დაკვირვებით გამოჩვენებულია, რომ ჰაერნაკადის ჯახების გამო სახმო სიმები მყის ერთმანეთს მიეკვრიან და ისევ განშორდებიან. ჰაერნაკადის ჯახებათა განმეორება ვიბრაციებს კი არ წარმოშობს, არამედ ჰაერნაკადის ჯახების მწყრივს. ამ წესით წარმოიშვება ხმის ტონი, ხოლო ხმოვნის პროფილი წარმოიშვება ჰაერნაკადის უცბადი ჯახების მოქმედებით ხმოვნის წარმომშობ ღრუებზე; ობერტონების თეორიის მიხედვით კი ხმის ტონი წარმოიშვება სახმო სიმთა ვიბრაციისაგან, ხოლო ხმოვნის პროფილი კიდევ წარმოდგება სახმო სიმთა ვიბრაციით გამოწვეული ობერტონების რეზონანსით ხმოვნის ღრუებში. E. Scripture უარჰყოფს იმ აზრს, თითქოს ვიბრაციები სახმო სიმებში წარმოიშვებოდეს. ამგვარად, ხმოვნის წარმოქმნა შედეგია ხმოვნის ღრუებში ჰაერნაკადის მოძრაობისა.

E. Scripture მეტყველების ორგანულ ელემენტებად თვლის:

ა) ჰაერნაკადის ჯახების განმეორებებს ხორხში, ბ) ჰაერნაკადის ჯახების ინტერვალს ხორხში, გ) ღრუს ვიბრაციებსა და დ) ღრუს ვიბრაციის პერიოდებს (hi hj hk...).

ხმოვნის ტემბრული ხასიათი დამოკიდებულია ღრუთა მოცულობასა და ფორმაზე; მათს ღიაობაზე. ჰაერნაკადი უცბადი ჯახებით პირისა და ხახის ღრუებში რხევებს წარმოშობს. ხორხში ჰაერნაკადის უცბადი ჯახებით შექმნილი ინტერვალები $\Delta_1 \Delta_2 \Delta_3 \dots$ ალაგზნებენ რხევებს პირისა და ხახის ღრუებში და ეს რხევები სწრაფად ქრება. პირისა და ხახის ღრუებში საკუთარი პერიოდები hi hj hk... წარმოიშვება. პერიოდებსა და ჯახების ინტერვალებს შორის არავითარი დამოკიდებითი შეფარდება არ არსებობს. ფიზიოლოგიურად ხმოვანი არსებობს როგორც ღრუთა ვიბრაციები, რომლებიც წარმოიშვება ყიაში ჰაერნაკადის ჯახებით. ღრუთა ვიბრაციებს აქვს თავისი საკუთარ ვიბრაციათა სიხშირე და ფორმები და დამოკიდებულია იმ განმეორებულ პერიოდებზე, ყიაში ჰაერნაკადის ჯახებისაგან რომ წარმოიშვება¹.

¹ E. Scripture, II, გვ. 125.

§ 47. ყველა ზემოთქმულის შემდეგ ნათელია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვთ პირისა და ხახის ღრუებს ხმოვნის წარმოქმნისა და საბოლოოდ გაფორმების საქმეში. ცხადია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ სარეზონანსო არის განსაზღვრას, რომელიც ენის ზურგსა და სასის კამარას შორის შეიქმნება ამა თუ იმ ხმოვნის წარმოქმნისას. ამ სარეზონანსო არის განსასაზღვრავად ბოლო ხანებში რენტგენოგრაფიის მეთოდს მიმართავენ, რადგანაც რენტგენის გადაღებით შესაძლებელია ყველაზე უფრო ზუსტი სურათის მიღება სასის მიმართ ენის ნაწილთა მოქმედებით შექმნილი რეზონატორის ფორმისა და მოცულობისა, ვიდრე კვლევის ყველა სხვა საშუალებით¹.

რენტგენის სხივები გვიჩვენებს, რომ ჩვეულებრივი უტყვი მდგომარეობისას ენა მთლიანად ავსებს პირის ღრუს და ენის ზურგის ზედაპირი სასის კამარის პარალელურად მდებარეობს. ამ შემთხვევაში ამბობენ, რომ ენა პირის ღრუში ისე ძვეს, როგორც კვერცხი თავის ნაკუჭშიო. ენის არტიკულაციური მოქმედება წინ და უკან, ზევით ან ქვევით სპეციალური კუნთების საშუალებით ხდება. გარდა ამისა, ხმოვნის წარმოქმნას, თანხმოვნისაგან განსხვავებით, ახასიათებს მთელი სამეტყველო აპარატის დაქიმულობა. სარეზონანსო კედლებს აქვთ სხვადასხვა ხარისხის სიმკვრივე და დაქიმულობა. ღრუთა ფორმა და მოცულობა კუნთების მოქმედებით წესრიგდება, ხოლო სიმკვრივე და დაქიმულობა—კუნთების დაქიმვითა და ჯირკვლების მოქმედებით.

სვანურ ხმოვანთა რენტგენოგრაფების ინტერპრეტაცია

§ 48. სვანურ ხმოვანთა რენტგენოგრაფები შესრულებულია თბილისის ბავშვთა საავადმყოფოს რენტგენის კაბინეტში 1941 წ. რენტგენის სურათების გადაღებაში მონაწილეობდნენ ოტო-ლარინგოლოგი არჩ. ჩარგეიშვილი, რენტგენოლოგი თამარ სანოვი და ტექნიკოსი ე. ცოცხაძე. სვანურ ხმოვნებს წარმოთქვამდნენ სათანადოდ შერჩეული ბალსზემოური, ლენტეხური და ლაშხური დიალექტების წარმომადგენელი პირები.

¹ П. Е в њ к о, Опыт применения рентгенографии к изучению артикуляции: ИАН, 1912, стр. 281.

§ 49. გადალების ტექნიკის შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი: სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა დროს რენტგენით არტიკულაციის გადალებისას სხვადასხვა ტექნიკას მიმართავდა. ასე მაგ., 1910 წ. ექიმმა Collet-მ ყრუ-მუნჯთა ენის არტიკულაციის რენტგენით გადასაღებად ცდის პირს ენა მთლიანად ბისმუთის ფაფით დაუფარა, სახე, ბაგეები და კისერი კი კალომელის ფხვნილით, რათა ენის გაღიზიანება არ მომხდარიყო. მაგრამ ამ ტექნიკით მიღებული რენტგენოგრაფია გამოვიდა გაურკვეველი: არ ჩანდა ენის ნაწილები არტიკულაციის დროს.

პ. ენკომ ბისმუთის ფაფით მთლიანად კი არ დაფარა ენა, არამედ მხოლოდ ენის გამოსაკვლევ ნაწილს წაუსვა იგი, სახეზე კი ფხვნილი არ გამოუყენებია. თავის ქალა და ხერხემლის ზედა ნაწილი ტყვი-რეზინით დაფარა. გუტცმანმა რენტგენით არტიკულაციის გადალებისას გამოიყენა ოქროგადაკრული ტყავი და იოდოპინი, ხოლო რესელმა, პარმენტერმა, ჰეგედელმა და სხვებმა გამოიყენეს ძალიან წერილი ოქროს ძეწკვი. ძეწკვის ერთი თავი მიაწებეს ცდის პირს ნიკაპზე, ხოლო მისი თავისუფალი თავი წყლით გადააყლაპვიანეს და ამით შესაძლებელი შეიქნა ენის შუა ხაზის მიღება რენტგენოგრაფიაზე.

§ 50. ენის ზურგის კონფიგურაცია რომ ნათლად გამოჩენილიყო არტიკულაციის დროს, ჩვენ გავატარეთ ენის ზურგზე ღრჰად ენის ძირამდის ბისმუთის ფაფის ხაზი. ცდის პირზე რომ რენტგენის სხივებს არ ემოკმედა და თავიდან აგვეცილებინა ის არასასიამოვნო შედეგები, რომლებსაც რენტგენის სხივები იწვევენ ენის გაღიზიანებით, მაქსიმალურად ვამოკლებდით გადალების დროს. გარდა ამისა, კვირაში თითო-ორჯერ გადალებას ვახდენდით. როგორც ცნობილია, ერთბაშად რამდენიმე სურათის გადაღება ერთი და იმავე ცდის პირის არტიკულაციისა იწვევს ცდის პირში უძილობას (სამ დღეს გრძელდება), ხოლო 25 სურათის გადალების შემდეგ რენტგენის სხივები გამოიწვევენ თმის ჩამოცვენას, თუმცა თმა შემდეგ ისევ აღდგება.

ჩვენ მიერ ყველა რენტგენოგრაფია გადაღებულია პროფილში. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით არტიკულაციის დროს ცდის პირის მიერ თავის უმოძრაოდ დაქერას, წინააღმდეგ შემთხვევაში რენტგენოგრაფია ბუნდოვანი გამოვიდოდა.

§ 51. სევანური ა-ს წარმოთქმისას, როგორც ამას რენტგენოგრაფიაზე ვხედავთ (ფიგ. 72), ენის წვერი ქვედა ჰელიალურ კბილებ-



ფიგ. 72

თან ძვეს, ენის უკანა ნაწილის ზურგი კი ოდნავ ზევით იწევს და ნახევრად რკალისებურ ფორმას იღებს. ქვედა ყბა ზედა ყბას საკმაოდ დაშორებულია. ფართო სარეზონანსო არე პირის ღრუს წინა ნაწილშია შექმნილი.

სევანური ა-ს რენტგენოგრამის შედარება სევანურისავე ა-ს რენტგენოგრამასთან (ფიგ. 73). გვიჩვენებს, რომ სევანური ა-ს



ფიგ. 73

წარმოთქმისას ენის შუა ტანის ზურგი უფრო ზევითაა აწეული, ვიდრე სევანური ა-ს წარმოთქმისას. ჩვენი აზრით, ეს აიხსნება


ამით, რომ საერთოდ გრძელი ხმოვნის წარმოთქმისას და კერძოდ ა-ს წარმოთქმისას, სამეტყველო ორგანოებს შედარებით მეტი დაკვირვება აქვს. კერძოდ, ა-ს წარმოთქმისას ენის ზურგის დაკვირვება მის უფრო ზევით აწვევაში გამოიხატება, ვიდრე ეს ა-ს წარმოთქმისას არის¹.

სვანური ა-ს რენტგენოგრამის შედარება ჰეგედისის შესრულებულ უნგრული გრძელი ა-ს რენტგენოგრამასთან (ფიგ. 74)




ფიგ. 74 (H)

და რესელის შესრულებულ გერმანული და ესპანური გრძელი ა-ს რენტგენოგრამებთან (ფიგ. 75, 76)² გვარწმუნებს, რომ სვანუ-



ფიგ. 75 (R)



ფიგ. 76 (R)

¹ Ell Fischer Jorgensen, Objektive und subjektive Lautdauer deutscher Vokale: *Archiv...* S. 6.

² ვინაიდან Russell-ის შესრულებული რენტგენოგრამები გერმანული, ინგლისური და ესპანური ხმოვნებისათვის და Gutzmann-ის შესრულებული რენტგენოგრამები გერმანული ხმოვნებისათვის თბილისში ვერ აღმოვაჩინეთ, ამიტომ რენტგენოგრამული ნახაზები მოგვყავს Hegedüs-ის სტატიიდან. რენტგენოგრამულ ნახაზს როცა გვერდზე უხის R=Russell, H=Hegedüs, G=Gutzmann-ს.

რი ა-ს წარმოთქმისას ენის შუა და უკანა ნაწილის არტიკულაცია უფრო განსხვავებულია, ვიდრე გერმანული და უნგრული გრძელი ა-ს წარმოთქმისას. გერმანული და უნგრული გრძელი ა-ს წარმოთქმისას ენის შუა და უკანა ნაწილის ზურგი უფრო მაღლაა აწეული, ვიდრე სვანური ა-ს წარმოთქმისას. კიდევ უფრო განსხვავებულია ესპანური ა-ს რენტგენოგრაფა (ფიგ. 76).

§ 52. სვანური ა-ს წარმოთქმისას, როგორც რენტგენოგრაფიდან ჩანს (ფიგ. 77), ენის წვერი ძვეს ქვედა მედიალურ კბილებთან ისე, როგორც ა-ს წარმოთქმისას, ხოლო ენის წინა და შუა



ფიგ. 77

ტანის არტიკულაცია განსხვავებულია ა-ს წარმოთქმისაგან. ა-ს წარმოთქმისას ენის წინა და შუა ტანის ზურგი შესამჩნევად აწეულია ზევით, მაგარი სასის ცენტრისაკენ. ამის გამო პირის ღრუს წინა ნაწილში სარეზონანსო არე შემცირებულია. გარდა ამისა, ქვედა ყბა უფრო მიახლოებულია ზედა ყბასთან, ვიდრე ა-ს წარმოთქმისას. ა-ს წარმოთქმისას ბაგეებს გასწვრიობა ახასიათებს. ამრიგად, ორგანოთა ასეთი მოწყობილობით ვიღებთ ა-საგან თვისობრივად განსხვავებულ ხმოვანს ა-ს.

სვანური ა-ს რენტგენოგრაფის შედარება გუტცმანის შესრულებულ გერმანული ა-ს რენტგენოგრაფასთან (ფიგ. 78) და ჰეგელიუსის შესრულებულ უნგრული ა-ს რენტგენოგრაფასთან (ფიგ. 79) გვაუწყებს, რომ განსხვავება მათ შორის შესამჩნევია. გერმანული და უნგრული ა-ს წარმოთქმისას ენის შუა ტანის ზურგი გაცი-

ლებით უფრო ზევით არის აწეული მაგარი სასის ცენტრისაკენ და ქნის უფრო მეტი რადიუსის მქონე რკალს, ვიდრე ეს გვაქვს სე-




ფიგ. 78 (G)



ფიგ. 79 (H)

ნური ა-ს წარმოთქმისას. ეს იმას ამტკიცებს, რომ გერმანულ, უნგრულ ა-სა და სევანურ ა-ს შორის განსხვავება დიდია და ამდენად მათი გაიგივება შეუძლებელია.

სევანური ა-ს რენტგენოგრაშიდან (ფიგ. 80) ირკვევა, რომ ენის წინა და შუა ტანის ზურგი მისი დაკიმულოზის გამო კიდევ უფრო



ფიგ. 80

ამობურცულია, ვიდრე სევანური ა-ს წარმოთქმისას (ფიგ. 77), და ენის წინა ნაწილის დახრილობა თითქმის უდრის უკანა ნაწილის

დახრილობას. პირის ღრუს წინა ნაწილში უფრო ნაკლები სიფართოვის სარეზონანსო არეა შექმნილი, ვიდრე პირის ღრუს უკანა ნაწილში.

§ 53. სვანური ფართო ე-ს წარმოთქმისას ღიაობა უფრო მცირდება, ვიდრე ა-ს წარმოთქმისას. ე-ს წარმოთქმისას ქვედა ყბის ზედა ყბასთან მიახლოების გამო ნახევრად ღიაობა გვაქვს.

სვანური ფართო ე-ს რენტგენოგრაფა (ფიგ. 81) გვიჩვენებს, რომ ენის წვერი ძვეს ქვედა მედიალურ კბილებთან მსგავსად ა-




ფიგ. 81

წარმოთქმისა. ენის შუა ტანის ზურგი ზევით იწევს მაგარი სპის ცენტრისაკენ და ენის გვერდითი კიდეების მაგარ სასაზე შეხება მოიცავს მეორე წყვილი მცირე ძირითადი კბილებიდან მაგარი სასის ბოლომდის. პირის ღრუს წინა ნაწილში სარეზონანსო არე უფრო შემცირებულია, ვიდრე სვანური ა-ს წარმოთქმისას (ფიგ. 77).

სვანური იოტირებული ე-ს (ჟე-ს) რენტგენოგრაფაზე (ფიგ. 82) ვხედავთ, რომ პირის ღრუს წინა ნაწილში სარეზონანსო არე კიდევ უფრო შემცირებულია, ვიდრე ფართო ე-ს წარმოთქმისას, ვინაიდან ჟე-ს წარმოთქმისას ენის წინა ნაწილის ზურგი წინაა წამოწეული, მაგარი სასის წინა ნაწილისაკენ.

სვანური ჟე-ს რენტგენოგრაფა ძალიან უახლოვდება ჰე გ ე დ ი უ-ს ის შესრულებულ რენტგენოგრაფას უნგრული მ-სათვის (ფიგ. 83)-

სვანური \bar{c} -ს რენტგენოგრაფია (ფიგ. 84) გვიჩვენებს, რომ ენის წინა და შუა ტანის ზურგი ოდნავ ამოწეულია ფართო e -სთან შედარებით, რაც ენის ზურგის დაკიმულობით უნდა აიხსნას.



ფიგ. 82.



ფიგ. 83 (H)

სვანური \bar{c} -ს რენტგენოგრაფიის შედარება ჰეგედიუსის შესრულებულ უნგრული გრძელი e -ს რენტგენოგრაფიასთან (ფიგ. 85), გუტცმანის შესრულებულ გერმანული გრძელი, დახურული e -ს



ფიგ. 84



ფიგ. 85 (H)

რენტგენოგრაფიასთან (ფიგ. 86) და რესელის შესრულებულ ინგლისური და ესპანური გრძელი e -ს რენტგენოგრაფიებთან ამელავენებს,


რომ უნგრული და გერმანული გრძელი *e*-ს რენტგენოგრაფები განსხვავდება სვანური *ᄡ*-ს რენტგენოგრაფისაგან. ენის ზურგი უნგრული და გერმანული გრძელი *e*-ს წარმოთქმისას უფრო მაღლა, მაგარი სასის ცენტრისაკენ არის აწეული, ვიდრე სვანური *ᄡ*-ს წარმოთქმი-




ფიგ. 86 (G)

სას. ინგლისური და ესპანური გრძელი *e*-ს წარმოთქმისას ენის ზურგის მიმართულებას მაგარი სასის ცენტრისაკენ უფრო სოლიდური ფორმა აქვს, ვიდრე რკალისებრი (ფიგ. 87, 88).

ამ რენტგენოგრაფების შედარებიდან ცხადია, რომ სვანური *ᄡ*-ს წარმოთქმისას ენის ზურგსა და სასის კამარას შორის შექმნილი სარეზონანსო არე გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე უნგრული: გერმანული, ინგლისური და ესპანური გრძელი *e*-ს წარმოთქ-



ფიგ. 87 (R)



ფიგ. 88 (R)

მისას. მაშასადამე, სვანური *ᄡ* უნგრული, გერმანული, ინგლისური და ესპანური გრძელი *e*-საგან განსხვავებულ ხმოვნად უნდა მივიჩნიოთ.


§ 54. სვანური *ი*-ს წარმოთქმისას, როგორც ეს რენტგენოგრაფიდან ჩანს (ფიგ. 89), ლიაობა კიდევ უფრო ვიწროვდება, ვიდრე ზემოაღწერილი ხმოვნების წარმოთქმისას. ენის წვერი ისევ ქვედა მედიალურ კბილებთან ძვეს, როგორც *ა* *ე*-ს წარმოთქმისას. ენის წინა და შუა ტანის ზურგი კიდევ უფრო მაღლა იწევს, ვიდრე *ე*-ს

წარმოთქმისას (ფიგ. 81), და უფრო უახლოვდება მაგარი სასის კამარას. ამით შესამჩნევად ვიწროვდება სარეზონანსო არე პირის



ფიგ. 89

ღრუში, სამაგიეროდ ფართოა სარეზონანსო არე ხახის ღრუსა და პირის ღრუს უკანა ნაწილში. სევანური ი-ს წარმოთქმისას შექმნილი



ფიგ. 90

სარეზონანსო არე მილძაბრის ფორმას მოგვეგონებს: მაგარი სასის არეში იგი ვიწროა და ფართოვდება პირის ღრუს უკანა ნაწილში და ხახის ღრუში.

სვანური ნ-ს რენტგენოგრაფის (ფიგ. 90) შედარება სვანური ი-ს რენტგენოგრაფისთან არ გვიჩვენებს შესამჩნევ განსხვავებას, ისინი ერთმანეთს ემთხვევიან. კიდეც უფრო შემცირებულია სარე-



ფიგ. 90

ზონანსო არე ენის ზურგსა და სასის კამარას შორის სვანური ძ-ს წარმოთქმისას (ფიგ. 91).

სვანური ნ-ს რენტგენოგრაფის შედარება ჰეგედიუსის მიერ უნგრული გრძელი ი-სათვის შესრულებულ რენტგენოგრაფისთან



ფიგ. 92 (H)

(ფიგ. 92) და რესელის შესრულებულ ინგლისური და გერმანული გრძელი ი-ს რენტგენოგრაფებთან ნათელს ხდის, რომ ორგანოთა მოწყობილობა, ღიაობა და ენის არტიკულაცია თითქმის მსგავსია.

§ 55. სვანური ო-ს რენტგენოგრაშიდან (ფიგ. 93) ირკვევა, რომ ენის წვერი საკმაოდ მოცილებულია ქვედა მედიალურ კბილებს.



ფიგ. 93

ენის ტანი უკან არის გადაწეული და ენის უკანა ნაწილის ზურგი რამდენიმედ წამოწეულია რბილი სასის უკანა ნაწილის მიმართულებით. ამის გამო სარეზონანსო არე გადიდებულია პირის ღრუს წინა ნაწილში და შემცირებულია იგი პირის ღრუს უკანა ნაწილში და ხახის ღრუში. გარდა ამისა, სვანური ო-ს წარმოთქმისას რენტგენოგრაზე ნათლად ჩანს ბაგეთა ნაწილობრივ მომრგვალება და



ფიგ. 94

წამოშვება, რაც პირის ღრუს წინა ნაწილში შექმნილ სარეზონანსო არეს გარკვეულ მოცულობასა და ფორმას აძლევს,

სვანური ო-ს რენტგენოგრაფა (ფიგ. 94) გვიჩვენებს, რომ მისი წარმოთქმისას ქვედა ყბის დაცილება ზედა ყბისაგან უფრო მეტია, ვიდრე ო-ს წარმოთქმისას. გარდა ამისა, ენის შუა და უკანა ნაწილის ზურგი, მისი დაქიმულობის გამო, უფრო ზევით არის აწეული, ვიდრე ო-ს წარმოთქმისას. ბაგეთა მონაწილეობის მხრივ ო-სა და ო-ს რენტგენოგრაფებს შორის განსხვავება არ არის.

სვანური ო-ს რენტგენოგრაფის შედარება ქეგედიუსის შესრულებულ უნგრული გრძელი ო-ს რენტგენოგრაფისთან (ფიგ. 95)



ფიგ. 95 (H)

და რესელის შესრულებულ გერმანული, ინგლისური და ესპანური გრძელი ო-ს რენტგენოგრაფებთან გვარჯმუნებს, რომ სვანური ო-ს რენტგენოგრაფა ყველაზე უფრო მიაგავს ინგლისური გრძელი ო-ს რენტგენოგრაფას. ინგლისური გრძელი ო-ს წარმოთქმისას, მსგავსად სვანური ო-ს წარმოთქმისა, ენის უკანა ნაწილის ზურგი უფრო ზევითაა აწეული, ვიდრე უნგრული, გერმანული და ესპანური გრძელი ო-ს წარმოთქმისას.

§ 56. სვანური ო-ს რენტგენოგრაფიდან (ფიგ. 96) ჩანს, რომ ენის წვერი ძვეს ქვედა მედიალურ კბილებთან და, მსგავსად სვანურისავე ე-ს წარმოთქმისა, ენის შუა ტანის ზურგი ზევით, მაგარი სასის ცენტრისაკენ არის აწეული. ენის ზურგს თანაბარი დახრილობა აქვს როგორც პირის ღრუს წინა ნაწილში, ისე პირის ღრუს უკანა ნაწილშიც. სარეზონანსო არე პირის ღრუს წინა ნაწილში

უფრო შემცირებულია, ვიდრე პირის ღრუს უკანა ნაწილში, მაგრამ პირის ღრუს წინა ნაწილში სარეზონანსო არეს გარკვეულ ნოცულობასა და ფორმას აძლევს ბაგეთა აქტიური მონაწილეობა, რაც რენტგენოგრაფიის მიხედვით ნათლად ირკვევა: ო-ს წარმოთქმას ნახევრად ღიაობა ახასიათებს.



ფიგ. 96

§ 57. სვანური ო-ს რენტგენოგრაფიის მიხედვით (ფიგ. 97) ვარკვევთ, რომ ენის უკანა ტანის ზურგი, მისი დაჭიმულობის გამო, უფრო ზევითაა აწეული, ვიდრე ო-ს წარმოთქმისას. სხვა მხრივ, ორგანოთა მოწყობილობაში განსხვავება არ არის.



ფიგ. 97

სვანური ო-ს რენტგენოგრაფიის შედარება ჰეგელიუსის შესრულებულ უნგრული ო-ს რენტგენოგრაფიასთან (ფიგ. 98) და რესელის შესრულებულ გერმანული გრძელი ო-ს რენტგენოგრაფიასთან (ფიგ. 99) გვიჩვენებს, რომ განსხვავება მათ შორის შესამჩ-

ნეგია. სვანური ლ-ს რენტგენოგრაფია არც ერთ მათგანს არ უდგება. გერმანული გრძელი ე-ს წარმოთქმისას ენის შუა ტანის ზურგი გაცილებით უფრო მაღლაა აწეული, ვიდრე სვანური ლ-ს წარმოთქმისას. უნგრული გრძელი ე-ს წარმოთქმისას ენის შუა ტანის ზურგი უფრო დაბალია, ვიდრე სვანური ლ-ს წარმოთქმისას. ამგვარად



ფიგ. 98 (H)



ფიგ. 99 (K)

არკვევა, რომ სვანური ლ ლ განსხვავებული ხმოვნებია გერმანული და უნგრული ე და გრძელი ე-საგან. მათი გაიგივება შეუძლებელია.

§ 56. სვანური უ-ს რენტგენოგრაფით (ფიგ. 100) ირკვევა, რომ ენის წვერი მოცილებულია ქვედა მედიალურ კბილებს და



ფიგ. 100

ენის ტანი უკან არის გადაწეული მსგავსად *ო-ს წარმოთქმისა*. უ-ს წარმოთქმისას ენის უკანა ნაწილის ზურგი უფრო მიღლაა აწეული რბილი სასის უკანა ნაწილისაკენ, ვიდრე *ო-ს წარმოთქმისას*. გარდა ამისა, უ-ს წარმოთქმისას ბაგეები უფრო ვიწროდაა მომრგვალებული, ვიდრე *ო-ს წარმოთქმისას* (ფიგ. 93). ამგვარად დღაობა უ-ს წარმოთქმისას კიდევ უფრო შევიწროებულია, ვიდრე *ო-ს წარმოთქმისას*.

სევანური *ჟ-ს* რენტგენოგრამა (ფიგ. 101) ადასტურებს, რომ ენის უკანა ნაწილის ზურგი ოდნავ უფრო ზევით არის აწეული, ვიდრე უ-ს წარმოთქმისას. ეს იმით აიხსნება, რომ უ-ს წარმოთქ-



ფიგ. 101

მისას შედარებით მეტი დაკიმულობა ახასიათებს როგორც ენის ზურგს, ისე სხვა ორგანოებსაც.

სევანური *ჟ-ს* რენტგენოგრამიდან ჩანს (ფიგ. 102), რომ *ჟ-ს* წარმოთქმისას ენის არტიკულაცია ძალიან მიაგავს ენის არტიკულაციას *ი-ს* წარმოთქმისას (ფიგ. 89). *ჟ-ს* წარმოთქმისას ისე, როგორც *ი-ს* წარმოთქმისას, ენის ზურგსა და სასის კამარას შორის ვიწრო სარეზონანსო არეა შექმნილი, რომელიც ძაბრისებურად ფართოვდება პირის ღრუს უკანა ნაწილში და ხახის ღრუში. *ი-ს* წარმოთქმისაგან განსხვავებით, *ჟ-ს* წარმოთქმას ახასიათებს ბაგეთა ენერგიული მონაწილეობა, მათი მომრგვალება. ბაგეთა აქტიური მოქმედება სარეზონანსო არეს პირის ღრუში უფრო აგრძელებს, ვიდრე *ი-ს* წარმოთქმისას. ასეთი ფორმისა და მოცულობის თავი-

სებური სარეზონანსო არე გვაძლევს ი-საგან თვისობრივად განსხვავებულ ხმოვანს ფ-ს.



ფიგ. 102

სვანური ფ-ს რენტგენოგრამა (ფიგ. 103) თითქმის არ განსხვავდება ფ-ს რენტგენოგრამისაგან (ფიგ. 102), გარდა იმისა, რომ



ფიგ. 103

ფ-ს წარმოთქმას ორგანოთა შედარებით მეტი დაკვირვება ახასიათებს, ვიდრე ფ-ს წარმოთქმას. ორგანოთა მოწყობილობა თითქმის ერთი და იგივეა.

სვანური ფ-ს რენტგენოგრამის შედარება ჰეგელი უსის შესრულებულ უნგრული გრძელი მ-ს რენტგენოგრამასთან (ფიგ. 104),

გუტცმანისა და რესელის შესრულებულ გერმანული გრძელი ii-ს რენტგენოგრამებთან გვიჩვენებს, რომ მათ შორის ძალიან ახლო მსგავსებაა როგორც ენის მდგომარეობის, ისე ბაგეთა მოწყობილობის მხრივაც.



ფიგ. 104 (H)

§ 60. სვანური ჯ ზ-ს რენტგენოგრამით (ფიგ. 105) გამოირკვა, რომ ჯ-ს წარმოთქმისას ენის არტიკულაციის სურათი სავსებით




ფიგ. 105

ემთხვევა ენის არტიკულაციის სურათს ჟ-ს წარმოთქმისას (ფიგ. 101), მხოლოდ განსხვავება ისაა, რომ ჟ-ს წარმოთქმისას ენერგიულად მონაწილეობენ ბაგეები, ჯ-ს წარმოთქმისას კი ბაგეთა მონაწილეობა უმნიშვნელოა.

წილეობას არა აქვს ადგილი. მაშასადამე, ჯ დელაბიალიზებული უ არის; ასევე შესაბამისად ჯ დელაბიალიზებული უ ხმოვანია.

§ 61. სვანური იოტირებული ჯ-ს (ჯ-ს) რენტგენოგრამის მიხედვით (ფიგ. 106) აღენიშნავთ, რომ ენის არტიკულაცია უფრო



ფიგ. 106

წინ არის წამოწეული მაგარი სასის წინა ნაწილისაკენ, ვიდრე ჯ ჯ-ს წარმოთქმისას. ამიტომ ჯ-ს წარმოთქმისას სარეზონანსო არე პირის ღრუს წინა ნაწილში კიდევ უფრო შევიწროებულია, ვიდრე ჯ ჯ-ს წარმოთქმისას.

დ ა ს კ ვ ნ ა

§ 62. სვანურ ხმოვანთა რენტგენოგრამების ანალიზის შედეგად გამოირკვა, რომ სვანური პალატალიზებული ხმოვნები ა ა, აა, აა, აა, აა, აა, აა წარმოიშვება პირის ღრუს თავისებური სარეზონანსო არის შექმნით. ამ თავისებურ სარეზონანსო არეს ქმნის ენის ტანის წამოწევა მაგარი სასის წინა ნაწილისაკენ და სარეზონანსო არის შემცირება პირის ღრუს წინა ნაწილში, ვიდრე ეს გვაქვს შესატყვის არაპალატალიზებულ ძირითად ხმოვანთა წარმოთქმისას.

ანალოგიური დასკვნა მივიღეთ ჩვენ სვანურ ხმოვანთა პალატოგრამების ანალიზის შედეგადაც.

მეორე მხრით, სვანურ ხმოვანთა რენტგენოგრამების შედარებამ უნგრული, გერმანული, ინგლისური და ესპანური ხმოვნების რენტგენოგრამებთან დაგვარწმუნა, რომ სვანური პალატალიზებუ-


ლი ხმოვნები განსხვავდება დასახელებულ ენათა შერეული ხმოვნებისაგან ისე, როგორც სვანური გრძელი ხმოვნები განსხვავდება ამვე ენათა გრძელი ხმოვნებისაგან.

გარდა ამისა, გამოიჩევა, რომ მხოლოდ ბაგეთა ენერგიული ჰონაწილეობა განასხვავებს **ჲ**-ს **ე**-საგან, **ჳ**-ს **ე**-საგან, **ჴ**-ს **ი**-საგან, **ჵ**-ს **ი**-საგან. **უ**-ს **ე**-საგან და **ჶ**-ს **ე**-საგან.

ენის არტიკულაციის მხრივ ლაბიალიზებულ და მის შესატყვის არალაბიალიზებულ ხმოვნებს შორის სრული მსგავსებაა.

§ 63. სვანური ხმოვნების რენტგენოგრაფიისა და ხელოვნური ასის მეთოდებით შესწავლის საფუძველზე ვიძლევიტ სვანურ ხმოვანთა შემდეგს კლასიფიკაციას:

ტაბ. I. სვანურ ხმოვანთა კლასიფიკაცია



უენი უენა. სამკუთხედის გარეთ გამოტანილია ლაბიალიზებული ხმოვნები; ორ ხაზს შუა მოთავსებულია არალაბიალური ხმოვნები, სამკუთხედის შიგნით კი იოტირებული ხმოვნები.

§ 64. ზემოთ განხილული სვანურ ხმოვანთა პალატოგრამული და რენტგენოგრამული პროფილები ნათლად ადასტურებენ პალატალიზაციისა და ლაბიალიზაციის ცხოველ პროცესებს სვანურში.

სვანური ვოკალიზმის ეს მონაცემები კიდევ ერთხელ უწყს პფენენ ზოგად ფონეტიკაში ცნობილ დებულებას, რომ პალატალიზაციასა და ლაბიალიზაციასაც საბოლოოდ ერთი შედეგისაკენ მიეყავართ—პალატალიზაციისაკენ. პალატალიზაცია და ლაბიალიზაცია ის მძლავრი ფაქტორებია, რომლებიც ახალ (დამატებით) არტიკულაციურ მოქმედებას წარმოშობენ ხოლმე პირის ღრუში ხმოვნისათუ თანხმოვნისათვის განსხვავებული ელფერის მისაცემად. ასე, მაგ., ი. ბოდუენ-დე-კურტენე აღნიშნავდა, რომ ენებში წინათ არარსებული *ü* და *ö* ხმოვანთა წარმოქმნა აძლიერებს საფონაციო მოქმედებას პირის ღრუში ხმოვანთა ვარიაციებისათვის¹.

გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ, ერთი მხრით, ენათა ისტორიის მონაცემებს, დავრწმუნდებით, რომ უმეტეს შემთხვევაში პალატალიზაცია და ლაბიალიზაცია, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავდა ა. შახმატოვი, პირველადი წარმოშობისა კი არ არის, არამედ მეორეულია²; მეორე მხრით, ქართველურ ენათა მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სვანურში დადასტურებული პალატალიზაციისა და ლაბიალიზაციის პროცესები ზეორეული წარმოშობისაა. ამდენად სვანურში ხმოვანთა სიმრავლე და თანხმოვანთა მოდიფიკაცია შედარებით გვიანდელი მოვლენაა. ეს დასტურდება ამ შრომის შემდეგი თავებიდანაც.

¹ И. А. Бодуэн-де-Куртэнэ, Об одной из сторон постепенного членения языка в области проявления в связи с антропологией, 83-279.

² А. Шахматов, К истории звуков русского языка, № 2.

III. გრძელი ხმოვნები

§ 65. სვანური ენის მკვლევართა მიერ შენიშნულია, რომ სვანურში ხმოვნების სიგრძე თავისებურია და იგი არაა ყოველთვის ისე მკვეთრად გამოვლენილი, როგორც ეს იმ ენებშია, რომლებსაც ხმოვანთა ბუნებრივი ანუ ისტორიული სიგრძე-სიმოკლე ახასიათებს. ამით აიხსნება, რომ პირველ ხანებში მკვლევარს უჭირს სვანური გრძელი ხმოვნების გარჩევა ჩვეულებრივი ხმოვნებისაგან. ნ. მარო ამის შესახებ წერდა: მე გვიან შევნიშნე უშვულურში ხმოვანთა სიგრძეო...¹

გასარკვევია: სვანური ენის ბალსზემოური და ლაშხური დიალექტებისათვის დამახასიათებელი ხმოვანთა სიგრძე ფონოლოგიურია თუ ფონეტიკური?

§ 66. სვანურში გრძელ ხმოვანთა პირველადობის საკითხი ჯერ კიდევ ნ. მარმა დასვა. 1911 წელს, სვანეთში პირველად მოგზაურობის შემდეგ ქუთაისში წაკითხულ ლექციაში, ნ. მარმა აღნიშნა: „... ერთ დროს იაფეტურ ენებსაც უნდა ჰქონოდა გრძელ და მოკლე ხმოვნით გარჩევა. უმეშვეო დაკვირვებამ დაგვანახა, რომ სვანეთში დღემდის დაცულა მშვენიერად ხმოვანთ სიგრძე და სიმოკლე ისეთი განვითარებით, რომელიც ახასიათებს ძველ არაბულს“².

ნ. მარმა ეს ფაქტი თავის დროზე ქართულური ენების სემიტურ ენებთან ნათესაობის დასამტკიცებლად გამოიყენა. მაგრამ, როგორც ცნობილია, ნ. მარს სვანური გრძელი ხმოვნების ბუნება სპეციალურად არ უკვლევია. მას ასეთი მიზანი არც ჰქონია.

§ 67. 24 წლის წინათ ამ საკითხს შეეხო ა. შანიძე. მან სვანურში უმლაუტისა და ხმოვანთა რედუქციის განხილვის საფუძველზე დაადგინა, რომ „[ლენტეხურში] უმლაუტი ფუძისეულ ა'ნს მაშინ მოსდის, თუ რომ იგი ბალს-ზემოურსა და ლაშხურშიც მოკლეა,

¹ Н. Я. Марр, Извлечение из сваяско-русского словаря, гл. VII.

² ნ. მარო, ქართული ენათმეცნიერებაში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VI, 1937 წ., გვ. 317.

და თუ იქ გრძელია, მაშინ არა... ბალს-ქვემოურში რედუქცია იწმინდებს მოსდის, რომელიც ბალს-ზემოურსა და ლაშხურში მოკლედ გამოითქმის, ხოლო რომლებიც გრძლად, იმათ კი არა¹. მკვლევარი იქვე ასეთ დასკვნას იძლევა: „ხმოვნების სიგრძე ლენტეხურსაც და ბალს-ქვემოურსაც ჰქონიათ, მაგრამ მათ იგი დაუკარგავთ დროთა განმავლობაში (ალბათ ქართულისა და მეგრულის გავლენით)“.

მიუხედავად ა. შანიძის ამ მნიშვნელოვანი დასკვნისა, მაინც ღიად რჩება საკითხი: რა ბუნებისაა ხმოვანთა ის სიგრძე, რომელიც ამჟამად ბალსზემოურსა და ლაშხურს ახასიათებს? ჩვენი აზრით, ამ საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია, თუ, ერთი მხრივ, არ იქნება გადაჭრილი სვანური გრძელი ხმოვნების გენეზისისა და ფონოლოგიურობის საკითხები, და, მეორე მხრივ, არ იქნება შესწავლილი სვანური მახვილის ბუნება. უკანასკნელის შესწავლა აუცილებელია იმიტომაც, რომ სიგრძისა და მახვილის მქიდრო კავშირი დიდი ხანია შენიშნულია. ჯერ კიდევ მ. ლომონოსოვი თავის გრამატიკაში რუსული ენის შესახებ წერდა: მახვილიანი ხმოვანი გრძელია, უმახვილო—მოკლეო. მაგრამ როდესაც მ. ლომონოსოვი ამას წერდა, მაშინ რუსულ ხმოვანთა ბუნება და რუსული მახვილის: რაობა გარკვეული არ იყო.

§ 68. გრძელი ხმოვნების ხმარებისას სვანთა გაბმულ მეტყველებაში საგრძნობ რყევას აქვს ადგილი. „სვანური პროზაული ტექსტების“ გამომცემელი ა. შანიძე და ვ. თოფურია ამის შესახებ წერენ: „არა თუ სხვადასხვა პირის გამოთქმა სხვაობს ერთსა და იმავე სოფელში, არამედ ზოგჯერ ერთი და იგივე პირი სხვადასხვაგვარად გამოთქვამს ერთსა და იმავე სიტყვას. ეს შეეხება როგორც ცალკეულ გამოთქმებს, ისე ხმოვანთა სიგრძეს. მაგ., ერთი მესტიელი კარნახის დროს ზოგ გრძელ ხმოვანს სიტყვაში მოკლედ გამოთქვამდა: ხადდახ 36,1 (=ხნდდახ), ლანეშდ 36,5 (=ლანეშდ), ანდაეშა 36,5 (=ანდნეშა), ჩვთყულურანდ მეზგალთე 36,31 (=ჩვთყულურანდ მეზგალთე), კალთე 37,4 (=კალთე) და სხვ...“ (გვ. XV).

¹ ა. შანიძე, უმაღლესი სვანურში, გვ. 223.

§ 69. ამით აიხსნება გამოქვეყნებულ ბალსზემოურ პროზაულ ტექსტებში გრძელ ხმოვანთა ხმარებაში ასეთი რყევა. ასე, მაგ., 159,2 გვერდზე ვკითხულობთ: ქოსა მულგუჰერი ქოსა მეწის-ქვილე, მაგრამ ჩქვე: ქოსა მულგუჰერი (159,10) (შდრ. ლშხ. მულგვერი). მევეარ ('ძალიან') ჩვეულებრივ სვანურ წარმოთქმაში და ტექსტებშიც წარმოდგენილია გრძელი ე-თი, მაგრამ ტექსტებშივე ხშირად გვხვდება მევეარ (89,37; 131,31; 131,37; 204,9 და ა. შ.). სიტყვაში მესამე ('მესამე') პირველი ე ტექსტებში ზოგჯერ გრძელი და ზოგჯერ ჩვეულებრივი ე-თია გადმოცემული; მაგ.: მესამე მუხებე (92,36) 'მესამე ძმა', მაგრამ: მესამე (157,8). სიტყვაში ლუმირ ('ნაძვი') ი უფრო ხშირად გრძელი სახით გვხვდება ტექსტებში. მაგრამ იქვეა ლუმირ (137,32; 210,10; 283,8 და ა. შ.) (შდრ. ლშხ. ლუმირ). სიტყვა ქუნირ ('ქიანური') ზოგჯერ გრძელ უ-ს შეიცავს, ზოგჯერ გრძელ ი-ს, ზოგჯერაც ჩვეულებრივს ხმოვნებს; მაგ.: ქუნირ-ფანდურ (68,28 'ქიანურ-ფანდური'), ქუნირ (20,24), მაგრამ: ქუნირ-ფანდვირ (69,12; 71,36; შდრ. ლშხ. კინურ). ლაიშ ('დაღია') ზნაში ზოგჯერ ა არის გრძელი, ზოგჯერ ი: ლაიშ (59,6), მაგრამ: ლაიშ (68,16; შდრ. ლაიშე 211,15 'წაილო, წაიყვანა', მაგრამ იქვე: ლაიშე 225,14). სიტყვა ყორ ('კარი') ყოველთვის გრძელი ო-თი წარმოითქმის, მაგრამ ტექსტებში გვხვდება: ყორს (sic) (212,35). დინა, დინაგეზალ ('ქალიშვილი') წარმოთქმასა და ტექსტებშიც წარმოდგენილია ჩვეულებრივ გრძელი ი-თ, მაგრამ ტექსტშივე გვხვდება დინა (243,15). ამასთან დაკავშირებით ა. შანიძე შენიშნავს: „მოქმელი გრძელ ხმოვნებს აქა-იქ მოკლედ ამბობს, მაგ., დინა“ (გვ. 475). ლახვემ ('მისცა') ზნაში სიგრძის ნიშანი ზოგჯერ ა-ზეა, ზოგჯერ ე-ზე; მაგ.: ლახვემ (65,28), მაგრამ: ლახვემ (24,32) (შდრ. ლაშხ. ლახვემ). ცაგერ ('ცაგერი') ფუძეში ე ზოგჯერ გრძელია და ზოგჯერ არა; მაგ.: ცაგერთე (21,27; 35,5), მაგრამ: ცაგერთე (23,25; 23,33). უღვა ('უღელი') სიტყვის წარმოთქმაში უ ჩვეულებრივ გრძელია და ტექსტებშიც ასეა გადმოცემული, მაგრამ იქვე გვხვდება: უღვა (154,24; 204,7) და სხვ.

§ 70. კიდევ უფრო საგრძნობია რყევა გრძელი ხმოვნების გამოყენებისას არსენ ონიანის მიერ გამოქვეყნებულ ლაშხურ პროზაულ ტექსტებში¹.

ამ ტექსტებში ხმოვნებს ზოგჯერ სიგრძის ნიშანი უზის, მაშინ როდესაც წარმოთქმაში ასეთს ადგილი არა აქვს; მაგ.: ფიშირს (14,12; 14,17 'მრავალს'), მაგრამ იქვე: ფიშირ (14,22; 14,28) (შდრ. ბზ. ფიშირ). სიგრძის ნიშანი ზოგჯერ უზის და ზოგჯერ არა სიტყვებს: გზაჯარ (53,17 'მგზავრი'), მაგრამ იქვე: გზაჯარ (53,21); ბაჯარახს (20,25 'ბაირალს'), მაგრამ იქვე: ბაჯარახს (20,33; 25,25) და სხვ.

§ 71. ამ მაგალითების მოყვანით ჩვენ სრულებითაც არ გვინდა იმის თქმა, რომ გრძელი ხმოვნების ხმარებისას სვანურში გარკვეულ წესს არ ჰქონდეს ადგილი და გარკვეული კანონზომიერების დადგენა არ შეიძლებოდეს. მხოლოდ ეს კია, რომ ესა და კიდევ სხვა გარემოება, რომელსაც ქვემოთ შევეხებით, ექვს ბადებს, რომ სვანურში მოგვეპოვებოდეს ხმოვანთა ისტორიული სიგრძე. სვანურში რომ ხმოვანთა ისტორიული სიგრძე გვექონდეს, მაშინ იგი სვანურის სხვა დიალექტებსაც (ბალსკვემოურს, ლენტეხურს) უნდა შემოენახა. რამდენადაც ცნობილია, ამისი კვალი არა ჩანს არა თუ სვანურის კილოებში, არამედ არც ერთ სხვა ქართველურ ენაში. გარდა ამისა, ხმოვანთა სიგრძე რომ მიჩქმალულია, მსგავსად მთიულურისა, ბალს-ზემოურსა და ლაშხურს ლექსებში, ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი ფაქტია გრძელი ხმოვნების ბუნების გასარკვევად.

§ 72. გასათვალისწინებელია კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი მხარე ამ საკითხისა. ასე, მაგ., გერმანულში გრძელი ხმოვნები ახასიათებს ცალკეულ სიტყვებს და მათი ფუნქცია სავსებით განსხვავებულია მოკლე ხმოვნებისაგან: ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლე გერმანულში სემანტიკურადაც დიფერენცირებულია. სანიშნოდ დავასახელებთ რამდენიმეს: Saat—satt (თესლი—მადლარი), bieten—bitten (მიცემა—თხოვნა), Bahn—Bann (გზა—განდევნა, შერისხვა), Rogen—Roggen (ხიზილალა—კვავი), Ruhig—Rum (დიდება—რომი სასმელი) და ა. შ.

¹ არსენიან კონიანს მგსსსშ. ლუშნუ ამბკარ ლულშუშუ შემინინშ, პეტროგრად 1917.

1 სვანურში ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლე ასეთ ფუნქციას მოკლებულია (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთადერთ შემთხვევას: მ ა რ ე 'კაცი', მ ა რ ე 'მაგრამ', რომელთაც მახვილი სხვადასხვა მარცვალზე მოუღიოთ).

ამგვარად, სვანური გრძელი ხმოვნები ფონეტიკურად და ფუნქციურად განსხვავებულია ევროპულ ენათა გრძელი ხმოვნებისაგან. სვანურმა არ იცის დაპირისპირება გრძელი და მოკლე ხმოვნებისა. ეს კი საბუთს გვაძლევს უარყოფით სვანურში ხმოვანთა ისტორიული სიგრძის არსებობა.

§ 73. სვანური გრძელი ხმოვნების სპეციალურმა შესწავლამ, კერძოდ კი იმის გამორკვევამ, თუ რა პოზიციაში აქვს სიგრძის ადგილი, იმ დასკვნამდის მიგვიყვანა, რომ ხმოვანთა სიგრძე სვანურში კომბინაციურ ნიადაგზე არის მიღებული.

როგორც ცნობილია, ზოგად ფონეტიკაში მკაცრად არის განსხვავებული ხმოვანთა ორგვარი სიგრძე-სიმოკლე ანუ რაოდნობა. ერთ შემთხვევაში ხმოვანთა შედარებითი ხანგრძლიობა დამოკიდებულია ისეთ ცვალებად ფაქტორებზე, როგორცაა: მახვილი (მაგ., რუსულში მახვილიანი ხმოვანი უფრო გრძელია, ვიდრე არამახვილიანი ხმოვანი), ან ხმოვნის მეზობლობა გარკვეულ თანხმოვნებთან, ან კიდევ ხმოვანთა სიგრძე განსხვავებულია ღია და დახურულ მარცვალში; დაბოლოს, ხმოვნის შედარებითი ხანგრძლიობა დამოკიდებულია მეტყველებისათვის დამახასიათებელ რიტმიკულობაზე. მაგრამ არც ერთ ამ შემთხვევაში მოკლე და გრძელ ხმოვანთა კატეგორიის დაპირისპირებას ადგილი არა აქვს, რადგანაც რაოდნობრივი განსხვავება არ არის აქ ხმოვნის მუდმივი დამახასიათებელი თვისება; სხვა შემთხვევაში კი ერთმანეთს უპირისპირდება გრძელ და მოკლე ხმოვანთა კატეგორია. ამ პირობებში სიგრძე ან სიმოკლე ხმოვნის უცვლელი მუდმივი თვისებაა. ხმოვნის სიგრძე სხვა ფაქტორებზე არ არის დამოკიდებული, ამიტომაც ისინი განსაკუთრებულ ფონემებს წარმოადგენენ¹.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სვანურში პირველი სახის სიგრძე გვაქვს. ამდენად ხმოვანთა სიგრძე სვანურში არა ფონოლოგიურია, არამედ ფონეტიკური.

¹ М. И. Матусевич, Введение в общую фонетику, 1941, гл. 70.

§ 74. სვანურში განსაკუთრებით აღსანიშნავია ხმოვნის შეგუება მეზობელ თანხმოვნებთან, კერძოდ კი სონანტებთან, როგორცაა: რ, ლ, მ, ნ, ა; მელერ სპირანტებთან: ვ (ჟ), ზ, ჟ და ზოგიერთ სხვა მელერ თანხმოვნებთან. ამ თავისებურების გათვალისწინებას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სვანურში ხმოვანთა სიგრძის საკითხის ახსნაში. ¹

ცნობილია, რომ გერმანულში, რომელსაც ხმოვანთა ისტორიული სიგრძე-სიმოკლე ახასიათებს, გარკვეული თანხმოვნები გავლენას ახდენენ ხმოვნებზე და მათ დაგრძელებას იწვევენ. ამის შესახებ ო. იესპერსენი წერს: „ყოველი ხმოვანი გრძელია მელერი სპირანტების r, v, j, j-ს წინ“ ².

ფრანგულს, მართალია, ხმოვანთა ისტორიული სიგრძე-სიმოკლე ნაწილობრივ ახასიათებს, მაგრამ იგივე r, v, z, ʒ თანხმოვნები იქაც იწვევენ ხმოვანთა სიგრძეს. ლ. შჩერბას სიტყვით რომ ვთქვათ, „დახურულ მარცვალში მახვილიანი ხმოვანი მეტად გრძელდება სპეციალურად მელერი სპირანტების v, z, ʒ-ს წინ (როგორც თითოეულთან ცალკე, ისე „vr“ კომპლექსთან) და r-ს წინ. ესენი იწოდებიან დამაგრძელებელ თანხმოვნებად“ ².

ინგლისურშიც ხმოვანთა სიგრძე დამოკიდებულია მეზობელი ბგერის თვისებაზე, მახვილსა და ინტონაციაზე ³.

ექსპერიმენტულად დამტკიცებულია, რომ ხმოვანზე გავლენას ახდენს როგორც წინამავალი, ისე მომდევნო თანხმოვანი, მაგრამ უკანასკნელის გავლენა ხმოვნებზე უფრო ძლიერია, ვიდრე წინამავალი თანხმოვნისა.

§ 75. საქმის ვითარების გამოსარკვევად სვანურში, პირველ ყოვლისა, საუბრობა გამოვეყოთ ყველა ის შემთხვევა, როდესაც ხმოვანთა სიგრძე მიღებულია ორი ხმოვნის შეერთებით.

ა) ხშირად ნაცვალსახელის, ზმნიზედის ბოლო ხმოვანი ან პრეფიქსისეული ხმოვანი შეერწყმის ხმოვნით დაწყებულ ზმნის ფორმას და გრძელი ხმოვანი წარმოიშვება; ასევე პრევერბისეულ ბოლოკიდურ ხმოვნებზე -2 დ ('კვლავ') ნაწილაკის დართვისას გრძელი ხმოვანი მიიღება ⁴.

¹ O. Jespersen, Lehrbuch der Phonetik, გვ. 188.

² Л. В. Щерба, Фонетика франц. яв., გვ. 85.

³ В. Н. Витомская, Основы английской фонетики, 1939, გვ. 899-90.

⁴ ვ. თ. ფურია, სვანური ენა, გვ. 37, 60.

შერწყმის გზითვე წარმომდგარია ხმოვანთა სიგრძე რიგობითს რიცხვით სახელებში: მწრმე 'მეორე', მწეშთხვე 'მეოთხე', მწხვშდე 'მეხუთე', მწსგვე 'მეექვსე', მწშგვდე 'მეშვიდე', მწშდე 'მეათე'. ხმოვანთა სიგრძე რთულ უარყოფით ნაწილაკებშიც ასევეა მიღებული¹.

ბ) რიგ შემთხვევაში ხმოვნის სიგრძე წარმოშობილია ფუძეში ორი ხმოვნის გაერთიანებით: კქსარ, (-კვისარი), დრკვენ (-დიაკონი), პქმან (-პემანი), ლშ. კინურ (-კიანური), დიარ 'პური'—დრი ნაკეშ (105,33) 'პურის ნატეხი' და სხვ. ორი ხმოვნის გაერთიანება კი მახვილის გავლენის შედეგია. ხმოვანთა შერწყმა და ერთი ფონეტიკური მთლიანობის შექმნა გრძელი ხმოვნის სახით გვხვდება ბალსზემოურსა და ლაშხურში, რომლებსაც ახასიათებს გრძელი ხმოვნები. ბალსქემოურსა და ლენტეხურში მას იდგილი არა აქვს.

გ) ქართული -მცა ნაწილაკის დანიშნულების უ ელემენტი, რომელიც ხშირად მოუდის ბოლოხმოვნიან სახელებს, ხმოვნობას ჰკარგავს და წინამავალ ხმოვანს აგრძელებს².

დ) ხშირია შემთხვევა, როდესაც სვანურში ხმოვანთა სიგრძე დასტურდება იოტთან. იოტი კი მიღებულია ი ხმოვნის დასუსტებით წინამავალი ხმოვნის გავლენის გამო. წინამავალი გამვლენელი ხმოვანი ასეთ შემთხვევაში გრძელდება. ასე, მაგ., ქართული -ც ნაწილაკის ფუნქციის ი კავშირი სვანურში, როდესაც ბოლოხმოვნიან სახელებს დაერთვის, ხმოვნობას კარგავს და წინამავალ ხმოვანს აგრძელებს: ხოშა 'უფროსიც', ჯა 'თვითონაც', ხედეა 'რომელიც' და სხვ. მსგავსსავე ფონეტიკურ მოვლენას აქვს ადგილი, როდესაც ი ('და') კავშირი შეუერთდება ბოლოხმოვნიან სახელებს, მაგ.: დრამუ (-დი ი მუ: ბზ. 25,25) 'დედა და მამა'; დრგეზალ (-დი ი გეზალ: ბზ. 135,34) 'დედა და შვილი' (შდრ. დის ი მუს: ბზ. 174,6 'დედას და მამას').

ზოგჯერ ფუძისეული ან თანდებულისეული ი წინამავალი ხმოვნის გავლენით ხმოვნობას ჰკარგავს, თვითონ იოტად იქცევა და გამვლენელ ხმოვანს აგრძელებს; მაგ.: მნადანი (ლშხ. 51,9) 'მოედანზე', ბნარახს (ლშხ. 20, 25) 'ბაიარალს', ცნარა (ლშხ.)

¹ თ. შარაძენიძე, უარყოფითი ნაწილაკები სვანურში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. I, გვ. 308.

² ვ. თოფური, Op. cit., გვ. 61.

‘თელა’ (ხე), გუჯსა (ლშხ. 69,6) ‘გულში’ და სხვ. (შდრ. ბზ. ამ-
ნსგა — ამე+ისგა ‘ამაში’, კიბღჟენთენსგა — კიბღჟენთე+ისგა
‘კილობანში’, მაგრამ: ამეჩუ ‘აქ’, კიბღვენთე ‘კილობნისკენ’).

§ 76. ხმოვნის სიგრძე მიიღება აგრეთვე:

ე) ვ, რ და ზ თანხმოვანთა ხმოვნებთან შერწყმითა და ეოკა-
ლიზაციის შედეგად; მაგ.: ყარ (-ყავარ-ი, ლშხ. 28, 27), კნლ
(-კივილ-ი, ბზ. 88,6), თარინგხელ (ბზ. 183,5; შდრ. ლშხ.
თარინელ 10,18 ‘მთავარანგელოზი’)... დჟუან (-დერეფან-ი,
ლშხ. 73,22)... ბზ. ლეჰნა — ლშხ. ლენა (4,13 ‘შარშან’); ბზ.
ლაჰრაქ — ლშხ. ლნარაქ (21,30 ‘სამაგალითო’); ბზ. ჩჟადძინ-
ნეხ — ლშხ. ჩჟადძინეხ (15,13 ‘დაკლავენ’); ბზ. მიჰმან — ლშხ.
მნმან (27,31 ‘ერთი ამბავი’); ბზ. ჯიჰრა — ლშხ. ჯნრა (‘მუნა’)
და სხვ.

ყველა ზემოვანხილული შემთხვევა გრძელი ხმოვნის წარმო-
შობისა იმაზე მიუთითებს, რომ ეს გრძელი ხმოვნები არ შეიძლება
მიჩნეულ იქნენ ბუნებრივ გრძელ ხმოვნებად.

§ 77. ყველაზე მრავალრიცხოვანი შემთხვევა ხმოვანთა სიგრ-
ძისა მოდის მაშინ, როდესაც ხმოვანი არის რ-ს წინ და თანაც
მახვილი ამ ხმოვანზეა სავარაუდებელი; მაგ.:

მარე 1,23	კაცი ¹
ვერე 16,13	წვერი (კაცისა)
სტარინ 100,6,	პირჯვარი
პაწკერ 134,34	ხის ნამცეცი
ქვერ 143,31	ყვავი
ლენკნრ 196,15	ალა, საფქვილე
პერ 205,16	ქაფი
ჩერი 210,10	ჩერია, თითისტარი
ყნრ 19,25	კარი
ლარე 20,17	სათიბი
ლწხნრ 33,24	ნიჩაბი
ლექვერ 56,31	წისქვილი
შნრა 57,3	წისქვილის ქვა

¹ როდესაც მაგალითები ბალსხემოური ტექსტებიდან მოგვყავს, ვუჩვენებთ
მხოლოდ გვერდსა და სტრიქონს.

დერა 105,8	გაყინული თოვლი
თხერე 112,4	მგელი
მაცხეწარ 88,19	მაცხოვარი
ლუმბრ 125,29	ნაძვი
ჩერხა 67,11	ქვა (ქალისა)
ძუჭერა 154,8	საცერი
მულგვეჭერი 159,24	მეწისქვილე
ღერბეთ 301,12	ღმერთი
მალყწარ 21,66	მალყართი
ლადწარ 228,34	ტარი
მესწარ 288,29	მესერი
ღერეასრ 332,11	უარსაც
სტვეწარ 388,33	სტვირი
მერილდწარ 401,35	ბუზები
მერი (ბზ.)	მეორედ სათიბი
ლამწარ (ბზ.)	თივის ჩასაყარი ჩელტი
ლემზაგორ ლშხ. 1,25	სოფლის სახელია ლაშხეთში
ქერი (ბზ.)	თავსაფრის ყური
ჭერიი 419,5	ეშმაკი
ქერ 446,32	ქერი
მოჯმწგწარ 427,1	მოჯამაგირე
ქყერი	გვიმრის ჯიშის წიწვიანი მცენარეა
გწრეაშ ლშხ. 2,17	მთის სახელია
ქითხწარი ლშხ. 2,21	მთის სახელია
აშმწარ ლშხ. 12,30	მადლობელი (შღრ. ბზ. მაკემწარ).
ჭურუ ლშხ. 15,23	აუფუფებელი ცომი
მახმწარ ლშხ. 37,32	ფხიზელი
წყწარ ოლდ ლშხ. 38,20	წყწარად
ღწარ ლშხ. 81,1	ღირე
უშხვეწარ 110,2	ერთმანეთი
ლამყწარე 138,20	რძალი რძლისათვის
ყველიწარ 18,24	ყველიერი
ბედნიწარ 95,21	ბედნიერი
ლენჯწარწარ 21,15	ლენჯერლები

ლაკნნრ ლშხ. 16,14	სახარე ადგილი (შდრ. ჯან 'ხარი')
ლახმნრ ლშხ. 16,15	სალორე (შდრ. ხამ 'ლორი')
ლაბტნრ ლშხ. 16,15	საბატე
ლაქთალნრ ლშხ. 16,15	საქათმე (შდრ. ბზ. ლაქთა- ლნრ)
მგეწრ 197,18	მზიანი
კუბდწრ 244,10	კუპატი
ცხნრპლ 204,2'	ფრჩხილები (შდრ. ცხა 'ფრჩხი- ლი')
ფხწრპლ	თევზის ფხა
შდწფპლ	თავთავები (შდრ. შდა 'თავთავე')
ლამქრავ ლერქვპლ 318,21	საშინაო ტანსაცმელი
ზისხნრა 335,3	სისხლის ძეხვი
ლეზბჟრა 350,17	საქმელები (შდრ. ლშხ. ლეზო- ბნრა 76,10)
ხოჩრობა 403,18	სიკეთე, ქონება
მურქჟრა 431,37	მეკურდღელები
ლელმჟრა ლშხ. 3,32	(შდრ. ბზ. ლელმნრ) ნაძენარი
ნაგმჟრ ლშხ. 4,25	ასაშენებელი ქირა (შდრ. ბზ. ნაგმნრ)
ბექოშერალ ლშხ. 1,18	ბექოანთი
გოჩშერალ ლშხ. 1,18	გოჩაანთი
ვონანშერალ ლშხ. 1,19	ონიაანთი
ნრა 103,34	იქნება
ლიმნრე, ანმნრე 126,1	მზადება, მოამზა და
ღემწრ 3,4	ყოფილა
ლიზნრე, აზნრე 10,7	დაზოგვა, ზოგავს
ლიხნრულ 15,18	მხიარულება
ლოხცნრეც სგაჲ 94,22	შეუქვრიტეს შიგ
ლანშდლნრწნხ 107,26	ჩაეხვივნენ
ლიღფჟრე	შელდება (შავად, სამგლოვიაროდ)
ჩვადლაფჟრე 132,28	შელება
ლიცხნრპე	შემოხვევა

შთცხროპწნხ 134,8	შემოეხვიენენ
ლებინყროად 134,32	გასახლეჩად
ჩვალჯუქურელი 153,35	წელი მოსწყვეტია
ლიქარზე	ბანდვა
იქარზალი 157,2	ბანდავს ბევრს
ლიტფურალ 157,10	ტირილი, ხოკვა
ლიწურე	დინება
ლნრე 164,26	რა თქმა უნდა
ლგჯგორე 177,34	გამწყკრივებული
ლიქეთურე	ასო-ასოდ დაქრა რისამე
ლიცენცორე	ხელით დახლეჩა რისამე
ესცინცორე 187,34	ხელით დახლიჩა
ლიჯვერი	შიგ შეწევა რისამე
სგავოთჯვერ 190,25	შიგნით შესწია
ოხხუტურა 193,34	მოუთლია
ლითვერე	დათვალიერება
ლათერვათე 195,9	დასათვალიერებლად
ლიფგნქორე	დაბდღენა
ჩვადფინქორეხ 196,21	დაბდღენეს
ლიწბურე	გაპარსვა
ჩვადწაბურალე 207,34	დაპარსა (ბევრი)
ლიპნრე	დაპირება, გაბედვა
ქადპნრე ეჩხავ 221,29	დააპირა იქით
ლიღვერალ	ჩაციება რაიმე საქმეში
ხეღვერალხ 330,12	აცივდებიან
ლიჩორვე	საყანე აღგილიდან ქვის აწმენდა
ითნრ 396,15	გდინხარ
ლიცყურე	დაცობა
ლაკვჭურად 412,31	გასაგებად
ლურწურად 413,26	გამართულად
ლიტყერი	კაბის აწევა
ლნატყნრ 424,29	კაბა აიწია
უმზიგნრვად ლშხ. 16,30	უქიროდ, არადაავადებულად
ლნყნრიელ ლშხ. 37,33	ჩხუბი
თურეხ ლშხ. 40,6 [44,10	ორთქლდებიან
ლიმნრავ-ლისნრავ ლშხ.	მელიატორეთა მოთათბირება

ლიშერე

ლესვა

აშერე (ბზ.)

ლესავს

ლიტფურე 40,22

გატყავება და სხვ.

ეფიქრობთ, მოყვანილი მაგალითები ნათლად ადასტურებენ იმ აზრს, რომ ხმოვანი გრძელდება განსაკუთრებით რ-ს წინ (შდრ. მაგ. გერმანულიდან: *gebären, scheren, gefrieren, verloren, fahren, schwören* და სხვ.)¹.

§ 78. სვანურში დაიძებნება ისეთი მაგალითებიც, სადაც ხმოვანი არის რ-ს წინ, მახვილიც თითქოს მასზეა სავარაუდებელი, მაგრამ იგი გრძელი არ არის. ასეა, თუ ფუძეში რ-ს უშუალოდ მოსდევს ჯ, გ, ღ, კ; ჯ, უ; ღ, თ, წ თანხმოვნები; მაგ.:

რჯ: ბარჯ (ლშხ. 10,21) 'ბეჭი', ხარჯ (ლშხ. 38,32) 'ხარჯი', გარჯ (ლშხ. 5,11) 'გარჯა, შრომა', ბირჯვ (ბზ. 222,3) 'ბურჯი, საყრდენი', ხურჯინ (74,9) 'ხურჯინი'.

რგ: ბერგ (197,33) 'თიხი', ვარგ (ლშხ. 2,21) 'აზნაური', ბარგ (ლშხ. 59,18) 'ბარგი', ჩირგ (ბზ. 70,14) 'ჩირგვი', გარგლა (ლშხ. 5,31) 'ლაპარაკი' (შდრ. გერმ. *arg, Berg* და სხვა მისთანანი, რომლებშიც *rg*-ს წინ მოქცეული ხმოვანი მოკლეა).

რღ: წირღვ (ბზ. 156,23) 'წვივი', ბირღვ (ბზ. 317,27) 'ბუღი'.

რკ: სარკ (ბზ. 104,9) 'სარკე', გირკიდ (ბზ. 97,13) 'ირგვლივ' (შდრ. გერმ. *stark*).

რჯ: ჯარჯ (ლშხ. 8,32) 'ხახა', ჟერჯ (ბზ. 235,24) 'მოხერხება'.

რღ: ბარღ (ლშხ. 67,19) 'ბარღი', ლარღა (ლშხ. 3,25) 'სამყოფი', მასარღ (ბზ. 289,18) 'ბლომად', კარღალ (204,8) 'კარღალი, ქვაბი', ფარღავ (259,10) 'ფარღავი', ნარღ (215,14) საკ. სახელია.

რთ: ჩირთ (ბზ. 235,20) 'ქვიანი ბორცვი'.

რწ: ქვერწილ (ბზ. 315,2; შდრ. ლშხ. ქორწილ), კვირწ (ბზ. 225,4) 'ყუნწი' და სხვ.

გერმანულში, როგორც ამას ვ. ვილმანსი აღნიშნავს, თუ რ-ს უშუალოდ რომელიმე თანხმოვანი მოსდევს, მაშინ რ-ს წინ გრძელი ხმოვანი არ დასტურდება; მაგ.: *Herbe, mürrbe, Hirse, Erker, stark, hart, Karte, scharf, Herz* და სხვ.²

¹ W. Wilmanns, Deutsche Grammatik, 1897, S. 222, 228.

² W. Wilmanns, Op., cit., გვ. 229.

მაგრამ გერმანულშივე ასეთი მაგალითების გვერდით დასტურდება: Bärt, Fahrt, Arzt. Ur- წინდებულის ხმოვანი გრძელია სიტყვებში: Urahn, Urkunde, მაგრამ მოკლეა სიტყვებში: Urteil, Urlaub. სწორედ ასეთი პარალელური ფორმები დასტურდება სვანურშიც, მაგ.: უშგ. ბჰრჷ 'ნაბიჯი' (შდრ. ჯარჷ 'ხახა'), გიჲრგ (ბზ. 316,16) 'გიორგი' (შდრ. ბერგ 'თოხი'), ლჰრტყ (ბზ. 318,30) 'სარტყელი' (შდრ. ლერტჰმ ბზ. 380,15 'ბოსტნეული') და სხვ.

§ 79. აღსანიშნავია, რომ დაბურულ ერთმარცვლიან სიტყვებში ხშირად სიგრძე არა გვაქვს რ-ს წინ, მაგრამ გაიღება მარცვლი და გადაინაცვლებს თუ არა მარცვლის საზღვარი, ხმოვანი დაგრძელდება. ამ შემთხვევაში პოტენციალურ სიგრძესთან გვაქვს საქმე; მაგალითად:

ბერგ (ბზ. 197,33) 'თოხი', მაგრამ: აბჲრგე (ბზ. 49,25) 'თოხნის';

ბარგ (ლშხ. 59,18) 'ბარგი', მაგრამ: ლიბზრგე 'ამოლაგება' (შდრ. გერ. Tag, მაგრამ: Tãge);

ბირღე (ბზ. 317,27) 'ბული', მაგრამ: ლიბჲრღეე (ბზ. 317,27) 'მტვრის დაყენება, ამტვერება';

ქუნჲრ 'სულები', მაგრამ: ქუნჲრუ (ბზ. 12,7) 'სულები' (შდრ. ე. ვილმანსი, გვ. 219);

ქირ (ბზ. 70,29), მაგრამ ლიქირე (ბზ. 75,10) 'წვალება, ტანჯვა';

ბოგ 'ხიდი', მაგრამ: ათბრგე (ბზ. 142,15) 'ხიდი გაღო';

ჯვიგ 'ჯოგი', მაგრამ: ლიჯრგე 'მეჯოგეობა';

ყჷაბ 'გუნდა' (თოვლისა), მაგრამ: ლიყჷაბე 'გუნდაობა' (გუნდის გაკეთება);

წიქე 'წვეთი', მაგრამ: ლიწიქეე 'წვეთება' და სხვ.

§ 80. დაბურულ ერთმარცვლიან ქირ სიტყვაში თანხმოვანი რ არაერთარ პოზიციას არა ქმნის, მაგრამ სიგრძე მაინც არა გვაქვს. ამის მსგავსი მაგალითები, მართალია, იშვიათია, მაგრამ მაინც შოიპოვება: ზორ 'დანაგროვი' (შდრ. ლიზერი 'შეკრება, თავმოყრა'), შორ 'ხსენება' (შდრ. ლირშენი 'ვინმეს ხსენება'); წორ 'სისხლის საფასური' (შდრ. ლიწერი 'სისხლის აღება'), ქორ 'სახლი' (შდრ. ყორ 'კარი'), ზჰრ 'ზარი' (ტირილისა).

როგორც ზემოთ ვნახეთ, ყველაზე უფრო მეტად გრძელი ხმოვანი სვანურში დასტურდება დახურულ მარცვალში რ-ს წინ. მაშ, რით უნდა ავხსნათ ამის გვერდით არსებული ის მცირე რიცხვი შემთხვევებისა, როდესაც ხმოვანი დახურულ მარცვალშია რ-ს წინ და არ დაგრძელებულა? ჩვენ სპეციალურად შევისწავლეთ ხმოვნის ხანგრძლიობა რ-ს წინ და მიღებული ექსპერიმენტული შედეგები შევეუდარეთ იმ ხმოვანთა ექსპერიმენტულ მონაცემებს, როდესაც იგივე ხმოვანი სხვა თანხმოვნის წინ არის. გამოიკვია, რომ რ-ს წინ ხმოვანი ასეთ შემთხვევებში ნახევრად გრძელი მაინც არის. მაგ.: თხჷმ ('თავი') სიტყვის თ-ს საშუალო ხანგრძლიობა უდრის 18 m/in, მასზე იხარჯება 14,1σ, ხოლო თ-ს ხანგრძლიობა სიტყვაში ფჷრ ('ძროხა') უდრის 27,8 m/in, მასზე იხარჯება 21σ.

მართალია, ქორ ('სახლი') სიტყვის ო ბალსზემოურსა და ლაშხურში არაგრძლად წარმოითქმის, მაგრამ თ. შარაძენი ძემ დაადასტურა, რომ ლატალურში ქორ სიტყვაში ო გრძლად ისმის: ქორ.

§ 81. ხმოვანთა სიგრძე სვანურში, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ხშირად გვხვდება სონანტ თანხმოვანთა ლ, ნ, ვ და ნაწილობრივ მ-ს წინ. უფრო ხშირად კი დასახელებულ სონანტთა წინ ხმოვნის დაგრძელება იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც ისინი ბოლო მარცვლის პოზიციაში არიან მოქცეულნი. ამ შემთხვევაში თითქოს ისეთსავე მოვლენას აქვს ადგილი, როგორიც ლ. შჩერბას ფრანგული l-სა და j-ს მიმართ აქვს დადასტურებული. ის წერდა: „მე დარწმუნებული ვარ, რომ ბოლოკიდური მარცვლები, რომლებიც ბოლოვდებიან l, j-თ, წარმოითქმიან სხვაგვარად, ვიდრე რუსულში: ხმოვანი, რომელიც წინ უძღვის ამ ბგერებს, ოდნავ გრძელდება, ხოლო ხმა ბოლოში რამდენადმე სუსტდება, რათა ისევ გაძლიერდეს ბოლო თანხმოვნის დასაწყისში... მარცვლის დაბოლოება იძლევა უფრო ნარნარა აკუსტიკურ შთაბეჭდილებას, ვიდრე რუსულში (სადაც ბოლო თანხმოვნები თითქოს მძაფრად წყვეტენ წინამავალ ხმოვანს)“¹.

ლ. შჩერბას ეს მოსაზრება მშვენივრად ხსნის სვანურში ბოლო მარცვალში ლ, ნ და მ-ს² წინ დადასტურებულ ხმოვნის სიგრძეს.

¹ Л. В. Шерб а, Фонетика франц. яз., გვ. 77.

² ლ-ს წინ ხმოვნის სიგრძის შესახებ იხ. ზეით.

§ 82. სიგრძე ლ-ს წინ

- ზურალ (ბზ. 236,25) ქალი (შდრ. მრ. ზურალწრ)
 გაერგელ 314,7 გიორგელა (შდრ. გიერგ)
 დივრლ 138,25 გოგონა
 ძუბლ 164,20 პატარა ძუა .
 ყაღაღან (ლშხ. 37,5) ყალიონი
 ღაბრლ 167,14 მოზვერი
 საკმელ 202,20 საკმეველი
 ცარიელ 389,9 ცარიელი
 მრლე 391,20 რალაღა
 ღათრწლ 435,4 ჩიბუხი
 ჩხელაშ 1,15 ადგილის სახელწოდება
 მალ 316,21 მელია
 მუგულ (ლშხ. 57,11) მტრედი
 ჟელშალ 416,31 ძალივით
 ჩრლურ (ლშხ. 1,13) ჩოლური (თემის სახელწოდება)
 კალკალა (თემის სახ.)
 მგულ 21,23 სოფლის სახელია
 ჰალ 125,25 როგორც კი
 ღიყჰალ კოცნა: ღაყჰალს 110,2 საკოცნელად
 ღიწალ (ბზ.) ცხოველის მოგება
 ღიშურიელ 128,36 ხენეშა
 ღიბრწლ ბანა: ჩოთბარალა 133,38 დაუბანია
 ღიბელე გაბერვა: ღგბელაშალ 135,36 გაბერილსავით
 წლ 139,33 წივილი
 ქყულ 240,11 ქყივილი
 დლულ 140,32 წველის ხმიანობა
 ღილქწლ მოთქმა: იტფურწლ ი ილქწლ 158,8 ტი-
 რის და მოთქვამს
 ჟამღელავე 161,23 დამიკადე
 ჩეათბალე 170,30 დააბა (ბევრი)
 ღაღფულღილე 171,8 შეუბერა რამდენჯერმე
 ღიწრწლ გინება: ღაწრწლუშ 188,13 გინებით
 ქწღღლლე 194,26 გაიხადა
 ღიგწალ ადგომა: ჟი იგწალ 233,27 ადგებოდა

ლიღვეჟალ 414,20 მოლოგინება
იღრალ 142,17 მღეროდა და სხვ.

* § 83. სიგრძე ნ-ს წინ

თეტენ 161,32 სადგისი

აქჷნი 168,30 სალამი

მადეჷნ 182,28 ქონება (შდრ. ლშხ. მადეჷნ 42,17) -1

მადრენე 139,32 ყველაზე ცუდი

ვონას 238,1 დროს

დინა 186,33 გოგო, ქალიშვილი

სტამანარ 402,8 დოქები

ჩენი (ბზ.) ქვაბი (თუჯისა)

მაჯონ (ლშხ. 24,16) მსგავსი

საყენ (ლშხ. 36,33) გარეთ გაშლილი სუფრა ქორწილის ან
ტირილის დროს

ამენ 12,1 ამინ

კინჩხ (ლშხ. 39,8) კისერი

კენკა (ლაშხ. 57,4) ნეკი

ტან (ბზ.) ბუჩქი

ტუნუ (ბზ.) ქოთან

გვარებში: ყიფინ, ქურდინ, გუჯეჯინ, ვონინ,
ქალდინ, მარგინ, ფირინ, ჩარკვინ და სხვ.

ლიკენე 132,31 გადაგდება, სროლა

ლიშგურანე დაბარება: აღშგურანე 108,3 დაუბარა

იწინე (ბზ. 108,12) გლეჯს

თერინ 108,35 ჩანდა

ლიჩონე გაცინება: ათჩონ 110,28 გაეცინა

მასტუნა 112,35 ტკივილი

ლიყდანი დაკავება: ლაყდანი თე 125,18 დასაკავებლად,
დასანიშნად

ლიყელინე შეშინება: ჯაყელინი 126,3 გეშინია

ლილონე წყენა: ათლონ 130,29 ეწყინა

ლიცხენე (ბზ.) ვარცხნა

ლიწვენე 134,3 ნახვა

ლიფუნე აღუღება: ოფუნე 140,38 აუღულა

ლიკეცანი შეხოცვა, შემშრალება: ლაყეცანი ლ 179,75.
სახოცი

ლიქვენი დაბრუნება; შეხვევა: ლექვენი 190,22 დასა-
ბრუნებელი

ლიწანე ამოძრობა: ქა ლოხწანე 200,19 გამოუძრო
ლიფანე (ლშხ. 42,10) მკედრის მოხსენება
ლუტკუნი (ლშხ. 40,9) დახუჭული და სხვ.

§ 84. სიგრძე მ თანხმოვნის წინ. მოთხრობითი, ნათე-
საობითი და მიცემითი ბრუნვების მ ფორმანტის წინ ჩვეულებრივ
გრძელი ხმოვანია წარმოდგენილი; მაგ.: ეჯნემ (ბზ. 100,2) 'მან',
მუხებემ (ბზ. 189,26) ძმამ... ცხენი ლათხლოთ (ბზ. 190,13)
ისრის საძებნელად, მარემი გეხალ (ბზ. 119,1) კაცის შვილი,
ლჯემი სარავ (ბზ. 64,20) რძის წყარო... უსგემ ზავ (ბზ.
115,31) ექვს წელს, არამ ლაღლი'ში (ბზ. 115,23) რვა დღისა და
სხვა. გარდა ამისა, მ-ს წინ გრძელი ხმოვანი დასტურდება შემდეგ
სიტყვებში: მაქემ (ბზ. 443,28) მადლობა, ქემ (ბზ. 140,3) გარეთ,
ლასემ (ბზ. 39,29) თავშესაფარი, სემამ (ბზ. 31,5) ქალიშვი-
ლი, ტემბისგა (ბზ. 108,30) ტბაში, აქემ (ლშხ.) მოღვემული,
ნაქემ (ლშხ. 7,14) უცხო კაცი, სტუმარი, თემამდ (ბზ. 9,3)
ნელა, ლემო (ბზ. 66,34) მომეცი, ლალემ (ბზ. 135,2) შე-
კამა, მემ (ბზ. 57,24) არ, ლიქვემე ბოლვა: ქემე (ლშხ.
43,7) ბოლავს, წემიშ (ბზ. 2,20) ქილობისა და ა. შ.

§ 85. სიგრძე ვ (ჟ) თანხმოვნის წინ: დვე (ბზ. 126,1) დევი,
წვერ (ბზ. 200,12) წერო, გვერ (ბზ. 439,10) გეზავრი, აქედან
გვერობ (ბზ. 37,7) გეზავრობა, ლეტვერ (ბზ. 342,32) ხშირი
ტყე, ტვერი, ეჩხნე-ამხნე (ბზ. 124,34) იქით-აქეთ, მვეარ
(ბზ. 39,26) ძალიან, შდნეშ (ბზ. 301,1) ცალკე, შინვერ (ბზ.
426,5) შინაური, ჰვედარენ (ბზ. 415,17) ავდარზე, ტვეა (ბზ.
412,23) წალაპარაკება, წვეა (ლშხ. 88,18) სოკოსმაგვარი ფისი,
ჰვე (ბზ.) რომ, მერენჯა (ლშხ. 61,26) რალაც ანათებდა, გვე-
რი ლიწერი (ლშხ. 46,25) სისხლის აღება, ლიბდნევე (ლშხ. 59,6)
ბღავილი, უდნეშად (ლშხ. 7,3) დაუშავებლად, წუხდენლად,
ათვესუფლე (ბზ. 294,3) ათავისუფლებს, ანთვისუფლემ
(ბზ. 192,25) გაათავისუფლეო, ლიტვევე აყალბაყალი, ხმაური:
ოხტვევე (ბზ. 178,31) აუხმაურდა და სხვა.

აგრეთვე საკმაო რაოდენობით გვხვდება შემთხვევები, როდენ-
მატ ხმოვანთა სიგრძე დასტურდება ზ-სა და უ-ს წინ.

§ 86. სიგრძე ზ თანხმოვნის წინ: ბ ა ზ ი (ბზ. 20,8) ამილამ, ვ ა ზ (ლშხ. 52,29; შდრ. ბზ. ვ ა ზ 290,12) ვაზი, მ რ ა ზ ა ნ დ (ბზ. 239,36) მომვლელმა, ბ ი ზ (ლშხ. 44,1) კმარა, ლ უ ლ ა ზ ე (ლშხ. 39,27) გაღვივებული, ლ ა ზ (ბზ. 1,34) გასასვლელი, ლ ი ს ა ზ რ ე მოსაზრება: ო ხ ე ს ა ზ რ ა ზ (ბზ. 195,3) მოუსაზრებიათ, ი ყ ე ე ზ ი ე ლ (ბზ. 26,23) თვლემს და სხვ.

§ 87 სიგრძე უ თანხმოვნის წინ: კ ა (ბზ. 418,33 'ფიქალი') სიტყვას როგორც კი დაერთვის -ეი (= 'ზე') თანდებული, ა დაგრძელდება; მაგ.: კ ა ე ი (ბზ. 303,31; 315,7—8; 418,36); ასევე გ უ (ლშხ. 48,21; შდრ. ბზ. გ ვ ი 'გული') სიტყვას თუ დაერთო -ჟი თანდებული, უ დაგრძელდება; მაგ.: ხოლა გ უ ჟ ი ნ ა რ ი (ბზ. 440,2) ცუდ გუნებაზეა, ხოჩა გ უ ჟ ი ა რ ი (ბზ. 440,26) კარგ გუნებაზეა... უ ე (ბზ. 240,25) ძილი: ჩ ჭ ა თ უ ე და (ბზ. 262,19) დაეძინა, ჩ ი ე ე (ბზ. 150,14) სიძე, ჩ ა ე ე (ბზ. 84,36) ცხენი და სხვ.

§ 88. არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ხმოვნის სიგრძე დასტურდება ლ თანხმოვნის წინ; მაგ., როდესაც გ უ ('გული') სიტყვას დაერთვის -ლა ('თვის') თანდებული, წარმოიშვება გ რ ძ ე ლ ი უ: გ უ ლ ა (ბზ. 70,29; 391,4; შდრ. ლშხ. გ უ ნ და 11,15; 18,24), მ ა ლ რ ა (ლშხ. 2,33) ხმელი ფიქვი, ლ რ ლ ი ა რ (ბზ. 153,20) მთის მცენარეა (მრ.), მ ე ლ რ ლ ი ე ლ (ლშხ. 89,26) მლოღავი, ჰ ა ლ ვ ი რ (ბზ. 131,38) აღვირი, უ ლ ვ ა (ბზ. 27,14) უღელი, ქ ა ლ დ ი ლ ე (ბზ. 294,26) გაიხადა და სხვ.

ხმოვანთა სიგრძე დასტურდება აგრეთვე მკლერი თანხმოვნების ბ, დ, გ-ს წინ:

§ 89. სიგრძე ბ თანხმოვნის წინ: ლ ა ბ (ბზ. 180,30) საპალნე, ს ა ბ ე ლ (ბზ. 172,18) კვიცი, გ ა ბ უ (ბზ. 390,18) ურქო, დოლა, ვ რ ბ ა (ლშხ.) მრავალი, კ რ ბ გ ლ დ (ბზ. 31,17) კოვზი, ლ ე ბ ი (ბზ. 414,19) სახლის ზედა და ქვედა სართულს შორის ხერელი (შდრ. ლშხ. ლ რ ბ 64,21), ლ ი ყ უ ბ ე ჩ ა ტ ე ნ ა: ხ ო ყ უ ბ ე (ბზ. 212,8) უტენის (შდრ. ლიჯუბე), ლ ი ტ ა ბ ე თ ლ ა: ო ხ ტ ა ბ ე (ბზ. 92,12) გაუთალა, ლ ი ბ ა ბ ე განიავება და სხვა (შდრ. გერმ. haben, gäben, weben, geblieben, gerichen, gehoben და სხვ.)¹.

¹ W. Wilmanns, Op. cit., გვ. 222.

§ 90. სიგრძე ღ თანხმოვნის წინ: ფჲღდას (ლშხ. 71,28) ახლოს, ჯგჲღია (ბზ. 357,23) შორი (შდრ. ლშხ. ჯრღდა), ჯრღი (ბზ. 15,1) გრძელი, სკრღი (ბზ. 105,4) ღრმა, კნდა (ბზ. 24,31) ნაჯახი, ნღუ (ბზ. 96,33) კი, ღიახ და სხვა (შდრ. გერმ. laden, gemieden და სხვა¹).

§ 91. სიგრძე გ თანხმოვნის წინ: ჩიწგ (ბზ. 7,12) ყველგან, იშგნგ (ლშხ. 3,12) სხვაგან, ჯგგრგ (ლშხ. 9,9) წმინდა გიორგი, ლაგგგი (ლშხ. 39,25) ზღურბლი, მრგ (ლშხ.) მცენარეა, ღირგე დაყოვნება: ლჲარგე (ბზ. 171,23) დაიგვიანა, ღიბჲგვე (ბზ. 261,2) მობეგვა (შდრ. გერმ. liegen, schlagen, tragen, bewegen და სხვა²).

აღსანიშნავია, რომ ხმოვანთა სიგრძე დასტურდება ზოგ ყრუ სპირანტ და ხშულ თანხმოვანთა წინ.

§ 92. სიგრძე შ თანხმოვნის წინ: კეწში (ბზ. 57,5) მკადი, ცწშ (ბზ. 19,7) ხუთშაბათი, ბრღწ (sic) (ბზ. 446,10) ბოღიში, ლწში (ბზ. 54,11) თესლი, ლწშხ (ბზ. 55,15) ლაშხეთი, ყრშ (ბზ. 11,25) კოვზი, კწშ (ბზ. 216,12) ქურჭი, მრშ (ლშხ. 3,16) ცალკე; მუწშ (ლშხ. 1,17) მუაში, ადგილის სახელია, სასწშ (ლშხ. 1,15) სასაში, სოფლის სახელია, მახწშ (ლშხ. 2,3) მახაში, სოფლის სახელია, მანწშ (ლშხ. 4,32) ქვაფი, მწშ (ლშხ. 5,22) კვირა და სხვ.

§ 93. სიგრძე ხ თანხმოვნის წინ: ქქსა (ბზ. 350,11) ქისა, ოსწავე (ბზ. 384,1) სიხმარი, თწსღღებ (ბზ. 90,26) პირობა, ნწსყე (ბზ.) ნემსი, ღიტწსე საკმევლის კმევა: ატწსახ (ბზ. 172,27) აკმევლენ და სხვ.

ქვემოთ მოყვანილ მთელ რიგ მაგალითებში ხმოვანთა სიგრძე დასტურდება თ, ფ, ც, ჭ, ყ და სხვა ყრუ თანხმოვანთა წინ, რაც ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ხმოვნის სიგრძე სვანურში მკიდროდა დაკავშირებული მახვილთან და ინტონაციასთან.

§ 94. სიგრძე თ თანხმოვნის წინ: ლღთ (ბზ. 296,34) ღამე, ლწთ (ბზ. 305,6) გუშინ, წვეღთ (ლშხ. 89,20) წვეთი, -ე თ სუფიქ-

¹ W. Wilmanns, Op. cit., გვ. 222.

² იქვე.

ის ე გრძელდება შემდეგ სიტყვებში: ჯოჯხეთ (ბზ. 229,27) ჯოჯოხეთი, სომხეთ (ბზ. 232,4) სომხეთი, ქაჯეთ (ბზ. 60,1) ქაჯეთი, ხმელეთისგა (ბზ. 121,1) ხმელეთში და სხვ.

§ 95. სიგრძე ფ თანხმოვნის წინ: ფეთა (ბზ. 343,6) ლანდი, ტელეთი (ლზხ. 36,6) მცენარეა, ტფუთ (ლზხ.) უგულო, მფფხე (ბზ.) მოწმენდილი (ცა), ლიქაფე წაქცევა: ქნდქაფდა (ბზ. 127,36) გადაიქცა, ლიტრფანე გადაბრუნ-გადმობრუნება.

თითო-ოროლა შემთხვევა ხმოვნის სიგრძისა სხვა ყრუ თანხმონებთანაც დასტურდება; მაგ.: ლნცე (ბზ. 21,1) დაცინვა, ლაცე (ბზ. 55,30) სიცილში, ნაქა (ბზ. 81,32) ჯაქვი, ჩნქვას (ბზ. 242, 21) ბალახიან მიწის ნაქერს (ბელტს), მწქე (ბზ. 293,12) ლიმილი, გურქ (ბზ. 391,26) მრგვალი ქვა (შდრ. ლზხ. გრნქა 6.6), ნაყუნ (ლზხ. 36,6) შექამანი, ყაზაყ (ლზხ. 55,20) ყაზახმა, ასრყე (ლზხ. 13,3) აგიეებს, მარაქ (ბზ. 434,25) ბზის საზიდი დიდი გოდორი, ლიბაქე გაქრობა: ლზბნქანხ (ბზ. 190,28) გაუქრათ, ლნყი ამოყვანა: ნყიხეი (ბზ. 192,5) ამოჰყავთ და სხვა.

§ 96. გარდა ამისა, ხმოვნის სიგრძე გვხვდება ერთ და ორ-მარცვლიან სიტყვებში, თუ მარცვალი ღიაა; მაგ.: ჩნ (ბზ. 104, 10) ყველას, ამწწ (ბზ. 125,33) ამის, ეჩწწ (ბზ. 124,21) იმის, ეშწწ (ბზ. 117,8) მაინცდამაინც, სურწ (ბზ. 173,16) სიამოვნებით და სხვ.

§ 97. ბუნებრივად იბადება კითხვა: რა მიმართებაშია ერთმანეთთან გრძელი ხმოვნების ხმარების მხრივ ბალსზემოური და ლაშხური?

ენობრივ მასალათა შედარებამ გვიჩვენა, რომ ძირითადად გრძელი ხმოვნები ერთნაირად და ერთნაირ პოზიციაშია წარმოდგენილი როგორც ბალსზემოურში, ისე ლაშხურშიც, მაგრამ თითო-ოროლა განსხვავება მაინც ვვაქვს. ასე, მაგ., ბალსზემოურში სიტყვა მურყვამ ('კოშკი') წარმოდგენილია ჩვეულებრივი უ-თი, მაშინ როდესაც ლაშხურში ის გრძელი უ-თი იხმარება: მურყვამ (ლზხ. 1,4). ამ სახელისგან ნაწარმოებ ზმნაშიც ლაშხურში უ გრძელია: ლიმურყვამლ (ლზხ. 20,16) თოვლის კოშკის აგება.

თუ პოზიციის მიხედვით ვიმსჯელებთ, აქ უ-ს სიგრძე არ უნდა ახასიათებდეს, ვინაიდან რ-ს უშუალოდ უ მოსდევს (შდრ. ლაშხ. ბარყვენ 4,31 'ტყემალი'). საფიქრებელია, რომ ამ დახურულ მარცვალში უ-ს სიგრძე სპონტანურადაა წარმოშობილი (შდრ. უშგ. ბჭარკ, ძვ. ქართ. ფერკი).

ჟე ('ძილი') ბალსზემოურში წარმოდგენილია გრძელი უ-თი. ამ სახელისგან ნაწარმოებ ზმნაშიც უ ყოველთვის გრძელია: ჩჟეთჟეხ (ბზ. 25,2) დაიძინეს. ლაშხურში კი უე ჩვეულებრივი უ-თი გვხვდება (ლშხ. 72,29) და მისგან ნაწარმოებ ზმნაშიც სიგრძე არა გვაქვს: ჩოთუჟა (ლშხ. 72,32) დაუძინია.

ლაშხურში ხაეშხა'ს ('ჰქვია') პირველი ა გრძელია (ლშხ. 1,2; 9,20), ბალსზემოურში ხაეხა'ს პარალელურად ხაეშხა იხმარება, მაგრამ ა ჩვეულებრივია (ბზ. 105,20; 58,4).

ეზ ('ეაზი') ლაშხურში (52,29) გრძელი ა-თია წარმოდგენილი, ბალსზემოურში კი ეზ (290,12) გვაქვს. ენქა ('ნეკი') ლაშხურში (57,4) გრძელ ე-ს შეიტაცეს, ბალსზემოურში კი ჩვეულებრივს ე-ს; ენჩხ ('კისერი') ლაშხურში (39,8) გრძელი ე-ს მქონეა, ბალსზემოურში კი ჩვეულებრივი ე-სი (75,8); ასევე ბერღე ('ბული') ლაშხურში (93,23) გრძელი ი-თ წამოითქმის, ბალსზემოურში კი ჩვეულებრივი ი-თ (317,27). ბალსზემოურში ჩერი (210,10) წარმოდგენილია გრძელი ე-თი: ლაშხურში კი ჩვეულებრივი ე-თი, ხოლო მისგან ნაწარმოები სიტყვა ბალსზემოურშიც და ლაშხურშიც ჩვეულებრივი ე-თი გვევლინება: ჩერშდა (მრ. ჩერშდალ ბზ. 210, 10), ლშხ. ჩერიშტა 'კვირისთავი'. ნარგილ ('შინაური') ლაშხურში გრძელი ა-თი იხმარება (2,26), ბალსზემოურში კი ნაეგრილ ვ არის; განგალ ('დიდი, დიდებული') ლაშხურში გრძელ ა-ნიანია (3,27; 18,23), ბალსზემოურში კი არა: განგალ; სგურდა (ლშხ. 69,7 'იჯდა'), ლახსგურდა (ლშხ. 51,27 'შეჯდა') ბალსზემოურში ყოველთვის ჩვეულებრივი უ-თი გვხვდება (211,32; 236,35). ქართული სიტყვა ავდარი ბალსზემოურში შესულია ამ სახით: ჰანდარ (415,17), ლაშხურში კი ავდარ. ასევე ვალჭრ ('ველური') ბალსზემოურში გრძელი უ-თია წარმოდგენილი, ხოლო ლაშხურში ჩვეულებრივი უ-თი: ველურ. გარდა ამისა, ქართ. -იერ სუფიქსის ე ბალსზემოურში გრძელია: ბედნიერ (95,21), ყველიერ (18,24), ცარიერ (ბზ. 389,9), ვიდიერ (402,9) და სხვ., ლაშხურში კი ეგვე სიტყვები ჩვეულებრივი ე-თია ნახმარი და სხვ.

§ 98. ელი ფიშერ იორგენსენს სპეციალურ წერილში Objektive und subjektive Lautdauer deutscher Vokale¹ შესწავლილი აქვს გერმანული გრძელი და მოკლე ხმოვნები. მასვე განზოგადებული აქვს გერმანული ხმოვნების შესახებ გამოთქმული მოსაზრებანი და მათ შორის ე. მაიერის ექსპერიმენტული მონაცემებიც.

ამ მონაცემთა მიხედვით ირკვევა, რომ მოკლე ხმოვანს ყველაზე მეტი ხანგრძლიობა ახასიათებს r-ს წინ (11,6), შემდეგ l-ს წინ (7,9), შემდეგ n-ს (7,8), s-ს (7,7), x-ს წინ (7,4) და ა. შ.

იორგენსენი საბოლოოდ ასეთ დასკვნას იძლევა: ხმოვანთა ობიექტურ სიგრძეს განსაზღვრავს ხმოვნის დაქიმულობა და დაუქიმულობა. ხმოვნის სიგრძე დამოკიდებულია მახვილზე, კვალიტეტზე და ზოგ შემთხვევაში მომდევნო r-ზე (იქვე, გვ. 6).

ხმოვანთა სიგრძის წარმომშობ ფაქტორთაგან აქ დასახელებული ორგანოთა უფრო მეტი დაქიმულობა გრძელი ხმოვნების წარმოქმნისას ფიზიოლოგიური ფაქტორია და იგი საერთოდ დამახასიათებელია ყოველი გრძელი ხმოვნისათვის. სვანურში როგორც მახვილისა, ისე გარკვეულ თანხმოვანთა გავლენა გრძელი ხმოვნების წარმოქმნაში უდავო ფაქტია. რაც შეეხება კვალიტეტს, იგი სვანური გრძელი ხმოვნების განხილვისას გამორიცხულ უნდა იქნეს, ვინაიდან ის სემანტიკური ძალა, რომელიც კვალიტეტთან არის დაკავშირებული, სვანურში გრძელ ხმოვნებს არ გააჩნია.

↳ § 99. როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ბევრ შემთხვევაში ხმოვანთა სიგრძე სვანურში მიღებულია ორი ხმოვნის შერწყმით ან კიდევ მეზობელი თანხმოვნების გავლენით (შდრ. კა, მაგრამ: კ აჟი; გუ, მაგრამ: გ უჟი, გ ულა და სხვა მისთ.). ეს კი უდავოდ მიუთითებს გრძელი ხმოვნის კომბინაციურ წარმოშობაზე. მეორე მხრით, სვანურში ხმოვნის სიგრძის წარმოშობა უშუალო კავშირშია მახვილსა და ინტონაციასთან (შდრ. ბერგ, მაგრამ: ლ ი ბ ო რ გ ე, კ ი რ, მაგრამ: ლ ი კ ო რ ე და სხვა მისთ.).

აქვე უნდა დავძინოთ, რომ სვანური გრძელი ხმოვნების ექსპერიმენტული მონაცემების შედარებამ გერმანული გრძელი ხმოვნების ექსპერიმენტულ მონაცემებთან ფრიად საგრძნობი განსხვავება გვჩვენა. დადასტურდა, რომ სვანურის გრძელ ხმოვნებს უფრო

¹ Archiv für vergleichende Phonetik, 1940, Bd. 4, Heft I/II.

მეტი ხანგრძლიობა ახასიათებს, ვიდრე გერმანული ენის ფონოლოგიური კატეგორიის გრძელ ხმოვნებს.

§ 100. სვანურ გრძელ ხმოვანთა ექსპერიმენტული მონაცემები ჩვენთვის უფრო გასაგები შეიქნა მას შემდეგ, რაც ეს მასალები შევუდარეთ ლატვიური ენის გრძელმახვილიან ხმოვანთა ექპერიმენტულ მონაცემებს.

ა. აბელე თავის საყურადღებო ექსპერიმენტულ გამოკვლევაში Об акцентуации ударенных простых гласных в латышском языке ქ. ვოლმარის გარეუბნის მკვიდრთა მეტყველების აქცენტუაციის მიხედვით ასეთ დასკვნას იძლევა: „რხვეათა საზღვარი, რომელიც დამოკიდებულია მეტყველების ტემპზე, სინტაქსურ პირობებსა და სხვაზე, უფრო ხშირად 20 და 40 სიგმას (სიგმა=სეკუნდის მეასედს) შორის არის, მაგრამ შესაძლებელია გადააჭარბოს კიდევ ამ უკანასკნელ ციფრს. საშუალო ხანგრძლიობა დაახლოებით უდრის 30“ (გვ. 42).

დაახლოებით ასეთსავე სურათს იძლევა სვანურ გრძელ ხმოვანთა ხანგრძლიობის ჩვენი ექსპერიმენტული მონაცემები.

მაგ.: ხ ჳ ბ	(‘აბია’)—43σ
ჩ ჳ ე	(‘ცხენი’)—42,8σ
ლ ე ქ ე	(‘თქვა’)—42,9σ
ე ი ე	(‘ზემც’)—37,3σ
ხ ო ბ	(‘უბია’)—28,7σ
ყ უ ლ ი	(‘ყვირის’)—29,1σ და სხვ.

ამ მონაცემების მიხედვით სვანურ გრძელ ხმოვანთა საშუალო ხანგრძლიობა დაახლოებით უდრის 37. მცირეოდენი განსხვავება ჩვენსა (საშუალო ხანგრძლიობა 37) და ა. აბელეს (საშუალო ხანგრძლიობა 30) ექსპერიმენტულ მონაცემებს შორის იმით აიხსნება, რომ მან ლატვიური ენის გრძელი ხმოვნები შეისწავლა ორმარცვლიან სიტყვებში, ჩვენ კი სვანური გრძელი ხმოვნები შევისწავლეთ ერთმარცვლიან სიტყვებში.

ამ შედარებიდან ერთი მეტად საყურადღებო დასკვნა გამომდინარეობს: სვანურს, ლატვიური ენის მსგავსად, ~~გრძელმახვილიანი ხმოვნები აქვს და არა გრძელი ხმოვნები.~~

§ 101. ი. ენძელინს, პ. შმიდტსა და ა. აბელეს ლატვიურში ტონის მოძრაობის მიხედვით სამგვარი მახვილი აქვთ დადგენილი: გრძელი ანუ აღმავალი, დაშვებული და ქულეტილი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პირველი ორი მახვილი სვანურსაც ახასიათებს.

ი. ენძელინი პირველი სახის მახვილს უწოდებს გრძელ მახვილს (Steigende Ton, gedehnter Ton, რუს. долгое ударение). მისი აზრით, გრძელმახვილიანი მარცვალნი წარმოითქმის ხანგრძლივად და თანაბარზომიერად ისე, რომ ბოლომდის ინახავს ერთნაირ სიძლიერეს. დაახლოებით ასეთსავე მოსაზრებას გამოთქვამს ამ ტიპის მახვილის შესახებ პ. შმიდტი. მისი აზრითაც, გრძელმახვილიანი ხმოვანი წარმოითქმის თანაბარზომიერად ისე, რომ ხმის არც ამალღებას აქვს ადგილი და არც დადაბლებას. აკუსტიკური შთაბეჭდილება ისეთია, რომ ასეთი ხმოვნები უფრო ხანგრძლივად წარმოითქმის, ვიდრე გრძელი ხმოვნები რუსულსა და გერმანულში¹.

§ 102. ჩვენი დაკვირვებით, სვანურის გრძელ ხმოვნებში ტონის ამ სახის მოძრაობა ძირითადად გაბატონებული.

თუ რამდენად ხანგრძლივი და თანაბარზომიერია აღმავალი ტონის მოძრაობა სვანურის გრძელ ხმოვნებში, სანიმუშოდ მოვიყვანთ 5 ხმოვნის სიმალის გამოანგარიშების ექსპერიმენტულ შედეგებს. დეშ ('არ') სიტყვაში 5 შეიცავს სულ 59 ორმაგ რხევას (Vd). მიუხედავად იმისა, რომ 5-ს წარმოთქმის მთელს მანძილზე რხევათა შორის მცირეოდენი ვარიაცია შეინიშნება, პირველი და დამოცდამეცხრამეტე Vd-ს ზომა ერთნაირია (14). ტონის მოძრაობა თანაბარზომიერია. ამ სახის ტონის მოძრაობა გვაქვს სვანურ სიტყვებში: მარე ('კაცი'), ლარე ('სათიბი'), ვერე ('წვერი კაცისა'), შორა ('წისქვილის ქვა'), დორ ('დირე'), ყორ ('კარი'), ჩიქე ('სიძე'), ტუნუ ('ქოთანი'), კადა ('ნაჯახი') და მისთ.

ტონის აღმავალი მოძრაობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა სვანურის აღმავალ დიფთონგებში, მაგ. ბჟ.-ში:

აჟ: ლოლდჟქ (382,2 'ცხვარი'), ხეხვდჟქ (331,14 'საცოლე') და სხვა;

¹ П, Ш м и д т, Троякая долгота в затышном языке: Сборник Отдел. инст. русскою языка и словесности АН, т. LXVII, № 2, გვ. 2.

ჟჷ (იჷ): მჷმჟჷდა (366,25 'შემიძლია'), ჯჷმჟჷდა (366,24 'შეგიძლია'), ბედნიჷრ (95,21), გიჷრგ (321,1 'გიორგი'), ცჷრიჷლ (420,18), ღიჷ (342,34 'ღედისა');

უჷ: მუჷთე (89,35 'მამის თვალი');

ჟჷ: მჷჟჷ (389,1 'რამც');

ან: სგჷან (156,27 'თქვენც'), ნჷან (155,37 'ჩვენც') და მისთ.

§ 103. აღმავალი ტონის მოძრაობის გვერდით სვანურში დასტურდება დამავალი ტონის მოძრაობაც. ~~კუროლ~~ დამავალი ტონის მოძრაობა გვაქვს სიტყვაში ბრღოშ (446,10 'ბოღიში'). ამ სიტყვაში თუ გრძელი ო აღმავალი ტონით წარმოითქმის, სამაგიეროდ გრძელი ი წარმოითქმის დამავალი ტონით. ანალოგიურია ტონის მოძრაობა ქართულიდან სვანურში შესულ სიტყვაში: ამრთან (ბზ. 121,18 'ამისთანა'). როცა ძირისეული ხმოვანი წარმოითქმის აღმავალი ტონით, მაშინ სუფიქსის, ნაწილაკის ან თანდებულის ხმოვანი წარმოითქმის დამავალი ტონით და მთელი სიტყვა აღმავალ-დამავალი ტონის მოძრაობის შემცველია, მაგ. ბალსზემოურში: დნწშ (440,12 'გოგოსი'), დნრლ (378,32 'გოგონა'), დნრლნ (324,21 'გოგონაც'), კრბრლ (389,25 'ხის დიდი კოვზი'), კჷჷნ (418,36 'ფიქალზე'), ბწნ (446,19 'ამალამაც'), ლთნ (446,35 'ლამეც'), მჷრჷმიშ ი მჷფხჷში ნწგაჷ ('ლრუბლიანსა დამოწმენდილს შუა'), უჩჷქლ (304,2 'ცოლშეურთველები'), ჷჷანრლნ (324,21 'ქანათის კონაც'), მწსმმდ (440,21 'შესამედ'), რცწლ (439,38 'იყინის'), ნწგაჩჷნ (422,1 'შუაში'), ჷმენჩჷნ (422,27 'გარე ქვე'), ყრჷნ (428,17 'კარზე'), ლრბჷრ (420,36 'საბძლები'), კწსარჷრთწსგა (428,30 'კეისარიანთსა') და მისთ.

ამის მიხედვით ირკვევა, რომ სვანურისათვის დამახასიათებელია არა სიტყვის მახვილი, არამედ მარცვლის მახვილი. ბალსზემოურსა და ლაშხურში ერთისა და იმავე სიტყვის სხვადასხვა მარცვლი შესაძლებელია წარმოითქვას სხვადასხვაგვარი ინტონაციით — აღმავალითა და დამავალით. ხმოვანთა თავისებური სიგრძეც ამ დიალექტებში შედეგია აღმავალი და დამავალი ტონის მოძრაობისა.

დამავალი ტონიც ასევე მკაფიოდ არის გამოხატული სვანურის დამავალ დიფთონგებში, მაგ. ბალსზემოურში:

მა: ლაღე (406,13 'დაიჭირა ხელში'), ეჯღა (404,19 'მაინც'), ჯაღ (400,28 'თვითონაც'), ალაღ (399,4 'ესეც'), ერჯა (405,6 'ვინც'), მაღ (400,27 'რაც');

ნა: დნამუ (384,28 'დედა და მამა'), სნა (366,13 'შენც'), მნა (379,2 'მეც'), ჩნა ('ყველასაც');

ნა: ათხნა (2,13 'ახლაც');

ნა: ჩნა (338,17 'ქვეც') და სხვ.

რაც შეეხება უმახვილო მარცვალთა წარმოთქმას, მათში აღმავალი და დამავალი ინტონაცია ერთმანეთს ემთხვევა. აქ ინტონაცია უფრო დამავალია, ვიდრე აღმავალი¹.

ამგვარად, სვანურ გრძელ ხმოვანთა ფონეტიკურმა და ფონოლოგიურმა შესწავლამ იმ დასკვნამდის მიგვიყვანა, რომ სვანურში ხმოვანთა სიგრძე არაა ფონოლოგიური, იგი ფონეტიკურია. ხმოვანთა სიგრძე სვანურში წარმოადგენს სვანურისათვის დამახასიათებელი აქცენტუაციისა და ინტონაციის ინტეგრალურ ნაწილს.

§ 104. დასასრულ, ბუნებრივად იბადება კიდევ ერთი კითხვა, რომელიც ი. ენძელინს დასმული აქვს ლატვიურ გრძელ ხმოვნებთან დაკავშირებით. საკითხი ეხება იმას, თუ რა ნიშნით უნდა გამოიხატოს სამეცნიერო ლიტერატურაში ხმოვანთა წარმოთქმის ეს თავისებური ხანგრძლიობა. ი. ენძელინი შენიშნავს, რომ ჰორიზონტალური პატარა ხაზით გრძელი ინტონაციის გამოხატვა, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი სჩადის, უხერხულია, ვინაიდან ასეთი ნიშნით ჩვეულებრივ ხმოვანთა სიგრძე აღინიშნებაო². ჩვენც ეგვე შეგვიძლია გავიმეოროთ სვანურის მიმართ, ვინაიდან სვანურს ფონოლოგიური კატეგორიის გრძელი ხმოვნები არა აქვს. ამ კონტექსტში კიდევ უფრო გასაგები ხდება არნ. ჩიქობავას მოსაზრება მთიულურში გრძელი ხმოვნების არსებობის შესახებ³.

§ 105. ა. შანიძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ „ხმოვნების სიგრძე ლენტეხურსაც და ბალსქვემოურსაც ჰქონიათ, მაგრამ მათ იგი დაუკარგავთ დროთა ვითარებაში“, სავსებით გასაზიარებე-

¹ შდრ. И. Энделин, Заметки к латышской акцентовке, გვ. 149.

² იქვე, გვ. 149.

³ არნ. ჩიქობავა, გრძელი ხმოვნები მთიულურში.

ლია, თუკი ხმოვანთა სიგრძის ქვეშ ვიგულისხმებთ გრძელ ინტონაციას. ამ სახის ინტონაციას მართლაც შეეძლო დაეცვა ფუძისეული ხმოვნები უმლაუტისა და რედუქციისაგან ლენტეხურსა და ბალსქვემოურში.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სვანურისათვის დამახასიათებელი აქცენტუაცია და ინტონაცია ყველაზე პირველად შესუსტებულა იმ დიალექტებში, რომლებიც უშუალოდ ემეზობლებიან ქართულსა და მეგრულს, ალბათ, როგორც ამას ა. შანიძე ფიქრობს, ქართულისა და მეგრულის გაელენით. აღსანიშნავია ისიც, რომ ბალსქვემოურსა და ლაშხურში განსაკუთრებით გეცემათ თვალში ხმოვანთა გრძელი ინტონაციით წარმოთქმა ქართულიდან და მეგრულიდან ნასესხებ სიტყვებში. /

IV. აქცენტუაცია სვანურში

§ 106. საგანგებოდ აღსანიშნავია სვანური მეტყველების მუსიკალობა. სვანურის აქცენტუაცია და ინტონაცია იმდენად მდიდარია, რომ ამ მხრივ სვანურს დღეს ვერ შეედრება ვერც ერთი სხვა ქართველური ენა. ბევრი რამ, რაც მოძმე ქართველურ ენებში მიჩქმალულია სავსებით, ან შესუსტებულია, სვანურში რელიეფურადაა წარმოდგენილი. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ სვანური ენის აქცენტუაცია ნარევი ტიპისაა, ისე როგორც ნარევი სვანური ენის ბუნებაც. სვანური მახვილის ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი შეიცავს რამდენიმე მომენტს: მუსიკურს, სუსტ დინამიკურსა და ამავე დროს კვანტიტატურს—რაოდნობის მომენტს. მუსიკური და რაოდნობის მახვილი სვანურში დღესაც ძლიერი ჩანს და ისტორიულადაც ისინი ერთმანეთთან მკიდრო კავშირში უნდა განვითარებულყვნენ. რაც შეეხება სიძლიერის ანუ დინამიკურ მახვილს, იგი მუსიკური მახვილის ხნოვანებისა არ უნდა იყოს სვანურში.

§ 107. რაოდნობის ანუ კვანტიტატური მახვილი ლ. შჩერბას გამოკვლევით განსაკუთრებით დამახასიათებელია რუსულისათვის¹ და ნაწილობრივ ფრანგულისათვის².

რუსული მხვილი ძირითადად დინამიკურ-მუსიკურია, მაგრამ, გარდა ამისა, იგი კვანტიტატურ ხასიათსაც ატარებს. ასე: მაგ., ლ. შჩერბას გამოანგარიშებით რუსულში ყოველი მახვილიანი ხმოვანი დაახლოებით ერთ-ნახევარჯერ უფრო გრძელია, ვიდრე უმახვილო ხმოვანი ანალოგიურ პოზიციაში. რადგანაც რუსულს ხმოვანთა ისტორიული სიგრძე-სიმოკლე არ ახასიათებს, ამიტომ რუსულ ხმოვანთა ეს შედარებითი ხანგრძლიობა მკაცრად ფონეტიკურია და არა ფონოლოგიური.

§ 108. ვ. ბოგოროდიცკის ასევე ექსპერიმენტულად აქვს შესწავლილი მახვილიან და უმახვილო ხმოვანთა შეფარდება ყაზა-

¹ Л. В. Щерба, Русские гласные в качественном и количественном отношении, გვ. 148.

² Л. В. Щерба, Фонетика франц. яз., გვ. 74.

ნის თათრულში და შემდეგს დასკვნას იძლევა: ნანა ('ბაბუა') და qan:n ('კალოში') სიტყვებში ხმოვანთა შეფარდება ექსპერიმენტული მონაცემებით ასეთია: ა/i 10σ/22σ, ე. ი. უმახვილო ხმოვანთა თავისი ხანგრძლიობით ორჯერ უფრო მოკლეა მახვილიანზე¹.

დაახლოებით მსგავს სურათს იძლევა სვანურის ჩვეულებრივ და გრძელ ხმოვანთა ხანგრძლიობის შეფარდების ექსპერიმენტული მონაცემებიც. ასე, მაგ., ჩვეულებრივი ა-ს საშუალო ხანგრძლიობა სიტყვაში ზად ('ალაო') უდრის 24,3 m/m, მასზე იხარჯება 18,4 σ (მასშტაბი: 1,32 m/m), ხოლო სიტყვაში ხანდ ('ჰქონდა') გრძელი ა-ს საშუალო ხანგრძლიობა უდრის 46,9 m/m, მასზე იხარჯება 35,6 σ. შეფარდება ნათელია.

§ 109. სხვაგვარი ვითარებაა გერმანულში. გერმანულშიც მახვილი დინამიკურ-მუსიკურია², მაგრამ რაოდნობითი ანუ კვანტიტატიური მომენტი მახვილისა იქ არავითარ როლს არ ასრულებს, რადგანაც გერმანულში გრძელი ხმოვნები წარმოადგენენ განსაკუთრებულ ფონოლოგიურ კატეგორიას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სვანურის ე. წ. გრძელი ხმოვნები ამ ენაში მოქმედი რაოდნობის ანუ კვანტიტატიური მახვილის ფუნქციაა. მსგავსად რუსულისა, აქ გრძელი ხმოვნები განსაკუთრებულ ფონოლოგიურ კატეგორიას ეყრდნობიან, რის მშვენიერ ილუსტრაციასაც სვანური ლექსები წარმოადგენენ. სვანურ ლექსებში მახვილის მუსიკური და დინამიკური მოძებნები ფარავენ რაოდნობის მომენტს და ამიტომ ხმოვანთა სიგრძეც ქრება...

§ 110. სვანურს მოძრავი მახვილი ახასიათებს. ცალკეულ სიტყვებს ჩვეულებრივ იგი ბოლოდან პირველ ან მეორე მარცვალზე მოუდის. მაგ., სიტყვაში მარე ('კაცი') ცენტროიდის ხმოვანია³ ბოლოდან მეორე ხმოვანი (ა), მაგრამ სიტყვაში მარე ('მაგრამ') ცენტროიდის ხმოვანია ბოლოდან პირველი ხმოვანი (ე).

ცენტროიდის ხმოვანია ბოლოდან მეორე ხმოვანი შემდეგს ბალსზემოურ სიტყვებში:

¹ В. А. Богородицкий, О корневом вокализме и его изменениях в казано-татарском диалекте, გვ. 117.

² H. Paul, Deutsche Grammatik, Band I, 1916, S. 150—157.

³ E. W. Scripture, Experimentalphonetische Untersuchungen über den Bau der deutschen Verszeile: Extrait des Archives Néerlandaises de Phonétique Experimentale, t. IV, 1929, p. 2.

დ ო ნ ა (341,9 'გოგონა'), ს ო მ ა ქ (31,5 'ქალიშვილი'), ნ ა პ უ (193,33 'ლუქმა'), ჩ ო რ ი (210,10 'ჩერია'), ლ ო რ ე (20,17 'სათიბი'), თ ხ ო რ ე (112,4 'მგელი'), შ ო რ ა (57,3 'წისქვილის ქვა'), ლ ო რ ბ ე თ (301,12 'ღმერთი'), მ უ ლ გ ვ ე ჰ ო რ ი (159,24 'მეწისქვილე'), ა ნ მ ო რ ე (126,1 'შოამზადა'), ა ხ ო რ ე (10,7 'ზოგავს'), ლ ი ტ ვ უ რ ე (40,22 'გატყავება'), ქ უ ნ ო რ უ (12,8 'სულეები'), ლ ი კ ო რ ე (75,10 'წვალება, ტანჯვა'), ა ბ ო რ გ ე (49,25 'თოხნის'), მ ო ლ ე (391,20 'რალაცა'), ჩ ო ლ უ რ (ლშხ. 19,13 'ჩოლური'), მ ა დ რ ო ნ ე (139,32 'ყველაზე ცუდი'), ლ ი კ ე ნ ე (132,31 'გადავლები'), ბ ა ზ ი (20,8 'ამალამ'), ჩ ო ე ე (150,14 'სიძე'), უ ჩ ო ე ა (103,27 'გაუსიძებელი'), ს ა ბ ე ლ (172,18 'კვიცი'), ჯ ო ლ ი (15,1 'გრძელი'), ო ს ნ ა ე (384,9 'სიზმარი'), თ ა ს ვ დ ე ბ (90,26 'პირობა'), ქ ო ს ა (350,11 'ქისა'), ა ს ო ყ ე (ლშხ. 13,3 'აგიყებს'), უ ლ ვ ა (27,14 'ულელი'), ნ ა ქ ა (81,32 'ჯაკევი'), მ ტ ს მ ა (227,1 'მესამეს', შდრ. მ ე ს მ ა 269,36), მ ტ ე ა რ (332,26 'ძალიან', შდრ. მ ე ე ა რ 93,23), ჰ ო ქ ა (99,9 'შაჯა'), ა ლ უ (97,7 'კი, დიახ'). ვინაიდან ამ სიტყვაში ა ცენტროიდის ხმოვანია, ამიტომ ხშირია უ-ს რედუქცია: ა დ ვ (325,33; შდრ. ბ ზ. ა დ რ, ლ შხ. ო დ რ 60,23 'თორემ'). ამის მსგავსად არის გადმოცემული ქართული სიტყვები სვანურში: ა ს ო ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ შ ი წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ი ა ა ს ე ფ ო რ მ ი თ (193,18); შდრ. უ ც ხ ვ (-უცხო), კ ა ლ ე (-კალო), ვ ო ქ ე რ (-ოქრო), კ ე ბ (-*კუბე -კუბო 32,7) და სხვ. (შდრ. ა გ რ ე თ ვ ე გ უ რ. თ ვ ა რ - თ უ ა რ, ხ ვ ა რ - ხ ო (მ) ა რ და სხვ.).

§ 111. ხშირად აბსოლუტური ბოლო ხმოვანი ვოკალიზაციას ჰკარგავს და ქრება იმის გამო, რომ ცენტროიდის ხმოვანია ბოლოდან მეორე ხმოვანი; მაგ. ბალსზემოურიდან: ს უ რ (-სურა 4,5), ბ ო გ (-ბოგა 314,28), ბ ა დ (-ბადე 76,29), დ ო რ (-დირე ლშხ. 81,1), ჯ ი ბ (-ჯიბე 283,4), ხ ე ლ წ ი ფ (-ხელწიფე 272,31), ს ო რ კ (-სარკე 286,19), ქ ა რ კ (-ხახა 242,27), ბ ა პ (-მეგრ. პაპა 'მღვდელი' 430,28), ძ ა ძ (-ძაძა 63,26) და მისთ. (შდრ. ოსური: ašt - ašta 'რვა')¹.

¹ В. И. Абаев, Об ударении в осетинском языке: ДАН, 1924, 154; შდრ. В. Богородицкий, Диалектические вазетки. VIII. Об антропофоническом строении жемайского слова по наблюдениям в Полаванге, 1910 г., 83. 113.

არის შემთხვევა, როდესაც წინამავალ ხმოვანზე მახვილის დასმის გამო არა მარტო აბსოლუტური ბოლო ხმოვანი ქრება, არამედ მასთან ერთად თანხმოვნებიც იკარგება, ოღონდ ეს შეეხება ვ და ნ თანხმოვნებს; მაგ.: წირ (-წირვა ბზ. 16,10), ლოც (-ლოცვა 8,36), ცოდ (--ცოდვა), იფ (--იფნი 232,6) და სხვ. ანალოგიური მოვლენები კარგად აქვს ასსნილი ვ. ბოგოროდიცკის რუსული ენის ისტორიის ფაქტებზე. ასე, მაგ., ბოლოკიდური უმახვილო ხმოვანი ხშირ შემთხვევაში სავსებით დაიკარგა (МОЮСЛ-МОЮСН), ან დუბლეთი ფორმები წარმოიშვა სრული ხმოვნისა და ნახევარი ხმოვნის სასით (მაგ. ЗАМАЮЮ || ЗАМАЮЮ)¹.

§ 112. სვანურისთვის ბუნებრივია აგრეთვე მახვილის დასმა² ბოლოდან პირველ მარცვალზე გარკვეულ სიტყვებში; მაგ. ლაბუროდან: ხოჩა (2,23 'კარგი'), ათსტ (1,5 'ახლა'), მარა (1,7 'მაგრამ'), ეჩა (1,11 'მისი'), ეჩქა (58,32 'მაშინ'), ლეჟა ('ზევით'), ხოშა (8,26 'უფროსი'), ჯგგრაგ (24,19 'წმინდა გიორგი'), ლერტქე (17,22 'ტანსაცმელი'), ლადტლ (17,22 'დღე'), ჩიგარ (17,24 'ყოველთვის'), ნგშა (-ნუმა 'არ' ბზ. 173,24), ეშრეშ (ბზ. 65,33, შდრ. ეშრეშ ბზ. 184,11 'მაინცდამაინც'), ამრ (ბზ. 72,11, შდრ. ამრ ბზ. 70,29 'ამის'), ეჩრ (ბზ. 227,27, შდრ. ეჩრ ბზ. 266,6 'მისი'), ამჟრნ-ი-ამჟრნ (ბზ. 228,7 'ასე და ასე'), ლგშგრტე (ბზ. 219,30, შდრ. ლგშგრტე ბზ. 262,2 'დალოცვილი'), ლუმრ (ბზ. 69,36, შდრ. ლუმრ ბზ. 60,24, ლშხ. ლუმურ 'ნაძვი'), სურნ (ბზ. 55,12 'სიამოვნებით'), ალრ (ბზ. 103,5 'აბა'). ეს სიტყვა ზოგჯერ პროკლიტიკად იქცევა, თუ მახვილი მის მომდევნო სიტყვაზე გადავა; მაგ., ალვქსერ (ბზ. 96,33 'აბაო').

§ 113. აბსოლუტურ ბოლოში მოქცეული ი, რომელიც ქართ. ც(ა) ნაწილაკის ფუნქციისა, ყოველთვის მახვილს ატარებს და ზოგჯერ გრძლადაც გადმოიკემა; მაგ. ჰარაყრ, ნაყუნრ, დინარ (ბზ. 10,7 'არაყი, შექამანდი, პური'), ქოშრ, პირსახვეცრ (ბზ. 204,27 'ქოშიც, პირსახოცი'), მგსკადრ (ბზ. 405,18 'ბეჭე-

¹ В. Богородицкий, Экспериментально-графическое исследование двусложных слов в общерусском произношении, გვ. 322.

² არსებია ჯონაჰან, მგმარეშ ი ბალხარე ეხნლე ხორავ, ნ. მარის წინასიტყვაობა, გვ. V.

დიც'), ხეხვი (ბზ. 219,17 'კოლიც'), ბაპი (155,8 'მღვდელიც') (შდრ. ურემი 'ურემიც' ბზ. 238,31) და სხვ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ტიპის მოძრავი მახვილი ისტორიულად სხვა ქართველურ ენებს და, კერძოდ, ქართულსაც ახასიათებდა, როგორც ამას ფიქრობს არნ. ჩიქობავა¹.

§ 114. დღეს სვანურში თითქოს შეინიშნება მახვილის ტენდენცია სტაბილიზაციისაკენ. ეს ტენდენცია გამოიხატება უფრო ხშირ შემთხვევაში მახვილის წინ, მეორე მარცვალზე წამოწევაში.

მახვილის მეორე მარცვალზე დასმის ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა ნაწარმოებ ფუძეებში; მაგ., ბერგ ('თოხი'), მაგრამ: აბერგე ('თოხნის'), ბარგ ('ბარგი')—ლიბარგე ('ბარგება'), ჭირ—ლიქირე ('ტანჯვა, წვალება'), ბოგ—ლიბოგე ('ხიდის გაღება'), გიერგ—ლიგერგი (ბზ. 282,26 'გიორგობა') და სხვ.

§ 115. განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ინტონაციის გახანგრძლივება სვანურში აფიქსებლა² და თანდებულებზე. ასეთებია კინობითის სუფიქსები ბალსზემოურში: -ნლ: დედბერნლ (417,29 'დედაბერი'), ლგგარნლ (314,10 'კვერცხი'), თგრქდნლ ('მაკრატელი'), კამნნლ (334,14 საკ. სახ.), გდერგნლ (314,7 'გიორგელა'), ვოჯრნლ (323,24 'ობოლი') და სხვ.

-რლ: აშირანრლ (95,19), ქორრლ (219,2 'სახლაკი'), კოტრლ (200,7 'კოტა, მცირე'), ძურლ (164,20 'ძუა'), წირრლ ('ურო'), დნრლ (323,26 'გოგონა') და სხვ.

§ 116. ასევეა დანიშნულების სუფიქსი ბზ.-ში-აქ: ღველდაქ (56,20 'ცხვარი'), ზექდაქ ('საშეშე'), დაბდაქ ('საყანე'), ხეხვდაქ (331,14 'საცოლე') და სხვ.³

-ინ ბოლოსართი გვარებში: დედდარინ (ბზ. 28,8), დდიშქელინ (ბზ. 29,1), წიფინ (ბზ. 30,6), ქურდინ (ბზ. 33,1), მარგინ, ფალინ, ლშხ. ყიფინ, ონინ, ჩარკვინ და სხვ.

ქართულიდან შესული სუფიქსი -ეთ ყოველთვის გრძელი ხმოვნითაა წარმოდგენილი: ჯოჯხეთ (ბზ. 229,27 'ჯოჯოხეთი'), სომ-

¹ სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 108—109.

² ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, გვ. 195, 199.

³ გ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, III, გვ. 50.

ბჷთ (ბზ. 232,4), ქაჯჷთ (ბზ.), განჯჷთ (ბზ. 31,28), ხმელჷთ (ბზ. 121,1)... (შდრ. წვეჷთ ლშხ. 89,20 და სხვ.).

§ 117. გრძელი ხმოვნით გვხვდება ზმნებში გამოყენებული სუფიქსი -წლ¹: იტფურაწლ ი ილქაწლ (ბზ. 158,8 'ხამამალლა ტირის და მოთქვამს'), ილრაწლ (ბზ. 194,5 'მღერის'), იშდრაწლ ('თამაშობს'), იხელაწლ (ბზ. 51,30 'დადის') და სხვ.

-ი-წლ: იყვეწხიწლ (ბზ. 26,23 'თელემს'), ლიშტურიწლ ('ხენეშა'), ირბაწლ ('პურს აცხობს'), იქჷდიწლ ('კითხულობს'), იყარაწლ ('იკემება')... (შდრ. ცარაწლ ბზ. 389,9 და სხვ.).

§ 118. გახანგრძლივებული ინტონაციით წარმოითქმის ზოგიერთი თანდებული, რომელთა ხმოვნები ზოგჯერ გრძელია და ზოგჯერ მახვილიანი, გრძელზე ნაკლები; მაგ. ბალსზემოურიდან: -შაღ (= 'ვით'): ხელწიფშაღ (86,11 'ხელმწიფესავით'), დწვეშაღ (406,14 'ღვევიით'), ლგგრაშაღ (59,16 'კვერცხივით'), ფექშაღ (69,2 'ფქვილივით'), ფინდიხშაღ (60,20 'ტყვიასავით'), ძულგაშაღ (33,19 'ზღვასავით').

-ჟინ || ეინ (= '-ზე'): ჰალაჩინ (78,7 'ალიონზე'), ხოლაძგუჟინ (226,18 'ცულ გუნებაზე'), ეჩინ (357,10 'ისე', შდრ. ეჩენ 357,8)... ქვეყანაჟინ (97,13 'ქვეყანაზე'), ურემჟინ (356,20 'ურემზე'), რიყჟინ (415,20 'რიყზე'), პილჟინ (415,25 'ნაპირზე'), ბარჯჟინ (415,25 'მხარზე') და სხვ.

§ 119. ასევე დამავალი გახანგრძლივებული ტონის მოძრაობით წარმოითქმის ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტისეული ხმოვანი; მაგ.: მუაშ (ლშხ. 1,17 ადგილის სახელია), სასაშ (ლშხ. 1,15 სოფელია), მახაშ (ლშხ. 2,3 სოფელია), ქუთაშ (ბზ. 5,11 ქუთაისი). ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტისეული ხმოვანი ქართულშიც ატარებს მახვილს; მაგ.: ძმ-ისა, დღ-ისა, მეგობარ-ისა²... მოთხრობითში: ეჯნემ (ბზ. 100,2 'მან'), ხოშამ (ბზ. 33,3 'უფროსმა'),

¹ ვ. თოფურია, სვანური ენა, გვ. 87.

² არნ. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში, გვ. 196.

მუხებემ (ბზ. 189,26 'ძმამ'), ამნემ (ბზ. 428,32 'ამან') და სხვ.¹

§ 120. სვანურში მახვილს ატარებს მრავლობითი რიცხვის -წრ-ანლ ფორმანტის ხმოვანი, თუ ფუძისეული ხმოვანი უმახვილოა. იმ შემთხვევაში, როდესაც ფუძისეული ხმოვანი მახვილიანია, მაშინ -წრ/-ანლ ბოლოსართს მახვილი არ მოუდის; მაგ.: ქეწერ (ბზ. 143,31 'ყვავი')—მრ. ქწრანლ (150,32), ყწრ (ბზ. 362,6 'ყარი')—მრ. ყწრანლ (ბზ), დწვე (ბზ. 240,30 'ღვეი')—მრ. დწვეწრ (279,11) და სხვ.

სხვა შემთხვევებში მახვილი მოძრავია: იგი ფუძის ხმოვნიდან გადადის მრავლობითი რიცხვის ფორმანტისეულ ხმოვანზე; მაგ. ქიწხ (ბზ. 90,24 'ფეხი')—მრ. ქეწხწრ (204,1). ი-გ იმაზე მიუთითებს, რომ მახვილი -წრ სუფიქსზეა. შდაწვალ (ბზ. 276,35 'მერცხალი')—მრ. შდაწვლწრ (277,1), ტეწელ (ბზ. 249,23 'ტოლი')—მრ. ტოლწარ, ვრჯ (ბზ. 160,29 'გველი')—მრ. უჯწარ (31,11), გეწეკ (ბზ. 424,30 'გოკი')—მრ. გოკწარ (424,23), წინწრლ (ბზ. 139,25 'წიწილა')—მრ. წინწრლწარ (193,6) და სხვ.

§ 121. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მახვილი ფუძისეული გრძელი ხმოვნიდან მრავლობითი რიცხვის ფორმანტზე გადაინაცვლებს. ამის გამო ფუძისეული ხმოვანი სიგრძეს კარგავს და იშვიათად შესაძლებელია გაქრეს კიდევ; მაგ.: ზურანლ (ბზ. 415,23 'ქალი')—მრ. ზურანლწარ (362,29) ან კიდევ: ზურანლწარ (ბზ. 357,24); სწმაქ (ბზ. 276,28 'ქალიშვილი')—მრ. სიმქწარ (276,20; შდრ. სიმქწაშ ბზ. 276,37 'ქალიშვილისა'); გიწრგ (ბზ. 316,16 საქ. სახ.), მაგრამ: გდერგწლ (ბზ. 314,7) (შდრ. გერმ. vor, dar, her, მაგრამ: voran, darin, herein და სხვ.²).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მახვილს ატარებენ პრევერბებისა და ზმნის წინ ხმარებული ნაწილაკების ხმოვნები³.

¹ შდრ. „В склонении имен существительных долги окончания имеют дательный и местоименный падежи, причем первый только в словах женского рода“ (П. Шмидт, Тройкая долгота в латышском языке, გვ. 4).

² W. Wilmanns, Op. cit., გვ. 307.

³ ვ. თ. თვ. ურია, სვანური ენა, გვ. 154.

§ 122. ჩვენი აზრით, პრევერბის ხმოვნის შერწყმა ზმნის თავ-კიდურ ხმოვანთან და გრძელი ხმოვნის წარმოშობა ბალსზემოურსა და ლაშხურში მახვილის შედეგია; მაგ.: ქაჩანდ — ქაჩანდ (ბზ. 5,6 'გავიდა'), სგანჯანდხ — სგაჩანჯანდხ (ბზ. 5,10 'შემოვიდნენ'), სგახეხე — სგაჩახეხე (ბზ. 31,20 'შეუბა') და სხვ.

ასევე მახვილის საფუძველზე ხდება ხმოვანთა შერწყმა შემდეგ მაგალითებში: აღესერ — აღაესერ (ბზ. 404,7 'ესო'), ჯესერ — ჯაესერ (ბზ. 265,31 'თვითონო'), ქორთნახანდ — ქორთეაჩანდ (ბზ. 348,31 'სახლში წავიდა') და სხვა (შდრ. გურ. ქ'არ — ქეარ, ქ'არ — კიარ და სხვ.).

მახვილის გავლენის შედეგად უნდა იყოს შერწყმული ფუძისეული ორი ხმოვანი სიტყვებში: კესარ (-ევისარი ბზ. 317,16), დეკეენ (-დიაკონი ბზ. 357,8), ყარ (-ყვარი ლშხ. 28,27), კილ (-კივილი ბზ. 88,6), დეფან (-დერეფანი ლშხ. 73,22) და სხვა (იხ. ზევით).

§ 123. გარდა ამისა, ზმნის წინ დასმული უარყოფითი ნაწილაკების ხმოვნებს მახვილი აქვთ; მაგ.: დესახოეცა (ბზ. 358,27 'არ უძინია'), დოსანჯანდა (ბზ. 356,4 'არ მოიტანდა'), მოდხეთმი (ბზ. 354,11 'არ ექირვება'), ნოსალახეშა (ბზ. 427,9 'არ დალიო'), მანდანხინ (ბზ. 290,33 'არ მიუშვა'), მანახელენ (ბზ. 358,3 'არ ჰქონდა') და სხვ. მეგრულსაც ასეთი ნორმა ახასიათებს; მაგ.: ჭარო ('წერე') — ვაქარა ('არ წერო'), ნგმეკარგენქ ('ნუ სწერ')¹.

§ 124. რთულ სიტყვებში შეინიშნება ორგვარი მახვილი — მთავარი (უფრო ძლიერი) და მეორეხარისხოვანი (უფრო სუსტი). მთავარი მახვილი კომპოზიტის პირველი წევრის პირველ ან მეორე მარცვალზე მოდის, ხოლო მეორეხარისხოვანი მახვილი — მეორე წევრის წინა ან ბოლო მარცვალზე²; მაგ. წნევერ-მეძებარ (ბზ. 245,1 'მწვეარ-მეძებარი'). აქ პირველი წევრის ე-ზე მთავარი მახვილია, მეორე წევრის ა-ზე კი მეორეხარისხოვანი. ამ ტიპის მახვილი გვაქვს რთულ სიტყვებში: ლეთ-ლადელ (ბზ. 83,18 'დღე-ღამე'), ქყინტგეზანლ (ბზ. 80,12 'ყაყიშვილი'), ლეხევეტბ-ლტთერ

¹ И. К и п ш и д в е, Грамматика мингрельского яз., გვ. 13.

² ისტორიულად იგი მეორე მარცვალაია.

(ბზ. 109,6 'სასმელ-საქმელი'), დ ნ ა გ ე ზ ა ლ (ბზ. 209,19 'ქალი-შვილი'), შ ი ა პ ი რ რ ბ (ბზ. 295,22 'ზელ-პირობა'), თ ა რ ი ნ გ ზ ე ლ (ბზ. 183,5 'მთავარანგელოზი'), რ ჯ დ რ ნ - გ უ რ ნ ა ('ქვასანაყი'), დ ი ა მ უ (ბზ. 174,11 'დედ-მამა'), ჯ ჯ მ რ ლ - დ ა ჩ ე რ ა (ბზ. 139,7 'დაძმა'), ტ ე რ - მ ო ყ ე ვ ა რ ე (ბზ. 113,6 'მტერ-მოყვარე', შდრ. ლშხ. ტერ-მოყვარ 37,8). არსენ ონიანის ლაშხურ ტექსტებში ფ ა რ - ხ ა ნ გ ა რ (57,5) პირველი წევრის ა გ რ ძ ე ლ ი სახითაა წარმოდგენილი, თუმცა ლაშხელთა წარმოთქმაში ა არაა გ რ ძ ე ლ ი. აყტორს აქ სიგრძის ნიშანი მახვილის ნიშნის ნაცვლად აქვს ნახმარი, რაზედაც ნ. მარი ამ ნაშრომის წინასიტყვაობაში მიუთითებდა (გვ. V).

§ 125. მსაზღვრელისა და სასაზღვრის ურთიერთობა მახვილის თვალსაზრისით მეტად საყურადღებო მასალას იძლევა; მაგ.: ძ უ ლ ე ვ ა - პ ი ლ ე ი (ბზ. 90,6 'ზღვის პირზე'; შდრ. მეგრ. ზღვა პიჯი)¹, ლ ი რ დ ე ლ - ლ ი ზ გ ე (ბზ. 374,7 'ყოფა-ცხოვრება'). ამ კომპოზიტში მახვილი და მის საფუძველზე წარმოშობილი სიგრძე პირველი წევრის ბოლოკიდურ ე-ზეა, მაგრამ, როდესაც ეს კომპოზიტი მთლიანად გამოდის მსაზღვრელის როლში, მაშინ მახვილი ადგილს გადაინაცვლებს და ამ კომპოზიტის აბსოლუტურ ბოლოზე ისმება, მაგ. მ ი ჩ ა ლ ი რ დ ე - ლ ი ზ გ ე ხ გ ნ ს გ ა მ (ბზ. 152,17) 'მისი ყოფა-ცხოვრების ნახევარს'. ამის მიხედვით ნათლად ირკვევა სვანური მახვილის მუსიკური მხარე. ამ შემთხვევაში მახვილს ტონის მოძრაობის საფუძველზე გარკვეული სინტაქსური შენაერთის გამოხატვის ფუნქცია აქვს დაკისრებული. მაგ. ჩ ა ლ ს ი მ ე ქ ო რ თ ე (ბზ. 121,19) 'ჩალსიმეს სახლში', ლ ი რ დ ე ვ ა დ ა (ბზ. 115,23) 'სიცოცხლის ვადა', მ ე თ ე ბ ზ ე გ ე ზ ა ლ ს (ბზ. 84,12) 'მეთევზის შვილს', ლ ა დ ი ლ ა დ ე ლ (ბზ. 157,11) 'დღევანდელ დღეს'. გ ი ო რ გ ი თ ხ ე ი მ (ბზ. 270,13) 'გიორგის თავი', ძ უ ლ ე ვ ა ტ ა ხ (ბზ. 227,34) 'ზღვის ღორი, ტახი', ვ ა ლ დ ე ლ ი შ ი ა ლ (ბზ. 4,33) 'ხალდეს ომი', ჩ ე რ კ უ ბ (ბზ. 32,8) 'სპილენძის კუბო' და სხვ.

ამ მაგალითებში მახვილი რიტმიკული ჯგუფის ხასიათისაა და ხმოვანთა სიგრძეც მის საფუძველზეა წარმოშობილი. მახვილი ამ

¹ И. Кипшидзе, Грамматика мингрельского яв., გვ. 14.

² აქ ლ ი რ დ ე ი ლ ი ზ გ ე ი გულისხმება.

შემთხვევაში შესიტყვების ფონეტიკური მთლიანობის ფაქტორს წარმოადგენს. ეს რომ ასეა, ამაში კიდევ უფრო გვარწმუნებს სვანური წინადადების მელოდიკის გათვალისწინება.

§ 126. მთავარი და დამოკიდებული წინადადების მიჯნაზე მოლოდინის ინტონაცია მკვეთრად გამოირჩევა მთავარი წინადადების აბსოლუტურ ბოლოში მოქცეულ ხმოვანზე მახვილის დასმით¹.

ნაცვალსახელურ მახვილიან ხმოვანს თუ წინ მიუძღვის ბოლო-ხმოვნოვანი სიტყვა, მაშინ ბოლოკიდური ხმოვანი უერთდება მახვილიან ხმოვანს და გრძელი ხმოვანი წარმოიშვება (შდრ. ქ ა ჩ ა დ); მაგ.: „ეჯა დეჰმარდ ანმეჯრუ: გ ა ჩ ს როქე ჩეწლდედ შგილხანჩუნ“ (ბზ. 49,15) ‘იმას ველარავენ მიხედა (გაიგო), რომ დანა ჩომოვიტანოთ სხვენიდანო’; „აჩანდ ალ კოჯა ძირ თესგა, იმეწა ხან კოლ ლახსგმა“ (ბზ. 91,7) ‘წავიდა იმ კლდის ძირას, საიდანაც კივილი მოესმა’; „აჩანდ ალა ქა ეჯ ლარდა თუ, იმეწა მიჩა ხეხე აყურა“ (ბზ. 179,37) ‘წავიდა ეს იმ ოთახში, სადაც მისი ცოლი იწვა’; „ქაჩანდ ეჯ ლიც თექუ. ხედეწა ლიცს გველმარაჰა ხემთქეწნდა“ (ბზ. 192,32) ‘წავიდა იმ წყლისაკენ, რომელსაც გველვეშაპი სჩეეოდა’; „ღემპარ ლამარაჟი ერშელდ თხვიმს იქეცეხ-ბ, ვო შვწად მარ’ არი ქორისგა“ (ბზ. 15,11) ‘ლამპრების დამზადებისას იმდენს ცალს (თავს) კრიან, რამდენიც სულია ოჯახში’; „ეჯჯი ჩვად ლახეუ, ჯა ვედდ ოთჩანდ“ (ბზ. 205,18) ‘ისე გალახა, რომ თვითონ ძლივს გაექცა’; „ამეჩუნ შიშდ ჩვესწეწეხ ეჯ ს ი მაქ-ბ, ხედეწა ერ ბამბი კარავეისგა სგურდა“ (ბზ. 330,29) ‘აქ მაშინვე დაინახეს ის ქალიშვილი, რომელიც (რომ) ბამბის კარავში იჯდა’; „ალა ჯასმახ ანს-ს, მი შგვა დივიტრად მი ჩეამდაგარ“ ... (ბზ. 323,5) ‘ეს გაგიგონიათ ვინმეს, (რომ) ჩემმა დედინაცვალმა მე მომკლა’; ... „მი როქე ერქა ხეწროლ ისგუ მოლლატ-ბ, ლახე ისგვა ბარგს ხოჩანდ დომ ლაჯშხვიწანს!“ ... (ბზ. 283,20) ‘მე მაშინ ვიქნებოდი შენი მოლაღატო, როდესაც შენს ბარგს კარგად არ შეგინახავდიო’; „ანწად ი სგოთწანდ ლეზობთე ეჯ მეშხე ლედვ-ბ, ხედეწა ხოშხვენწან ჯიბისგა“ (ბზ. 283,34) ‘მოვიდა და შეურია საკმელში ის შავი ხორცი, რომელიც შენახული ჰქონდა ჯიბეში’; „ეჩიშ მრ მამ-

¹ შდრ. В. Всеволодский-Генгросс. Теория русской речевой интонации, 1922, გვ. 56.

გვემ მიხე, მწაღენ სი შდავლარ ჯირიხ“ (ბზ. 277,13) ‘იმისი მე არაფერი ვიცი, რალაც შენ მერცხლები გყავს’; „ოლა მწეარ ათხნ-ღენ ბეჟანს-ს, ლახე მესკად სგაზრიგინ ი გულ ავანდ, ერე ალა როსტომიშ ლასვ“ (ბზ. 239,23) ‘ეს ძალიან გაუხარადი ბეჟანს, რომ ბეჟედი მოერგო და მიხვდა, რომ ეს როსტომისა იყო’; „ეჩქა ეწანმარე მიჩა დიდ ეჯეინ-ე, იმეწაეინ აღშგურანე როსტომდ“ (ბზ. 237,2) ‘მაშინ მოამზადა მისმა დედამ ისე, როგორც დაუბარა როსტომმა; „ალან ეჯ სოფელს ათასლ-ე, ხედვამ სოფელისგა ხვეჯე იზვა“ (ბზ. 169,25) ‘ამანაც იმ სოფელს გაუარა, რომელ სოფელშიც ხვეჯე ცხოვრობდა’; „მიშგუ ლახება, ალა მამ რა, გვიშ-გვედ ბაბას ეშხუ თე მანი ხაყა“ (ბზ. 93,3) ‘ჩემო ძმებო, ეს რა არის („იქნება“), ჩვენს მამას ერთი თვალი არა აქვს? „მარ ესერ ლი ალ, ამენგა მეყერე?“ ‘ვინ არის ესო, ამაში მწოლიარე?’ „ათხე: თი ლანშუანდ ლალ სერ ვაზირს ეჯე, პირობ ხანდ ლუჰვედ ი ხეჰე“ (ბზ. 274,17) ‘ახლა გაახსენდა ვეზირს ისა, რომ პირობა ჰქონდა მიცემული და უთხრა’ და სხვ.

§ 127. სვანურ ფრაზაში ჩართული სიტყვები და წინადადებები გამოიყოფიან განსაკუთრებული მელოდიკით; მაგ. ანქანდ ალს, მგშკიდ დარჯელან, ი ეშხუ ქაფ ასალ ანშქანდ“ (ბზ. 91,6-7) ‘მოვიდა ეს, მჭედელი დარჯელიანი, და ერთი ტვირთი სოლი გამოჰქელა’; „ე, მიჩა ცოდუ ხავე, მინეშე, დერვანს ალა ხოქვენს!“ (ბზ. 89,10) ‘ე, ჩემი ცოდვა ეკიდოს, ჩენიც, ვინც ეს გიფხრა!’ „ეწანსელვან ალს, მგლდელ...“ (ბზ. 171,8) ‘გაცოცხლდა ეს, მწყემსი...; „ალას-ბ, კინტოს ესერ ჩეადგარი ბანი“ (ბზ. 351,31) ‘ამას, კინტოს, მოვეკლავო ამალამ’; „აშხე ლეთ ალმარს-ს, ხაჯნ დავითს ი მიჩა ხეხეს, ლეწჰობ ხანდ“ (ბზ. 345,12) ‘ერთ ღამეს ამათ, ხაჯი დავითსა და მის ცოლს, წვეულება ჰქონდათ’; „ეჯა ჩუ ლეძიპ ხოხალხ-ე, დინა“ (ბზ. 345,10) ‘ის დაკლული ჰგონიათ, გოგონა’; „ალა ჩვარი ამჩუ ი ხემსახვირ ეზარდ ალმარს-ს, მიჩა დის ი მუს“ (ბზ. 345,10) ‘ეს აქ არის და ემსახურება კარგად იმათ, მის დედასა და მამას’; „ალა ნულენ, წაქან წყყუნ, ი ჰეჯაჟუ...“ (ბზ. 306,3) ‘ეს გვაქვს, წაქის შექამანდი, და თუ გინდა’...; „ალ-ნორ ჩუ ლალემ-ს, მეშხე ლედვ, ეჩქა...“ (ბზ. 283,7) ‘ეს რომ შექამა, შავი ხორცი, მაშინ...; „ალმარ აგით’ ადგე გურგენდ-ს, ქილარ ი ურემი...“ (ბზ. 238,31) ‘ესენი შინ წაილო გურგენმა, ეშეები და ურემიც’; „ეჩას ესერ დარ მოშ ხაწრე, დავ კეჟინს“

(ბზ. 180,4) 'მას ვერავენ მოერევაო, დევს კეეიანს'...; „აღჯარ ჩ ე ო დ-
ვა ხ შ მ ჳ ნ ხ - ა, მ გ ლ ხ ა მ ნ რ ა ლ, ე რ ქ ა შ ი ა რ ი ქ ა ნ დ ბ ა რ ხ...“ (ბზ. 22,5)
ამათ ივახშმეს, მულახელმა კაცებმა, მაშინ ხელეგიც დაიბანეს' და სხვა.

§ 128. კითხვით წინადადებაში განსაკუთრებული მელოდიკით წარმოითქმის კითხვის გამომხატველი ნაწილაკი; მაგ.: „ქენსარ ესერ არი მ ა ს ა გ ის?“ (ბზ. 353,6) 'კეისარი შინ არისო?'

„ივე' ესერ მ ა ჩ უ?“ (ბზ. 310,4) 'თუ გძინავსო?'

„სგ' ესერ ოხვიდა მ ა ქ ო რ თ ე?“ (ბზ. 347,31) 'თუ შემოუტანე შინო' და სხვ.

ამ მაგალითების მიხედვით ირკვევა, რომ ფრაზის ბოლოში დასმული მახვილი, ისე როგორც კითხვით წინადადებაში კითხვის გამომხატველ ნაწილაკზე დასმული მახვილი, ფონეტიკურ მთლიანობას ჰქმნის და ამით ჰქმნის წინადადების სინტაქსურ მთლიანობასაც; ასევე ამ ტიპის მახვილი ფონეტიკურ მთლიანობას ჰქმნის მსაზღვრელისა და სასაზღვრის სინტაგმაში და, ბოლოს, ორი ხმოვნის გაერთიანებით ცალკეულ მარცვლებში.

თუ ფონოლოგიურ ლიტერატურაში გავრცელებულ ტერმინებს ვიხმართ, შეიძლება ვთქვათ, რომ სვანურში გაბატონებული მახვილი არა მონოტონურია, არამედ პოლიტონური¹.

¹ შტრ. П. С. Кузнецов, К вопросу о фонологии ударения: Докл. и сообщения филологического факультета МГУ, 1948, გვ. 16.

V. დიფთონგიზაცია და მარცვალთა ჩაოდნობის შემცირება მახვილის გავლენით

§ 129. სევანური მის მოძმე ენათა შორის ყველაზე უფრო მდი-
დარია დიფთონგებით. ტონის აღმავალი და დამავალი მოძრაობის
გაბატონების გამო სევანურში უხვადაა წარმოდგენილი როგორც
აღმავალი, ისე დამავალი დიფთონგებიც. საამისო ნიმუშების ნაწილი
ზემოთ იყო დასახელებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის,
რომ როგორც აღმავალს, ისე დამავალ დიფთონგებში უმარცვლო
კომპონენტებად მონაწილეობენ **ა** და **ჟ**¹.

§ 130. აღმავალი დიფთონგები: **ა**ლო (39,7)² 'აბა', **ა**რღ
(27,20) 'ვინ', **ა**ორი (27,13) 'ორი', **ა**ური (34,32) 'ორჯერ',
აურსალამ (74,10) 'იერუსალიმი'... **ჟ**ალჟრ (61,35) 'ველური',
ჟშხჟნრ (33,31) 'ერთმანეთს', **ჟ**ჟაბან (პოეზ. 28,73) 'ყუბანი',
ტჟეტ (31,13) 'ტოტი ხელისა', **ლ**ახჟნმ (32,33) 'მისცა', **ჟ**ებიშ
(39,27) 'პარასკევი', **ჟ**ერბ (397,23) 'ორბი', **ჟ**არგ (49,25) 'ახნა-
ური', **ლ**ჟაშ (40,27) 'ჯიხვი', **ლ**ჟელღჟქ (56,19) 'ცხვარი', **ლ**ე-
ქჟნრ (56,31) 'წისკელი', **ლ**ეზჟებ (57,7) 'საქმელი', **ტ**ჟელ
(249,23) 'ტოლი', **ჟ**ერთქლ (244,14) 'ორთქლი', **შ**ჟელტ (185,4)
'შოლტი', **გ**ჟიშგჟე (60,21) 'ჩენი', **ჟ**ისიბ (92,20) 'უსუბი',
ქჟინ (421,11) 'სული', **თ**ჟინგ (342,7) 'თუნგი', **პ**ალჟირ (68,
18) 'პანღური', **ქ**ჟირქჟილდ (პოეზ. 44,6) 'ქურქი' და სხვ.

§ 131 დამავალი დიფთონგები: **ზ**აღ (125,7) 'წელიწადი',
ნაღ (28,5) 'ჩენი', **ხ**აღშხა (58,5) 'ჰქვია', **კ**ეღსარიშ (104,26)
'კეისრისა', **ათ**ხნღ (26,31) 'ახლაც'... **ე**ჩხნჟ-ამხნჟ (24,34)
'იქით-აქეთ', **ნ**ომნჟ (56,13) 'ნუმც', **ხ**ოჩნჟ (365,30) 'კარგიმც',
ღნჟ (256,14) 'დევი', **შ**ინწჟრ' (426,5) 'შინაური', **ლ**ღმზღრნჟ
(80,13) 'დალოცვილიმც', **თ**ეჟ (64,19) 'თევი', **ს**ანღრრჟ (103,21)
'სამღურავი', **ჟ**ნჟ (53, 30) 'ზევით' და მისთ.

¹ ბალსხემოურ ტექსტებში ჟ-ს ნაცვლად დაბეჭდილია ვ. იგი უნდა წავი-
კითხოთ როგორც ჟ.

² მაგალითები ამოღებულია ბალსხემოური ტექსტებიდან.

იშვიათად, მაგრამ მაინც არის შემთხვევა, როდესაც აღმავალი და დამავალი ტონის მოძრაობა ერთდება და წარმოიშვება ტრიფთონგი; მაგ.: ეზიკელაჲ ე ზ მ ა ე შ ე რ ა ლ (პოეზ. 212,85) 'ეზიკელა ეზიასანები'.

§ 132. აღსანიშნავია, რომ ქართულში გაბატონებულია დიფთონგიზაციის დამავალი ფორმა, ხოლო მეგრულ-ქანურში აღმავალი ფორმა. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა ქ ა ნ უ რ თ ა ნ დაკავშირებით შენიშნავს, რომ „ქანურ სიტყვებში თითქმის ყველგან $\mathbf{\bar{a}}$ დიფთონგის პირველ ნაწილს წარმოადგენს: \bar{a} -, \bar{e} -, \bar{o} -, $\bar{a}u$... ქართულს კილოებში შემონახული \bar{a} , როგორც წესი, დიფთონგის მეორე ნაწილს წარმოადგენს: $\bar{a}e$, $\bar{e}a$, $\bar{o}a$, $\bar{u}a$ “¹.

§ 133. დიფთონგიზაციისა და მახვილის მჭიდრო კავშირის შესახებ გარკვეული აზრი აქვს გამოთქმული ე. ზ ი ვ ე რ ს ს. მისი სიტყვით: „ეს დიფთონგიზაცია უმერესად დაკავშირებულია მახვილთან, რამდენადაც აღმავალი ტონის შემთხვევაში ენა ხმოვნისათვის წამოიწევა წინ და მალლა, და, პირიქით, დამავალი ტონის შემთხვევაში ენა ეშვება უკან და ქვემოთ: პირველ შემთხვევაში წარმოიქმნება დიფთონგები $\bar{a}i$, $\bar{o}i$, მეორე შემთხვევაში— $\bar{e}a$, $\bar{e}o$...“

ამ დაშვებას დიფთონგიზაციისა და მახვილის ერთმანეთთან კავშირის შესახებ განსაკუთრებით ადგილი აქვს ორმწევრვალნიანი ანუ ორტონიანი მარცვლის მახვილის შემთხვევაში..., რის გამოც ხმოვანი იყოფა ორად, რომელთა შემდგომი განვითარება სხვადასხვა მხრით მიიმართება“².

§ 134. სვანურში დიფთონგიზაციის პროცესი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მჭიდროდაა დაკავშირებული ტონის მოძრაობასთან. უკანა რიგის ხმოვნები \bar{a} და \bar{u} აღმავალი ტონის შემთხვევაში, ენის წინ და მალლა წამოწევის გამო, იშლება $\bar{a}e$ და $\bar{u}i$ დიფთონგებად. ეს პროცესი განსაკუთრებით შესამჩნევია დახურულ ერთმარცვლიან სიტყვებში. მაგრამ ვახდება თუ არა სიტყვა ორმარცვლიანი და გადაინაცვლებს თუ არა მახვილი სხვა მარცვალზე, \bar{a} და \bar{u} მონოფთონგებად იქცევა; მაგ.:

¹ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 13.

² Ed. Sievers, Grundzüge der Phonetik, S. 283.

გვექ (424,30) 'გოქი'—მრ. გოქსარ (424,23)¹
 ტვეტ 'ხელი'—მრ. ტოტსარ (31,20)
 ტველ (249,23) 'ტოლი'—მრ. ტოლსარ (21,8)
 სვეტ 'სვეტი'—მრ. სოტსარ (154,24)
 ლვედ 'ლვედი'—მრ. ლოდსარ (147,36)
 თჷეფ 'თოფი'—მრ. თოფსარ (პოეზ. 16,28)
 ჯჷეგ 'ჯოგი'—მრ. ჯოგსარ
 გჷეშ 'საქმე'—მრ. გოშსარ
 ჸერბ 'ორბი'—მრ. ორბსარ
 გჷეფ 'ეშმაკი'—მრ. გოფსარ

ვიგ (160,29) 'გველი'—მრ. უჯსარ (31,11)
 თჷინგ (16,6) 'თუნგი'—მრ. თუნგსარ (65,14)
 ქჷინ (421,11) 'სული'—მრ. ქუნსარ (423,26)
 ჸიქმ 'უქმე'—მრ. უქმსარ
 კჷიქ 'კუქი'—მრ. კუქსარ და სხვ.

ამ შემთხვევაში -ვრ/-ვლ სუფიქსი მახვილის მატარებელია. ისეთ სიტყვებში, როგორცაა: ტყვიბ ('ტყუპი': პოეზ. 12,19), ჸეფ ('ოფლი'), ჸერთქლ ('ორთქლი'), რჯჷილ ('რჯული'), პაღჷირ ('პანღური'), სჷიკ ('სუკი'), კიბღჷენ ('კიღობანი'), ბაღკჷენ ('აივანი'), პატრჷენ ('პატრონი'), ღჷენ ('ღონე'), რიგენ ('რიონი'), აზნავირ ('აზნაური') (42,19) და მისთ., იგულისხმება, რომ დიფთონგიზაცია მახვილის შედეგია.

§ 135. გარდა ამისა, ბალსხემოურში ზოგჯერ და ბალსქვემოურში ხშირად ჸე, ჸი დიფთონგების გამარტივება ხდება და ვიღებთ ე-სა და ი-ს. ამგვარად უკანა რიგის ხმოვნები (ო, უ) დიფთონგიზაციის შედეგად წინა რიგის ე, ი ხმოვნებად იქცევა; მაგ.: მინდორ: მინდორისგა (ბზ. 436,21 'მინდორში')—შდრ. იქვე: მინდერისგა (443,22); ჩომინ: ამეი ჩომინ როსტომდ (ბზ. 436,1 'ასე ქნა როსტომმა')—შდრ. იქვე: დნნად მად ჩემინ (ბზ. 444,32 'გოგონამ არა ქნა'); ფჷრ: ფჷრმი გეზალს (436,24 'ძროხის შვილს')—შდრ. იქვე: ფირე ვზიპ (412,32 'ძროხა დაკლა'); ქეკბქე. (— ბზ. ქიქე 'ქოკი'); სგებინ ბქე. (— ბზ. სგუებინ 'წინ'); კიბღენ ჩბ. (— ბზ. კიბღენ 'კიღობანი'); ლიზებ ჩბ.ლბ. (— ბზ. ლიზებ 'ქამა'); თეფ (— თქეფ: პოეზ. 274,4 'თოფი'); გეში (— გჷეში

¹ მაგალითები მოყვანილია ბალსხემოური ტექსტებიდან.

(274,8 'სავსე'); რ ი ე ნ თ ე (— რიენთე: იქვე, 244,38 'რიონში'); თ ე თ ნ ა მ ყვარილს (— თქეთნამ: იქვე, 138,3 'თეთრ ლაფშაზე') და სხვ¹.

§ 136. ამ შემთხვევაში სვანურში ლიფთონგიზაციის წარმოშობას, მახვილთან ერთად, ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცია უწყობს ხელს უთუოდ. ამ უკანასკნელ მომენტზე განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ვ. თოფურიამ ნაშრომში: „კლავ უმლაუტისათვის სვანურში“. მაგრამ ლიფთონგიზაციის ახსნა მხოლოდ ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციით არ იქნებოდა სრული. სხვას რომ თავი დაეანებოთ, მაშინ აუხსნელი დაგვრჩებოდა სახელთა დაბოლოების დაკარგვა სვანურში. დაბოლოების ხმოვნის დაკარგვა კი მახვილის გავლენის შედეგია².

როგორც ირკვევა, სვანურში მახვილი ხელს უწყობს ე. წ. ლიფთონგოიდების ძგ, ძე, ძვ, უო-ს წარმოშობას; მაგ: ძ გ რ ძ ი დ (პოეზ. 334,35 'შწვანედ'), ძ გ გ ე მ ('აგებს'), ძ ე შ დ ('ათი'), ძ ე ნ ა ს დ ('სწრაფად'), ძ ე რ ვ ჯ ე ('ვინც'); შ დ რ. ძ ე ზ ო (ბზ. 100,11 — ეზო), ა ღ ძ ა რ ('ესენი'), ა ვ რ ('ვინ'), უ ო ქ ე რ ('ოქრო'), უ ო რ მ ო ('ორმო') და სხვ.

§ 137. სვანური მახვილის ანალიზი აგრეთვე შექსა ჰვენს ერთ მეტად საინტერესო საკითხს—მარცვალთა რაოდენობის შემცირებას სიტყვაში.

მახვილის გავლენით სიტყვაში მარცვალთა რაოდენობის შემცირება ზოგად ფონეტიკაში ცნობილი დებულებაა. ქართველურ ენათა მონაცემების მიხედვით ამ საკითხს შეეხება ა. შანიძის „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის“, არნ. ჩიქობავას „მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში“ და „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“ (გვ. 107—111).

ბალსქემოურსა, ბალსქემოურსა და ლაშხურ დიალექტებს ერთი მეტად საყურადღებო ტენდენცია ახასიათებთ—მარცვალთა რაოდენობის შემცირება მახვილის გავლენის შედეგად. ხშირად ეს ტენდენცია იმაში მდგომარეობს, რომ უცხო და საკუთარი ჩამომავლობის სამმარცვლიან ფუძეებს ეს დიალექტები ორმარცვლიანად

¹ შდრ. ვ. თოფურია, კლავ უმლაუტისათვის სვანურში, 337—338.

² შდრ. ვ. С е и л, Я з н а к, რუს. თარგმანი, 1934, გვ. 137—138.

წარმოგვიდგენენ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სვანურისათვის უზვეულო იყოს სამ- და მეტმარცვლიანი სიტყვები.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს ჯერ ნასესხები სიტყვებიდან; მაგ.: მ ა ც ხ ვ ა რ (—მაცხოვარ-ი ბზ. 88,19), ჯ ო ჯ ხ ე თ (—ჯოჯობეთ-ი ბზ. 229,27), დ ე დ ფ ა ლ (—დედოფალ-ი ბზ.), დ ე დ ბ ე რ (—დედაბერ-ი ბზ. 418,33), კ ა ხ ბ ე რ (—კახაბერ-ი: პოეზ. 184,52), ა ნ გ ლ რ ზ (—ანგელოზ-ი ლშხ. 17,27, შდრ. ანგვლებ ბზ. 172,31); ყ ა რ ვ ი ლ (—ყარაულ-ი: პოეზ. 28,85, შდრ. ყ ა რ ლ ა რ ბზ. 440,11 'ყარაულები'), მ ა რ გ ლ ი ტ (—მარგალიტ-ი ბზ. 288,10), მ ე ზ ვ ბ ე ლ (—მეზობელ-ი ბზ.), ს ა მ ვ ა რ (—რუს. самовар ბზ.), ს ა ჩ ქ ე ა რ (—საჩუქარ-ი ბზ.), მ ო ლ ლ ა ტ (—მოლაღატე: პოეზ. 130,110), ს ა ყ ე დ ი რ (—საყვედურ-ი ბზ. 187,2), თ ო ხ რ ი კ (—თოხარიკ-ი ბზ.), კ ა ლ პ ე ტ ე (—კალპოტ-ი ბზ.), ფ ა თ რ ა კ (—ფათერაკ-ი ბზ.), ს ა ძ გ ე ლ (—საძაგელ-ი) და სხვ. მსგავსი პროცესი დასტურდება არანასესხებ სიტყვებშიც; მაგ.: უ შ გ უ ლ (ბზ.), მ ა გ რ ა მ: უ შ გ ე ლ ა შ: პოეზ. 10,71 'უშგულისა'), შ დ ა ე ა ლ (ბზ. 176,35 'მერცხალი')—მრ. შ დ ა ე ლ ა რ (ბზ. 277,1), ს ო მ ა ქ (ბზ. 276,27 'ქალიშვილი')—მრ. ს ი მ ქ ა რ (ბზ. 276,20, ნათ. ს ი მ ქ ა შ 176,37 'ქალიშვილისა'), წ ი ნ წ ი ლ (ბზ. 139,25 'წიწილა')—მრ. წ ი ნ წ ლ ა რ (ბზ. 139,27) და სხვ.

გარდა ამისა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ დ ო კ ე ე ნ (—დიაკონ-ი ბზ. 352,11), კ ე ს ა რ (—კეისარ-ი ბზ. 14,24), კ ი ნ უ რ (—კიანურ-ი ლშხ.), პ ე მ ა ნ (—პემან-ი ბზ. 104,13), დ ე ფ ა ნ (—დერფთან-ი ლშხ.), ყ ა რ (—ყავარ-ი ბზ.) და მისთანებში სამმარცვლიანთა გარმარცვლიანება და ხმოვნის დაგრძელება მიუთითებს მახვილის გავლენაზე. ხმოვნის სიგრძეში გამოხატულია კომპენსაცია გაუჩინარებული მარცვლისა.

სვანურში მარცვალთა რაოდენობის შემცირება რომ მახვილთან არის კავშირში, ამას ნათლად ადასტურებს ლენტეხური დიალექტის სინამდვილე. ვინაიდან ლენტეხურში მახვილი მიჩქმალულია სხვა დიალექტებთან შედარებით, ამიტომ მარცვალთა რაოდენობის შემცირება არაა დამახასიათებელი ლენტეხურისათვის¹.

¹ ა. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის, გვ. 8—10.

VI. უმლაუტი სვანურში

§ 138. სვანური უმლაუტის საკითხები, შეიძლება ითქვას, ძირითადად გადაჭრილია ა. შანიძის გამოკვლევებში „უმლაუტი სვანურში“ და ვ. თოფურიას „კვლავ უმლაუტისათვის სვანურში“ და „სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში“. ამ შრომებში გარკვეულია სვანური უმლაუტის ბუნება და მისი გამომწვევი მიზეზები. თუმცა ა. შანიძე იქვე დასძენს, რომ: „ჩვენ არ გვაქვს საშუალება ყოველგვარი უმლაუტის ასახსნელად. ჯერ-ჯერობით არ ვიმყოფებით ისეთ მდგომარეობაში, რომ შეგვიძლოს ნამდვილი უმლაუტური წარმოებისაგან გამოვჰყოთ ზოგიერთი ფორმები, რომლებიც მიღებულია მხოლოდ ანალოგიის გზით“ (იქვე, გვ. 173). ა. შანიძე მ სვანური უმლაუტის გამომწვევ მთავარ მიზეზად მიიჩნია „წინამძღვალე ფართო ხმოვნის ნაწილობრივი დამსგავსება მომდევნო ვიწროსადმი“, მაგ. ჯან ('ხარი') მიღებულია ფორმისაგან ჯანი; ბანდ ('ბანდე') წარმომდგარია ბანდესაგან. ი და ე უმლაუტის გამომწვევის შემდეგ დღეს გაუჩინარებულია. ასიმილაციის სწორედ ასეთი მიმართულება (რეგრესული) შეეფერება უმლაუტის ბუნებას და არა, პირიქით, პროგრესული ასიმილაცია, როგორც ეს ხმოვანთა ჰარმონიის შემთხვევაშია ფინურსა და თურქულ ენებში¹.

§ 139. გერმანულ ენებში, რომლებიც უმლაუტის კლასიკურ ნიმუშს იძლევიან, ეს ფონეტიკური პროცესი მდგომარეობს წინამძღვალე ფართო ხმოვნის მომდევნო ვიწროსადმი „თანაგრძნობაში“, რაც გამოიხატება ამავე დროს წინა ხმოვნის ტემბრის მომდევნო ხმოვნის ტემბრთან მიახლოებაში (შდრ. ძვ. ზემოგერმ. gesti – gasti 'სტუმარი').

ა. შანიძემ სვანურში უმლაუტის ანალიზის საფუძველზე მაულლაუტებელ ხმოვნებად ე და ი ხმოვნები გამოაცხადა, მაგრამ ამ ორი მაულლაუტებელი ხმოვიდან „ენის გავლენა მხოლოდ ანზე ვრცელდება და ისიც მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში, როდეს-

¹ Ed. Sievers, Op. cit., 276.

საც იგი მოკლეა და უფრო მაშინ, როდესაც უნდა დაიკარგოს რედუქციის ძალით. მთავარი მიზეზი სვანური უმლაუტებისა კი ი არის“ (გვ. 174).

ვ. თოფურიამ დაადგინა, რომ „ნაუმლაუტეე ვ, ი'ს წინაშეაღი ა ო უ'ს გაუმლაუტება ვერ ძალუძთ“. ზემოდასახელებულ შრომებში წამოყენებულ დებულებათა საილუსტრაციოდ საკმაოდ დიდი რაოდენობის მაგალითებია განხილული, ამიტომ მათ ჩვენ აქ არ გავიმეორებთ. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ გამოთქმული მოსაზრებანი სვანური უმლაუტის ბუნების შესახებ ჩვენმა ექსპერიმენტულმა მონაცემებმა სავსებით დაადასტურეს.

§ 140. ისმის ასეთი კითხვა: სვანური უმლაუტის ბუნება გერმანული ენებისებურია, თუ განსხვავდება მისგან?

სვანური უმლაუტის თავისებურებას ადასტურებენ ა. შანიძე და ვ. თოფურია: „არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სვანური ო-ს ისე წაკითხვა, როგორც გერმანული ო-სი“¹. მით უფრო შეიძლება ამის თქმა ო-სა და უ-ს შესახებ.

ჩვენ პალატოგრამული და რენტგენოგრამული მეთოდებით გამოვარკვეით, რომ არამცთუ უმლაუტიანი ა, არამედ სვანური ყოველი უმლაუტიანი ხმოვნის პროფილი განსხვავდება შესატყვის გერმანულ უმლაუტიან ხმოვანთა პროფილებისაგან. ამიტომ მათი გაიგივება არ შეიძლება გერმანულ უმლაუტიან ხმოვნებთან. სვანური უმლაუტიანი ხმოვნები არტიკულაციურად უფრო წინ წამოწეულნი არიან შესატყვის ძირითად ხმოვნებთან შედარებით. ის ფაქტი, რომ სვანურში უმლაუტის გამომწვევია წინა რიგის ხმოვნები ვ და უმეტესად ი, ეს თავისთავად ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ველარ და ნეიტრალურ ხმოვანთა პალატალიზაცია ხდება. მაგრამ არის შემთხვევა და არც ისე მცირე, როდესაც უმლაუტი გვაქვს და ვ, ი-ს გავლენა არ არის სავარაუდებელი. მაგ., რა უნდა იყოს უმლაუტის გამომწვევი ისეთ ფორმებში, როგორიცაა: ნ ო ბ ო ზ (ბჭ. 197,5 'სალამო'), ნ ო ბ ო შ (ბჭ. 18,12 'ნებით')=ნ ო ბ ო შ (პოეზ. 174:4) და მისთ².

¹ ა. შანიძე, ვ. თოფურია, სვანური პროზაული ტექსტები, XX.

² შდრ. ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, გვ. 224.

§ 141. ჩვენ უმლაუტის გამომწვევად სვანურში ე და ი-ს გარ-
და ვვარაუდობთ შესამე ფაქტორს—გარკვეულ თანხმოვანთა გავ-
ლენას ხმოვანზე. ასეთი გავლენა თანხმოვნისა ხმოვანზე განსაკუთ-
რებით საგულისხმებელია ისეთი ტიპის ენაში, როგორც სვანურია.
ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ რამდენიმე ფაქტს დავასახელებთ:
1. სვანურში ცხოველი მოვლენა ყოფილა ისტორიულად და არის
დღესაც ხმოვანთა და თანხმოვანთა პალატალიზაცია (იხ. ქვემოთ);
2. სვანურისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ხმოვნის შე-
გუება თანხმოვანთან. როგორც გრძელ ხმოვნებთან დაკავშირებით
გამოვარკვევით, ხმოვანთა სიგრძე სვანურში ბევრ შემთხვევაში წარ-
მოშობილია გარკვეულ თანხმოვანთა გავლენით და 3. გერმანული
უმლაუტის შესახებაც გამოთქმულია მოსაზრება, რომ მის წარმო-
შობას ხელს უწყობს ხმოვანთან მდებარე თანხმოვნის მოდიფიკაცია.
3. პაული შენიშვნაში Prinzipien der Sprachgeschichte-ში გარკ-
ვევით წერს, რომ ბევრ შემთხვევაში გერმანულში უმლაუტი
„...წარმოიშვება მათ შორის მდებარე თანხმოვნის მოდიფიკაციის
შეშევობით, მაშასადამე, ნამდვილად არა შორეული ასიმილაციით“
(გვ. 65).

შესაძლებელია სვანურშიც ბევრ შემთხვევაში უმლაუტი ასეთი
წარმოშობისა იყოს, მაშინაც კი, როდესაც ე-სა და ი-ს გავლენას
ვვარაუდობთ. ამასთან დაკავშირებით მხედველობაში მისაღებია
ლ. შჩერბას მოსაზრებაც, რომ რუსულში პალატალიზებულ თან-
ხმოვანთა წინ სიტყვებში *дхъ, рхъ а* გადახრილია *э-საკენ*¹. ამ
შემთხვევაში პალატალიზებულ თანხმოვნის გავლენა ხმოვანზე თვალ-
საჩინოა. ლაშურში სხვა დიალექტის უმლაუტიანი *ა* წარმოდგენი-
ლია *ე*'თი (შდრ. ბზ. ნაბოზ—ლშხ. ნებოზ 'სალამო', ბზ. ბპჩ—
ლშხ. ბეჩ 'ქვა', ბზ. მეგამ—ლშხ. მეგემ 'ხე' და სხვ.).

ზემონათქვამის დასადასტურებლად მოვიყვანოთ მაგალითები:
სვანურის უმლაუტიან დიალექტებში ქართულიდან შესულ სიტყვათა.
ეზოგ შემთხვევაში *ა*-თია წარმოდგენილი, რიგ შემთხვევაში კი
ე'თი; მაგ. ნაბ (—ნება: პოეზ 90,15), დიდაბ (—დიდება: პოეზ.
10,82), ბზ. გონაბ (—გონება 110,3 'ფიქრი, შიში'), ბზ. ქონაბ
—ქონება, ბზ. გამ — გემო, ბზ. განცხადაბ (—განცხადება

¹ Л. В. Щерба, Фонетика французского языка, гл. 38; Шдр. В. Богородицкий. Гласные без ударения в общерусском языке, гл. 113.

12,17), მორიდაბ (— მორიდება ბზ. 58,10), დაბდაბ (— დაბადება: პოეზ. 24,10) და სხვ.

ამ მოვლენის განხილვასთან დაკავშირებით ნათქვამია: „მოყვანილ მაგალითებში უმლაუტი სულ სხვა წარმოშობისაა, უმლაუტიანი ა ე'საგან არის მიღებული: ე ა'დ გადაქცეულა. ამის უეჭვოდ ხდის ნასესხები სიტყვები და ფონეტიკური შედარება“¹.

იბადება კითხვა: რა არის აქ უმლაუტის გამომწვევი, რატომ გადაიქცა ე ა'-დ? ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში უმლაუტის გამომწვევია წინამავალ ე-ზე ბაგისმიერ ბ-სა და მ-ს გავლენა, რის გამოც ქართული ე-ს არტიკულაცია სვანურს წარმოთქმაში იძლევა ა-ს ოდნავ ლაბიალიზებული ელფერით. ასეთსავე ბედს იზიარებს ქართულიდან სვანურში შესული ა ბ-ს მეზობლობაში, მაგ. დაბ (— დ ა-ბა: პოეზ. 256,5 'ყანა'). ჩვენს მოსაზრებას ადასტურებს ისიც, რომ ქართული ე სვანურში ე-დვე დარჩა არაბაგისმიერთა წინ; მაგ.: კეტ (— კეტი: პოეზ. 216,53), იმედ (— იმედ-ი: პოეზ. 68,36), ბერ (— ბერ-ი ბზ. 74,11)—მრ. ბერაბ (ბზ. 74,10), ქერ (— ქერ-ი 446,32), შდრ. ქერ (17,26), ბედ (— ბედ-ი 92,35) (შდრ. სომეხ 39,1, ბერზენ 39,13) და სხვ.

§ 142. ხშირად ბ-სა და მ-სთან ერთად ვ (ჟ)-ც გამოდის მაუმილაუტებლად; მაგ. წურ (— წირვა ბზ. 74,15). პროცესი ასე უნდა წარმოვიდგინოთ: წირვა—წირვ—წიერ—წურ. ბზ. სანდროვ (— სამდურავ-ი 103,21, შდრ. ლშხ. სანდროვ), ბზ. დროვს (— დროს 1,3), ახფიშვდ || ახფუშდ (ბზ. 311,9 'ესროლა'), შდრ. აფუშდ (ბზ. 271,5), თუთს (— „თვით“ ბზ. 14,11) 'თითოს'... ასეთი მონაცემი უნდა გვექონდეს სიტყვაში: სუმნიშ (ბზ. 12,29) 'სიმონობა' (დღესასწ.). ფ-ს გავლენით ი ქცეულა ო-დ სიტყვაში: ოფნიშ (— იფნისა: პოეზ. 278,54; შდრ. ჟიბოვ || ჟიზავ ბზ. 3,19 'ზევით'). სხვა შემთხვევაში ი მ-ს გავლენით უ-დ არის ქცეული, მაგ.: უმევაჟი || იმევაჟი (ბზ. 272,28 'როგორც'), უმევა (— იმევა ბზ. 294,32) და სხვ.

ვფიქრობთ, რომ ზემოდსახელებული მაგალითები უცილობლად ადასტურებენ ბაგისმიერ თანხმოვანთა გავლენას ხმოვანზე და ამ გზით უმლაუტის წარმოშობას.

¹ ვ. თოფურია, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში, 308.

VII. ხმოვანთა ზემართვა სვანურში

§ 143. ცნობილია, რომ ხმოვანთა ზემართვა-დამართვა ენების (resp. დიალექტების) მიხედვით განსხვავებულია. ეს საკითხი არა მარტო ენათმეცნიერებას და, კერძოდ, ფონეტიკას აინტერესებს, არამედ მის გარკვევას არსებითი მნიშვნელობა აქვს ვოკალური პედაგოგიკისთვისაც. გარდა ამისა, ენაბულების გასწორების საქმეში სპეციალისტებს დიდი დახმარება გაუწია ხმოვნის ზემართვის საკითხის გამოკვევამ, ენაიდან ბგერის ზემართვის გადალახვა ენაბულს მეტყველებაში არსებითს მომენტს შეადგენს.

ე. ზივერსი ხმოვანთა ზემართვის (და დამართვის) სამ სახეობას ასხვავებს: მაგარს ანუ ძლიერს, რბილს ანუ ნელსა და ფშვინვიერს. იგივე ე. ზივერსი ხმოვანთა წარმომქმნელი სამი ძირითადი ფაქტორიდან (როგორცაა: ექსპირატორული ჰაერნაკადი, სახმო სიმების მდგომარეობა გარკვეული ტონისათვის და ზესადგამი მილის მოწყობა გარკვეული რეზონანსისათვის) ზემართვისა და დამართვის ძირითად ფაქტორად სახმო სიმების მდგომარეობას ასახელებს¹.

შემდგომ სხვადასხვა ავტორის მიერაც დადასტურებულ იქნა ის ფაქტი, რომ საერთოდ ხორხისა და, კერძოდ, სახმო სიმებისა და ექსპირაციის შეხამებული მრქმედება ბგერის წარმოსაქმნელად სხვადასხვაგვარი ზემართვის ძირითად ფაქტორს წარმოადგენს.

რამდენადაც ხორხი სახმო სიმებითურთ შეადგენს სავენტილაციო აპარატს, ჰაერნაკადის მოძრაობის საფუძველზე მასში წარმოიშვება ისეთი რხევები, რომელთა მსგავს რხევებს სხვაგან ადგილი არა აქვს.

ფონაციის დროს ძირითადი მნიშვნელობა აქვს სახმო სიმების ორი მიმართულებით მოძრაობას: შიგნიდან გარეთ, ე. ი. ჰორიზონტალურსა, და ქვევიდან ზევით, ე. ი. ვერტიკალურს.

§ 144. ხმოვნის მაგარ ანუ ძლიერ ზემართვაზე ე. ზივერსი რომ ლაპარაკობს, მას მხედველობაში აქვს სახმო სიმების სრული

¹ Ed. Sievers, Grundzüge der Phonetik, 1901, S. 151—152.

დაკეტილობა. ეს დაკეტილობა ქვემოდან მოწოლილმა ჰაერნაკადმა უცებ უნდა გააპოს, რაც სახმო სიმების ვიბრაციას გამოიწვევს. ამ საფუძველზე ხმა წარმოიშვება და იწყება ხმოვნის წარმოთქმა. ეს აქტი—სიმებშუა არის გახსნა—ფონეტიკურად განსაკუთრებული ნიშნით (?) აღინიშნება (ფრანგ. coup de glotte). ცნობილია, რომ მაგარი ანუ ძლიერი შემართვა ახასიათებს ჩრდილო გერმანულს¹.

მაგარი ანუ ძლიერი 'ა-სთვის გ. პანკონჩელი-კალციას შესრულებული კიმოგრამა გვიჩვენებს, რომ დასაწყისში ჰაერნაკადის მოწოლა და სახმო სიმების ყველა ნაწილის სრული დაკეტილობა გრაფიკულად სწორ ნახაზს იძლევა, მაგრამ ამას თან მოსდევს ჩამწერი კალმის სწრაფად ზევით ავარდნა და კალმის რხევები. კალმის ავარდნა შეესატყვისება სახმო სიმებში მომხდარ სკლომას და რხევები კიდევ სახმო სიმების ვიბრაციას 'ა-ს წარმოსათქმელად².

მაგარი ანუ ძლიერი შემართვის განსაკუთრებულ ნიშან-თვისებად უნდა მივიჩნიოთ სახმო სიმების შედარებით მეტი დაჭიმულობა და მოქმედების მეტი ენერგიულობა. ეს ნიშნები კარგად ჩანს კიმოგრაფული მრუდიდან.

გ. ფროშელსის აზრით ენაბლუებში ხმოვანთა წარმოთქმისას სიძნელე წარმოიშვება მაგარი შემართვისაგან. ის წერს: „ბევრი ამტიციებს (Libmann), რომ ენაბლუობა ხმოვან ბგერებზე არ არსებობს. ხმოვანთა წარმოთქმის სიძნელე წარმოიშვება მაგარი შემართვისაგან, რომელიც, ზუსტად რომ ვთქვათ, ხმოვანს არ ეკუთვნის; იგი წარმოადგენს იმ კუნთების ფუნქციას, რომლებიც ყიას კეტავენ, და არა იმ ელემენტების ფუნქციას. რომლებიც ვიბრაციას ახდენენ“ (გვ. 23). ე. ფროშელსის ამ მსჯელობიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ მას მაგარი ანუ ძლიერი შემართვა ხმოვნის კუთვნილ ელემენტად კი არ მიაჩნია, არამედ იმ კუნთებისა და ელემენტების ფუნქციად, რომლებიც ყიის დაკეტვას იწვევენ.

§ 145. წარმოთქმის თვალსაზრისით შედარებით უფრო მეტ სიძნელეს შეიცავს ხმოვანთა რბილი ანუ ნელი შემართვა. ამიტომ უმეტესობა ენებისა ასეთ შემართვას გაურბის. ე. ფროშელსსა და ი. სიკორსკის გამოკვლეული აქვთ, რომ ენაბლუებს ბგერის

¹ O. Jespersen, Lehrbuch der Phonetik, 1932, S. 76.

² G. Panconcelli-Calzia, Die experimentelle Phonetik in ihrer Anwendung auf die Sprachwissenschaft, 1924, S. 48.

წარმოთქმისას არ შეუძლიათ მოახდინონ რბილი ანუ ნელი შემართვა. ფიზიოლოგიურად შემართვის ეს სახეობა ხასიათდება შემდეგით: ყოველთვის დაკეტილი არ არის, ოღონდ სახმო სიმები აბსოლუტურად ზუსტადაა ერთმანეთთან მიახლოებული გარკვეული ხმოვნის წარმოსათქმელად. ქვემოდან მოწოლილი ჰაერნაკადი ერთბაშად კი არ იწყებს სახმო სიმების სკდომას, არამედ თანდათანობით. ამგვარად წარმოთქმული ხმოვნები შეიძლება მივიჩნიოთ ჩქამშეურველ ხმოვნებად. ასეთი სახის შემართვა ახასიათებს სამწერლობო რომანულ ენებს. იგი ფონეტიკურად წერაში არ აღინიშნება.

გ. პ ა ნ კ ო ნ ჩ ე ლ ი - კ ა ლ ც ი ა ს რბილი ანუ ნელი შემართვის კიმოგრამა გვიჩვენებს: დასაწყისში ურხევო მრუდია, რომელიც შეესატყვისება საფონაციო ორგანოების უძრავ მდგომარეობას; შემდეგ იწყება სუსტი რხევები, რომლებიც თანდათან ძლიერდება და ბოლოს ისევ სუსტდება. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ხმა იწყება რბილად, ძალდაუტანებლად და ასევე თავდება (იქვე, გვ. 46).

§ 146. უფრო გავრცელებულია და თავისებური ხმოვნის შემართვის ფშვინვიერი სახეობა. ე. ზ ი ვ ე რ ს ი შემართვის ამ სახეობის შესახებ ამბობს, რომ ექსპირაცია იწყება ღია სიმებს შუა ნაპრალში მანამდის, სანამ სახმო სიმები ტონს წარმოშობენ (იქვე, გვ. 152). ვინაიდან სახმო სიმებს შორის რჩება ნაპრალი და ექსპირაცია უსწრებს ტონისათვის სახმო სიმების მოქმედებას, ამის გამო სახმო სიმებს უმნიშვნელო დაკიმულობა ახასიათებს და, სანამ სახმო სიმები რხევას დაიწყებენ, მათ აქვთ ფშვინვისათვის საჭირო მდგომარეობა. ფონეტიკურად ეს აღინიშნება h ნიშნით. როგორც ცნობილია, ასეთი შემართვა ახასიათებს სალიტერატურო გერმანულს (მაგალითად, haben). გ. პ ა ნ კ ო ნ ჩ ე ლ ი - კ ა ლ ც ი ა შენიშნავს, რომ გერმანულად მოლაპარაკე იტალიელი ნაცვლად იმისა, რომ თქვას: „hellblauen Himmel“, ამბობს: „el:blauen im:el“, ვინაიდან იტალიურს ახასიათებს არა ფშვინვიერი, არამედ რბილი ანუ ნელი შემართვა (იქვე, გვ. 46).

ე. ფ რ ო შ ე ლ ს ი ს ა და ი. ს ი კ ო რ ს კ ი ს მტკიცებით ხმოვნის ფშვინვიერი შემართვა განსაკუთრებით დამახასიათებელია ენაბლუებისათვის. ე. ფ რ ო შ ე ლ ს ი წერს, რომ „ენაბლუს ფშვინვით სურს თავიდან აიცილინოს მაგარი შემართვა“¹. ი. ს ი კ ო რ ს კ ი ც აივ

¹ Э. Фрешельс, Звуканыс (ассоциативная афазия), перевод с немецкого, 1931, гв. 23.

ფიქრობს: „ფშვინეიერი ბგერის წარმოთქმას ნაკლები სიძნელები ახლავს ენაბლუსათვის, ვიდრე წმინდა ხმოვნის წარმოთქმას“¹.

ამ ავტორთა აზრით ხმოვნებს ძლიერი ფშვინვა ახასიათებს როგორც ინსპირატორული, ისე ექსპირატორული კრუნჩხვების შენთხვევაში. მათ ისიც კარგად იციან, რომ ხმოვანთა ასპირაცია დამახასიათებელია ნორმალური მეტყველებისთვისაც, ოღონდ სხვადასხვა ზომით სხვადასხვა ენაში. მიზეზი ისაა, რომ სამეტყველო მოძრაობათა ზედმეტი სისწრაფის შედეგად მეტყველების ცალკეული მექანიზმის მუშაობის არაზუსტი შეკავშირება ხდება².

ფშვინვა წარმოადგენს გარდამავალ რგოლს ხმოვნის წარმოსათქმელად, რადგანაც ჰ-ს წარმოთქმისას სამეტყველო აპარატის დაყენება ხმოვნისებურია. ამიტომ ი. ს. ი. კ. ო. რ. ს. კ. ი. ს. ხმოვანთა ფშვინვით წარმოთქმის ვარჯიში ერთ-ერთ საშუალებად მიაჩნია ენაბლუობის გამოსასწორებლად.

გ. პანკონჩელი-კალციას ხა-ს კომოგრაფა გვიჩვენებს, რომ ვიდრე სახმო სიმების ვიბრაციები დაიწყებოდეს, მანამ ჩამწერი კალამი ურჩევო ავარდნას ახდენს, რაც შეესატყვისება იმ ჩქამს. რომელსაც ექსპირაცია წარმოშობს სახმო სიმების მიახლოებამდის (გვ. 46).

პროფ. ფ. ზასედატელემა მომღერლებთან (ლაბინსკისთან და ტრუბინთან) ჩატარებული ცდებით გამოარკვია, რომ ბგერის სწორი შემართვის დროს მომღერლის პირთან მიტანილი სანთლის ალი არ ირხევა. ეს ცდა კიდევ უფრო ნათელს ხდის ჩვენთვის ხმოვანთა სწორი შემართვის ბუნებას.

§ 147. ხმოვნის მაგარი შემართვა ივარაუდება ქართულში, შორისდებულები რომ გვაქვს: 'ა! (რაიმეს აკრძალვა), 'ე! (უქმაყოფილება), იმერული 'ი მე! და სხვა. ხმოვნის მაგარი შემართვა განსაკუთრებით დამახასიათებელია შორისდებულთა ხმოვნებისათვის ქართულ კუთხურ მეტყველებაში.

სვანურშიც ხშირ შემთხვევაში თავკიდურხმოვნის შორისდებულები მაგარი შემართვით წარმოითქმის. ეს მოვლენა სვანური პროზაული ტექსტების ავტორებს გათვალისწინებული აქვთ და რიც

¹ И. А. Сикорский, О заикании, С.-Петербург. 1899, გვ. 51.

² იქვე.

შემთხვევაში შორისდებულის თავიკიდურ ხმოვანს წინ მაგარი შემართვის ნიშანი უზის; მაგ.:

ც ხ, — ალა ხასკერელ (118,35) — ახ, ეს უკვირს

ც ა ჰ, — რჰქვ ათხე ქაბიგვდ... (266,37) — აჰ, — თქვა ახლა ქაბუქმა...

ც ე, — სი მარე... (155,14) — ე, შე კაცო...

ც ო, — სი მარე... (155,30) — ო, შე კაცო...

ც ო ხ, — ამნემ ხჰქვ... (119,3) — ოხ, — ამან უთხრა...

ც ო ხ, — უკაცრავათ, მართალ როქვ ლი... (441,16) — ოხ, უკაცრავად, მართალიაო...

ც ო ღ ტ, — სი მარე... (155,22) — ოღტ, შე კაცო... და სხვა.

§ 148. გარდა შორისდებულებისა ხმოვნის მაგარი შემართვა სვანურში თითქოს არ დასტურდება. სამაგიეროდ, ეს მოვლენა განსაკუთრებით დამახასიათებელია მეგრულ-ქანურისათვის. როგორც გ. ახვლედიანი აღნიშნავს, მეგრულში ხმოვნის მაგარი შემართვის ნიმუშებია: 'უღე ('სახლი'), 'უჯი ('ყური'), 'ა ('ტოტი'), 'ალი ('კისერი'), 'ინუა ('ყინვა'), 'ონა ('ყანა') და სხვ.¹

უნდა ითქვას, რომ ქანურში მაგარშემართვიანი ხმოვნები ყველაზე მასობრივად ვიწურ-არქაბულ დიალექტშია გავრცელებული.

მეგრულ-ქანურში ყველა შემთხვევაში მაგარშემართვიანი ხმოვნები მიღებულია ხმოვნებთან ყ თანხმოვნის შეგუების გზით.

მაგარშემართვიან ხმოვანთა პალატოგრამებით ნათლად გამოირკვა, რომ მათთვის დამახასიათებელია ღრმად უკან გადაწეული არტიკულაცია. ამ შემთხვევაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხმოვანთა ფარინგალიზაცია გვაქვს². ამ მხრივ მაგარშემართვიანი ხმოვნები უპირისპირდება პალატალიზებულ ხმოვნებს.

§ 149. თუ რა სახის შემართვა ახასიათებს ქართულ წარმოთქმას, ამის შესახებ გარკვეული მოსაზრება აქვს გამოთქმული გ. ახვლედიანს. ის ძველი და ახალი ქართული ენის მასალათა გათვალისწინების საფუძველზე შემდეგს დასკვნას იძლევა: «როგორც ჩანს, ქართულში ძველად უფრო გავრცელებული იყო ხმოვნის ფშვი-

¹ გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, გვ. 103.

² იხ. ჩვენ: მეგრულ-ქანური ვოკალიზმი (იბეკდება).

ნვიერი შემართვა, ვიდრე დღეს: ამას მოწმობს ხმოვნის წინ ჰ-ს თანდათან გადაფარდნა დამწერლობაში¹.

თითქოს უდავოა ის ფაქტი, რომ ძველ ქართულს ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა ახასიათებდა, და ისტორიულად ამ მოვლენას საერთოდ ქართველურ ენებშიც უნდა ჰქონოდა ადგილი. ამას დღეს ქართველური ენებისა და ზოგიერთი ქართული კილოს მონაცემები ადასტურებენ. ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა-დამართვა განსაკუთრებით ხშირია ქართულ შორისდებულებში².

§ 150. ქართველური ენებიდან ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვის ხელშესახებ მასალებს იძლევა სვანური ენის ბალსზემოური და ბალსქვემოური კილოები.

აქ პირველ რიგში დავასახელებთ ისეთ სიტყვებს, რომლებიც ქართულიდანაა სვანურში შესული, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რა მოდიფიკაცია განიცადეს ხმოვნებმა შემართვის მხრივ.

მაგალითად: ქართ. არაყი ბზ.-ში წარმოითქმის ჰარაყ

ქართ. ალი, ბქვ. ჰელ

ქართ. აბჯარი, ბზ.ბქვ. ჰაბჯარ

ქართ. ავშარა, ბზ. ჰავშარა

ქართ. აბედი, ბზ. ჰაბედ (შდრ. ლხმ. ჰობედ)

ქართ. ალაგე, ბზ. ჰალაგ

ქართ. ექვი, ბქვ. ჰექვი

ქართ. ელდა, ბზ.ბქვ. ჰელ

ქართ. ალვისხე, ბზ. ჰალვსჰეგამ

ქართ. ავეჯი, ბზ. ჰავეჯ 'იარალი, თოფი'

ქართ. ავდარი, ბზ. ჰავდარ (შდრ. ძვ. ქართ. ჰავი) და

სხვ.

ქართულიდან სვანურში შესულ სიტყვათა ანლაუტის ხმოვნებს ასპირაცია იმიტომ უვითარდებათ, რომ სვანურის ამ დიალექტებისათვის საერთოდ დამახასიათებელია ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა. მაგალითად:

¹ გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, გვ. 160.

² ს. ელენტი, შორისდებული ქართულ სალიტერატურო ენაში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I.

ჩბხ. ჰარტამ 'ბოსტანი'

ლხმ.ჩბხ. ჰასკამ 'სვანური სავარძელი'

უშგ. ჰეშეშ 'ემშაკი'

უშგ. ჰედვირ 'ჯანმრთელი'

უშგ.ლხმ. ჰანწ 'ნეხვი, ნაკელი'

უშგ. ჰალყმა 'გაუმადლარი'

ჩბხ. ჰანდურ, ლხმ. ჰანდჷირ 'წვეთი (სახურავიდან)'

უშგ. ჰანწე 'პურისა თუ ხაჭაპურის ნაჭერი'

ლხმ. ჰანგუნ 'მოქანავე, მაგალითად, კარი რომ ქუსლში
მოინჯღრევა'

უშგ. ჰარკე 'შიში', ლხმ. ჰარკულ (კნინ.) 'ექვი'

ლხმ. ჰალამ 'გონების დაკარგვა'

ჩბხ.ლხმ. ჰანქა 'მკლავი'

ლხმ. ჰაბილ (კნინ.) 'ფერი'

ჩბხ. ჰელა 'უცებ, ელვისებურად გაქრობა'

ჩბხ.ლხმ. ჰერწემ 'გველი'

ლხმ.ჩბხ. ჰენწ 'აკვანი'

ლხმ. ჰენწა 'წედომა'

ლხმ. ჰერა 'მზის ჩასვლა'

ჩბხ.ლხმ. ჰეკ 'ურდული'

ჩბხ. ჰირიკ 'დამყავებული სითხე ტყავის გამოსაყვანად'

ლხმ. ჰირგ 'მოტირალ ქალთა ერთად შეძახილი'

უშგ. ჰიწე, ლხმ. ჰჷიწ 'საყელო'

ჩბხ.ლხმ. ჰოკრილ მთა და მდინარე კუბერში

ლხმ. ჰურყელენ 'რაიმე დახვეულად მყოფი'

უშგ. ჰგრია 'ვერაგი, ცბიერი' და სხვ.

§ 151. ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვის მიხედვით სვანურში დიალექტები ერთმანეთს უპირისპირდება. ასე: მაგალითად, ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა ჩვეულებრივია ბალსზემოურსა და ბალსქვემოურში, თითქმის სულ არ ახასიათებს იგი ლაშხურსა და ლენტეხურს¹.

მაგალითად: უშგ.ლხმ. ჰაშამ—ლხმ.ლენტ. აშამ 'მადლობა, მადლიერება'

¹ შდრ. ს. ელენტი, ფონეტიკური შენიშვნები სვანეთის კართულ წარწერებზე, გვ. 433.

- ლხმ. ჰაწი—ლშხ. აში, ლნტ. აში 'მსუბუქი, მჩატე'
 ლხმ. ჰაწვეალ || ჰანწვეალ—ლშხ. აწვეალ, ლნტ. აწოლ
 'თივის, ჩალის ზვინი'
 ლხმ.ჩბხ. ჰადრა—ლშხ.ლნტ. ადრა 'ელი' (მცენ.)
 ჩბხ.ლხმ. ჰალ—ლშხ. ალ 'ალი' (ტყის ქალი)
 ლხმ.ჩბხ. ჰამენ—ლშხ. ამენ 'ამინ'
 ლხმ. ჰაყბილ (კნინ.)—ლშხ. აყბოლ 'ლოყა'
 ლხმ. ჰარი—ლშხ. არი 'ცარიელი'
 უშგ.ლხმ.ჩბხ. ჰაგვ—ლშხ.ლნტ. აგვ 'ქუსლი'
 ლხმ. ჰაკედ, ჩბხ. ჰაკვედ—ლშხ. აკვედ, ლნტ. აკვად
 'კუდი'
 ლხმ. ჰაჟეენდ—ლშხ. აჟეანდ 'პაქანიკი'
 უშგ.ლხმ.ჩბხ. ჰარიქა—ლშხ. არიქა 'არიქა' (შდრ. იმერ.
 გურ. ჰარიქა)
 ლხმ.ჩბხ. ჰასჟიშ—ლშხ. ასუშ, ლნტ. ასეიშ 'ასული'
 ლხმ.ჩბხ. ჰასტამ—ლშხ.ლნტ. ასტამ 'ასტამი, ცეცხლის
 გასაჩხრეკი რკინა' (შდრ. აქარ. ასტამი)
 ლხმ. ჰაშდეკვ—ლშხ. აშდეკჟ, ლნტ. აშტაკვ 'ხვლიკი'
 ლხმ.ჩბხ. ჰაშთქე—ლშხ. აშთქე, ლნტ. აშტქე 'მაკე'
 უშგ.ლხმ. ჰაბ—ლშხ. აბ 'პირისახის ფერი'
 უშგ.ლხმ. ჰა—ლშხ.ლნტ. ა 'თუ'
 უშგ. ჰაგაშ, ლხმ. ჰაგამ—ლშხ. აგაშ 'მოდგმული'
 უშგ.ლხმ. ჰაგარ—ლშხ. აგარ 'ფეხშიშველი'
 უშგ.ლხმ. ჰავა—ლშხ.ლნტ. ავა 'ჰავა'
 უშგ. ჰაკვენ—ლშხ. აკავან, ლნტ. აკავან 'აკვანი'
 უშგ. ჰალა—ლშხ. ალა 'ალალი'
 უშგ. ჰალეენ—ლნტ. ალიონ 'ალიონი'
 უშგ. ჰარდალ—ლშხ. არდალ, ლნტ. არდალ 'დიდი სიციხე'
 უშგ. ჰარდელი—ლშხ. არდელი 'ერთგვარი ბალახია'
 უშგ. ჰალერა—ლშხ. ალერა 'მიჯნა, საზღვარი'
 უშგ. ჰაჯ—ლშხ.ლნტ. აჯ 'ძალა, ძალადობა'
 უშგ.ლხმ. ჰარაქ-ჰურაქ—ლშხ. არაქ-ურაქ 'არაქურაქი'
 უშგ. ჰაბტკ—ლშხ. აბტკ, ლნტ. აბტკ 'აპკი'
 ბზ. ჰაყარ—ლშხ. აყარ, ლნტ. აყარ 'აყირო, მწარე კვანი'

- ლზმ. ჰეჯ ჰეჯჟი 'თანდათანობით', შდრ. ლნტ. ეჯეი-
ეჯეი
უშგ. ჰემა—ლზმ. ლნტ. ემა 'თუ რამე'
ლზმ. ჰემოშშალ—ლზმ. ემოშშალ 'თითქმის, ლამის, კი-
ნალამ'
უშგ. ჰერიია—ლზმ. ერიია 'კუდიანი, ეშმაკი'
უშგ. ჰუნგირ, ლზმ. ჩზზ. ჰინგირ—ლზმ. უნგირ, ლნტ.
უნაგირ 'უნაგირი' და სხვ.

§ 152. ამასთან ერთად ისიც გამოიკვეა, რომ ზემოსვანურის ხმოვანთა ფშინივიერ შემართვას ქვემოსვანურში შესატყვისად იოტირებული და ვიწრო ხმოვნები მოუდის. მაგალითად: ბქვ. ჰა-
ზჷ || აოზჷ—ლზმ. დეზჷ, ლნტ. აზჷ 'ეზო'

ბქვ. ჰალონ—ლზმ. ძალონ 'ალიონი'

ლზმ. ჰერსკენ—ლზმ. დერსკენ 'შველი'

ბზ. ჰანდურდ—ლზმ. დანდურდ 'სულ, მთლიანად'

ბზ. ბქვ. ჰებ—ლზმ. ლნტ. დებ 'ალუბალი'

ჩზზ. ლზმ. ჰედ—ლზმ. ლნტ. დედ 'ან'

ჩზზ. ჰედურ, ლზმ. ჰედჷირ—ლზმ. ლნტ. დედურ 'ჯანმრ-
თელი'

ლზმ. ჩზზ. ჰელ—ლზმ. დელ 'ალი'

ლზმ. ჩზზ. ჰერყლიან—ლზმ. დერყანიან 'ლორმუცელა'...

ან კიდევ: უშგ. ლზმ. ჩზზ. ჰოკერ—ლზმ. ლნტ. ვოკერ 'ბო-
ლო, ფსკერი'

ლზმ. ჩზზ. ჰემა—ლზმ. ლნტ. ვომა 'დაფარვა, დამალვა'

ლზმ. ჰო—ლზმ. ლნტ. ვო 'ჰო'

უშგ. ჰოლ—ლზმ. ლნტ. ვოლ 'ყინული' და სხვ.

უქანასკნელ რამდენიმე მაგალითში თავიიდურ ო-ს წინ განვი-
თარებული ვ (ჷ) მიუთითებს ო-ს სივიწროვეზე (შდრ. იმერ. გურ.
ვორი, ვოცი, ვორმო და სხვ.).

ჩანს, ანლაუტში მოქცეულ ხმოვნებს ზემოსვანურში (ბალსზე-
მოურსა და ბალსქვემოურში) უვითარდება ჰ ბგერა ფშინივიერი
შემართვის გამო, ხოლო ქვემოსვანურში (ლაშხურსა და ლენტეხურში)
იოტი და ო-ს წინ ჷ თანხმოვანი.

§ 153. სევანურში ხმოვანთა ფშვინიერი შემართვის შემდგომი განვითარებაც ხდება და ზოგჯერ ჰარაჰის პარალელურად გვაქვს ხარაჰის ამის მსგავსად: ჰასაკი || ხასაკი 'ასაკი'

ბზ. ჰადურდ || ხადურდ 'სრულიად, მთლიანად'

ბზ. ჰამა || ლშხ. ხემა 'როგორ'

ბზ. ჰამეჰა || ხამეჰა || ლშხ. ხემეჰა 'როგორც'

ბზ. ჰადაჯუყე || ლშხ. ხადაჯუყე საკ. სახ.

ჰატ || ხატ შორისდებულია

ბზ. ჰაყბაქი || ხაყბაქი 'ლოყაზე' და სხვ. (შდრ. ქართ. ჰაერი || ხაერი, ჰან. ჰალალ || ხალალ 'ხელიკი', ჰამამი || ხამამი 'აბანო', ჰავა || ხავა და სხვა).

ბზ. ხეხე || უშგ. ლშხ. დეხე ('ცოლი') მიგვითითებს იმაზე, რომ პირველად ფორმად *ჰეხე უნდა ვივარაუდოთ.

აქედან ირკვევა; რომ სევანურ ხმოვნებს რბილი შემართვა არ ახასიათებს.

§ 154. სევანურის ამ მონაცემებს კიდევ უფრო ამაგრებს სევანურის მოძვენათა ცოცხალი ენობრივი მასალები. ასე, მაგალითად, ჰანურის ვიწურ-არქაბული კილოს ჩვენებით ნაცვალსახელებსა და ზმნისხედებს ხმოვნის ფშვინიერი შემართვა დღესაც ახასიათებს.

ვიწ.-არქ. ჰაჰა || ხოფ. აჰა 'ეს'

ვიწ.-არქ. ჰეა || ხოფ. ია 'ის'

ვიწ.-არქ. ჰამუქ || ხოფ. ამუქ 'ამან'

ვიწ.-არქ. ჰაშო || ხოფ. აშო 'ასე'

ვიწ.-არქ. ჰასთერი || ხოფ. ასტერი 'ასეთი'

ვიწ.-არქ. ჰაქოლე || ხოფ. აქოლე 'აქეთ'

ვიწ.-არქ. ჰაწი || ხოფ. აწი და სხვ.¹

სათუქრებელია, რომ ინგილოურში თავკიდურ ხმოვანთა წინ ვასობრივად განვითარებული ჰ მიუთითებს ხმოვნის ფშვინიერი შემართვაზე; მაგალითად: ჰელვა, ჰაკაკი, ჰალავ, გუთან ჰაჩიჩაჰ, ეემ ჰარაკიმ. ჰუნდ, ჰეგი, ჰაგუბა, ჰაბაჰ, ჰამფავ, ჰუქნი, ჰუნახი, ჰუფიქრი² და სხვ.

ამის მიხედვით ირკვევა, რომ ხმოვანთა ფშვინიერი შემართვა, რაც ასე დამახასიათებელია სევანურის ბალსზემოურისა და ბალსქვე-

¹ შდრ. არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატ. ანალიზი, გვ. 81—82.

² მ. ჯანაშვილი, საინგილო; ძველი საქართველო, ტ. II, 1911—1913.

მოურის დიალექტებისათვის, არ არის უცხო სხვა ქართველური ენებისთვისაც.

§ 155. იზადება კითხვა: ახდენს თუ არა გავლენას ხმოვნის ბუნებაზე ხმოვნის ფშვინვიერი შემართვა და, კერძოდ, იცვლება თუ არა ტონის სიმაღლე? ამ კითხვაზე გარკვეული მოსაზრება აქვს გამოთქმული დე სოსიურს. იგი საკითხს ასე აყენებს: შესაძლებელია თუ არა საერთოდ არსებობდეს ყრუ ხმოვნები, რომელთა არტიკულაცია სახმო ტონის მონაწილეობის გარეშე ხდება. დე სოსიურს პირველ რიგში აუცილებელ საჭიროდ მიაჩნია განასხვაოს ყრუ ხმოვნები ჩურჩულით წარმოთქმული ხმოვნებისაგან, რომელთა არტიკულაციას არ ახასიათებს სახმო სიმების დაკომპლექსობა. მისი აზრით, ყრუ ხმოვნები შეიძლება მივამსგავსოთ მათ წინ წარმოთქმულ ფშვინვიერ h-ს ბგერათშეერთებაში ha, hc, hi, ho, hū, hu, hū. აქ ჯერ მოისმის ხმოვანი უფიბრაციოდ, შემდეგ კი ნორმალური a, e, i, o, ū, ü¹.

გ. პანკონჩელი-კალცია საკითხის ექსპერიმენტულად შესწავლის საფუძველზე შემდეგს უცილობელ დასკვნას იძლევა: მაგარი შემართვისა და დამართვის შემთხვევაში სახმო სიმების დაკომპლექსობისა და შედარებით მეტი დაკომპლექსობის გამო g-ს კომოგრაფული მრუდი დასაწყისშიც და ბოლოშიც გვიჩვენებს მაღალ ტონს, მაშინ როდესაც ფშვინვიერი შემართვისა და მომდევნო ექსპერაციის გამო სახმო სიმები ხმოვნებს წარმოთქვამენ უმნიშვნელო დაკომპლექსობით, და ამიტომ ყრუ ტონი წარმოიშვება (იქვე, 53).

§ 156. ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვის საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა ის მოსაზრება, რომელიც ი. ბოდუენ-დეკურტენეს აქვს გამოთქმული ენებში საერთოდ ასპირაციის შესუსტების ტენდენციის გამო. მისი სიტყვით, ენათა უფრო ძველი საფეხურისათვის დამახასიათებელია ხორხის აქტიური მოქმედება და ასპირაციაც მის ფუნქციას წარმოადგენს. ხორხის აქტიურობის თანდათანობითი შესუსტება იწვევს ასპირაციის შესუსტებასაც. ან მის სავსებით გაქრობას. ამის მაგალითად ასახელებს, ერთი მხრით, ლათინურისა და, მეორე მხრით, მისგან მომდინარე თანამედროვე რომანული ენების ვითარებას; ან კიდევ: გერმანული ენების ადრე-

¹ Де-Соссюр, Курс общей лингвистики, 1933, гл. 64.

ული საფეხურისათვის დამახასიათებელი იყო hl, hr, ამჟამად გვაქვს: l, r¹.

ი. ბოდუენ-დე-კურტენეს ამ მოსაზრებას სავსებით ადასტურებენ ქართველური ენებისა და, კერძოდ, სვანურის მონაცემები. ქართველურ ენებშიც თვალსაჩინოა ისტორიულად ხორხის მოქმედება და შემდგომ მისი ფუნქციის შესუსტების ფაქტი. ეს შეეხება არა მარტო ხმოვანთა ფშვინვიერ შემართვასა და დამართვას, არა-ნელ სხვა ფარინგალთა არტიკულაციის ცვლასაც.

¹ И. А. Бодуэн-де-Куртене, Об одной из сторон постепенного человеческого языка в области произношения в связи с антропологией, 1904, 33-278.

В. სვანური კონსონანტიზმი

VIII. შიშინა ფენა სვანურში

§ 157. ნ. მარმა სვანური ენის დიალექტების გათვალისწინების საფუძველზე პირველმა დაასაბუთა სვანურში რამდენიმე ენობრივი ფენის არსებობა. კერძოდ, მან სვანურში აფხაზურის გვერდით განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მეგრულ-ქანურ ფენას¹.

სვანურში შესული ის ძირითადი შიშინა ფენა, რომელსაც ეკვივალენტი ქართულში სისინა სახით მოეპოვება, მეგრულ-ქანურია, ხოლო სვანურის საკუთარი ფენის შესატყვისობა ქართულთან სხვაგვარია. ნ. მარმის საყურადღებო დასკვნით სვანური მეგრულ-ქანურთან ამ მხრივ უფრო ახლოს დგას, ვიდრე ქართულთან (Из поэмодок..., გვ. 16). შიშინა ფენა განსაკუთრებით საგრძნობია სვანურის არა მარტო ლექსიკასა და ფონეტიკაში, არამედ მორფოლოგიაშიც. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა უბრალო სესხებასთან, არამედ ქართულ-მეგრულ-ქანურ-აფხაზური ენობრივი ფენების სვანურთან საფუძვლიან შერევასა და შერწყმასთან.

დღეს შიშინა გაბგერება ანუ 'შიშინობა სვანურის ერთ-ერთ ფონეტიკურ თავისებურებას შეადგენს. ამ დებულების საილუსტრაციოდ საკმაო რაოდენობის მაგალითების დასახელება შეიძლება; მაგ.: თვით სვანთა სახელწოდებაც შიშინა გაფორმებისა არის: შვან-ნარ (ბზ. 1,18) 'სვანები', შვანთე (2.10) 'სვანეთში', ლუშნუნინ 'სვანური ენა' და ა. შ.

შველ (პოეზ. 210,40), ქართ. სველი (შდრ. მეგრ. შოლირი 'სველი', ლშხ.ჩოლ. შველ).

¹ Н. Я. Марр, Тубал-кайинский вклад в сванском: ИАН, 1912, 33-109; მისივე, Из поэмодок в Сванию: Христианский Восток, 1913, 33-16; მისივე, Непечатый источник истории кавказского мира: ИАН, 1917, 33-307—338.

- ჯ არ ღ ე (— მეგრ. ჯ ე რ ღ ე ი: პოეზ. 164,44), ქართ. ძ ა რ ღ ე ი.
 ღ ა ქ ო ლ (პოეზ. 354,3), ლშხ. ღ ა ქ ა, ქართ. ღ ა წ ვ ი.
 ი შ ე მ ი ნ ე (პოეზ. 52,31), ქართ. ი ს ვ ე ნ ე ბ ს.
 გ ა ნ კ ე ვ (პოეზ. 206,34), ქართ. ა ნ წ ლ ი (ამ მაგალითში გ
 განვითარებული ჩანს!) (შდრ. მეგრ.-ქან. ინკირი: Түң.-к. ВКЛЛ, 195).
 ლხმ. კ ა ნ ტ ი ლ, ლშხ. კ ა ნ ტ ი, ქართ. წ ა ნ დ ი ლ ი.
 ზ ს ე. ქ ა რ ჩ, ქართ. ქ ე რ ც - ლ - ი.
 ლხმ. ჯ ვ ი რ ჯ ტ, ქართ. ძ ო ნ ძ ი.
 ლხმ. ე ი ნ ა, ლშხ. ე ე ნ ა, ქართ. ძ ე რ ა.
 სვნ. ე ე ღ - ტ, მეგრ.-ქან. ჯ ო ლ - ო რ - ი, ქართ. ძ ა ღ - ლ ი (შედარ.
 ლექს. 82).
 ლხმ. ლ ი - ე ე ღ, ლშხ. ლ ი - ე ო ღ, ქართ. ძ ღ - ო ლ - ა.
 სვნ. უ - ე, მეგრ.-ქან. ჯ - ი რ - ა, ქართ. ძ - ი ლ - ი.
 სვნ. ჯ გ მ - ი ლ 'ძმადისათვის', მეგრ. ჯ ი მ - ა, ქან. ჯ უ მ - ა, ქართ.
 ძ მ - ა (— ძამა) (შედარ. ლექს. 25).
 სვნ. მ ი ე, მეგრ. ბ ე ა, ქან. მ ე - ო რ - ა, ქართ. მ ზ ე (შედარ.
 ლექს. 202).
 სვნ. ლ ჯ - ე, მეგრ. ბ - ე - ა, ქან. მ - ჯ - ა || მ - ე - ა (შედარ. ლექს.
 94), ქართ. რ - ძ ე.
 სვნ. ჯ ი ჯ ვ, მეგრ. ი ჯ გ ვ ი ჯ გ ვ ი ნ ა ნ - ს „უხეშად, ტლანქად
 გამოიყურება“ (ფუძის უძვ. აგებ. 25), ქართ. ძ უ - ა ლ - .
 ჯ უ ა (— მეგრ. ჯ უ ა: პოეზ. 220,29), ქართ. ძ უ.
 ჯ ვ - ი ნ - ე ლ (ბზ. 1,3), მეგრ.-ქან. ჯ ვ - ე შ - ი, ქართ. ძ უ - ე ლ (ფუ-
 ძის უძვ. აგებ. 37).
 სვნ. ე ა ხ - ე, ქან. ჯ ო ხ ო, ქართ. ძ ა ხ - ე ბ - ა (იქვე, 32).
 სვნ. ყ ვ ი ტ - ე, ქართ. ღ ვ ი ძ - ღ - ი (შედარ. ლექს. 67).
 ბქვ. ლ ი - ღ ჯ - ი ნ ე, ლშხ. ლ ი - ღ ძ - ი ნ ე, ქართ. გა - ღ ი ზ - ი ა ნ - ე ბ ა.
 ლშხ. გ ო შ ი, ზსვ. გ ვ ე შ ი, ლხმ. გ ე შ ი, ქან. ო ფ შ ა, მეგრ.
 ე ფ შ ა, ქართ. ს ა ვ ს ე. „გოში“ სიტყვაში გ განვითარებულია
 (ე. თ ო ფ უ რ ი ა, ფონეტი. დაკვ. V, 233).
 ვ ა რ ჩ ხ ი ლ (— მეგრ. ვ ა რ ჩ ხ ი ლ ი) (პოეზ. 150,38), ქართ.
 ვ ე რ ც ხ ლ ი.
 ა მ ი შ თ ა ნ ი (პოეზ. 26,51; ა მ ო შ თ ა ნ ბზ. 59, 15), ქართ.
 ა მ ი ს თ ა ნ ა.
 ა შ (პოეზ. 8,23; 8,29), ქართ. ა ს ე.
 ნ ა თ. - ი ს = - ი შ: ა მ ი შ (პოეზ. 28,56), ქართ. ა მ ი ს ა.

ნაშუვ (სვან. ენა, 227), ლშხ. ნაშუვ, ქართ. ნასვამი (შდრ. მეგრ. ნაშუშმა).

ჩხჩხ (ნიე. 197), ქართ. ცოცხი (შდრ. ლხმ. ჩეჩხ).

ლინქურე (ნიე. 60), ქართ. წურვა (ნ ფონეტიკურად არის განვითარებული).

ქითხ (პოეზ. 188,20), მეგრ. ქყითა, ქართ. წყრთა. ამ ში-დარებიდან ირკვევა, რომ წყრთაში ყ მეორეულია; რ-ც ჩართული ჩანს, ხოლო ქითხში ხ განვითარებულია და ჰარმონიული კომპლექსი თხ წარმოშობილა (შდრ. ქართ. თავი, სენ. თხუმი¹).

ლშხ. ლხმ. ლი-ზექქე 'სკდომა, გასკდომა' (შდრ. ქან. „ქკალიქოკომქკიდუ“: ს. ელენტი, ქან. ტექ. 17,9 'ყველმა გამტკლიცა'), ლნტ. ლი-ბაწკ 'გასკდომა'.

ნ. მარის მიერ დადგენილ ქართულ-მეგრულ-სვანურ შესატყვისობათა საფუძველზე ვ. თოფურიას მოცემული აქვს რამდენიმე სიტყვის ეტიმოლოგია. ეს ეტიმოლოგიებიც ნათლად მიუთითებენ იმაზე, თუ რამდენად ქარბად არის სვანურში წარმოდგენილი შიშინა ფენა.

მაგ.: სენ. ქაშ, მეგრ. კოჩი, ქართ. კაც-ი (ნ. მარი).

სენ. ლი-რში, მეგრ. რჩ-აფა, ქართ. რეც-ვა.

სენ. ხო-შა, მეგრ. უჩ-აში, ქართ. ხუ-ც-ეს-ი (ნ. მარი, ა. შანიძე).

სენ. ქიშხ, მეგრ. კუჩხ-ი, ქართ. კეცხ (ლბერკი) (ნ. მარი).

სენ. ლი-შნ-ე 'ხილის მოსხმა', მეგრ. ჩან-აფა, ქართ. აღმოცენ-ება.

სენ. ლ-ვაშ, მეგრ. ოჩი, ქართ. ვაც-ი.

სენ. ლი-შხ-ი 'წვა' (შიხ 'ნახშირი'), მეგრ. დაჩხ-ირ-ი, ქართ. ცეცხ-ლი (-სეცხ-ლი) და სხვ.²

¹ ხ-ს განვითარების შემთხვევა ც-ს მეზობლობაშიც დასტურდება და ჰარმონიული კომპლექსია წარმოშობილი ცხ-ს სახით; მაგ.: ლშხ. ხაკაცხ, ლხმ. ხაკაცხ, ჩბხ. ხაკარცხ 'საკაცე'; ლხმ. ვესკაცხ შედგენილი სიტყვაა წარმოშობით: ვაც+კაც. მეგრ. ოჩ-ო-კოჩი. „ვესკაცხ“-ში გარდა იმისა, რომ ც-ს მეზობლობაში ხ არის განვითარებული, პირველი ც დეზაფრიკატიზებულია (იხ. ქვევით).

² ნ. მარი, Түбэл-кайнский вклад в сванском, 1094; ვ. თოფურიას, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, III: თბილ. სახ. უნივერსიტეტის შრომები, XV, 1940 წ., გვ. 48-50.

§ 158. ზემოდასახელებული მაგალითების მიხედვითაც ნათლად დასტურდება, რომ სვანური ძირითადად შიშინა ფენის ენაა. სვანურისათვის შიშინა გაფორმება იმდენად დამახასიათებელია, რომ სხვა დანარჩენი ფენა თითქმის იჩრდილება.

მეგრულ-ქანურისა და სვანურის შიშინა გაფორმება კანონზომიერ შესატყვისობაშია ამ ენათა ძირითად ხმოვანთა წარმოებასთან. როგორც ეს ზემოთაც იყო ნახსენები, მეგრულ-ქანურისა და სვანურის ძირითად ხმოვანთა წარმოებას უფრო უკანა არტიკულაცია ახასიათებს, ვიდრე ქართულის შესატყვის ძირითად ხმოვანთა წარმოებას¹. გარდა ამისა, სისინა და შიშინა აფრიკატებისა და სპირანტების პალატოგრამებით ნათლად გამოირკვეა, რომ სისინა თანხმოვნები უფრო წინა წარმოებისანი არიან, ვიდრე შიშინა თანხმოვნები. ამიტომ ენის შეხების სიფართოვე მაგარ სასასთან სისინა თანხმოვნების წარმოთქმისას უფრო მცირეა, ვიდრე შიშინა თანხმოვნების წარმოთქმისას. ბუნებრივი იქნება, თუ აქედან დავასკვნით, რომ ხმოვანთა ისეთ არტიკულაციას, როგორც მეგრულ-ქანურსა და სვანურს ახასიათებს, მხოლოდ შიშინობა შეეფერება, ხოლო ქართულ ხმოვანთა წარმოებას — სისინობა.

§ 159. ამასთან დაკავშირებით მეტად საყურადღებო დასკვნა აქვს მოცემული არნ. ჩიქობავას. მისი. აზრით, თანხმოვნებში დიფერენციაცია გამოუწვევია არტიკულაციის ცვლას. „წარმოების უკან გადაწევა — ენის მონაწილეობის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, — წერს იგი, — ესაა ის საფუძველი, რომელმაც განსაზღვრა ქანურ ბეგრულის „შიშინი“ ქართულის „სისინის“ ნაკვალად“².

იბადება კითხვა: რის საფუძველზე შეიძლება მომხდარიყო ასეთი არტიკულაციური ცვლა? უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი არტიკულაციური ცვლა შეეძლო გამოეწვია პალატალიზაციას. ანალოგიური ვითარება დასტურდება სლავურ ენათა განვითარების ისტორიაშიც. ა. შახმატოვს მსგავსი მონაცემები ახსნილი აქვს პალატალიზაციის საფუძველზე. ასე მაგ., ის აღნიშნავს, რომ ბგერათშეერთებას sj, zj შეეძლო მოეცა s'j, z'j, ხოლო s'-სა და z'-ს j-სთან

¹ იხ. ჩვენი: მეგრულ-ქანური ვოკალიზმი.

² არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი.

ასიმილაციამ მოგვეცა $\text{š}(\text{ш})$ და $\text{ž}(\text{ж})$. $\text{s}'\text{š}'$ და $\text{z}'\text{ž}'$ კომპლექსებმა შემდგომი ცვალებადობის საფუძველზე მოგვეცეს $\text{š}'$ და $\text{ž}'$. ა. შახმატოვის აზრით, $\text{piš}'\text{e}\text{t}\text{x}$ ასეთი გზითაა მიღებული $\text{pišj}\text{e}\text{t}\text{x}$ -ისაგან¹.

გარკვეული კანონზომიერი შესატყვისობა, რომელიც ისტორიულად გამომუშავებულია ქართულ და მეგრულ-ქანურ თანხმოვანთა შორის, უნდა ვივარაუდოთ, ამგვარადაა მიღებული. ეს საკითხი ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის ერთ-ერთი კარდინალური საკითხია და იგი სპეციალურ კვლევას მოითხოვს. ამჟამად ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სვანურმა ბუნებრივად შეიგუა მეგრულ-ქანურის შიშინა ფენა. ეს კი იმას მოწმობს, რომ მას უდავოდ აქეთკენ აქვს ტენდენცია.

¹ А. Шахматов, К истории звуков русского языка: Собр. Остатков русской лексики и словесности АН, LXVII, С.-Петербург. 1901, № 7, гл. 4.

IX. ლაბიო-ველარიზაცია სვანურში

§ 160. ზემოთ პალატოგრამებისა და რენტგენოგრაფიის მეთოდებით გამოიჩვენა, რომ სვანურის არტიკულაცია შეიცავს ზოგიერთ ისეთ თავისებურებას, რომელიც დღეს ქართულსა და მეგრულ-ქანურს არ ახასიათებს.

სვანურის ერთ-ერთ არტიკულაციურ თავისებურებას ლაბიო-ველარიზაცია წარმოადგენს.

დღევანდელი სვანურის წარმოთქმაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სვანურ მეტყველებას ქართულთან შედარებით ახასიათებს უფრო დახურული და უკანა არტიკულაცია¹. არტიკულაციური სხვაობა განსაკუთრებით შესამჩნევია, როდესაც სვანი ქართულად მეტყველებს.

ეს არტიკულაციური თავისებურება, როგორც ჩანს, სვანურს ჰქონდა ჯერ კიდევ მანამდის, სანამ შერევა მოხდებოდა. წარმოთქმის ის თავისებურება, რომელიც სვანთა წინაპრების საარტიკულაციო ბაზისს ახასიათებდა, ცხადია, შესაფერისად გადაამუშავებდა გარედან მიღებული ენობრივი მასალების ბგერებს. საკუთრივ სვანურის, როგორც მიმღები ენის, ფონეტიკური ნორმა სხვა უნდა ყოფილიყო. ბევრ შემთხვევაში ამით უნდა აიხსნას ხმოვანთა და თანხმოვანთა ის მოდიფიკაცია, რომელიც სვანურის დიალექტებში დასტურდება.

§ 161. ნ. მარი ჯერ კიდევ სვანეთში პირველად მოგზაურობის დროს აღნიშნავდა, რომ „ქართულის წინაენისმიერებს სვანურში უკანაენისმიერები ედრებიან“-ო და ამის მაგალითად მოჰყავდა ქართ. ცდ-უნება—სენ. ლი-ქდ-უნე (ც || ქ)².

¹ იხ. ჩვენი: ქართული ფოკალიზმი, გვ. 259.

² ნ. მარი, ქართული ენათმეცნიერებაში: თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, 1937, VI, გვ. 318.

ამ ნიშართულებით ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ გვიჩვენა, რომ ეს არტიკულაციური თავისებურება ფართოდ ყოფილა გავრცელებული სვანურში და საკმაო რაოდენობის მაგალითებითაც დასტურდება; მაგ.: ქართ. სულ-ი, სენ. ქჷინ (ს || ქ). სვანური ქჷინ ნიშნავს სუნ'საც და სულ'საც (ფუძის უძვ. აგებ. 42-43).

ქართ. ს-ს შესატყვისად სვანურში ხ მხოლოდ ერთ მაგალითში არის დადასტურებული და ისიც ქართულიდანაა შესული: ქართ. სწორ-ი — სენ. ხწორ; სენ. სახწორ (ბზ. 84, 21) — ქართ. სახწორ-ი (შდრ. იმერ.-ლენხ. ხწორი).

ქართ. შე-შ-ა (-სე-შ-ა), მეგრ. დი-შქ-ა, კან. დი-შქ-ა (|| დი-შქ-ა: შედარ. ლექს. 157) — სენ. ზე-ქ (შ || ქ); ქართ. ჩა-ც-ა — სენ. ლი-ქვემ (შდრ. კან. დოლო-ქუნ-უ, სენ. ლერე-ქვე 'ტანსაცმელი': შედარ. ლექს. 177)¹.

§ 162. საინტერესოა ანალოგიური მოვლენის დადასტურება სხვა სისტემის ენათა მიხედვით. ასე მაგ., ი. ბოდუენ-დე-კურტენეს მეტად საყურადღებო ფაქტები მოჰყავს ინდოევროპულ ენათა განვითარების ისტორიიდან იმის საილუსტრაციოდ, რომ უკანაენისმიერთა ლოკალიზაცია შეიცვალა წინაენისმიერთა ლოკალიზაციით. მაგ., ლათ. canis, camera, causa და სხვა ამგვარი სიტყვების k-ს ჩაცვლად ფრანგულში წარმოითქმის ch (ш): chien, chambre, chose.

გარდა ამისა, ი. ბოდუენ-დე-კურტენე აღნიშნავს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ინდოევროპულ ენათა ისტორიის სხვადასხვა პერიოდში უკანაენისმიერი პალატალიზებული k' (кх); g' (гх) შეიცვალა č (ч), ž (ж), ან c (ш), dz (дз), ან t' (тх), d' (дх)-დ. ავტორის აზრით, ამ რიგს განეკუთვნება ლათინური სიტყვების ciccero, cecini, fecit, facere-ს გერმანული წარმოთქმა (შდრ. ქართ. ცდუნება — სენ. ლი-ქდუნე; ქართ. სულ-ი — სენ. ქჷინ და მისთ.).

რუსულ წარმოთქმაში რომ ки, ги-ს ნაცვლად ти, ди გვხვდება, ი. ბოდუენ-დე-კურტენეს² ესეც ამ რიგის მოვლენად მიაჩნია

¹ (რ)-ქუ- (სა-რ-ქუ-ელ) და -ცუ- (ა-ცუ-ია) ძირების ფონეტიკური და სემანოლოგიური ტოლობის შესახებ იხ. სახელის ფუძის უძვ. აგებ. 96.

² И. Бодуэн-де-Куртене, Об одной из сторон постепенного чешовечения языка в области произношения в связи с антропологией. გვ. 281—282.

(მაგ.: паутина — паукина, тисть — кисть, ангел — ангал). ავტორი ასეთი არტიკულაციური ცვლის ძირითად ფაქტორად პალატალიზაციას ასახელებს.

აქედან ხომ არ გამომდინარეობს ის, რომ სვანურის უკანაენისმიერები ქართულში, თუ გინდ იმავე პალატალიზაციის საფუძველზე, წინა ენისმიერებად არიან ქცეულნი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ორს განსხვავებულ საარტიკულაციო ბაზისთან, რომელთაც დამოუკიდებელი განვითარების გზები მოეპოვებათ. ჩვენი აზრით, ნ. მარს სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში, როდესაც იგი წერდა, რომ „ქართულის წინაენისმიერებს სვანურში უკანაენისმიერები ედრებიანო“.

§ 163. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ქართულის უკანაენისმიერებს სვანურში შეერთადება ფარინგალები: ქართ. კო მ ბ ა ლ-ი — უშგ. ყ ვ ჰ მ ბ ზ ლ (ნიფ. 303); ქართ. კ ა რ-ი — სენ. ყ რ რ (შედარ. ლექს. 155); რუს. крыжка — უშგ. ყ რ უ შ გ ა (ნიფ. 17), ლშხ. ყ უ რ უ შ გ ა დ (38:4) (შდრ. ყ ა შ-ყ ა ში 'კაშკაში': ვ ა ე ა, I, 254, 15).

ჩვენი ტექსტებით სვანურში დადასტურებული კ ი რ კ ო ლ ე რ ი'ს („კ ი რ კ ო ლ ე რ ი თომა“: ქან. ტექ. 191) შესატყვისია სვანური ყ ვ ო რ ყ ვ ლ ა ი („ფსთვარ ჯაგანდა ყ ვ ო რ ყ ვ ლ ა ი 'თმები გქონდა („გედგა“) ხუტუქი“: პოეზ. 2,3) (შდრ. გურ. კ ა კ ე ვ ი ლ ი 'ხუტუქი') (ყ || ყ); ქართ. კ ო ვ ზ-ი — სენ. (ბზ.) ყ რ შ. ამ მაგალითში კ-ს შესატყვისია ყ, ხოლო შ მიღებულია ზ (|| ჟ)-ს დაყრუების გზით (შდრ. მ ი ე 'მზე', მაგრამ: მ ი შ ლ ა დ ე ლ: მიე+ლადეღ 'კვირა', 'მზის დღე').

ქართ. კ ბ-ენ-ა — სენ. (ბზ.) ლი-ჭ ფ-ი, ჩოლ. ლი-ჭ ე ფ: ჯ ა ფ შ ე (ბზ. 31,17) 'კბენით' (კ || ჯ); ქართ. ყ ა ზ ა ხ-ი || დიალ. კ ა ძ ა ხ-ი — სენ. ყ ა ზ ა ყ, ლშხ. ყ ა ზ ა ყ (შდრ. მეგრ. ყ ა ზ ა ყ ი: ხ || ყ); ქართ. ლ ე ი ძ-ლი-ი — სენ. ყ ვ ი ძ-ე (ლ || ყ) (შედარ. ლექს. 67); ქართ. ქ ც-ძირს სვანურში შეესატყვისება ც ც: ქართ. დ ა-მ-ქ ც-ე-ე-ი — სენ. მ ჯ-ქ ც-ე (შდრ. ქართ. ქ ო რ წ ი ლ ი || ხევს. ქ ო რ წ ი ლ) (ქ || ც) და სხვ.

სვანურისათვის თანხმოვანთა უკანა არტიკულაცია და ფარინგალიზაცია იმდენად ბუნებრივია, რომ ც და ყ ბგერები ხმარების სიხშირის მხრივ არც ერთ სხვა თანხმოვანს არ ჩამოუვარდება. ეს ბგერები სვანურში ანლაუტსა და აუსლაუტში ისევე გამძლეა, როგორც ინლაუტში (შდრ. ჯ ა რ ჯ — ხახა, ჯ ე რ ჯ — მოხერხება, ჯ ო-ჯ რ ე ბ — ხოხობი, ც ი ო ყ ს ა კ. სახ., ყ ა ზ ა ყ — ყ ა ზ ა ხი და სხვ.).

ზემოდასახელებული ფაქტები იმაზე მოუთითებენ, რომ სვანურისათვის, განსხვავებით სხვა ქართველური ენებისაგან, დღესაც დამახასიათებელია ხორხის აქტიური მოქმედება და საერთოდ ფარინგალიზაცია. როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ამ ფაქტის დადგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მარტო ლაბიო-ველარიზაციის საკითხების გასარკვევად, არამედ ფარინგალთა რიგის აღსადგენადაც.

ცნობილია, რომ ჯ დღეს არ გააჩნია არც ახალ ქართულს და არც მეგრულ-ქანურს. იგი ჰქონდა ძველ ქართულს და ამჟამად ცოცხლობს ქართულის მთისკილოებში. რაც შეეხება ყ-ს, ქართულში იგი საკმაოდ მყარი ბგერაა, თუმცა ზოგჯერ არის შემთხვევა, როდესაც მისი ბუნება შერყეულია (შდრ.: ყურდგელი || კურდღელი; ყაბალახი || კაბალახი და სხვ.). უფრო შერყეულია ყ-ს ბუნება მეგრულში, ხოლო ქანურში ყ დღეს გადაშენების გზაზეა დამდგარი¹. სვანურში ყ-ს რყევა არ დასტურდება.

§ 164. სვანურში ლაბიო-ველარიზაციის დამადასტურებელ ფაქტად გამოდგებოდა წყვილბაგისმიერ ფ-ს წინ ლ (|| ჭ)-ს განვითარების შემთხვევები.

სპეციალურ წერილში გამოვკვეთილია, რომ ქართულსა და მეგრულ-ქანურში დასტურდება წყვილბაგისმიერ ფ-ს წინ უკანანისმიერთა განვითარება. უფრო ხშირია ამის შემთხვევები სვანურში. მაგ.: ქართ. ვაზი — სენ. ღვან; ქართ. ვაქარი — სენ. ღვაქარ; რუს. жидла — სენ. ღვინა (ჩვენი ტექსტებით: აინდ ღვინათე 'წაიდა ოში'). სვანურში გვხვდება ასეთი პარალელური ფორმებიც: ვეშგდ || ღვეშგდ 'უკან'; ვოღჟქ || ღვეღჟქ 'ცხვარი'. არის ფ-ს წინ გ-ს განვითარების შემთხვევებიც: გვეში, ლშხ. გოში 'სავსე' (შდრ. ქან. ოფში), გულმაშარ 'ულვაშები' და სხვ.²

სვანურში ფ-ს წინ უკანანისმიერ ლ-სა და გ-ს გაჩენის მიზეზია სვანური არტიკულაციისათვის დამახასიათებელი ლაბიო-ველარიზაცია. საერთოდ. იმ ენებში, სადაც ლაბიალიზაცია ცხოველი ფონეტიკური მოვლენაა, ბაგეების აქტიურ მოქმედებასთან ერთად განსა-

¹ არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 36.

² ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, V: ვნიშკის მთაბე, X, 1941 წ.

კუთრებით აღსანიშნავია ენის უკანა ნაწილის ავტომატური არტიკულაცია, რაც ხელს უწყობს უკანაენისმიერ სპირანტთა ან ხშულთა განვითარებას.

§ 165. ნ. ი უ შ მ ა ნ ო ვ ს ლ ა ბ ი ა ლ ი ზ ა ც ი ი ს სა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე ძ ი რ ი თ ა დ თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა გ ა რ დ ა ქ მ ნ ის მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი მოჰყავს ე. წ. შონის ჯგუფის ენებიდან, სადაც ბჟ — ბლ — ბგ, თჟ — თხჟ — თქჟ, სჟ — სხჟ — სქჟ და სხვ.¹

ანალოგიური შემთხვევები დასტურდება ქართველურ ენებში და, კერძოდ, სვანურშიც.

ბუნებრივი რქნებოდა, თუ ჩვენ სვანურში წინაენისმიერ თანხმოვანთა უკანაენისმიერად გარდაქმნას ავხსნიდით ლაბიო-ველარო-ზაციით². ამას გვაფიქრებინებს, უმეტეს შემთხვევაში, თანხმოვნებთან შემონახული წყვილბაგისმიერი ჟ (შლრ. ქართ. ს უ ლ ი — სენ. ქ ჟ ი ნ; ქართ. შთა-ც უ მ ა — სენ. ლ ი - ქ ჟ ე მ; ქართ. ლ ვ ი ძ - ლ ი — სენ. ყ ჟ ი ე ე და სხვ.

თანხმოვნებთან ჟ ბევრ შემთხვევაში არაა შემონახული, იგი გაუჩინარებულია. ქართულსა და სვანურს შორის დღეს ერთგვარ გარდამავალ საფენურს ამ მხრივ მეგრულ-ქანური წარმოადგენს.

§ 166. ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის კანონით ქართულ-მეგრულ-ქანურ-სვანურს შორის ასეთი შესატყვისობა დასტურდება: ქართ. შ, მეგრ. ს ქ (|| შქ), სენ. ს გ (|| შ გ):

ქართ. შ ვ ი დ-ი, მეგრ. შ ქ ვ ი თ-ი, სენ. ი-შ გ ვ ი დ

ქართ. შ ჟ ა, მეგრ. შ ქ ა, სენ. ი-ს გ ა

ქართ. ვ ა შ ლ ი, მეგრ. უ შ ქ უ რ ი, სენ. ჟ ი ს გ ვ და სხვ.³

იბადება კითხვა: ქართული შ-ს შესატყვისი რომ მეგრულში ს ქ (|| შქ) გვაქვს, რა გზით უნდა განვითარებულიყო ს ქ (|| შქ) კომპლექსში უკანაენისმიერი ქ? ჩვენ ესა და მსგავსი ფაქტები ერთ-ერთ

¹ Н. В. Ю ш м а н о в, Фonetические параллели африканских и афретических языков: „Africana“, I, 1937, გვ. 28.

² ასეთი მოსაზრება გამოთქვა ე. თოფურიამ ამ საკითხის გარშემო გამართული საუბრის დროს.

³ Н. Я. М а р р, Из поездок в Сванию, გვ. 19; ე. თოფურიამ, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, I: მიმოზიხველი, I, გვ. 203.

სპეციალურ წერილში ავხსენით ლაბიო-ველარიზაციით. ქართულ შ-ს უთუოდ თან ახლავს წყვილბაგისმიერი ჭ, როდესაც მას მეგრულში შეესატყვისება სქ (შქ) (თუმცა, შესაძლებელია, ზოგჯერ იგი შემდეგ იყოს გაუჩინარებული!); მაგ.:

ქართ. შ ვ-ი ლ-ი, მეგრ. ს ქ უ ა

ქართ. მი-შ ვ-ება, მეგრ. მე-შ ქ უ-მაღა

ქართ. შ ვ-ელ-ი, მეგრ. ს ქ ვ-ერ-ი, სენ. დ ე რ ს კ ა ნ

(შდრ. ქართ. ჩ ვი ლ ი || ხ ე ვ ს. ჩ ვ ი ჩ ვ ი ლ ი, მეგრ. ჩ ქ ი ჩ ქ უ;

ქართ. ჩ ვ ე ნ ი, მეგრ. ჩ ქ ი ნ ი) და სხვ.¹

დამატებით აქვე მოვიყვანთ კიდევ რამდენიმე მაგალითს:

ქართ. შ ა-შ ვ-ი, მეგრ. ზ ე-ს ქ ვ-ი, კან. მ-ზ ე-ს ქ უ (შედარ. ლექს. 105).

ქართ. მ ა ჩ ვ-ი, მეგრ. მ უ ნ ჩ ქ ვ-ი, კან. მ უ ნ ჩ ქ-ი (იქვე, 90).

ქართ. შ ვ-ენ, მეგრ. ს ქ ვ-ა მ, კან. ს ქ ვ-ა ნ (იქვე, 315).

ქართ. შ ვ-ა, მეგრ. ქ ო-ს ქ-უ, კან. ქ ო დ ო-ს ქ-უ 'კვერცხი დაღო' (იქვე, 315).

ქართ. ლ ა-შ-ი, მეგრ. ლ ე-ჩ ქ ვ-ი, კან. ლ ე-შ ქ-ი (იქვე, 51) და სხვ.

§ 167. ამ გზით განვითარებული ჩანს ქართველურ ენებში და, კერძოდ, სვანურში წყ, ჭყ, ტყ, წკ, ტკ მკვეთრ კომპლექსებში ყ და კ. არნ. ჩიქობავა სამართლიანად მიიჩნევს წყალ და მწყყმს ფუძეებში ყ-ს მეორეულობას (შედარ. ლექს. 182, კან. გრამატ. ანალიზი, 19). ამავე რიგისაა ქართ. ძ ე წ კ ე ვ ი (— * ძ ე წ ე ვ ი; შდრ. ჯ ა ქ ვ ი); ქართ. წ ა ვ-ი, მთიულ. მ-წ ვ ა ვ-ი, სენ. (ლშხ.) წ ყ ა ყ (წ ვ — წ ყ); ქართ. კ ა-ო ბ-ი — სენ. (ბქვ.) ქ ყ ი ბ, ბხ. ქ ე ო ბ (ქ — ქ ყ); ქართ. ქ ე ა რ-ტ ლ ი ა ნ ე ბ ი, სენ. ქ ყ ვ ა რ ტ ა ი ლ ა რ (პოეზ. 206, 33), ლშხ. ქ ყ ვ ა რ ტ 'ქვარტლი'.

ქართ. წ მ ი ნ და || წ მ ი და — სენ. (ლშხ.) წ ყ გ ლ ი ა ნ, ლხმ. წ ყ ი ლ ი ა ნ. ამ მაგალითში უნდა ვივარაუდოთ, რომ წმ კომპლექსს უნდა მოეცა *წვ და შემდეგ—წყ (შდრ. უ რ წ ყ უ ლ: პოეზ. 284, 26; ქართ. უ წ მ ი ნ დ უ რ ი).

კან. ო-წ ქ ე დ-უ 'ხედავდა, უყურებდა', სენ. ლ-ი-წ ე დ 'ნახვა'; ქართ. ტ ყ ა ვ-ი, კან. ტ კ ე ბ-ი, სენ. ტ უ ფ. როგორც ეს ჯერ კიდევ

¹ ს. უ ლ ე ნ ტ ი, ლაბიალიზებულ თანხვეანა საკითხისათვის ქართველურ ენებში: ენიშკის ზოამბე, X, 1941 წ., გვ. 188.

არნ. ჩიქობავამ შენიშნა, მკვეთრი ჰარმონიული კომპლექსები სვანურში იშვიათია, მაგრამ მაგალითები მაინც დაიძებნება. მეგრული ამ შემთხვევაში უფრო ხელშესახებ მასალებს იძლევა:

ქართ. მ-ქ ა დ-ი, მეგრ. ქკი დ-ი, სვნ. ქკჯტ (შეღარ. ლექს. 173)

ქართ. ქამა, მეგრ. ქკომუა || ქკუშუა

ქართ. კრა, მეგრ. ქკირუა || ქკჯრუა

ქართ. კრიჭინი, მეგრ. ქკირქკინი

ქართ. კიანქველა, მეგრ. ქკიქკიტია || ჯგვიჯგვიტია

ქართ. მ-ქ ლე, მეგრ. ქკოლა და სხვ.

მეგრულის მსგავსად წინაენისმიერებთან უკანაენისმიერთა განვითარება სვანურშიც დასტურდება.

შდრ. ქართ. შვიდი, მეგრ. შქვითი, სვნ. ი-შ გვიდ.

ქართ. შუა, მეგრ. შქა, სვნ. ი-ს გა.

ქართ. ქედ-ვა, სვნ. ლი-შქჳდ-ი და სხვ.

ირკვევა, რომ ლაბიო-ველარიზაციის შედეგად წინაენისმიერთა მეზობლობაში ხდება უკანაენისმიერ ხშულთა განვითარება. ეს პროცესი ნათლად ჩანს სვანურშიც.

ამგვარად, გამოირკვა, რომ ლაბიალიზაციის პროცესი, რომელიც ჩვენ ექსპერიმენტულად სვანურ ხმოვნებში დავადასტურეთ, ცხოველი მოვლენა ყოფილა ერთ დროს თანხმოვნებშიც.

შესაძლებელია სვანურში წინაენისმიერთა შეცვლა უკანაენისმიერებით შიშინა ფენის გზით მომდინარეობდეს (და ბევრ შემთხვევაში ეს ასეც არის), მაგრამ ამ საკითხის დასმა და გადაწყვეტა ჯერჯერობით ნაადრევად მიგვაჩნია, სანამ არაა შესწავლილი და გამოყოფილი სვანურში არსებული ენობრივი ფენები. ასევე სპეციალურ შესწავლას მოითხოვს ქართულსა და მეგრულ-ქანურშიც თანხმოვანთა ლაბიო-ველარიზაციის საკითხი. სხვა თვალსაჩინო მაგალითებთან ერთად ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ქართულ ჰარმონიულ კომპლექსთა წარმოშობა.

X. მუღერი ხუზული ფარინბალის საკითხისათვის სვანურში

§ 168. ქართულ სამეულთა სისტემა გულისხმობს, რომ მეექვსე სამეული (ჟ ყ -) ოდესღაც იყო არა დეფექტური, არამედ სრული. ნ. მარმა თავის დროზე შესაძლებლად ჩასთვალა მეღერი ფარინგალის ქართველურ ენებში თეორიულად არსებობა. „ძველი სალიტერატურო ქართული ენის გრამატიკაში“ მოცემულ ტაბულაში ეს ბგერა არშენახულთა და თეორიულად აღდგენილთა რიგშია შეტანილი¹.

ამ თორმეტი წლის წინათ გ. ახვლედიანმა ეს ბგერა სპეციალური კვლევის საგნად გახადა. მისი მოსაზრება ამ ბგერის შედგენილობისა და ბუნების შესახებ განსხვავდება ნ. მარის მოსაზრებისაგან². გ. ახვლედიანმა ლოგოპედიური მონაცემების საფუძველზე შეძლო ამ თეორიულად საეარაუდო ბგერის ფიზიოლოგიური დასაბუთება. მასვე აღწერილი აქვს ენაწლუნგობის ერთ-ერთი

¹ Н. Я. Марр. Грамматика древнелитературного грузинского языка, 1925, გვ. 30. აქვე საინტერესოა მოვოგონოთ ნ. მარის მიერ 1908 წ. ამ ბგერის შესახებ გამოთქმული მოსაზრება. ნ. მარი „ძირითად ტაბულებში“ წერდა: „Непоследовательность в транскрипции л то через џ (таб. I), то через г (таб. III) результат того, что пока не установлено, не ясно и для меня окончательно, который из двух существовавших первоначально џ (← гџ) и г (← гу) представлен в паличном грузинском л, хотя я и склоняюсь в пользу понимания его как г“ (Основные таблицы к грамматике древне-грузинского языка, С.-Птрб., 1908, გვ. 10).

² გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, 133.

შემთხვევა. 9 წლის ენაჩლუნგ ქალს (ვ. თ.) არ ჰქონდა მეხუთე სამეული (კ ქ გ). ამ სამეულის ნაცვლად ენაჩლუნგი წარმოთქვამდა მეექვსე „დეფექტური“ სამეულის რიგს: კ-ს ნაცვლად წარმოთქვამდა ყ-ს, ქ-ს ნაცვლად ჳ-ს, ხოლო გ-ს ნაცვლად ხმარობდა ხშულ მეღერ თანხმოვანს, ქართველურ ენებში ამჟამად არ არსებულს. შრომაში მეექვსე დეფექტური სამეული (ყ ჳ -) ადგილის წარმოების მიხედვით „ენის ძირის ფარინგალებად“ არის წოდებული, ხოლო გვარობის მიხედვით ხშულებადაა მიჩნეული. ჩვენთვის საინტერესო ბგერის ისტორიული ბედის შესახებ ავტორი ასეთ დასკვნას იძლევა: „ისტორიულ ხანაში ეს *გ, როგორც ჩანს, დაიკარგა ქართულ-ქართველურ ენებში უკვალოდ, შესაძლოა, რომ იგი შესცვალა ღ-ში ისე, როგორც ახალ სალიტერატურო ქართულში ჳ შეცვალა ხ-მ“ (იქვე) ¹.

§ 169. ნ. შარის სახელობის ენის ინსტიტუტის უმცროს მეცნ. თანამშრომელთან, ალი დავითიანთან, ლახამულურ ტექსტებზე მუშაობისას ჩვენ შევამჩნიეთ, რომ ის თავისუფლად წარმოთქვამდა მეღერ ფარინგალს როგორც ცალკე, ისე ბგერათა კომპლექსში. კერძოდ, ჩვენ ეს ბგერა დავადასტურეთ ისეთ ონომატოპოეტურ სიტყვაში, როგორცაა ბატების მოხმობისას ლახამულურში წარმოთქმული ბგერათა კომპლექსი: ღ'ა-ღ'ა-ღ'ა. ამის შემდეგ ჩვენ შევეცადეთ ამ სპეციფიკური ბგერის ფონოლოგიური მხარე გაგვეჩვენა და დავადასტურებინა იგი ცალკეულ სიტყვებში, როგორცაა რიცხვიც, სამწუხაროდ, მეტად განსაზღვრული აღმოჩნდა. ჯერჯერობით ეს მეღერი ფარინგალი დავადასტურეთ რამდენიმე სიტყვაში. ასეთია, მაგ.: ლხმ. ღ'ეჭი ² 'მთის მცენარეა, იქმება', ლხმ. ღ'უჭრი 'ქლიავის ყვავილის ნაყოფია, რომელიც ნამდვილ ნაყოფს წინ უსწრებს'.

ეს თავისებური ფარინგალი ასევე თავისუფლად წარმოთქვამდა როგორც ცალკე, ისე ბგერათა კომპლექსში ლენტეხელმა სპირიდონ ტვილდიანმა. მის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში ღ'ჳ (იგივეა, რაც ლხმ. ღ'ეჭი) აშკარად ისმის მეღერი ფარინგალი.

¹ გ. ახვლედიანი, ლოგოპედიის მნიშვნელობის საკითხისათვის ისტორიულ ენათმეცნიერებაში: თბილ. ფუნქც. ნერვ. დაავადებათა ინსტიტ. შრომები, II, 1945, გვ. 237.

² პირობითად მეღერ ფარინგალს ასე გამოვხატავთ: ღ'.

ლაშხელი არსენ ონიანი ამ ბგერას წარმოთქვამდა ლაშხეთის ერთ ერთი სოფლის სახელწოდებაში: ლ'ობ (შდრ. ლობ 'სკა, როფი'), იქვე პატარა მდინარის სახელია: ლ'ობ შურა; ლშხ. ლ'ამბელი 'ყაყანი, ყბედობა'.


ბალსზემოური კილოს წარმომადგენელმა სები გულედანმა ჩვენთვის საინტერესო ბგერა საკმაოდ დიდი რაოდენობის სიტყვებში დაგვიდასტურა; მაგ.: ლ'შარჯაბ 'ხის მრგვალი მაგიდა შუაში ჩაღრმავებული'; ბზ. ლ'გრჯაბ 'სხეულზე ამობურცული ხორცმეტი'; ლ'ღლ 'ქლარუნი, წქარუნი'; ლ'არყანდ, უშგ. გარყანდ 'მოთერთო გრძელნისკარტიანი ფრინველია, წყლის პირს ეტანება' (შდრ. ყარყატი); ლ'აჰკლ 'გონზე მოსვლა' (შდრ. ბზ. გაჰლობ 'გამოღარება, გვალვა'); ლ'ირმიშე 'გაქირებების დღე'; ლ'ირვშდ 'ფრინველია, ნამგალას მიაგავს'; ჯღვლჰპ 'თოვლ-ქყაპში სიარულის დროს ტლაპუნის ხმა'; ლჯღლ'რბჰნ 'კორძებიანი ჯირკი; გადატანით პატარა ტანის კაცზედაც იტყვიან'; დგღ'ნ'რ 'დიდი კრილობის თავის დაჩირქება' (შდრ. ბზ. ლიჯღ'კე 'კრილობიდან ჩირქის დენაზე იტყვიან'; ლ'ნჯბირვ 'ქანგმოდებული, ქანგიანი; გადატ. გულჩათხრობილი და ბრაზიანი კაცი'; ლჯღღ'ზბე 'პატარა ტანის ჩასკენილ და მსუქან კაცზე ან ქალზე იტყვიან'; ლ'ზდირ 'რაიმე უშნოდ ჩამოკიდებული' (შდრ. ლხმ. გვგვგრ); ლ'ანგალჰა 'აყლაყუდა კაცი' (შდრ. ლხმ. განგალჰა); ლიღ'ნდჰლ 'რაიმეს ქანაობა, იტყვიან მატლის მოძრაობაზედაც' (შდრ. ლხმ. ლიღვანდუნალ); ლ'ამბიშე: ლ'ამბიშედ ლიგნე 'დაძვამბილება, დაბეგვა; აგრეთვე ცივი იარაღით წელების დაყრევილება'; ბალ 'მარცვლეულის ან ფქვილის შესანახი ბეღელი' (შდრ. ლშხ. ბოყე, ყაბარდოული ბაკ)¹; ლ'ადალ 'ქათმის ტილი'; ლ'აშ 'თივის ზინის სარი'; ლიკვნიღ'ვი 'შებურღვა, შეხვრეტა' (შდრ. ლშხ. ლიკვნიღ'ვი); ბზ. ლგღ'ინჯოჩე 'გამოხრული'; ლგღ'ნიჩე რიკტაფელასებრი თამაშია; ლგღღ'ზენე 'დიდი ხნის სისველის ან სიღამპლისგან ობმოკიდებული საგანი'; ბზ. ჯგღ'ზნილ 'მუცელგამობერილი, ჯუჯა ტანის კაცი'; ლ'ემქეთ 'მარჯვე და თავაზიან კაცზე იტყვიან'; ლ'არსგლი||კარსგლი 'გარეული მიწის ვაშლის ღერო, იქმება'; ლუღ'უნსკე 'ძალზე წვრილი ტანის, ქიაყელა კაცი'; ლუღ'უნჩე 'ვისაც სახე მსუქანი და წამობერი-

¹ გ. როგავა, ფარინგალურ ხმულთა რიგისათვის კართველურსა და ადიღურ ენებში, გვ. 11.

ლი აქვს, იმაზე იტყვიან'; ლ' ვიჯ ა ბ || გ ვ ი ჯ ა ბ 'წვრილფეხა საქონ'
ლის კუქში ჩაწყობილი მოხარშული და წვრილად დაქრილი ნაწლა-
ვები, ფილტვი და ღვიძლი'; ლ' უ რ ჯ ა ნ 'ხბოს ნაწლავეები მხარაშუ-
ლი'; ლ' ი ნ კ ო ბ : ლ' ი ნ კ ო ბ ე ნ ა მარე 'ქონდრისკაცი'; ჰ უ ლ დ უ ლ' უ
|| ჰ უ ლ დ უ ყ ე 'მარილისა და ფეტვის ფქვილისაგან შემზადებული
ტყავეულის დასაზელი სითხე'; ბ გ ლ დ გ ლ 'ბინძური, უსუფთაო' და
სხვა.

ამ თეორიულად სავარაუდო მეღერი ფარინგალის დადასტუ-
რება სვანურში სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან სვანური წარმოთ-
ქმის ერთ-ერთ თავისებურებას სწორედ ფარინგალობა წარმოადგენს
(იხ. ზევით). ზემომოყვანილი მაგალითები უცილობელს ხდის სვა-
ნურში ფარინგალური მეღერის არსებობას. ჩვენ ექვი არ გვეპარე-
ბა, რომ ადგილზე კვლევა-ძიების ჩატარება კიდევ უფრო გაამრავ-
ლებს იმ სიტყვათა რიცხვს, რომლებშიც შემონახულია ეს მეღერი
ფარინგალი.

§ 170. სვანური მეღერი ფარინგალის ბუნების გამოსარკვევად
და დასაზუსტებლად ჩვენ იგი გრაფიკული მეთოდით შევისწავლეთ.
ლ'-ს კიმოგრაფული მრუდი (ფიგ. 107) გვიჩვენებს, რომ ეს ფარინ-
გალი მეღერი თანხმოვანია, ვინაიდან თვალსაჩინო რხევებს




ფიგ. 107

იძლევა როგორც პირის (S), ასევე ყელის (L) ჩამწერი კალამი¹. ამ
ბგერის განსაკუთრებულ ნიშან-თვისებად უნდა მივიჩნიოთ სახმო
სიმების შედარებით მეტი დაქიმულობა, რაც კარგად ჩანს ყელის
(L) კიმოგრაფულ მრუდზე. დასაწყისშივე ყელის (L) მრუდი ასახავს
ძლიერი შემართვის მომენტს, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით პირის (S)

¹ როგორც საერთოდ განიარაღებულია, პირიდან მომდინარე ჰაერნაკადის
ჩაწერის შედეგად მიღებულ კიმოგრაფულ მრუდს აღვნიშნავთ S (Souffle), ხოლო
ხორხის კვლეების (სახმო სიმების) რხევების მრუდს—L (Larynx).

ჩამწერი კალმის დასაწყისი რხევების შესახებ. სახმო სიმების საკმაოდ ძლიერ რხევათა შესატყვისად პირის (S) მრუდი დასაწყისში იძლევა ჩქამისათვის დამახასიათებელ არათანაბარ სუსტ რხევებს, შემდეგ რხევები თანაბარზომიერად ძლიერდება. ამ ნაწილში პირის მრუდი ხმოვნის მრუდს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე თანხმოვნისას.

§ 171. განსხვავებულ სურათს იძლევა ჳ-ს კიმოგრამა (ფიგ. 108).




ფიგ. 108

ამ ფარინგალისათვის დამახასიათებელი ფშინიერიობის გამო ყელისა (L) და პირის (S) ჩამწერი კალმები მხოლოდ ჩქამის შესატყვის გაძლიერებულ მოძრაობებს გვიჩვენებენ. ეს მოძრაობები ჳ-ს წარმოთქმისას ღია სახმო სიმებში ჰაერის ხახუნის შესატყვისი მოძრაობებია.


ფიგ. 107 და 108 კიმოგრაფული მრუდების შედარება გვიჩვენებს, რომ პირის (S) ჩამწერი კალმები შემართვის მომენტში ორივე შემთხვევაში საესებით მსგავს სურათს იძლევა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ნათლად ადასტურებს ლ'-სა და ჳ-ს ერთნაირ გვარობას. კერძოდ, ლ'-სა და ჳ-ს შემართვა სპირანტ თანხმოვანთა შემართვის სურათს უფრო მიაგავს, ვიდრე ნამდვილი ხშულის შემართვას; შემდეგი მომენტები კი ხშვა-სკლომით ხასიათდება და არა ნაპრალით. ამაში დავრწმუნდით ისეთი მარტივი ექსპერიმენტითაც კი, როგორცაა სპირანტის გაგრძელება წარმოთქმის დროს და ხშულის გაგრძელების შეუძლებლობა. როგორც ჳ-ს დაყოვნებული წარმოთქმა ვერ შესძლეს ცდის პირებმა მისი მეყსეულობის გამო, ისევე ვერ მოახერხეს მათ ლ'-ს გაგრძელებაც. ამგვარად, მტიცდება, რომ, მართალია, ლ'-სა და ჳ-ს შემართვა სპირანტისებურია, მაგრამ გვარობის

მიხედვით ისინი ძირითადად მაინც ხშულებია (ლ'—მკლერი, ჯ—ყრუ ფშვინვიერი).

§ 172. აქვე მოცემულია ლახამულური ონომატოპოეტური სიტყვის ლ'-ს (ფიგ. 109) და ლა (= „თვის“) თანდებულის (ფიგ. 110) კიმოგრაფები.



ფიგ. 109



ფიგ. 110

კიმოგრაფების შედარება შესამჩნევ განსხვავებას გვიჩვენებს. ლა-ს (ფიგ. 110) წარმოთქმისას არ ჩანს სახმო სიმების ისეთი დაკიმულობა და მოკმედების ენერგიულობა, რომელიც დამახასიათებელია ლ'-ს (ფიგ. 109) წარმოთქმისათვის. ამიტომ ლა-ს (ფიგ. 110) კიმოგრაფის მიხედვით პირისა (S) და ყელის (L) ჩამწერი კალმები შემართვის მომენტში სრული მკლერობისათვის საჭირო რხევებს არ იძლევიან. ეს რხევები შეტად სუსტია. ლ'-სა და ლ-ს ეს განსხვავება ჩვეულებრივი მოსმენითაც ადვილი გასარჩევია.

§ 173. გ. ახვლელიანის მიერ წამოყენებული სავარაუდოდებულება იმის შესახებ, რომ შესაძლებელია ისტორიულად ლ' შესცვალა ლ-მ ისე, როგორც ახალ სალიტერატურო ქართულში ჯ შეს-

ცვალა ხ-მ, ჩენი აზრით, სავსებით შეეფერება საქმის ვითარებას. ჩენი ექსპერიმენტული მონაცემებიც ამას უქერენ მხარს. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ჯ-სა და ლ'-სათვის დამახასიათებელია სპირანტიზებული შემართვა, რაც ნათლად გვიჩვენა კიმოგრამებმა (ფიგ. 107 და 108). სპირანტული ელემენტის ჩასახვას შემართვის მომენტში კი ხელი უნდა შეიწყოს ჯ-ს ხ-თი და ლ'-ს ლ-თი შეცვლისათვის. სვანურში ფარინგალი ლ'-ს გადაგვარებისა და უკანაენისმიერი სპირანტის ლ-ს გაბატონების საკითხი სპეციალურ კვლევას მოითხოვს. აქ მხოლოდ ამ პროცესის დამადასტურებელ რამდენიმე ნიმუშს დავასახელებთ; მაგ.:

ლშხ. ნე - ლე შ ტ, ჩბხ. ნე - ჯ შ დ, ლხმ. ნე - ხ შ დ 'თიკანი' (შდრ. ლხმ. ლი ნ ლ ე შ დ ი 'ზამთარში თხის გაბარება თიკნების მოსაგებად').
 ლშხ. ლ უ ლ ვ, ბხ. ყ ვ ი ყ ვ 'ჩიყვი' (შდრ. საბა: ლ უ ლ ი || ლ უ ყ ი).
 სვნ. გ ა რ გ ლ ა, ჭან. ღ ა რ ღ ა ლ: ო ღ ა რ ღ ა ლ უ 'ლაპარაკი',
 ქართ. ღ ა რ ღ ა ლ ი, გურ. ყ ა რ ყ ა ლ ი 'უშნო, ხმამალალი ლაპარაკი'¹
 და სხვა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ღ ფარინგალური მეღერი ხშულის ნაცვალაა. ანალოგიურ პროცესთან გვაქვს საქმე, როდესაც არაბული მეღერი ფარინგალი ქართულში იძლევა, ერთი მხრით, ღ-ს (ღარიბი) და, მეორე მხრით, ყ-ს (ყარიბი) (გ. წ ე რ ე თ ლ ი ს ჩენებით) (შდრ. ქართ. ყ ი რ ი მ ი (თოფი), ხევს. ჭ ი რ ი მ ი).

სვანურში ლ'-ს შეცვლა ლ-თი შეეძლო დაეჩქარებინა ქართულისა და მეგრულ-ქანურის გავლენასაც. ყველაზე დიდი რაოდენობით ღ ამ ენებიდან სვანურში შესულ სიტყვათა ძირებში დასტურდება. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ღ დასტურდება მხოლოდ და მხოლოდ სვანურის ჩამომავლობის სიტყვებში და არა ნასესხებში. ეს კი ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ეს სპეციფიკური ბგერა საკუთრივ სვანური. და საერთოდ ქართველური წარმოშობისაა და არა უცხო ენებიდან მომდინარე. კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობისაა ამ თავისებური ბგერის სვანურ სპეციფიკურ ონომატოპოეტურ სიტყვებსა, ფრინველთა და მცენარეთა სახელწოდებებში დადასტურება. როგორც ცნობილია, ასეთი სიტყვები ამსახველია ბგერათა უფრო ძველი მდგომარეობისა.

¹ შდრ. ჭან. ღურღულაღხ (ხოფ.) || გურგულაღხ (ათინ.-ვიწ.) 'გრგვინავს'; აგრეთვე 'მუცელი ხმაურობს'. შდრ. ყურყული || ღურღული; ჭან. ყუა (ხოფ.) || ღუა (ათინ.) || კუა (ვიწ.) 'მუბლი' (Н. Я. Марр, Грамм. чанского яа., გვ. 204).

§ 174. ლახამულურში დადასტურებული ონომატოპოეტური სიტყვა ღ'ა-ღ'ა, რომელიც ჩვენთვის საინტერესო ბგერის შემცველია, ქართველურ ენებში ბატის სახელწოდების საერთო ფუძეა: ქართ. ღერღეტი || ღერღედი (საბა), სენ. (ბქვ.) ღარღად, ლშხ. ღარღად, მეგრ. ღერღეტი || ღორღონჯი.

დღეს კი ქართველური ენებიდან პირველ რიგში ქართულმა დაკარგა ეს საკუთარი ჩამომავლობის სიტყვა და მის ნაცვლად გაბატონდა უცხო წარმოშობის ბატი (არაბ.). საყურადღებოა ისიც, რომ ღ'ა-ღ'ა, როგორც ონომატოპოეტური სიტყვა, მხოლოდ ბალსქვემოურმა შემოგვიწვინა. სხვა დიალექტებში იგი არ დასტურდება (შღრ. ბზ. ლშხ. ლნტ. სოი-სოი). ამ მხრივ ლახამულურის მონაცემები განსაკუთრებული მნიშვნელობისაა.

ბუნებრივად იბადება კიდევ ერთი ტერმინოლოგიური ხასიათის კითხვა. ამ სპირანტული შემართვის მქონე ფარინგალებს ყ ჯ ღ'-ს რა ვუწოდოთ? რამდენადაც ეს ფარინგალები ნახევრად სპირანტული და ნახევრად ხშული ელემენტების შემცველია, ამიტომ ყველაზე უფრო ამ ბგერათა ბუნებას გ. ახვლედიანის მიერ მოწოდებული ტერმინი სპირანტოიდი შეეფერება. ნ. იუშმანოვი ამ სპეციფიკურ ბგერებს აფრიკატოიდებს უწოდებს¹. სპირანტოიდს იმ მხრივაც აქვს გამართლება, რომ ისტორიულად ღ' და ჯ სპირანტოიდები ღ და ზ სპირანტებმა შესცვალეს. რაც შეეხება ყ-ს, მას შესატყვისი სპირანტი არა აქვს. არც შეეძლო მას სპირანტად ქცეულიყო მკვეთრობის ანუ ყელხშულობის გამო².

¹ Н. В. Юшманов, Фонетические параллели яфетических языков, 83-83.

² ს. ჟღენტის, ქართული აფრიკატების შედგენილობა ექსპერიმენტული მონაცემებით: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. VI, № 2, 1945, გვ. 172.

XI. სვანურ თანხმოვანთა კლასიფიკაცია

§ 175. სვანურ თანხმოვანთა კლასიფიკაციის საფუძვლად გამოყენებულია გ. ახვლედიანის ქართულ თანხმოვანთა კლასიფიკაციის ტაბულა¹.

იმის საფუძველზე, რაც ზემოთ ითქვა ცალკეულ თანხმოვანთა ბუნების შესახებ, სვანურ თანხმოვანთა შემდეგ კლასიფიკაციას ვიძლევი:

1. ტაბულაში მოცემულია ჩვენ მიერ სვანურში პალატოგრამული მეთოდით დადგენილი არაპალატალიზებული და პალატალიზებული თანხმოვნები.

2. სამეულბრივი სისტემიდან მეექვსე სამეულიც სვანურში წარმოდგენილია არა „დეფექტური“ სახით, არამედ სრული სახით.

3. წყვილმეულბრივი და ცალმეულბრივი სისტემა სვანურში იგივეა, რაც მის მოძვე ენებში.

4. სვანურ აფრიკატთა რაოდენობა და შედგენილობა ისეთივეა, როგორიც ქართულისა² (ტაბ. II).

¹ გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, 157.

² ს. ქლენტი, ქართული აფრიკატების შედგენილობა ექსპერიმენტული კონაცემებით: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ VI, № 2.

XII. მჟღერობის ხარისხიანობა სვანურის მჟღერ სშულეზში

§ 176. სვანურზე მუშაობისას, პირველ ყოვლისა, სხვა საინტერესო მოვლენებთან ერთად ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ სვანურის მჟღერ ხშულებში (ლენტეხურის გამოკლებით) მეტი მჟღერობის ხარისხიანობა შეინიშნებოდა, ვიდრე ქართულისა და მეგრულ-ქანურის მჟღერ ხშულებში¹.

სვანურის მჟღერ ხშულთა ექსპერიმენტული შესწავლით გამოირკვა, რომ სვანურს ახასიათებს მჟღერ ხშულ თანხმოვანთა ძლიერი დაწყება და ძლიერი დამთავრება. ამიტომ სვანური მჟღერი ხშულების წარმოთქმა მეტი ინტენსივობითა და ენერგიულობით ხასიათდება.

ამ მხრივ განსხვავებული ვითარებაა ქართულსა და მეგრულ-ქანურში.

§ 177. ქართველურსა და კავკასიურ მჟღერ ხშულებს რამდენიმე ექსპერიმენტული გამოკვლევა უძღვნა რ. შორმა. რ. შორის მიერ მიღებული დასკვნები განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ქართული და ქანური მჟღერი ხშულების ექსპერიმენტულად შესწავლის საფუძველზე იგი შემდეგ დასკვნამდის მივიდა: ანლაუტში მჟღერი ხშულები ნახევრად ყრუვდებიან, ხოლო სიტყვის შუაში ხმოვნებს შორის ინარჩუნებენ მჟღერობას².

¹ იხ. ჩვენი: ანგარიში 1938 წ. საზაფხულო მივლინებისა სვანური ენის ფონეტიკაზე სამუშაოდ: ენიმკის შოამბე, ტ. II, გვ. 277—280.

² P. Шор, К вопросу о консонантивизме яфетических языков Ю. Кавказа: Ученые записки Инст. этнических и национальных культур народов Востока, გვ. 195; მისივე, К вопросу о т. н. „геминатах“ (усиленных смычных) в яфетических языках Дагестана (из экспериментально-фонетических записей): Языки Северного Дагестана, I, 1935, 137—138.

ქართული და ქანური მელერი ხშულების ჩვენი კიმოგრაფული მრუდები საესებით ადასტურებენ რ. შორის ექსპერიმენტულ მონაცემებს, მაგრამ ეს მონაცემები ნაწილობრივ განსხვავდება იმ შედეგებისაგან, რომლებიც Rousselot-მ მიიღო. მისი ჩანაწერებით ინლაუტში ხმოვნებს შორის სუსტ მელერობას აქვს ადგილი და ისიც არა ყოველთვის¹.

რ. შორი ქართველურსა და კავკასიურ ენებში მელერ ხშულთა მკვეთრებში გადასვლის მიზეზად ასახელებს ამ ენათა „მელერობის“ სპეციფიკურ თავისებურებას. კერძოდ, მას ხუნძურის შესახებ აქვს ასეთი დასკვნა მოცემული².

§ 178. როგორია ვითარება ამ მხრივ სვანურში? ვიდრე ექსპერიმენტული მონაცემების განხილვაზე გადავიდოდეთ, სვანურში მელერი ხშულების ძლიერი დაწყებისა და დამთავრების საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს დავასახელებთ. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ვითარება, რომ აბსოლუტურ ბოლოში მოქცეული მელერი ხშულები ბალსემოურში, ბალსქვემოურსა და ლაშხურში მელერობას ინარჩუნებენ. ასეთი რამ უცხოა ქართულისა და მეგრულ-ქანურისათვის (შდრ. ქართ. დაღეგ — დაღექ); მაგ.: ლემესგ (ბზ. 188,27; შდრ. ლნტ. ლემესკ) 'ცეცხლი'; ლესგ (ბზ. 27,26; შდრ. ლნტ. ლესკ) 'გვერი'; დოსგ (ბზ. 19,6; შდრ. ლნტ. დოსკ) 'ადრე' და სხვ. ამ მაგალითებში, მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტურ ბოლოში მოქცეული გ მელერი ხშული ს-ს მეზობლობაშია, მელერობას მაინც ინარჩუნებს. ასევეა: წვად იკუბად (პოეზ. 250,7) 'მწვადი და კუბატი'; ტყუბ (ლშხ. 84,5) 'ტყუპი'; კად (ბზ. 397,23) 'მუკელი' და სხვ. (შდრ. კაცად — კაცათ, დიად — დიახ).

ისეთი შემთხვევებიც კი გვხვდება, როდესაც ქართულში მკვეთრია დადასტურებული, ხოლო მის შესატყვისად სვანურში აბსოლუტურ ბოლოში მელერი გვაქვს; მაგ.: ტახდ (ბზ. 278,23) 'ტახტი'; კავ (ბზ. 113,31) 'კაკი'; ტაბაგ (ლშხ. 38,15) 'ტაბაკი' და

¹ Principes de Phonétique Expérimentale, II, 1924, p. 866.

² P. Шор, К вопросу о консонантизме яфетических языков Сев. Кавказа (из инструментально-фоветических заметок): жур. рп. *Культура и Письменность*, 1929, გვ. 110.

სხვ. (მღრ. აგრეთვე ზემოთ დასახელებული ქარო. კუპატ-ი — სენ. კუბანდ, ქართ. ტყუპ-ი — სენ. ტყუბ).

აბსოლუტურ ბოლოში ყრუ თანხმოვანთა გამეღერების შემთხვევა არ დასტურდება არც ქართულში და არც მეგრულ-ქანურში. პირიქით, ამ ენებს ტენდენცია აქვთ აბსოლუტურ ბოლოში მოქცეული მეღერი ხშული წარმოთქმაში დააყრუონ. სვანურს ამ მხრივ ნაწილობრივ მთის კილოები უკერს მხარს. მაგ. „ახლა რო ას დე გ, დიაცო“ (ვაჟა, III, 185, 1); მოხეური: „შორს მი დე გ, ღუღუშაურო, არ მიგაკერო მიწასა“; „მოდე გით, ნუ გეშინიათ, ქალმა შაუკარ მჭარიო“; „შიოლა ღუღუშაურო, შკამს იჯედ ერისთვისასა“¹... კ. გუგუშვილის დასტურით საკუთარ სახელებში — უსუბ, იოსებ — აუსლაუტის ბ მოხევეთა წარმოთქმაში არ ყრუვდება.

§ 179. მეღერ ხშულთა ძლიერი დაწყება და ძლიერი დამთავრება ცნობილია ფრანგულ ენაში². ლ. შჩერბა აღნიშნავს, რომ ფრანგულს რუსულისგან განსხვავებული დამარცხლა ახასიათებს წარმოთქმაში, რადგან მეღერ ხშულთა ძლიერ დაწყებასა და დამთავრებას აქვს ადგილი. მაგ. ფრანგული ძლიერ დაწყებული წარმოთქმით გვექნება: tag-da, kag-da, nu-da და არა ta-gda, ka-gda, nu-da, როგორც ეს რუსულშია. მეღერ ხშულთა ძლიერი დაწყება და დამთავრება უცხოა აგრეთვე გერმანული წარმოთქმისათვის. ამიტომ რუსულსა და გერმანულში აბსოლუტურ ბოლოში მოქცეული მეღერი ხშული წარმოთქმაში უთუოდ უნდა დაყრუვდეს.

§ 180. სვანურში მეღერ ხშულთა წარმოთქმა უფრო ფრანგულისებურია, ვიდრე ქართულისებური. სვანური ამ მხრივ გამოირჩევა მისი მოძმე ენებისაგან. რომ ეს ასეა, ამაში ნათლად დაგვარწმუნა სვანურისა და მისი მონათესავე ენების მეღერი ხშულების გრაფიკული მეთოდით შესწავლამ და მიღებულმა ექსპერიმენტულმა მონაცემებმა.

ანლაუტის ბ-ს საშუალო ხანგრძლიობა სიტყვებში: ბაკ ('მღვდელი'), ბაჩ ('ქვა') უდრის 4,8 მ/მ (მასშტაბი: 1,27 მ/მ); მასზე იხარჯება 3,7 σ (სიგმა = 1/100 სეკ.). მეღერობა უდრის 100%.

¹ მაგალითები მოგვყავს კონსტანტინე გუგუშვილის მიერ შეკრებილი მასალებიდან.

² Л. В. Шчерба, Фонетика французского языка, გვ. 89—90.

და ეს მაშინ, როდესაც ქართული ანლაუტის ბ-ს საშუალო ხანგრძლიობა სიტყვაში ბ ე ბ ი უდრის 3,3 m/m; მასზე იხარჯება 2,4 ს. აქედან მელერობის მონაკვეთი უდრის 1,9 m/m; მასზე იხარჯება 1,4 ს. მელერობა უდრის 58%. მეგრულ ბ ა ბ ა' ში ანლაუტის ბ-ს საშუალო ხანგრძლიობა უდრის 5,4 m/m; მასზე იხარჯება 3,9 ს. აქედან მელერი მონაკვეთი უდრის 3,5 m/m; მასზე იხარჯება 2,5 ს. მელერობა უდრის 61%.

ი ნ ლ ა უ ტ ი ს ბ სვანურ სიტყვებში ა ბ ა ბ ე ('ანიავებს'), ი ბ ა ბ ი ('ნიავდება') საშუალო ხანგრძლიობა უდრის 12,4 m/m; მასზე იხარჯება 9,8 ს. მელერობა უდრის 100%. ქართულ სიტყვაში: ბ ე ბ ი ი ნ-ლაუტის ბ-ს საშუალო ხანგრძლიობა უდრის 12 m/m; მასზე იხარჯება 9 ს. მელერობა უდრის 100%. მეგრულ ბ ა ბ ა' ში ('მამა') ი ნ ლ ა უ ტ ი ს ბ-ს საშუალო ხანგრძლიობა უდრის 7 m/m; მასზე იხარჯება 5 ს. მელერობა უდრის 100%.

სვანურ სიტყვებში ს ა ბ ('წვრილი შეშა'), წ ა ბ ('სამართებელი') ა უ ს ლ ა უ ტ ი ს ბ-ს საშუალო ხანგრძლიობა უდრის 13 m/m; მასზე იხარჯება 10,4 ს. მელერობის მონაკვეთია 7,8 m/m; მასზე იხარჯება 6,1 ს. მელერობა უდრის 57%. ქართულსა და მეგრულში ა უ ს ლ ა უ ტ ში მოქცეული ბ წარმოთქმაში ხშირად ყრუვდება.

სვანურ სიტყვებში დ ო ტ ('ტუტა'), დ ო ს ა ('არ'), დ ო ნ ა ('ქალი-შვილი') ა ნ ლ ა უ ტ ი ს დ-ს საშუალო ხანგრძლიობა უდრის 5,1 m/m; მასზე იხარჯება 4 ს. მელერობა უდრის 100%. ქართ. დ ა ბ ა' ში დ-ს საშუალო ხანგრძლიობა უდრის 13,4 m/m; მასზე იხარჯება 9,2 ს. მელერობა უდრის 100% (მელერობის სუსტი ენერგიულობა შეიმჩნევა!). მეგრულ დ ი დ ა' ში ('დედა') ანლაუტის დ-ს საშუალო ხანგრძლიობა უდრის 6,7 m/m; მასზე იხარჯება 4,8 ს. აქედან მელერობის მონაკვეთია 5,1 m/m; მასზე იხარჯება 3,7 ს. მელერობა უდრის 77%.

სვანურ სიტყვებში ა დ ჭ ('კი'), ა დ ო ('თორემ') ი ნ ლ ა უ ტ ი ს დ-ს საშუალო ხანგრძლიობა უდრის 12,5 m/m; მასზე იხარჯება 9,8 ს. მელერობა უდრის 100%. ქართულ სიტყვაში ბ ე დ ი ი ნ ლ ა უ ტ ი ს დ-ს საშუალო ხანგრძლიობა უდრის 14,2 m/m; მასზე იხარჯება 10,3 ს. მელერობა უდრის 100%. მეგრულ სიტყვაში დ ი დ ა ი ნ ლ ა უ ტ ი ს დ-ს საშუალო ხანგრძლიობა უდრის 8,8 m/m; მასზე იხარჯება 6,4 ს. მელერობა უდრის 100%.

სვანურ სიტყვებში ხ ა დ ('ჰქონდა'), ზ ა დ ('საარაყედ დამეაყე-ბული ქერი') ა უ ს ლ ა უ ტ ი ს დ-ს საშუალო ხანგრძლიობა უდრის 17,5 m/m; მასზე იხარჯება 13,8 თ. აქედან მელერის მონაკვეთია 10,4 m/m; მასზე იხარჯება 8 თ. მელერობა უდრის 57% (შდრ. სვანური აუსლაუტის ბ ს მელერობა უდრის 57%). ქართულსა და მეგრულში აუსლაუტის დ წარმოთქმაში ჩვეულებრივ ყრუედება (შდრ. კარგად-კარგათ).

სვანურ სიტყვებში გ უ ლ ი ('საზარლად ყვირის'), გ ო კ ი ('გოქი') ა ნ ლ ა უ ტ ი ს გ-ს საშუალო ხანგრძლიობა უდრის 3,5 m/m; მასზე იხარჯება 2,8 თ. მელერობა უდრის 100%. ქართულ სიტყვაში გ ო ბ ი გ-ს საშუალო ხანგრძლიობა უდრის 2,8 m/m; მასზე იხარჯება 2 თ. მელერობა უდრის 100% (რხევები სუსტიან). მეგრ. გა ლ ე 'ში ('გარეთ') გ-ს საშუალო ხანგრძლიობა უდრის 4,5 m/m; მასზე იხარჯება 3,3 თ. მელერის მონაკვეთია 2,5 m/m; მასზე იხარჯება 1,8 თ. მელერობა უდრის 51%.

სვანურ სიტყვაში ა გ ი თ ე ('შინისკენ') ი ნ ლ ა უ ტ ი ს გ-ს საშუალო ხანგრძლიობა უდრის 12 m/m; მასზე იხარჯება 9,4 თ. მელერობა უდრის 100%. ქართულ ბ ა გ ა 'ში ი ნ ლ ა უ ტ ი ს გ-ს საშუალო ხანგრძლიობა უდრის 10,2 m/m, მასზე იხარჯება 7,4 თ. მელერობა უდრის 100%. მეგრულ სიტყვაში ბ ი გ ა ('ჯოხი') ი ნ ლ ა უ ტ ი ს გ-ს საშუალო ხანგრძლიობა უდრის 5,5 m/m; მასზე იხარჯება 3,9 თ. მელერობა უდრის 100%.

სვანურ სიტყვებში ხ ო გ ('უღვას'), ს ა რ ა გ ('წყარო'), კ ა გ ('ქაკი'), ლ გ გ ('დვას') ა უ ს ლ ა უ ტ ი ს გ-ს საშუალო ხანგრძლიობა უდრის 13,8 m/m; მასზე იხარჯება 6,8 თ. მელერობა უდრის 62%. ქართულსა და მეგრულში აუსლაუტის გ ჩვეულებრივ ყრუა.

სვანურ სიტყვაში ჯ ა ბ ('ხის საკეტი') ა ნ ლ ა უ ტ ი ს ჯ-ს საშუალო ხანგრძლიობა უდრის 7,8 m/m; მასზე იხარჯება 5,9 თ. მელერობა უდრის 100%. ქართულ ჯ ო ჯ ო 'ში ა ნ ლ ა უ ტ ი ს ჯ-ს საშუალო ხანგრძლიობა უდრის 3,6 m/m; მასზე იხარჯება 2,6 თ. მელერის მონაკვეთია 1,9 m/m; მასზე იხარჯება 1,4 თ. მელერობა უდრის 54%. მეგრულ სიტყვაში ჯ ო ხ ო ('ჰქვია') ა ნ ლ ა უ ტ ი ს ჯ-ს საშუალო ხანგრძლიობა უდრის 5,2 m/m; მასზე იხარჯება 3,7 თ. მელერის მონაკვეთია 2,8 m/m; მასზე იხარჯება 2 თ. მელერობა უდრის 54%.

სვანურ სიტყვაში აჯჷბ ('ხარშავს') ინლაუტის ჯ-ს საშუალო ხანგრძლიობა უდრის 9,5 m/m; მასზე იხარჯება 7,5 σ. მელერობა უდრის 100%.

ქართულ ჯოჯოში ინლაუტის ჯ-ს საშუალო ხანგრძლიობა უდრის 14,9 m/m; მასზე იხარჯება 10,8 σ. მელერობა უდრის 100%. მეგრულ სიტყვაში ხოჯი ('ხარი') ინლაუტის ჯ-ს საშუალო ხანგრძლიობა უდრის 9,3 m/m; მასზე იხარჯება 6,7 σ. მელერობა უდრის 100%.

სვანურ სიტყვაში ქჷჯ ('ქაჯი') აუსლაუტის ჯ-ს საშუალო ხანგრძლიობა უდრის 17,3 m/m; მასზე იხარჯება 13,6 σ. აქედან მელერის მონაკვეთი უდრის 10,5 m/m; მასზე იხარჯება 8,3 τ. მელერობა უდრის 61%.

§ 181. ამ ჩვენი ექსპერიმენტული მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ სვანურის მელერ ხშულებში წარმოთქმის ინტენსივობა და მელერობის ხარისხიანობაც გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ქართულისა და მეგრულის მელერ ხშულებში. ცხადად დასტურდება ისიც, რომ სვანურის მელერი ხშულები აბსოლუტურ ბოლოში მხოლოდ ნაწილობრივ ჰკარგავენ მელერობას, მაშინ როდესაც ქართულსა და მეგრულში აბსოლუტურ ბოლოში მელერი ხშული ჩვეულებრივ ყრუვდება. სვანურ ხშულთა ძლიერი დაწყება და ძლიერი დამთავრება ხელს უწყობს მელერ ხშულებში მელერობის შენარჩუნებას როგორც აბსოლუტურ ბოლოში, ისე ანლაუტში. ქართულისა და მეგრულის ანლაუტის მელერი ხშულები თითქმის ნახევრად მელერებია.

ბუნებრივად იბადება კითხვა: რით უნდა აეხსნათ სვანურ მელერ ხშულებში მელერობის მეტი ხარისხიანობა? სხვაგვარად რომ ვთქვათ: რა უწყობს ხელს სვანურში მელერ ხშულთა ძლიერ დაწყებასა და დამთავრებას?

ფრანგი ენათმეცნიერი ე. ვანდრიესი სავსებით სამართლიანად უკავშირებს ამ საკითხს სახმო სიმებზეა არის ლიაობის ხარისხიანობას. მისი აზრით, არის ენები, რომლებიც მელერ ხშულებს წარმოთქვამენ სახმო სიმებზეა არის ლიაობით (მაგ. გერმანული), ან სახმო სიმებზეა არის დაკეტილობით (მაგ. ფრანგული). მთავარი განსხვავება ფრანგულსა და გერმანულ მელერ ხშულებს შორის ისაა, რომ გერმანულში მელერი ხშულის წარმოთქმის მომენტში, ხშვისა და ვიბრაციის დაწყებას შორის არასაკმაოდ კოორ-

დინაციის გამო, სახმო სიმების ვიბრაცია იწყება არა იმპლოზიის დასაწყისიდანვე, არამედ უფრო გვიან; ფრანგულ მელერ ხშულებს კი იმპლოზიის დასაწყისიდანვე ახასიათებს მელერობა. ამიტომ ფრანგი გერმანელის მიერ წარმოთქმულ ba, da, ga-ს აღიქვამს როგორც pa, ta, ka-ს¹.

§ 182. ქართული და მეგრული ანლაუტის მელერი ხშულების კიმოგრაფული მრუდების შედარება სვანურის ანლაუტის სათანადო მელერ ხშულთა კიმოგრაფულ მრუდებთან ნათლად გვიჩვენებს, რომ ქართულსა და მეგრულში მელერ ხშულებს შეძართვის მომენტში სახმო სიმების ვიბრაცია არ ახასიათებს. სახმო სიმების ვიბრაცია იწყება ოდნავ მოგვიანებით, ამიტომ სრული მელერობა არა გვაქვს (იხ. ზემოთ პროცენტული გამოანგარიშება); სვანურის მელერ ხშულებში კი სახმო სიმების ვიბრაცია იმპლოზიის მომენტიდანვე იწყება და მელერობაც ბგერის წარმოთქმის მთელ მანძილზე სრულია.

ამ შემთხვევაში ჩვენ ვერ გამოვრიცხავთ სვანურში მარცვლებისათვის დამახასიათებელი აღმავალი და დამავალი ტონის მოძრაობას. სვანურში მელერობის ხარისხიანობის გადიდებისათვის რომ მახვილს დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს იმიტაც მტკიცდება, რომ მელერობის მეტი ხარისხიანობა მხოლოდ იმ დიალექტებში გვაქვს, სადაც მახვილი დღესაც მოქმედებს (ბალსზემოურში, ბალსქვემოურში, ლაშხურში). ლენტეხურში შენელებულია დღეს მახვილი და ამიტომ მელერობის ხარისხიანობაც იქ საგრძნობად არის შესუსტებული.

¹ Ж. В а н д р и е с, Язык, გვ. 41.

XIII. თანხმობანთა ასიმილაცია სვანურში

§ 183. სვანურში თანხმობანთა ასიმილაციის ბუნებასა და თავისებურებას მკლერ ხშულთა ძლიერი დაწყება და დამთავრება და მკლერობის მეტი ხარისხიანობა განსაზღვრავს.

ქართველური ენებიდან ქართულსა და მეგრულში ასიმილაციის წესს პირველად პროფ. ი. ყიფშიძე შეეხო¹. ავტორს მეტად საყურადღებო დებულებები აქვს მოცემული ამ ფონეტიკური მოვლენის გავრცელებასთან დაკავშირებით. კერძოდ, განსაკუთრებით საყურადღებოა ავტორის აზრი ძველი სამწერლობო ქართულის შესახებ, სადაც „მოჩანს ასიმილატორული ტენდენციების საწინააღმდეგო მიდრეკილება“. მაგრამ ავტორი იქვე დასძენს, რომ „ძველ ქართულ ენაშიც ამოსჩქეფს ხოლმე აქა-იქ ეს მძლავრი ასიმილატორული ნაკადული“. ამ მხრივ განსხვავებულ სურათს გვიჩვენებენ მეგრული და ქართული ცოცხალი კილოები, სადაც „უპირატესობა ეძლევა ფონეტიკურ დასაბამს“. მიუხედავად იმისა, რომ სვანური უმწერლობო ენაა, ასიმილაციის საკითხში იგი მეგრულ და ქართულ ცოცხალ კილოთა მონაცემებს არ უჭერს მხარს: სვანურში ასიმილაციური ტენდენცია უფრო ძველი ქართულისებური ჩანს და ამდენად ფონეტიკურ დასაბამს არ ეძლევა უპირატესობა.

§ 184. სვანურში თანხმობანთა ასიმილაციის შესახებ ვ. თოფურია ერთ-ერთ წერილში ასე უნიშნავს: „სვანურს კი ასიმილაცია მაინცდამაინც არ ახასიათებს“². იქვე ნათქვამია, რომ ასიმილაციის ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ მკლერი ორ ყრუ თანხმობანს შორის მოექცევა (მაგ. ჟ რ შ თ ხ ჟ — ჟ რ შ დ ხ ჟ ‘ოთხი’).

ცნობილია, რომ ქართულში (და მეგრულ-სვანურშიც) სიტყვის შიგნით მკლერი თანხმობანი ყრუ ბგერის მეზობლობაში ყრუვდება,

¹ ი. ყიფშიძე, ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში: ტფ. უნივერსიტეტის მოამბე, ტ. I, გვ. 1—8.

² ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, I, გვ. 205.

ან, პირიქით, ყრუ გამგლერდება ასიმილაციის შედეგად; მაგ.: ერ თ- გ უ ლ ი - ე რ დ გ უ ლ ი, კ ბ ი ლ ი - კ ბ ი ლ ი¹. ასეთი წესი მოქმედებს რუსულშიც; მაგ.: лодка - лотка; просьба - прозьба².

ქართულ ცოცხალ კილოებსა და მეგრულში გავრცელებული ასიმილაცია სახმო სიმების მოქმედების მიმსგავსების ან დამსგავსების შედეგია. ეს არის ასიმილაცია მეღერობა-სიყრუის მიხედვით. სვანურს კი სახმო სიმების მოქმედების მიმსგავსების მიხედვით ასიმილაცია არ სჩვევია, რადგანაც მას ახასიათებს ძლიერდაწყებული და ძლიერდამთავრებული მეღერი ხშულები. ამიტომ მეღერი ყრუს მეზობლობაში გამძლეა: ყრუ ვერ მოქმედებს მეღერზე. ეს თავისებურება სვანურის ყველა დიალექტში ერთნაირად არაა გატარებული. სპორადულად დასტურდება ასიმილაციის შემთხვევები მეღერობა-სიყრუის მიხედვითაც; მაგ. ბქვ. ჟ ე რ დ გ ვ ი ლ, ლშხ. ჟ ე რ დ გ უ ლ ფორმის პარალელურად მოიპოვება ა რ თ ქ ვ ი ლ (ბზ. 1,17). ეს უკანასკნელი პროგრესული ასიმილაციის ნიმუშია. დასტურდება უასიმილაციო ფორმაც: ერ თ გ უ ლ ი (ბზ. 59,23) (შდრ. ლნტ. ას ხ რ ი - ბზ. ეს ლ რ ი 'მიდის'). ვ. თ ო ფ უ რ ი ა შენიშნავს, რომ „ჯ იშვიათად ემსგავსება მომღეეო ყრუ თანხმოვანს და იქცევა ჩ-დ: ლშხ. რაშალ ლოქ ეჩხოლიხ (64,16) 'რაშები დაგხვდებიანო'“ (სვან. ენა, გვ. 33). როგორც აღვნიშნეთ, ასეთი სახის ასიმილაციური ტენდენცია სვანურში სუსტია. უფრო ძლიერია ასიმილაციის საწინააღმდეგო ტენდენცია; ასე მაგ., დჰ კომპლექსი თავისუფლად წარმოითქმის ასიმილაციის გარეშე: ა დ ჰ ე ა ლ მინდვერამჟე (ბზ. 116,26) 'მიაღწია ამ მინდვრამდე' (მინდორთან); ანნემ ქ ა დ ჰ ე სუკვეთქა (ბზ. 36,23) 'ამან მიაღწია გორაკამდე'; ს გ ა დ ჰ ე მიჩა ქორთელჟა (ბზ. 212,34) 'მიაღწია („შეაღწია“) მის სახლამდე (სახლში)'; შომვალე ა დ ჰ ე ხ სგა ქუთაშთე (ბზ. 51,29) 'როდესაც მიაღწიეს ქუთაისში'. საყურადღებოა ასეთი პარალელური ფორმების არსებობა: ლხმ. ა დ ჰ ი ე 'მიაღწია', მაგრამ: ლხმ. ა თ ჰ ი ე, ლშხ. ა თ ჟ ე 'დააწია, მიაწია ვინმე (მან მას)'; ლხმ. ჩ ჰ ა დ ჰ ი ნ ე, ლშხ. ჩ ჰ ა დ ო ნ ე 'დაადნო', მაგრამ: ლხმ. ე ა თ ჰ ი ნ ე, ლშხ. ე ა თ ო ნ ე 'ზედ დაადნო რამე' (მაგ. ტყვია რკინას) და სხვ. ირკვევა, რომ ასიმილირე-

¹ გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, 33. 136.

² Л. В. Ш е р б а, Фонетика французского языка, 88.

ბული ფორმები გვაქვს მიცემით დამატებიან ზმნებთან. ამასთან დაკავშირებით ა. შანიძე წერს, რომ ჰაე „ღონს აფშინიეიერებს, თანად აქცევს და თვითონ ამ თანის ფშინიეიერებაშია მიჩქმალული: აღჰ > ათ“¹.

სვანურს ასევე შეუძლია აიტანოს ჰდ კომპლექსიც; მაგ., ლხმ. კაჰდა 'ნაჯახი' (შდრ. ბზ. კადა); რიჰდ (ბზ. 151,13; 205,31 და. ა. შ.) 'ალიონამდე'.

საყურადღებოა, რომ ად-პრევერბის (= ქართ. მი-) დ-ს როდე-საც ყრუ ფშინიეიერი ან მკვეთრი მოსდევს, ასიმილაცია არ წარმოიშვება; მაგ.: ადჟილ (ბზ. 142,3) 'გაატარა; გადაიხადა'; ადკეპრბ (ბზ. 144,7) 'გადაადღეს'; ჩვადყიმიხ (ბზ. 144,8) 'დაიხრჩობიან' და სხვ.

ძჰ კომპლექსიც თავისუფლად წარმოითქმის ასიმილაციის გარეშე; მაგ.: ქათლწდ ჩვამიძჰ (ბზ. 316,22) 'ქათამი დამიკალი' (შდრ. ბზ. ლაჯჰჟედნე 'მოგცემ': ჯჰ).

ასიმილაცია არ წარმოიშვება შემდეგ ყრუ და მკლერ თანხმოვნათა შეხვედრისას:

გც: ლაგციან (ბზ. 51,7) ხუმარა

თგ: მეთგი (სენ. პოეზ. 284,57) საკუთარი სახელია; შდრ. ბეთგილ (იქვე, 280,1) საკ. სახელია

გჰ: ნაგჰურ (სენ. პოეზ. 106,1) საკ. სახელია

ფგ.: უფგოშ (სენ. პოეზ. 88,7) ფარულად, მალეით (შდრ. ლშხ. უქბოშ, ბჰვ. უქბოშ).

ჯკ: ეჯკალიბ (ბზ. 200,29) იმისთანა

ხლ: შიხლა (ბზ. 157,22) ნახშირისათვის; ახლექიხ (ბზ. 200,16) მოსდევენ.

წბ: ხელწბა (ბზ. 391,35) 'ლოკავდა'

ყდ: საყდართეღსგა (ბზ. 205,30) საყდარში (შდრ. გურული სახტარი).

კდ: კდე (ლშხ. 91,7), შდრ. გურ. კტე 'კლდე' და სხვ.

ინტერესს მოკლებული არაა ის ფაქტი, რომ ოსურსაც სვანურისებრი ასიმილაციური ტენდენცია ახასიათებს. გ. ახვლედიანი ასე გადმოგვცემს ოსურში გავრცელებული ასიმილაციის წესს:

¹ ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, 182.

„ოსურში იშვიათია საერთოდ ასიმილაცია მკლერობა-სიყრუის მიხედვით, ხოლო პროგრესული — კიდევ უფრო ნაკლებად გვხვდება“¹.

§ 185. თუ სვანურში სუსტია ასიმილაცია მკლერობა-სიყრუის მიხედვით, სამაგიეროდ ძლიერია ასიმილაციური ტენდენცია საწარმოთქმო ორგანოთა მოქმედების მიმსგავსების მიხედვით. ამის ნიმუშია ზემოთ განხილული უმლაუტი. გარდა ამისა, ხშირია შემთხვევა, როდესაც სუბიექტური ნიშანი პირველი პირისა უწინდებულის ა-ს მიიმსგავსებს, გაალაბიალებს და ო-ს სახით იძლევა. ვ. თ ო ფ უ რ ი ა ამასთან დაკავშირებით წერს: „S₁ უ (აგრეთვე ხუ-ს ელემენტის უ-) სვანურში (ლენტეხურის გამოკლებით) იმსგავსებს ა- წინდებულს, ან-, აღ- და ლა- პრევერბთა ა-ს და ბალსქვემოურსა და ლაშხურში ეს- წინდებულის ე-ს და ორსავე ხმოვანს ო-ს სახით წარმოგვიდგენს“². მაგ.: ბზ.ლშხ. ო ტ გ ხ (*-ა-უ-ტგხ) 'დავაბრუნე', ბზ. ე' ო ხ გ ა (←*ეი ანხუ-გა) 'ავდექი', ბზ. ო თ გ ა თ ა უ 'გავათავე', ლშხ. ო ს-ღ უ რ ი 'ზივდივარ', ბზ. ო ხ უ მ ა რ 'მოვამზადე', ბზ. ლ ო ხ უ დ ი ა ნ 'ვათხოვე' (იქვე, 13) და სხვ. ამ მაგალითების მიხედვით აშკარაა, რომ ასიმილაცია საარტიკულაციო ორგანოთა მიმსგავსების შედეგია.

სვანურში ასევე ფართოდაა გავრცელებული შიშინა თანხმოვანთა მიერ სისინა თანხმოვნების მიმსგავსება. ამას, ალბათ, ისიც უწყობს ხელს, რომ სვანურს საერთოდ ახასიათებს ტენდენცია შიშინა გაფორმებისაკენ³. ეს მიმსგავსება სვანურში საწარმოთქმო ორგანოთა მოქმედების მიხედვით ასიმილაციაზე მიუთითებს; მაგ.: ლშხ. ე შ ე ა ხ ე ხ (-ესეახეხ) 'დაარქვეს', ლშხ. ე' ე შ დ ე (-ე'ესდე) 'დაადო', ლშხ. ე შ კ ა მ ხ (-ესკამხ) 'გაჰყენენ, მიჰყენენ', ლშხ. ე შ-კ ო ნ ე 'დაბრუნდა' (შდრ. ე შ კ ტ ე ნ - ე ს კ ტ ე ნ: ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვან. ენა, გვ. 71), ლნტ. ფ ა შ ე ი (-ფასეი) 'ფასზე', ბზ. ე შ კ კ ე ვ-რ ნ ე (-ესკკვერნე 203,25) 'დააქრის' და სხვ.

ამ სახის ასიმილაცია სხვა ქართველურ ენებსაც, კერძოდ, ქართულსაც ახასიათებს (შდრ. ძვ. ქართ. სჯული-შჯული, ძვ. ქართ. და დიალექტ. სკამს — შკამს, სკრის — შკრის, სჯის — შჯის და სხვ.⁴).

¹ კომპოზიტის მეორე წევრის მკლერი ანლაუტის საკითხისათვის ოსურ ენაში: ენიმიკის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 413.

² ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა, გვ. 11, 12.

³ შდრ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა: „ზოგიერთის გამოთქმაში -ხ- ხმის . თავიიდურ კ, ჩ, შ-ს წინ შ-დ ისმის“ (სვანური ენა, გვ. 56, შწშ.).

⁴ ა. შ ა ნ ი ძ ე, S₁ და O₂ ქართულ ზმნებში, გვ. 6.

ქართულსა და მეგრულს ასიმილაცია ახასიათებს როგორც მკლერობა-სიყრუის მიხედვით, ისე საწარმოთქმო ორგანოთა მოქმედების მიმსგავსების მიხედვითაც, სვანურში კი უპირატესობა აქვს მეორე სახის ასიმილაციას.

§ 186. როგორც ცნობილია, ფრანგულსა და ინგლისურში, ისე როგორც სვანურში, სიტყვის შიგნით ყრუსთან მკლერის შეხვედრისას ასიმილაცია იშვიათად წარმოიშევა. ლ. შჩერბამ ფრანგულსა და რუსულში გაერკელებული ასიმილაციური ტენდენციის შედარების საფუძველზე დაასკვნა: ფრანგულში მკლერობა-სიყრუის მიხედვით ასიმილაცია შეინიშნება გაცილებით ნაკლები ხარისხით, ვიდრე რუსულში¹. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ფრანგულსა და სვანურს ერთნაირად ახასიათებს მკლერ ხშულთა ძლიერი დაწყება და დამთავრება, მაშინ გასაგები იქნება ასიმილაციური ტენდენციის იგივეობა ამ ორი სხვადასხვა სისტემის ენაში. მაგ., რუსული წარმოთქმით სიტყვა *коро́нка* ში 6 ხურავს მეორე მარცვალს, მაგრამ იგი იმდენად სუსტია პოზიციურად, რომ *к*-ს მიეკვრის და მას მიემსგავსება; ამიტომ ასიმილაციის შედეგად წარმოითქმის *каро́нка*. ასეა ქართულ წარმოთქმაშიც. მაგრამ სულ სხვაგვარად წარმოითქმის ესა და მსგავსი სიტყვა სვანურში: იმის გამო, რომ სვანურში *ბ*-ს, როგორც მკლერ ხშულს, ძლიერი შემართვა-დამართვა ახასიათებს, იგი კუნთების შედარებით უფრო მეტი დაჭიმულობით წარმოითქმის; ამიტომაც პოზიციურად ძლიერი ხდება და *к*-ს კი არ მიეკვრის, პირიქით, ემიჯნება მას. ამის გამო არც ასიმილაციას აქვს ადგილი (შდრ. ზემოთ მოყვანილი მაგალითი: რუსული წარმოთქმით *та-гда*, ფრანგული წარმოთქმით: *таг-да*). ამიტომაც, რომ მკლერი ხშულები სვანურში ნაკლებ იცვლებიან ყოველგვარ პოზიციაში—თავში, შუაში და ბოლოში.

¹ Л. В. Щерб а, Фонетика франц. яз., გვ. 88.

XIV. დისიმილაცია სვანურში

§ 187. დისიმილაციური ტენდენცია სვანურში ისევე თავისებურია, როგორც ასიმილაციური ტენდენცია. ამ მხრივაც არ უკერს სვანური მხარს ქართულ ცოცხალ კილოებსა და მეგრულს.

დისიმილაციის საკითხი ქართულსა და მეგრულში ვრცლად აქვთ შესწავლილი ი. ყიფშიძეს¹ და გ. ახვლედიანს². ი. ყიფშიძემ დისიმილაციური მოვლენების გათვალისწინებით დაადგინა, რომ, „ბგერათა დისიმილაცია ქართულსა და მეგრულში წარმოებს ნარნარა და ცხვირისმიერ თანხმოვანთა შორის“... (გვ. 6). გ. ახვლედიანმა დისიმილაციური წესის გამოყენებით ახსნა ქართულში ფართოდ გავრცელებული დისიმილაციური დაკარგვის შემთხვევები.

დისიმილაციური ტენდენციის შესახებ გ. ახვლედიანი ასეთ აზრს გამოთქვამს: „რეგრესული დისიმილაცია ძლიერაა გავრცელებული ქართულში. თუ კი ამას მიემატება დისიმილაციური დაკარგვის შემთხვევებიც, მაშინ გადაქრით შეიძლება ვთქვათ, რომ ქართულში თანხმოვანთა რეგრესული დისიმილაცია არაა ნაკლებ გავრცელებული, ვიდრე პროგრესული“ (იქვე, გვ. 31).

სვანურში დისიმილაციური პროცესი მეტად მდიდარ და საყურადღებო მასალას იძლევა. მასში დასტურდება დისიმილაცია ერთგვარი ან საერთო ფონეტიკური ელემენტების მქონე ბგერებისა როგორც ადგილის წარმოების მიხედვით, ისე რავგარობის მიხედვითაც³.

¹ ი. ყიფშიძე, ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში, გვ. 1-8.

² გ. ახვლედიანი, გუტურალთა რეგრესულ-დისიმილაციური დაკარგვა ქართულში: ფსიქოლოგია, ტ. III, 31-35.

³ შტრ. Б. П. Китерман, Явления диссимиляции согласных звуков в русском языке: Известия Отд. русской яз. и сл. АН, т. XIII, кн. 1, 1908, გვ. 329-351.

ცნობილია, რომ ქართული და მეგრული ერთ ფუძეში ორ რ-ს ვერ იტანს და ერთ მათგანს ლ-დ გარდაქმნის, თუკი ორ რ-ს შორის იმავე ფუძეში ლ არ არის (როგორც მაგ. ქართლ-ი, მაგრან ქართლურ-ი და სხვ.). ამ წესს ძველთაგანვე ქართულში ნასესხები სიტყვებიც დაქვემდებარებიან; ასე მაგ.: არაბ. ზარარ — ქართ. ზარალ-ი (პროგრ. დისიმილაცია), სპ. სარდარ — ქართ. სარდალ-ი და სხვ.

§ 188. დისიმილაციის წესი სვანურ დიალექტებში ერთნაირად არ არის გავრცელებული; მაგ., ბალსზემოურსა და ბალსქვემოურს შედარებით იშვიათად ახასიათებს ორი რ-ს შეხვედრისას დისიმილაცია, მაშინ როდესაც ლაშხურისა და ლენტეხურისათვის დამახასიათებელია მხოლოდ და მხოლოდ დისიმილირებული ფორმები. ბალსზემოურიდან ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა უშუალოური და ლენჯერიული, ხოლო ბალსქვემოურიდან — ლახამულიური და ჩუბეხური. ამ კილოკავებსა თუ თქმებში ყველაზე უფრო დატულია ორი და ზოგჯერ სამი რ სიტყვაში, სხვაგან კი დისიმილაციის შემთხვევები დასტურდება; მაგ.: თათრარ (ბზ. 2,11) 'თათრები' (შდრ. იქვე: თათრალ 1,3); ვარგარ (სენ. პოეზ. 44,5) 'ახნაურები' — ლშხ. ვარგალ (1,23); რაკარ (ბზ. 20,7) 'რაქველები — ლშხ. რაკალ, ლნტ. რაკალ; ქორარ (სენ. პოეზ. 44,3) 'სახლები' — ლშხ. ქორალ, ლნტ. ქორვალ; ყორარ (ბზ. 19,3) 'ქარები' — ლშხ. ყორალ (16,21), ლნტ. ყორვალ; ზურალარ (ბზ. 4,14) 'ქალები' — ლშხ. ზურალალ (5,18), ლნტ. ზურალალ; დორარ (ბზ. 376,36) 'პურები' — ლნტ. დიარალ; თერარ (ბზ. 20,23) 'თვლები' — ლშხ. თერალ, ლნტ. თერალ; ვარარ (ბზ. 78,18) 'ვეზირები' — ლშხ. ვარალ; მუშგერარ (ბზ. 25,30) 'სტუმრები' — ლშხ. მუშგერალ, ლნტ. მუშკერალ; ფურარ (ბზ. 74,10) 'ძროხები' — ლშხ. ფურალ (5,9), ლნტ. ფურალ; ბარგარ (ბზ. 53,19) 'ბარგები' — ლშხ. ბარგალ; ლაჯირგარ (ლხმ. ჩხბ.) 'სათელავი' (ხნულისა) — ლშხ. ლაჯირგალ; ლამკერარ (ლხმ.) 'მისახვედრი ნიშანი' — ლშხ. ლამკერალ.

სვანური უარყოფითი სუფიქსი -ურ (= ქართ. უარყ. უ- — -ო, უ- — -ურ) თუ დაერთვის ბალსზემოურსა და ბალსქვემოურში ისეთ სიტყვებს, რომლებსაც ფუძეში რ აქვთ, დისიმილაცია არ წარმოიშვება; მაგ.: ბქვ. ქორურ 'უხახლო', უშგ. ვარურ 'უწვერო', ლხმ. ჰერურ 'უხმო', უშგ. თერურ 'უთვლო, ბრმა', უშგ. თეთრურ

‘უფულო’, ლხმ. ფერურ ‘უფერული’ და სხვ.¹ (შდრ. ქართ. *უფერ-ურ-ი – უფერული, აგრეთვე: *გორ-ურ-ი – გორ-ულ-ი; *იმერ-ურ-ი – იმერ-ულ-ი და სხვ.).

აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ ქართველური ენებიდან სვანურს მხარს უჭერს მხოლოდ ქანური. ქანურის არქაბულ-ვიწურსა, ათინურსა და ნაწილობრივ ხოფურს კილოკავებში დისიმილაციას არ ვანიცდიან სადაურობის აღმნიშვნელი -არ-, -ურ-სუფიქსები (= ქართ. -ელ, -ულ) და მიმღეობის -ერ- ბოლოსართი ისეთ სიტყვებში, რომლებსაც რ მოეპოვებათ ფუძეში?; მაგ.: ორქარი ‘ორქელი’ (სოფ. ორქე), არქაბური ‘არქაბელი’, ქარმათური ‘ქარმათელი’, მანასტერური ‘მონასტრელი’ (სოფ. მანასტერი), მორდერი ‘მოზრდილი’, ღურერი ‘მკვდარი’, ონჯლორდარი ‘სირცხვილიანი’, ჯღირერი ‘დამპალი’ და სხვა მისთ.

§ 189. ბალსზემოურსა და განსაკუთრებით ბალსქვემოურში არის შემთხვევები, როდესაც სიტყვის ფუძეში დაცულია სამი რ: მაგ.: ლხმ. ლამგარარ ნიშნავს ‘დიდრონი ხეების მოსაქრელი, თავნოსაყრელი რამე’, მრავლობითში იქნება: ლამგარარარ. ამ რიგის მაგალითებია:

ლანწყერარარ (ლხმ. ჩბხ.) ‘ქუქრუტანების ამოსავლები’

ლადარურარ (ლხმ.) ‘ღარის (ფიცარზე) გასაკეთებელი რამე’

ლჯირგარარ (ლხმ. ჩბხ.) ‘სათელავი რამეები’

ნათხრგრვარ (ნიე. 185) ‘დახვრეტილი ძველი რამეები’ და სხვ.

მაგრამ ამათ პარალელურად დასტურდება დისიმილირებული ფორმებიც; მაგ.: წევარ-მეძბარარ (ბზ. 244, 23) || წევარ-მეძბარარ (იქვე, 200, 14; 245, 16) ‘წვეარ-მეძებრები’; ბზ. დარალურ || დარალულ (ბზ. 154, 31) ‘უიარაღოდ’; რუსალ (ბზ. 3, 29) || რუსარ ‘რუსები’ და სხვ.

§ 190. როგორც ითქვა, ლაშხურისა და ლენტეხურისათვის ასეთ შემთხვევებში ჩვეულებრივ დამახასიათებელია დისიმილაცია. ამ მხრივ ლაშხურსა და ლენტეხურს, ქართულთან და მეგრულთან ერთად, მხარს უჭერს ქანურის სარფული თქმა, ოღონდ ქანური მეტყველების ამ თქმაში დისიმილაციის გამომწვევე რ დისიმილაციის

¹ შდრ. ჩირგენარი... წიგნიერთა წარმოთქმით: სეკრეტარი, რასობრივი და სავ.

² ჩვენი: ქანური ტექსტები. არქაბული კილოკავი, 1938, გვ. XIV.

შემდგომ გაქრალა ვოკალიზაციის შედეგად; მაგ.: არქაბული ოხ-რასურე ('ცოლისდა') სართულში წარმოდგენილია ოხრასულე სახით (პროგრ. დისიმილაცია), პარალელურად გავრცელებულია ოხასულე ფორმა(ც).

ასეთი ფონეტიკური ცვლის შედეგადაა მიღებული სართული სიტყვა მექკიელი -- ნექკირერი 'გაქრილი, მოქრილი': ჯერ პროგრესული დისიმილაციით მივიღეთ მექკირელი, შემდეგ დისიმილაციის გამომწვევი რ გაქრა: მექკიელი. ასევე თსიასული ('თხილამური') მიღებულია ფორმისაგან თხირამური (შდრ. ჰან. თხირი 'თხილი'), რომელიც პროგრესული დისიმილაციით იქცა თხირამული, რ-ს ვოკალიზაციის შედეგად კი თხიამული და სხვ. ¹

§ 191. სვანურში დისიმილაციური პროცესი დასტურდება სხვა ბგერებს შორისაც.

ზოგჯერ მზ კომპლექსი სვანურში, ისე როგორც ქართულ დიალექტებში ², ბაგისმიერობის მიხედვით დისიმილაციის შედეგად წარმოდგენილია ნზ სახით; მაგ.: ბანბი კარაფე (პოეზ. 44,3 № 13) 'ბამბის კარფით' (შდრ. ქართ. დიალ. ბანბის ძაფი); ბალს-ზემოურში ამბბეის პარალელურად დასტურდება ანბბე (ბზ. 118,37; შდრ. ქართ. დიალექტებში ანბაფი); ლშბ. ცინბირ, ქართ. ციმბირ-ი და სხვ.

ორი ნ-ს გადამსგავსებას აქვს ადგილი სიტყვაში კანონ: ლხმ. კალენ, უშგ. კალვენ; ბქვ. ნენზ, ლშბ. ლენზ 'ნაძვი' და სხვ.

§ 192. რაგვარობის მიხედვით ერთნაირ ან საერთო ფონეტიკური ელემენტების მქონე ბგერათა დისიმილაციიდან სვანურში განსაკუთრებით აღსანიშნავია ე. წ. დისიმილაციური გამჟღერება.

როგორც გ. ახვლედიანმა გამოარკვეა, ოსურსა და ქართულში დისიმილაციური გამჟღერება მდგომარეობს იმაში, რომ თუ სიტყვაში ორი მკვეთრი ბგერაა, ან ორი ასპირატი, ან მკვეთრი და ასპირატი, დისიმილაციური გამჟღერების საფუძველზე ერთი

¹ ჩვენი: რ ფონემა მეგრულ-ქანურში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. X, № 2, 1949, გვ. 131.

² გ. ახვლედიანი, გუბურალთა რეგრესულ-დისიმილაციური დაკარგვა ქართულში, გვ. 31.

მათგანი მკლერ ბგერად იქცევა. გამკლერება რეგრესულია (შდრ. პატარა — ფშაური ბატარა)¹.

სვანურის სამ დიალექტში: ბალსხემოურში, ბალსქვემოურსა და ლაშხურში ეს მოვლენა ფართოდ არის გავრცელებული. დასტურდება არა მარტო ორი მკვეთრიდან ერთი მათგანის გამკლერება, არამედ ორი ასპირატიდან, უფრო მეტი — მკვეთრი და ასპირატიდან, ერთი მათგანის გამკლერებაც.

§ 193. სვანურში გვხვდება როგორც რეგრესული, ისე პროგრესული დისიმილაციური გამკლერება.

ა) რეგრესული დისიმილაციური გამკლერებების ნიმუშებია: გაკ (ბზ. 160,20; შდრ. ლზმ. კაკ) — ქართ. კაკალი-ი ('ნიგოზი, კაკალი'); ჯაკჰარ (ბზ. 40,24; შდრ. ლზმ. კაკჰარ) — ქართ. კაკჰებ-ი; დიკ (ბზ.) — ქართ. ტაიკ-ი; ბაკ (ბზ. 155,10; შდრ. ლზმ. პაკ) — მეგრ. პაკა ('მღვდელი'); დეტა (სენ. პოეზ. 174,70) — ქართ. ტუტა; ბზ. ბირწამალ — ქართ. პირისწამალი (თოფისა); ბწყ (ბზ.) — ქართ. პაწკი ('ხის გამხმარი წვრილი შტო'); ჩბ. ბალტო — ქართ. პალტო (-ფრანგ.); პაკ (ბზ.) — ქართ. აკკ-ი; ბზ. გირწყალ — ქართ. კირწყალ-ი; ბზ.ბქვ. გალტეზ — ქართ. კალატოზ-ი; ბზ. (უშგ.) ჯკქ (ფრინველია) — ქართ. კიკქიკი; გოწხილ (სენ. პოეზ. 194,7), ლზმ. გოწხირ — ქართ. კოწახური-ი; ბზ. ღარყანდ ('ფრინველია, წყლის პირს ეტანება'), უშგ. გარყანდ — ქართ. ყარყატი-ი და სხვ.

ბ) პროგრესული დისიმილაციური გამკლერებების მაგალითებია: ბზ. ტაბგ — ქართ. ტაბაკ-ი; ქსგ (ბზ. 444,17) — ქართ. კაკ-ი; კახრგდან (პოეზ. 172,3) — ქართ. კახრაკია; ბზ. ყსჯ — ქართ. ყაკ-ი; ბზ. ტშდ — ქართ. ტაშტი-ი; ბზ. ტხდ — ქართ. ტახტი; ბზ. (უშგ.) კრამიდ — ქართ. კრამიტი-ი, ბზ. კოშგ — ქართ. კოშკ-ი და სხვ.

ორი ყრუ ფშვინეიერის შეხვედრისას სიტყვაში პროგრესული დისიმილაციური გამკლერება გვაქვს შემდეგს მაგალითებში: ლაშგრ (ბზ. 20,2) — ქართ. ლაშქარ-ი; კიშგაღ (ბზ. 70,38) — ქართ. კიშქარ-ი; წისგვილ (სენ. პოეზ. 377,32) — ქართ. წისქვილ-ი; ბზ.

¹ გ. ახვლედიანი. ხუთთა დისიმილაციური გამკლერება ოსურ ენაში: აბ. უნივ. შრომები, XVIII, 1911, გვ. 43-44.

ს გ ე ლ — ქართ. ს ქ ე ლ-ი¹. ამ რიგისაა, უდავოდ, როდესაც მეგრ. ს ქ ა ნ ი'ს ('შენი') ნაცვლად სვანი წარმოთქვამს ს გ ა ნ ი (სვან. პოეზ. 354,9); შ გ ო რ ი (იქვე, 14,52), ლხმ. შ გ ე რ ი — ქართ. შ ქ ე რ -ი; მ ა დ რ ა ე (იქვე, 112, 27) — ქართ. მ ა თ რ ა ხ -ი ('მღრ. ოსური ვ ა რ დ ა ხ — ვ. ა ბ ა ე ვ ი ს ჩვენებით).

დასტურდება რამდენიმე შემთხვევა, როდესაც დისიმილაციური გამჟღერება წარმოიშვება ყრუ ფშვინვიერისა და მკვეთრის გადამსგავსების საფუძველზე; მაგ.: გ ა ტ (ლშხ. 43,6) — ქართ. ქ ა -ტ ო; კ უ ბ ე ც (ბქვ.) — რუს. куча. თუ ი-ს გ ა'ს ('შუა') პირვანდელი სახე ი-ს კ ა არის, როგორც ამას ვ. თ ო ფ უ რ ი ა ფიქრობს (სვან. ენა, 65), მაშინ ამ და ამის მსგავს მაგალითებში გვექნება ყრუ ფშვინვიერისა და მკვეთრის დისიმილაციური გამჟღერება; მაგ.: ბ ზ. (უშგ.) ყ ა ნ ჯ ლ — ქართ. ყ ა ნ ჩ ა; ბ ზ. ქ რ ი ს დ ე — ქართ. ქ რ ი ს ტ ე; ბ ზ. ბ ქ ვ. კ ო ს დ ა — ქართ. კ ო ს ტ ა (სახელია), ბ ზ. პ რ ი ს დ ა ე (27,7) — პ რ ი ს ტ ა ე -ი (რუს.) და სხვ.

§ 194. პროგრესული და რეგრესული დისიმილაციური გამჟღერების რამდენიმე დამახასიათებელი მაგალითია მოყვანილი ჩვენს წერილში: „ფონეტიკური შენიშვნები სვანეთის ქართულ წარწერებზე“². სვანეთის XIV—XV—XVI ს.ს. ქართულ წარწერებში ეს ფონეტიკური მოვლენა ასახულია.

როგორც ზემოთ გაკვირით შევნიშნეთ, დისიმილაციური გამჟღერების შემთხვევები დასტურდება მთის კილოებშიც: ფშაური ბ ა ტ ა რ ა — პ ა ტ ა რ ა, ბ ა ტ ა რ ძ ა ლ ი — პ ა ტ ა რ ძ ა ლ ი, ჯ უ რ ქ ე რ ი — კ უ რ ქ ე რ ი, ბ ა ქ ი ქ ი — პ ა ქ ი ქ ი³. ... მოხეური ჯ ი ტ რ ი — კ ი ტ რ ი (ამ შემთხვევაში ჯერ მომხდარა დისიმილაციური გამჟღერება: კ ი ტ რ ი — გ ი ტ რ ი, შემდგომ გ-ს პალატალიზაციით მივიღეთ ჯ: გ ი ტ რ ი — ჯ ი ტ რ ი)⁴, შ ი რ ა გ ი — შ ი რ ა ქ ი, ზ გ ე ლ ი — ს ქ ე ლ ი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ჩვენ ვფიქრობთ, ადგილი აქვს შემდეგს ფონეტიკურ პროცესს:

¹ ვ. თ ო ფ უ რ ი ა უკანასკნელ ოთხ მაგალითში გამჟღერების ფაქტს დისიმილაციით ხსნის (სვან. ენა, გვ. 65, შწმ. 4).

² სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXX/1ხ, 1947 წ.

³ გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ზშულთა დისიმილაციური გამჟღერება ოსურში გვ. 43.

⁴ შეიძლება ვივარაუდოთ ასეთი პროცესიც: კ ი ტ რ ი — ქ ი ტ რ ი — ჯ ი ტ რ ი.

ჯერ დისიმილაციური გამჟღერებით სქ -- ს გ: სქელი -- ს გელი, შემდგომ კი რეგრესული ასიმილაციით ს გელი -- ზ გელი და სხვ.

§ 195. დისიმილაციური გამჟღერება საკმაოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული ძველ ქართულში. ამის კვალი ჩანს, მაგ., სიტყვაში ბ ა ტ ო ნ ი -- პ ა ტ ო ნ ი; ძვ. ქართ. ნ ა ბ ე რ წ კ ა ლ ი, გ ა ლ ა ტ ო ზ ი -- ახ. ქართ. ნ ა პ ე რ წ კ ა ლ ი, კ ა ლ ა ტ ო ზ ი (შდრ. სენ. გალტეს). საბაას ნაჩვენები აქვს გ უ რ ტ ი და მის პარალელურად კ უ რ ტ ი 'ხის კაკალი', ჯექქა 'ცოტად დანაყვა' (საბა) -- ახ. ქართ. ქექქა; ჯვრიტინა 'მცირე სასინათლო' (საბა) -- ახ. ქართ. ქვრიტინა (შდრ. ძვ. ქართ. წყუედ და ახ. ქართ. წყვეტ) და სხვა მისთ.

§ 196. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ უცხო წარმოშობის სატყეებს ძველ ქართულში გარკვეული ფონეტიკური ცვლებადობა განუცდიათ დისიმილაციური გამჟღერების საფუძველზე. ამ მხრივ საყურადღებოა ის მასალები, რომლებსაც გ. დეეტერსი განიხილავს თავის სტატიაში: „Armenisch und südkaukasisch. Ein Beitrag zur Frage der Sprachmischung“¹. გ. დეეტერსი ძველ ქართულში ირანულიდან, სომხურიდან და ბერძნულიდან უშუალოდ ან ამ ენათა გზით მომდინარე ბევრი სიტყვის ფონეტიკურ სახეცვლილებას ბგერათგადაწევას (Lautverschiebung) უწოდებს. ნამდვილად კი ბგერათა ეს გადაწევა დისიმილაციური გამჟღერების ხასიათისაა; მაგ.: ძვ. ქართ. კ უ შ ტ ა ბ ა ნ ი 'ყელისა და გულის ღილი' (საბა) -- სომხ. კ შ ტ ა პ ა ნ ა კ ი, ე ბ ი ს ტ ო ლ ე 'მინაწერი' (საბა) -- ბერძნ. *ἐπιγραφή*, კ ა ბ ა რ კ ი 'ისართ ქარქაში' (საბა) -- სომხ. 'კ ა პ ა რ კ ე, ზ ა დ ი კ ი 'გამოხსნა, გინა განთავისუფლება' (საბა) -- სომხ. ზ ა ტ ი კ ი, ე გ უ ტ ე რ ი -- ბერძნ. *επιγραφή*, ს ო გ რ ა ტ -- ბერძნ. ს ო კ რ ა ტ ო ს, ბ ი ლ წ ი -- სომხ. პ ი ლ წ, გ უ ნ დ რ უ კ ი 'ესე არს საკმეველი სუნნელი', (საბა) -- სომხ. კ ნ დ რ უ კ და სხვა (იქვე, 80—82).

აქედან ჩანს, რომ სვანურის მონაცემებს ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მხარს უჭერენ მთის კილოებისა და ძველი ქართულის მონაცემები.

§ 197. რ ა გ ვ ა რ ო ბ ი ს მიხედვით დისიმილაციის საყურადღებო ნიმუშებს იძლევა, ერთი მხრით, სვანური დიალექტების მონა-

¹ Caucasia, 3—4, 1926—1927.

ცემთა შეპირისპირება და, მეორე მხრით, ქართულიდან და მეგრულ ქანურიდან სვანურში შესული სიტყვები.

ამ მხრივ სვანურში მთის კილოებისებრი ტენდენცია დასტურდება. ასე მაგ., ქართულიდან შესული ფართალ-ი ბალსხემოურში წარმოდგენილია ბარდან ფორმით: ბზ. ბარდან (37,17), ბარდანლა (სენ. პოეზ. 256,22) 'ფართლისათვის'.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ და ამის მსგავს სხვა შემთხვევებში ჯერ უნდა მომხდარიყო დისიმილაციური გამჟღერება: ფართალ — ფარდან (აქ ნ-ს ლ'სთან მონაცვლეობაცაა), მაგრამ პროცესი ამაზე არ შეჩერებულა და რეგრესული ასიმილაციით მივიღეთ ბარდან (შდრ. მოხეური სქელ-ი — სგელ-ი — ზგელი).

ამგვარი ფონეტიკური ცვალებადობის გზითაა მიღებული სვანურში შემდეგი სიტყვები: ლხმ. გარდვიშ (ქართვიშ — ქარდვიშ — გარდვიშ) 'კარტოფილი', ქართ. პატრუქი — ბზ. ბარდიკვ, ქართ. სპეტაკი — ბზ. სპედჟ (319,28), ქართ. კუპატი — ბზ. კუბად (სენ. პოეზ. 250,7) (შდრ. ბქვ. კვრტილ! გვრდილ 'მრგვალი') და სხვ.

§ 198. სვანური დიალექტების მონაცემთა შეპირისპირებით ირკვევა, რომ რაგვარობის მიხედვით დისიმილაცია ერთ მთლიან სურათს არ იძლევა. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ბალსხემოური და ბალსქვემოური დიალექტების ლენტეხურთან და ნაწილობრივ ლაშხურთან შედარება. ბალსხემოურისა და ბალსქვემოურის ძლიერშემართვიანი და ძლიერდამართვიანი მკლერი ხშულები რაგვარობის მიხედვით დისიმილაციის საფუძველზე ლენტეხურში წარმოდგენილი არიან მკვეთრების სახით. ჩანს, ამ მხრივ განსხვავებული ტენდენცია ახასიათებს ლენტეხურს. უფრო ხშირად ეს პროცესი სგსდ, შგ და შდ კომპლექსებს ეხება¹. მაგრამ შესაძლებელია განდხენებულ კომპლექსებში არ იყოს, ლენტეხური მას იმავე წესის საფუძველზე მაინც მკვეთრი სახით წარმოგვიდგენს. მაგ.: აღ-პრევერბის (= ქართ. მი-) დ ლენტეხურში ხშირად წარმოდგენილია ტ-ს სახით: ლნტ. ატჯად (- ადჯად) 'მივიდა'. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში ჯერ უნდა მომხდარიყო ასიმილაცია: ადჯად — ათჯად, შემდეგ რაგვარობის მიხედვით დისიმილაცია:

¹ შდრ. ა. შანიძე. ვ. თოფური, სვანური პრაზიული ტექსტები,

ატკად (შდრ. ლნტ. ატყურდა — ბზ. ადყურდა), ამ გზითაა მიღებული ლენტეხურში: ატჭუედ (— ადჭუედ) 'მივიდი'; ლნტ. აჰქიდე (— აჯქიდე) 'მოგიყვანს' და სხვ.

ირკვევა, რომ სვანურის სხვა დიალექტებისათვის დამანახსიათებელი მჟღერ ხშულთა მაგარი შემართვა და მაგარი დამართვა ლენტეხურში მოშლილია. ამაში ნათლად გვარწმუნებს ის ფაქტი, რომ აბსოლუტურ ბოლოში მოქცეული მჟღერი ხშულები ლენტეხურში მკვეთრებშია გადასული; მაგ.: ლნტ. აკვატ (შდრ. ბზ. ჰაკვად) 'კული', ლნტ. ცკვემპტ (შდრ. ბზ. ცკვემპდ 397,16) 'შვილდი', ლნტ. ახაფიშტე (შდრ. ბზ. აფიშედ 417,2) 'ესროლა', ლნტ. აფხანეკ (შდრ. ბზ. აფხნეგ 440,10) 'ამხანაგი' და სხვ.

§ 199. ლენტეხურის მჟღერ ხშულებში მაგარი შემართვისა და დამართვის მოშლა ყველაზე უფრო ნათლად ჩანს კომპლექსების სგ სდ, შგ შდ-ს ცვლაში. მჟღერ ხშულებში მაგარი შემართვისა და დამართვის მოშლამ ლენტეხურში ხელი შეუწყო პროგრესული ასიმილაციის წარმოშობას: სგ — სქ, სდ — სთ; შგ — შქ, შდ — შთ, შემდეგ კი რაგვარობის მიხედვით დისიმილაციის საფუძველზე მივიღეთ: სქ — სკ, სთ — სტ; შქ — შკ, შთ — შტ.

მაგ.: ბზ. ლემესგ (31,10) — ლნტ. ლემესკ	ცეცხლი
ბზ. ლესგ (27,32) — ლნტ. ლესკ	გვერდი
ბზ. უსგვა (428,2) — ლნტ. უსკვა	ექვსი
ბზ. ვისგე — ლნტ. ვისკე	ვაშლი
ბზ. სგეებინ (17,28) — ლნტ. სკეებინ	წინ
ბზ. ნესგა (29,21) — ლნტ. ნესკა	შუა
ლშხ. ლოშგინ (21,31) — ლნტ. ლოშკინ	უკან
ბზ. იშგენ (391,3) — ლნტ. იშკენ	სხვა
ლშხ. შგურ (39,6) — ლნტ. შკურ	სირცხვილი
ლშხ. ლოშდ (6,31) — ლნტ. ლოშტ	შუკან
ბზ. მაშდმპრ (14,27) — ლნტ. მაშტმპრ	მთვრალი
ბზ. დპშდე (434,14) — ლნტ. დპშტე	დათვი
ბზ. ძერვეშდ (4,9) — ლნტ. ძერბეშტ	ოცი
ბზ. ეშდოხჭიშდ (5,7) — ლნტ. ეშტოხჭიშტ	თხუთმეტი
ბზ. შდავალ (107,21) — ლნტ. შტავალ	მერცხალი
ბზ. შდიმ (71,1) — ლნტ. შტიმ	ყური
ბზ. დოშდულ (76,14) — ლნტ. დოშტულ	მთვარი

ბზ. შდ 5 ვ შ (301,1) — ლნტ. შ ტ ა შ ვ ც ალკე

ბზ. ლ უ ს დ გ ვ ე რ (64,16) — ლნტ. ლ უ ს ტ კ ვ ე რ ნაწნავეები

ბზ. ქ რ ი ს დ ე — ლნტ. ქ რ ი ს ტ ე და სხვ.

ჩანს, ლენტეხური ამ შემთხვევაში საერთოდ არ გვიჩვენებს ძველ ვითარებას. ამის თქმა მხოლოდ ზოგიერთი სიტყვის შესახებ შეიძლება (შდ¹. ქრისტე, კოშკ). ლენტეხური რომ სავარაუდოდ ვითარებას არ ასახავს, ამის საბუთად ისიც გამოდგებოდა, რომ ლენტეხურმა საშუალო ფშინიერი საფეხური არ იცის, მას ტენდენცია მკვეთრობისაკენ აქვს. ამიტომ ბალსზემოურისა და ლაშხურის ძლიერშემართვიან და ძლიერდამართვიან მკლერ ხშულებს ლენტეხური მკვეთრის სახით წარმოგვიდგენს.

§ 200. აღნიშნულ კომპლექსებში თუ რას უნდა გამოეწვია მაგარშემართვიან და მაგარდამართვიან მკლერ ხშულთა შესუსტება და მათი მოდიფიკაცია, ამის თაობაზე საყურადღებო მოსახზრება აქვს გამოაქმული ე. ზივერსს. მისი აზრით, ასეთ კომპლექსებში წინმაველ სპირანტს სკირდება ისეთი დიდი რაოდენობა ჰაერისა და ენერგია, რომ მომდევნო ხშული მხოლოდ ნახევარი სიძლიერით წარმოითქმის¹. ლენტეხურში წინამაველი სპირანტები ართმევენ რა მომდევნო ხშულებს ჰაერს დიდი რაოდენობით, ბუნებრივია, თუ ისინი მათ უსუნთქველ ბგერებად, მკვეთრებად აქცევენ, და ეს ასეც მოხდა.

¹ Ed. Sievers, Grundzüge der Phonetik, S. 298; შდრ. В. И. Абаев, Осетинский язык и фольклор, I, М.-Л. 1949, გვ. 514—515.

XV. პალატალიზაცია სვანურში

§ 201. პალატალიზაცია ანუ ბგერათშერბილება ფართოდ გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა. ზოგ ენაში კი, მაგ. რუსულში, ეს მოვლენა ფონოლოგიური ხასიათისაა, ზოგ ენაში, მაგ. გერმანულში, იგი ფონეტიკური ხასიათისაა. აღსანიშნავია ისიც, რომ პალატალიზაციის ხარისხი სხვადასხვა ენაში განსხვავებულია. ასე მაგ., ლ. შჩერბა სპეციალურად მიუთითებდა, რომ პალატალიზაცია დამახასიათებელია ფრანგულისთვისაც და რუსულისთვისაც, მაგრამ რუსულში იგი უფრო მეტი ხარისხითაა გავრცელებული, ვიდრე ფრანგულში. რუსულში იმდენად ძლიერია იგი, რომ თანხმოვნის თვისობრივ შეცვლასაც კი იწვევს¹.

გარდა ამისა, ისტორიული ფონეტიკის მონაცემებით ირკვევა, რომ ერთი ენის განვითარების ფარგლებში პალატალიზაცია შესაძლებელია სხვადასხვა ხასიათისა იყოს. ერთ პერიოდში შეიძლება იგი მთლიანად მოიცავდეს მოცემული ენის ბგერით სისტემას, მეორე პერიოდში კი შესაძლებელია იგი იყოს ფაქულტატიური და ა. შ.

ამ მხრივ საყურადღებო მასალებს იძლევიან ქართველური ენები, კერძოდ კი სვანური. ზემოთ პალატოგრამული შესწავლით ნათლად გამოირკვა, რომ პალატალიზებულ ხმოვანთა წინ თანხმოვნის შერბილება სვანურში ჩვეულებრივი მოვლენაა. ამის მიხედვით ჩვენ დავადასტურეთ პალატალიზებულ და არაპალატალიზებულ თანხმოვანთა ვარიანტები (იხ. სვანურ თანხმოვანთა კლასიფიკაცია).

§ 202. სვანურში პალატალიზაციის საფუძველზე დასტურდება თანხმოვნის თვისობრივი შეცვლა; კერძოდ, უკანაენისმიერთა გადასვლა წინაენისმიერებში. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს ქართველურ ენათა მეორე სუბიექტური პირის ნიშნის გ-ს სვანურ-

¹ Л. В. Щерба, Фонетика франц. яз., гл. 90.

ში ჯ-დ ქცევა წარმოადგენს; მაგ. ჯპჩო (ბზ. 285,7) 'გიზამ', ჯაკუ (ბზ. 50,17) 'გინდა', ჯიხალ (ბზ. 72,12) 'იცი', ჯამიღდა (ბზ. 72,11) 'შეგიძლია' და სხვა მრავალი. სენ. ეჯა¹ს ეკვივალენტია ქართ. იგი; ქართ. გბ-ობ-ა, ქან. გუბ||გიბ, სენ. ლი-ჯაბ (შედარ. ლექს. 266); ქართ. გვ-ელ-ი, მეგრ. გვ-ერ-ი, ქან. მ-გვ-ერ-ი, სენ. ჰი-ჯე||ვი-ჯ (იქვე, 117).

ასევე ფაქულტატიურად პალატალიზაციის საფუძველზე ქართველურ ენათა ქსვანურში ჩ-დ არის წარმოდგენილი; მაგ.: ქმნა — სენ. ჩვემინ||ჩრმინ; ჩოლ. ლეეჟიოლე||ლეეჩიოლე 'მოიქნია'; ქართ. (დიალ.) ქე, ქვე, მეგრ.-ქან. ქო — სენ. ჩუ (შდრ. ქართ. ქერქეტი||ჩერჩეტი).

სვანურში დასტურდება კ-ს ჰ-დ ქცევის შემთხვევებიც; მაგ.: ლსმ. ლეკვი — ლსმ. ლეჰვი 'დიდი ქვა'; ქართ. კაცი, მეგრ.-ქან. კოჩი — სენ. კაშ ('ქმარი'); ქართ. კვარცხ (ლბერკი), მეგრ.-ქან. კუჩხი — სენ. კიშხ; ქართ. კონ-ვა — სენ. ლი-ჰონ-ი; ქართ. კითხვა — სენ. *ჰოდ; ქართ. კედ-ელ-ი — სენ. კჰედ და სხვ. ამ მაგალითებში, როგორც დაერწმუნდით, პალატალიზაცია სცილდება ფონეტიკურ ფარგლებს და იგი ფონოლოგიური მნიშვნელობის ფაქტად იქცევა.

§ 203. ამ რიგის მოვლენები ქანურის ათინურ კილოკავში დადასტურებული აქვთ ნ. მარს, ი. ყიფშიძესა და არნ. ჩიქობავას. ათინურ კილოკავში იოტაციის საფუძველზე უკანანისმიერი ხშულები იქცევიან შესატყვის შიშინა აფრიკატებად; მაგ.:

„გდარი ქომილუნ. შქუნი ჯარი შკომარე“ (მარი, 83,24) 'საკმელი მაქვს. ჩვენს საკმელს შექამ'. ამ ორ ფრაზაში პარალელურად გდარი ფორმაცია დადასტურებული და ჯარი²; „ობგარუს ქოჯოქუ“ (ა. ჩიქობავა, II, 93,36; შდრ. ქოგოქკუ) 'ტირილი (ქე) დაიწყო', ჯოლუ (იქვე, 88,32), შდრ. გოლუ 'ჩამოვარდა'; თუჩანი (იქვე 88, 17), შდრ. თუქმანი 'დუქანი'; მქაფუ — მქაფუ ('ტურა') და სხვ.

ათინურ კილოკავში ხშირია შემთხვევა, როდესაც უკანანისმიერი ხშულები ვიწრო ხმოვნების ე-სა და ი-ს გავლენით შიშინა აფრი-

¹ ნ. მარი, Тубал-кайнский вклад в сванском, 1094; ვ. თოფურიანი, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, III, 38, 49.

კატებად იქცევიან. იგულისხმება, რომ აქ ე-სა და ი-ს ჩვეულებრივ-ზე უფრო მეტი დახურულობა ახასიათებს; მაგ.: ჯენკოლერი (ა. ჩიქობავა, II, 120, 24), შდრ. გენკოლერი 'დაკეტილი'; ჯეხედუ (იქვე), შდრ. გეხედუ 'შეჯღა'; ჯეკუცხუ (ი. ყიფშიძე, II, 83, 32), შდრ. გეკუცხუ 'გაიღვიძა'; ბერჯითე (იქვე 75, 21), შდრ. ბერჯითე 'თოხით'; ქინარი||ჩინარი (იქვე, II, 73, 24) 'ნაპირი'; თოქი (ა. ჩიქობავა, II, 99, 19) 'თოქი', კიბრი ||კიბრი (იქვე, II, 113, 2), შდრ. კიბირი 'კიბილი' და სხვ.

გ კ კ-ს აფრიკატებად გადასვლა გ. ახვლედიანს პალატალიზაციით აქვს ახსნილი და ამასთან დაკავშირებით მეტად საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს: „... გ. კ. კ-ს აფრიკატიზაცია შესაძლებელი იყო მხოლოდ იმავე რედუცირებული სპირანტის ჩასახვით. სხვათა შორის, ამ და ზემომოყვანილი ფაქტების გამო გამორიყხულად ვერ ჩაითვლება ქართული ენის ისტორიის გარკვეულ ხანაში პალატალიზაციის არსებობა: კვალი ჩანს“¹.

ხმულში სპირანტული ელემენტის ჩასახვა ან კიდევ ხმულის ვასპირანტება სვანურისა და ქანურის ერთ-ერთ საერთო დამახასიათებელ ტენდენციას შეადგენს (იხ. ქვევით).

§ 204. პალატალიზაციის თვალსაზრისით საყურადღებოა აგრეთვე სვანურის დიალექტებში ჯ-ს ლ-დ გადაქცევის შემთხვევები; მაგ.: ლაშხურსა და ლენტეხურში მესამე პირის ნაცვალსახელის ეჯი'ს ('ის') ჯ ხშირად ლ-დ იქცევა: ეჯი' (- ეჯი': ლშხ. 10, 6; 13, 33; 10, 15 და შემდეგ) 'ისე'; ეჯუმ (- ეჯუმ: ლშხ. 62, 3) 'იმოდენა'... ლენტეხურში ეჯი'ს პარალელურად გვევლინება: ეჯ, მაგ.: „ეჯ ზურალს“ 'იმ ქალს': „ეჯ სემი ლახება“ 'ის სამი ძმა'; „ეჯ მგ ვოქერი ვერცხლ“ 'იმოდენა ოქრო-ვერცხლი' და სხვ.

როგორც ეს ვ. თოფურიას აქვს აღნიშნული, „O, ჯ ეცე-რულსა, ლაშხურსა და ჩვეულებრივ ლახამულურში თანხმოვნის წინ ლ-დ ისმის: ეცრ. აჯქუიშა || აჯქუიშა 'გაგიტეხია', აჯქუეშა || აჯქუეშა 'გაგტეხია', აჯდიგა || აჯდიგა 'გაგიქრია', აჯყიდა || აჯყიდა 'გიყიდა', ლხმ. აჯტიხ 'დაგაბრუნა', აჯქუიშ 'გაგტეხა', აჯტიხა 'დაგაბრუნებია', აჯტაბა 'გაგითლია' და სხვ.“²

¹ გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, გვ. 130.

² ვ. თოფურია, სვანური ენა, გვ. 32.

ანალოგიური შემთხვევები ლაშხურშიც მოიპოვება: ეჯკალუა | ეჯკალუა 'გაგილეწავს'; „შიშდ ეილოქ ახხეტეხ (70,10) 'შინეე მოგსპობთო'; „ლიმარგ ბაზილოქ ეჯკეენი“ (62,4) 'ვაჟკაცობა ამალამ გაგეგებაო (გამოგიჩნდებაო)' და სხვ. (იქვე).

ამგვარად, ქართველურ ენათა O_2 გ სვანურში პალატალიზაციის შედეგად წარმოდგენილია ჯ-ს სახით, ხოლო სვანურს დიალექტებში იგივე ჯ ხშირად ჯ-დ იქცევა. პროცესი ასეთ სახეს იღებს: გ — ჯ — ჯ.

§ 205. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ქანური მეტყველების ათინურს კილოკავში შემონახული ფორმა: დოხო ნაცელად ჯოხო'სი ('სახელი'); მაგ.: ჯალეფეში-დოხო (ი. ყიფშიძე, II, 74, 18) 'ხეების სახელი'. ზოგჯერ იოტიც უჩინარდება ხმოვნებს შორის; მაგ. უოხუ (ა. ჩიქობავა, II, 117, 19) 'დაუძახა' და სხვ.

არნ. ჩიქობავა ამ სიტყვასთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ „ათინურში დღემდის შენახულა დოხო-სახელი მაშინ, როდესაც ვიწურ-არქაბულსა და ხოფურში ჯოხო გვაქვს; უეპველია, ჯოხო ისევეა მიღებული დოხო-საგან, როგორც ზემოხსენებული ლობჯა ლობჯასა-გან. შუა საფეხური ეოხო არ შენახულა, უკეთ რომ ვთქვათ, დადასტურებული ჯერ-ჯერობით არაა. საინტერესოა, რომ ათინურში სახელი დოხო დარჩა, მაგრამ ზნა. ჯოხო-ს იძლევა: დოხო შქიმი..., მაგრამ მჯოხოხს... მქეია“¹.

ჩვენი აზრით, საეჭვოა, რომ დოხო ძველ ვითარებას გვიჩვენებდეს, ხოლო ზნაში იოტი ჯ-დ ქცეულიყოს. უფრო საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში სახელმა კი არა, ზნამ უფრო ძველი ვითარება შემოგვინახა. ამაზე მიუთითებენ, ერთი მხრით, ქანურის სხვა კილოკავების მონაცემები. ამასთან ერთად ათინურ კილოკავს ყველაზე მეტი ფონეტიკური სახეცვლილება განუცლია და ამიტომ იგი საერთოდ არ უნდა უჩვენებდეს აღრინდელ ვითარებას. მეორე მხრით, სვანურის მონაცემებიც ადასტურებენ, რომ დოხო'ში ამოსავალი ჯ არის და არა ჯ: შდრ. სვანური ეახე და ქან. ჯოხო 'სახელი'.

§ 206. ჩვენი ტექსტებით ბალსზემოურში რამდენიმე შემთხვევა დაქერილი, როდესაც ჟ-ს ნაცელად წარმოთქმაში ისმოდა ჯ:

¹ არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 28.

მაგ.: მ ა ნ მ ე კ რ ე (— ე'ანმეკრე) 'გაიგო', ე ე ს ს გ უ რ ე (— ე'ესსგურე) 'დასეა', მ ა ნ ბ ა ე (— ე'ანბაე) 'გაიგო', მ ა ნ ი რ მ (— ე'ანირმ) 'დაიკირა', მ ო ხ გ ა (— ე'ოხგა) 'ავდექი', ე ე ს კ უ შ უ რ ე ბ (— ე'ესკუშურე) 'დაამტერიეს' და სხვ.

რა თქმა უნდა, ქართველურ ენებში არაა გამორიცხული საწინააღმდეგო პროცესი. ამაზე მიუთითებს იგივე ლობჯაძესაგან მიღებული ლობჯა. იოტისაგან რომ ვ ვითარდება და შემდგომ ჯ, ამის საილუსტრაციო მაგალითები მოჰყავთ ნ. მარს, გ. ახვლედიანსა და არნ. ჩიქობავას¹.

¹ პალატალიხაციასთან დაკავშირებით ბუნებრივად იბადება კიდევ ერთი საკითხი: როგორი ტრანსკრიფციით უნდა გამოვხატოთ პალატალიხაციის საფუძველზე მოდიფიცირებული თანხმოვნები და ხმოვნები? ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი პრინციპული ხასიათის საკითხია. ცნობილია, რომ პალატალიხაცია გულისხმობს იოტაციას, სულ ერთია, პროცესი ხმოვანს შეეხება თუ თანხმოვანს. სადავოა ის, თუ რამდენად სწორია ტრანსკრიფციულად იოტისათვის ამ შემთხვევაში ცალკე ნიშნის ხმარება.

ქართველურ ენებში პალატალიხებულ თანხმოვანთა გადმოსაცემად სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა ტრანსკრიფციულ ნიშნებს იყენებს. ასე მაგ., ჭანურში პალატალიხაციის საფუძველზე თანხმოვანთა მოდიფიკაცია ნ. მარსა და ი. ყიფშიძეს ტრანსკრიფციულად გადმოცემული აქვთ თანხმოვანთან იოტის მიწერით, ან კიდევ თანხმოვნის მომდევნო ხმოვანზე უმლაუტის ნიშნის დასმით; მაგ.: გ ხ ა რ ი ('საკმელი': მარს, 83,24), გ რ კ ი დ უ ('ჩამოკიდა': იქვე, 102,4); ქ ო გ რ ო კ ე კ უ ('დაიწყა': ი. ყიფშიძე, 31,13). და სხვ.

არნ. ჩიქობავა იოტით გადმოსცემს ჭანურის პალატალიხებულ თანხმოვნებს და მომდევნო ხმოვნებზე უმლაუტის ნიშნის დასმას არ მიმართავს; მაგ.: ქ ო გ ო ლ ო კ ე კ ს ('დაიწყეს': ა. ჩიქობავა, II, 5,23), გ ე ლ ი ნ ი ('რძალი', I, 133,9), ქ ე ტ ი ('კეტი, წნელი': იქვე, I, 93, 30) და სხვ.

ჩვენს ჭანურ ტექსტებშიც პალატალიხებული თანხმოვნები ტრანსკრიფციულად იმავე ნიშნებითაა გადმოცემული, რა ნიშნებითაც მას არნ. ჩიქობავა გამოხატავს.

ნ. მარს სვანურში ლ-ს სილბო თავის პატარა ლექსიკონში (Иваневиче-нис сванско-русского словаря, 1922, გვ. VI) გამოხატული აქვს მარჯვნიდან სპეციალური ნიშნი — კბილაკის — დასმით (ლ₁).

ამ მხრივ თავისებურია ის ტრანსკრიფციული ნიშნები, რომლებსაც გ. დიუშეხილი მიმართავს ჭანურის პალატალიხებულ თანხმოვანთა გადმოსაცემად. გ. დიუშეხილი იოტის ნაცვლად პალატალიხებულ თანხმოვნებს მარჯვნიდან სილბოს ნიშანს უსვამს. ამასთანავე იგი ფართოდ იყენებს პალატალიხებული თანხმოვნის მომდევნო ხმოვანზე უმლაუტის ნიშანს; მაგ.: ე უ რ -ს-უ მ ('ორი-სამი': G. Dumézil, Contes Lazes, 1937, p. 115,10), მ ა ლ უ რ ა ('შეორე': იქვე, 37,7), ქ ო გ ა კ ნ ი, ქ ო გ ა კ ნ ი! ('მოკიდე, მოკიდე (ხელი)': იქვე, 34,3).

§ 207. ცნობილია, რომ პალატალიზაციის კლასიკურ ნიმუშს სლავურ ენათა ისტორია იძლევა. ბუნებრივია ამიტომ, თუ მკვლევართა დიდი უმრავლესობის ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო ამ მოვლენამ სლავურ ენებში. ამ საკითხის ისეთი დიდი მკვლევარი, როგორცაა ი. შახმატოვი, წერს: „საერთო სლავურში თანხმოვანთა შერბილება წარმოიშვა უკანანისმიერთა, წინანისმიერთა, ბაგისმიერთა და აგრეთვე r და l თანხმოვანთა მომდევნო იოტთან ასიმილაციის შედეგად და წინა რიგის ხმოვანთა წინამავალ უკანანისმიერი თანხმოვნებზე გავლენის შედეგად“¹.

ბ. კიტერმანი სავესებით სამართლიანად გააკრიტიკა იმ ავტორთა მოსაზრებანი, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ რუსული პალატალიზებული თანხმოვნები თითქოს წარმოადგენენ თანხმოვნისა და იოტის შეერთებას. ასე მაგ., ბრუკეს აზრით, რუსული ხხ-ს წარმოთქმისას ხ-სთვის ჰაერის ნაკადი ცხვირში გადის, ხოლო იოტისათვის პირში. ბ. კიტერმანი არ იზიარებს ბრუკეს ამ მოსაზრებას; იგი ამბობს, რომ ხხ-ს წარმოთქმისას ჰაერნაკადი მთლიანად ცხვირში გადისო, და დაასკვნის: „დამოუკიდებელი იოტი, ე. ი. თანხმოვანს რომ მოსდევდეს, მას რომ ერთოდეს, რუსულ შერბილებულ ბგერაში არ არის...“

ამგვარად, რუსული ენის პალატალიზებული ბგერები ისე კი არ უნდა განვიხილოთ, რომ თითქოს ისინი წარმოადგენდნენ თანხმოვნის იოტთან შეერთებას, არამედ ისინი უნდა განვიხილოთ, როგორც იოტის მეშვეობით სახეცვლილი თანხმოვნები“².

ჩვენი აზრით, ბ. კიტერმანის თვალსაზრისი ამ შემთხვევაში უთუოდ სწორია და ამდენად ქართველურ ენებში პალატალიზაციის გამონახვა თანხმოვნისა და იოტის შეერთებით არ იქნებოდა მართებული. ამ შემთხვევაში უფრო სწორია იმ ტრანსკრიფციული ნიშნების გამოყენება, რომლებსაც ნ. მარი მიმართავდა სხვადასხვა დროს ქართველურ ენათა პალატალიზებულ თანხმოვანთა გადმოსაცემად (შდრ. ზემოთ სვანურ თანხმოვანთა კლასიფიკაცია).

მაგრამ: ქოფრკეს ('დაიწვეს': იქვე, 36,12), ქუფის ('ქვევრში': იქვე, 36,13), ფუნკოლუ ('დაუკეტა': იქვე, 32,4) და სხვ.

¹ А. Шахматов, К истории звуков русского языка: Сб. Отд. русской лексики и словесности АИ, том LXVII, № 7, 1901, стр. 3.

² Б. Китерман, К учению о палатализации звуков русского языка: ЖМНП, часть СССХХХV, 1903, № 2, стр. 297.

§ 208. სვანურში, ისე როგორც სხვა მის მოძმე ენებში, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის მრავალრიცხოვანი შემთხვევა მოიპოვება.

ა) აფრიკატიზაციის შემთხვევები:

ჟ - ჯ

ბერეჟ (ბზ.) || ბერეჯ (ბზ. 438,1) რკინა

კაჯ (ნიე. 167), ჩოლ. კაჟ — ქართ. კაჟი

ჯინ (ნიე. 120) — ქართ. ეინი (შდრ. დიალ. ჯინი)

ჯანგ (ნიე. 101) — ქართ. ჟანგ - ი (შდრ. დიალ. ჯანგ - ი)

საჯენ (ლშხ. 20,24) — ქართ. საჟენ - ი (რუს.; შდრ. დიალ.

საჯენი)

მარყვიჯ (ლშხ.) — ქართ. მარყუჟი - ი (შდრ. გურ. მარყუჟი)...

უნდა ვივარაუდოთ, რომ ზოგი აფრიკატიზებული ფორმა სვანურს შეთვისებული აქვს ქართული დიალექტებიდან (მაგ.: ჯინ, ჯანგ, საჯენ და სხვ.).

ზ - ძ

ძულვა (ბზ.), ზულვა (ლშხ.) — ქართ. ზღვა (შდრ. ლშხ. ძღვა 92,21)

მალაძია (ლნტ.) — ქართ. მალაზია

ძღვიდ (სენ. პოეზ. 112,28) — ქართ. ზღუდე

როძგ (ნიე. 397), როძგ (ჩოლ.) — ქართ. როზგი (← რუს. розга)

ძეწარ (ბზ.) — ქართ. ზეწარი (შდრ. მეგრ. ძენწარი - ი)

თარიძელ (ლშხ. 10,18), ბზ. თარინგზელ (16,11), ლშხ.

თარგლეზერ — ქართ. მთავარანგელოზი¹...

¹ შდრ. ჩენი: ფონეტიკური შენიშვნები სვანეთის ქართულ წარწერებზე,

ძახლარ (ლშხ. 30,32) — ქართ. მზახლები
 ინძგრფაშა (ბზ.) — ქართ. აზარფეშა
 ძაფრა (ბზ.) — ქართ. ზაფრა
 ძაფრანჷ (ბზ.) — ქართ. ზაფრანა

ს - ც

ნსნავ (ბზ. 384,9) || ნცნავ (მულახ.) სიზმარი (შდრ. ზქე-
 ისტამ).

ლურცმანპრ (ბზ. 64,13) — ქართ. ლურსმნები
 კანცერ (ლზმ.) — ქართ. კონსერვი (უცხ.)
 კამიცია (ლზმ.) — ქართ. კომისია (უცხ.)
 იცხ (ბზ.) — ქართ. მ-სხ-ალ-ი (შდრ. ლზმ. ჭიცხ)
 ლი-კვეც (ბზ. 262,19) — ქართ. კვენესა
 ცხვიშილქლარ (სენ. პოეზ. 210,58) — ქართ. „სხვის შვი-
 ლება“ (შდრ. მონეტური ცხო-სხვია)
 ცხვენ (ლშხ. 5,15), ცხენ (ლზმ.) — ქართ. სხვენ-ი (შდრ-
 კან. ო-ცხო-ნ-ე)
 ესნპრ (ბზ. 1,3) || ეცნპრ (ბზ. 21,24) თურმე და სხვ.

ბ) დეზაფრიკატიზაციის შემთხვევები

§ 209. სვანურისათვის, როგორც სპირანტული შტოს ენისა-
 თვის, განსაკუთრებით დამახასიათებელია დეზაფრიკატიზაცია. დე-
 ზაფრიკატიზაცია სპირანტიზაციის ხასიათისაა. ამ მხრივ თვალსა-
 ჩინოდ განსხვავდება სვანური ქართულისა და მეგრულ-ქანურისაგან.

ძ - ზ (|| ჯ - უ)

ბზანება (სენ. პოეზ. 387,107) — ქართ. ბრძანება
 საბზანებელი სგა (ბზ. 166,27) — ქართ. საბრძანებელში
 განზ (სენ. პოეზ. 170,182) — ქართ. განძ-ი (შდრ. ლშხ. განძ)
 ბერზენ (ბზ. 39,13); ბერძემ || ბერზემ (ლზმ.) — ქართ-
 ბერძენი
 თერზ (ბზ. 101,3; შდრ. ლშხ. თერჯ) — ქართ. თერძი
 გგრზნავილ (უშგ.) — ქართ. გრძნეულ-ი
 მზივ (უშგ., შდრ. ლშხ. ლზმ. ძივ) — ქართ. მ-ძივი
 ბზ. აძჷიპ || ო-ზიპ ('დავკალი': სვან. ენა, 153).

- მეზბარ (უშგ.) — ქართ. მეძებარ-ი
 ყუნზელ (ბზ. 50,12; Н. Марр, Яфет. назв. дер. и раст., გვ. 940) — ქართ. ყურძენ-ი
 ბზ. ღერზ — ქართ. ღერძ-ი (შდრ. მეგრ. ღერზე)
 სენ. ლიკერზანი ('დაკერძება'), „კერზ-კვირზ“ — ქართ. მიკერძ-მოკერძება
 ნენზ (ჩბზ.), ლენზ (ლზბ.) 'სოქი' — ქართ. ნაძვი-ი (შდრ. მეგრ. ნუძუ|| ნუზუ: ი. ყიფშიძე, Грамм. мингр. яз., გვ. 291)
 ქინზ (ლზბ., შდრ. ლზბ. ქინძ) — ქართ. ქინძ-ი; ქინზის-თავ (ბქვ.) — ქართ. ქინძისთავ-ი
 აკარზე (|| აკარძე) 'ბანდავს' (ა. შანიძე, უმლაუტი, 183)
 ლი-ვოლჷ (ლზბ.), ლი-ჟელ (ლზბ.) — ქართ. ძლ-ოლ-ა
 სენ. ჟელ, მეგრ.-ჟან. ჯოლ-ოლ-ი — ქართ. ძალ-ლ-ი
 ბოზალი (სენ. პოეზ. 383,5) — მეგრ. ბორძალი
 ზახილ (სენ. პოეზ. 352,4) — ქართ. ძახილი...

ჩ — ზ

„ეშუ კამბეჩ“ (ბზ. 297,15) 'ერთი კამეჩი', მაგრამ იქვე: „ეშ-დიგორუ ჟღვა კამბზარ (ბზ. 90,21) 'თორმეტი უღელი კამეჩები'. უკანასკნელი ფორმა მეორეულია (კამბეჩი ქართულიდანაა შესული).

ბზ. შიშლავ — ქართ. ჩიჩილაკ-ი.

ჩ დეზაფრიკატიზებულია და შ-ს სახით არის წარმოდგენილი შემდეგ სვანურ სიტყვებში: სენ. ლი-რში, მეგრ. რჩ-აფა, ქართ. რეც-ვა; სენ. ჰაშ, მეგრ. კორ-ი, ქართ. კაც-ი; სენ. ხო-შ-ა, მეგრ. უჩ-აშ-ი, ქართ. ხუ-ც-ეს-ი; სენ. ჰიშხ, მეგრ. კუჩხ, ქართ. კვარცხ (ლბერკი); სენ. ლი-შნ-ე ('ხილის მოსხმა'), მეგრ. ჩან-აფა, ქართ. აღმო-ცენ-ება; სენ. ლ-ვაშ, მეგრ. ოჩ-ი, ქართ. ვაც-ი; სენ. ლი-შხ-ი, მეგრ. და-ჩხ-ირ-ი, ქართ. ცე-ცხ-ლ-ი (-სე-ცხ-ლ-ი)... ამის მიხედვით ირკვევა, რომ ქართ. ც = მეგრ.-ჟან. ჩ = სენ. შ¹.

ც — ხ

ლზბ. ვესკაცხ — ქართ. ვაცკაც-ი, მეგრ. ოჩ-ო-კორ-ი (იხ. ზევით); ლზბ. სურავ — ქართ. ცურვა; ტკიცლ: „აღზზეხ

¹ ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, III, გვ. 48—50; შდრ. ნ. მარი, Губая-кайиский вклад в сванском, 1094.

ტკიცდ ალ ჭყინტ“ (ბზ. 328,1) ‘გაგზაენეს მართლა ეს ბიჭი’; „ამუნენ ტკიცდ ამეი ჩვემინ“ (ბზ. 328,10) ‘ამან მართლა ასე ქნა’; მაგრაჟ ტკიცდ’ის პარალელურად გვაქვს ტკისდ: „მეჯვეგდ ტკისდ ჩოთჯგრეე“ (ბზ. 320,11) ‘მეჯოგემ მართლა დაუჯერა’ (შდრ. კისდ: ბზ. 303,7); ლშხ. ხატციხ||ხატსიხ ‘ურტყამენ’; ლხმ. კეცნჳნი||კესნჳნი ადგილის სახელია და სხვ.¹

ცხადია, სვანურის ასეთი ტენდენცია სპირანტიზაციისაკენ საფუძველს აძლევდა ნ. მარს, რომ სვანური ძირითადად სპირანტიული შტოს ენად მიეჩნია.

¹ შდრ. ჩენი: ფონეტიკური შენიშვნები სვანეთის კართულ წარწერებზე, გვ. 433.

XVII. გვერათმონაცვლეობა, მებათეზისი,
გვერათა დაკარგვა და განვითარება

1. გვერათმონაცვლეობა

§ 210. სენურში, ისე როგორც სხვა ქართველურ ენებშიც, ხშირია ნარნარა (ლ, რ) და ცხვირისმიერ (მ, ნ) თანხმოვანთა მონაცვლეობა; მაგ.:

ნ||ლ:

ბზ. ნეკეთხზრ, ლშხ. ნეკეთხარ, ლხმ. ლეკურთხზრ — ქართ. ლეკვერთხები

ბზ. ყავარჯელ, ლშხ. ლხმ. ყაურჯენ — ქართ. ყავარჯენი

ბზ. ნიც (61,6) || ლიც (ბზ. 328,16) წყალი

ბზ. ყუნხელ (50,12) — ქართ. ყურძენი

ბზ. შავურდელ (62,5), ლშხ. ლხმ. შაურდენ — ქართ. შავარდენი და სხვ.

ლ||რ:

ციმბილ (ბზ. 5,13), ლშხ. ცინბირ, ლხმ. ცგზგრ || ცგმგრ — ქართ. ციმბირი

ბზ. გოწხილ (სენ. პოეზ. 194,7), ბზ. ლშხ. გოწხირ (4,31) კოწახური

ლხმ. ვალ 'მ-ხარ-ი', მრ. ქალზრ (სენ. პოეზ. 170,177) — ქართ. მ-ხრ-ები

პილ (სენ. პოეზ. 212,2) — ქართ. პირი

ბზ. ბჟლთ (ბზ. 102,15), ლხმ. ფურთი — ქართ. ბურთი ('მღრ. კან. ბჟლთი)

ბზ. ტალხუნა — ქართ. ტარხუნა

ფაფალ (ბზ. 224,23) — ქართ. ფაფარი და სხვ.

მ||ნ:

ლშხ. ლოშგინ, ლხმ. ლეშგიმ, ბზ. ვეშგინ || ვეშგიმ (131,15) უკან

კიმკჟრ (ლშხ. 14,22) — ქართ. კინკები

უმგ. სტანფილო (ნიე. 204), ლშხ. სტამფილო სტაფილო

ლშხ.უშგ. ჩინთ, ლშხ. ჩიმთ (მეგრ. ჩინთი) — ქართ. ჩითი
 ბზ. ბერზენ, ლშხ. ბერძენ, ლშხ. ბერზემ||ბერძემ
 'ბერძენი'

ლშხ. სამყურ||სანყურ საყვირი
 ამტყვასგ||ანტყვასგ (მარი, ლექს. 3) ვარსკვლავი
 ლშხ. მაკლ — ქართ. ნაკლ - ი და სხვ.

ნ||რ:

ლშხ. ლიქონტე||ლიქორტე, ლშხ. ლიქორტე გამ-
 რუღება, გაღუნვა

ყუნზელ (ბზ. 50,12) — ქართ. ყურძენ - ი

ბქვ. კინტილ, ლშხ. კირტელ ნაფლეთი, ნაკუწი

ბქვ. კინკვლულ, ლშხ. კირკულ კურკლი (შდრ. მეგრ.
 კირკოლა)

ბზ. ქან — ქართ. ხარ - ი და სხვ.

მ||ლ: ბზ. ქათალ (67,33) — ქართ. ქათამ - ი

ვ||ზ: ლშხ. კაბშვირ — ქართ. კავშირ - ი

ბზ. თებზ (74,21) — ქართ. თევზ - ი (შდრ. დიალ. თებზი).

2. მეტათეზისი

§ 211. ლნტ. ამნილდ||ალმინდ 'ამათ'

ბქვ. ნებკა, ლშხ. ნიკპა — ქარ. ნიკაპ - ი

რილა (ბზ. 39,17) — ლირა (ფულია)

ბზ. უფგოშ (სენ. პოეზ. 88,7), უქბოშ (ბზ. 164,9), ლშხ.

უქვბოშვ, ლშხ. უქბოშვ მალულად, ფარულად

ბქვ. ყაყბერ, ლშხ. ყაბყვერ||ყაბყვერ ყბაყურა

ლშხ. აყბა, ლნტ. აბაყა ლოყა, ყბა

ბზ. ვწლირგ (397,2) — ქართ. ველურ - ი

ფირგ (ბზ. 414,1) — ქართ. ფურ - ი

ყწრვილ||ყწვრილ (ბზ. 106,24) ყარაული

სამ უქანასკნელ მაგალითში უ-ს დიფთონგიზაციის შემდეგ მო-
 შხდარა გადასმა: ვრ - რ ვ¹.

სენ. ნაგზი (-*მა-ზგი) (Н. Марр, Из поездок в Сва-
 нию, გვ. 20) ერთი კვირა, კვირეული

¹ გ. თოფური, კვლავ უმლაუტისათვის სვანურში, გვ. 338.

ლხმ. ბლენ — ქართ. ბნელ-ი (ლხმ. ბლენურ არაბნელი)

ლშხ. რკვენ — ქართ. კვერნ-ა

ბზ. ულმპაშ, ლხმ. უმლაშ (ლშხ. ურმაშ) (ნ. შარი, ლექს.

10) ულვაში

თასდევებ (ბზ. 96,34) || თასედებ (ბზ. 97,10) პირობა

ლხმ. ხლინ — ქართ. ლხინ-ი

ბზ. ესნპარ (ბზ. 273,20), ლშხ. ესრენ, ლხმ. ესნერ

‘თურმე’

მოლრიშ || მონრიშ || მორნიშ ადგილის სახელია ლახა-
შულაში

კიბდონპარ (სენ. პოეზ. 276,10) -- ქართ. კიდობნები;
შდრ. ლშხ. კიდბონ, ლხმ. კიბდენ

პასიხე (სენ. პოეზ. 48,77) — ქართ. პასუხი. გადასმა მომხდა-
რია უ-ს დიფთონგიზაციის შემდეგ (პასუხი — პასუხ — პასეხი
— პასიხე)...

ლ-სა და რ-ს მეზობლობაში დიფთონგიზებული ხმოვნის ელე-
მენტი ვ ასევე გადაისმება ბალსემოურში: ანგელეზ (ბზ. 173,1)
— ანგელოზ-ი, პატერენ (ბზ. 176,9) — პატრონი-ი და სხვ.

3. ლ-ს დაკარგვის შემთხვევები

§ 212. ბოთ (ლშხ. 8,11) — ქართ. ბოთლ-ი

მუახ (ლნტ.), მოვპხ (ლხმ.) — ქართ. მოახლ-ე

ხინ (სენ. პოეზ. 88,92), ხლინ (ლხმ.) — ქართ. ლხინ-ი

კდე (ლშხ. 91,7) — ქართ. კლდე (შდრ. გურ. ქტი)

ბქე. კანდა — ქართ. კლანდა და სხვ.

4. რ-ს განვითარების შემთხვევები

§ 213. ზოგად ფონეტიკაში შენიშნულია, რომ ხშულთა წინ რ-ს
განვითარებას აქვს ადგილი¹. ამის საფუძველი ფიზიოლოგიური ფაქ-
ტორია. საფიქრებელია, რომ ხშულთა წინ რ-ს განვითარებას იწვევს
წინამაჟალი ხმოვნის რეკურსიისა და მომდევნო ხშულის ექსკურსიის
შეხვედრის მომენტები. სონორი რ ამ შემთხვევაში თითქოს შუა-
მაჟალ რგოლს წარმოადგენს ხმოვიდან ხშულზე გადასასვლელად.
ამისი ფაქტები დასტურდება საერთოდ ქართულურ ენებში და,
კერძოდ, სვანურშიც; მაგ.: არგითე (ბზ. 64,6) || აგითე (ბზ. 28,

¹ O. Jespersen, Lehrbuch der Phonetik, გვ. 33.

17) 'სახლში', უ რ დ გ ი ლ (სენ. პოეზ. 164,43) 'უადგილო', უ რ გ ი ლ ა რ გ ი ლ ა ს (იქვე, 194,6) 'უადგილო ადგილას' (შდრ. ქართ. დიალ. ა რ დ გ ი ლ ი), ზ უ რ ჩ ი ა (-ზუჩი: სენ. პოეზ. 2,9), ჯ ა რ ჯ (-ხახა: ლშხ. 8,32) (შდრ. გურ. ხ ა რ ხ ა), ჩ ბ ბ. ს ა კ ა რ (ც ხ, ლხმ. ს ა კ ა ც ხ - ქართ. ს ა კ ა ც ე; ბზ. უშგ. მ ა რ წ ე ე ნ, ლხმ. მ ა რ წ ე ნ, ლშხ. მ ა რ წ ო ნ - ქართ. მ ა წ ო ნ ი; ბქვ. ჩ ა რ ჩ, ბზ. ჩ ა ჩ 'წვერის მოშვება გლოვისას'; ა რ ტ ა ე ა ი ს გ ა (ბზ. 311,37) — „ატაეაში“ (შდრ. ქართ. დიალ. ა რ ტ ა ე ა) (სიტყვა შემოსულია რუსულით); ლხმ. ლ ე ფ გ რ ჩ გ ნ ი — ქართ. ს ა - ფ უ ჩ უ ნ - ო; ბზ. პ ა რ პ ო ლ დ (ნიე. 205), ლშხ. პ ე რ პ ე ლ, ლხმ. პ ე რ პ უ ლ — ქართ. პ ე პ ე ლ ა; ლხმ. ბ ი წ ა რ — ქართ. ფ ი წ ა ლ ი; ბზ. ქ ა ლ დ ა რ თ, ლხმ. ქ ა რ ლ ა თ, ლშხ. ქ ა ლ ა ლ თ — ქართ. ქ ა ლ ა ლ დ - ი და სხვ.

ანალოგიური მაგალითები სხვა ქართველურ ენებშიც მოიპოვება. ქანური მეტყველების სარფულ თქმაში, სადაც რ საგრძნობლად პალატალიზებული ბგერაა და გარკვეულ პოზიციაში ვოკალიზაციას განიცდის, ხშულთა წინ ზოგჯერ რ ვითარდება; მაგ.: „დიდო ფარა-თი მორგაპტუ“ (არნ. ჩიქობავეა, I, 111,10) 'ბევრ ფულსაც იგებდა'. მო რ გ ა პ ტ უ მომდინარეობს ფორმისაგან მო გ ა ფ ტ უ. ქ ა რ ტ ო (იქვე, 136,15) — ქართ. ქ ა ტ ო. მეგრულ-ქანურ მარქვალ'ში რ განვითარებულია (შედარ. ლექს., გვ. 110). მეგრულ კირქა'შიც (-კიქა) რ ამ გზითაა მიღებული¹.

5. 6 (||შ)-ს განვითარების შემთხვევები

§ 214. ჩვენ სპეციალურად, პალატოგრამული მეთოდით, შევისწავლეთ 6 (||შ)-ს განვითარების შემთხვევები საერთოდ ქართველურ ენებში². ამან საყუარდლებო შედეგები მოგვცა. გამოიჩქვა, რომ ეს მოვლენა გავრცელებულია ქართულშიც და სვანურშიც, მაგრამ უფრო მასობრივად იგი ახასიათებს მეგრულ-ქანურს.

ქართველურ ენებში 6 (||შ) ვითარდება მხოლოდ და მხოლოდ ხშულ-მსკდომ თანხმოვანთა წინ: უკანაენისმიერებთან, წინაენისმიერ მარტივ და აფრიკატ თანხმოვნებთან და ბაგისმიერებთან (ბაგის-

¹ ჩვენი: რ ფონემა მეგრ.-ქანურში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. X, № 2, 1949.

² ჩვენი: 6 (||შ)-ს განვითარების საფუძველი ხშულმსკდომთა წინ მეგრულ-ქანურში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. X, № 7, 1949.

მიერებთან წ ასიმილაციით იქცევა მ-დ). ექსპერიმენტული მონაცემებით გამოირკვა, რომ ხშულთა წინ წ(წ)-ს განვითარების შემთხვევაში საურთიერთო პალატალიზაციას აქვს იდგილი.

სენაურიდან სანიმუშოდ დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს:

წ+ღ: ბქვ. ცინდა (შდრ. მეგრ. ცინდა) — ქართ. ცინდა; ვოფრინდომ (ბზ. 58,4) — ქართ. ფრიდონ; ინდბად (ლნტ.), ინდბად (ხალდ.) 'განთიადი'; მპკინდოლ (ლზმ.) — ქართ. მაკინდონი (მწვანილია).

წ+თ: ონთოჟ (ჩბზ.; შდრ. მეგრ. უნთო) — ქართ. უთო; ჩინთ (უშგ.: ნიე. 415), ლზმ. ჩინთ, ლზმ. ჩიმთ (შდრ. მეგრ. ჩინთი) — ქართ. ჩითი; გთხერ (ბქვ.), მაგრამ: ლგნთხერე || ლგ-დთხერე 'გათხელებული' (შდრ. ქართ. თხელი, ნთხეულა); თხრილ (ბქვ.), მაგრამ: ლგნთხორე 'გათხრილი'.

წ+ტ: დეჰუტანტ (უშგ.: ნიე. 55) — ქართ. დეჰუტანტი; ტყარ (ბქვ.) 'ტყიური', მაგრამ: ლგნტყარე 'გატყიურებული'; კინტირ (უშგ.), კენტგრ (ლზმ.; შდრ. მეგრ. კინტირი || კენტგრი — ქართ. დიალ. კინტრი).

წ+ჩ: მინჩქუ (ლზმ.) ← მეგრ. მუნჩქვი — ქართ. მაჩვი; ნანჩქარალუ — ქართ. ნანჩარები; ჩინჩვილ (სენ. პოეზ. 272,23) — ქართ. ჩვილი (შდრ. ქართ. დიალ. ჩინჩვილი).

წ+წ: წინწილ (ბზ. 139,25), ლზმ. წიწილ, ქართ. წიწილა; ლექირ (ლზმ.) — ქართ. სა-კირ-ე-ელ-ი და სხვ.

წ/შ+ბ: სენ. ლი-ბეც 'შეძლება', მაგრამ: უმბეც 'შეუძლო', ლგმბეც 'შემძლე'; კახგმბალ (უშგ.) — ქართ. დიალ. კახამბალი; სენ. მეგქე 'გამძლე, მაგარი', მაგრამ: ლუნგქე 'გამაგრებული'; სენ. ლუნქროვე, ლგქროვე (ლზმ.) — ქართ. მო-ოქრე-ილ-ი (შდრ. სენ. ვოქერ ← ოქრო); სანყურ (ლზმ. 20,20), ლზმ. სანყერ — ქართ. საყერი-ი და სხვ.

წ-ს განვითარება ხშულ-მსკდომთა წინ დასტურდება სხვა კავკასიურ ენებში¹ და აფრიკის ჯგუფ ენებშიც კი². ამდენად ეს მოვლენა ზოგადფონეტიკური მოვლენაა. კ. მაინჰოფი შენიშნავს, რომ

¹ A. Dirr, Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen, 1928, გვ. 35.

² C. Meinhof, Der Wert der Phonetik für die Allgemeine Sprachwissenschaft: Vox, Heft 1/3, 1918, გვ. 51—52.

აფრიკის ჯგუფის ენებში k t p-ს წინ n-ს განვითარებას იმდენად ძლიერი მოდიფიკაცია გამოუწვევია ხშულ თანხმოვანთა, რომ ისინი სპირანტებად ქცეულან.

ხშულ-მსკდომ თანხმოვანთა წინ საყრდენი ნ(||მ)-ს განვითარება აიხსნება წარმოთქმის ფიზიოლოგიური პირობებით: ხშულ-მსკდომთა არტიკულაციის პირველ ფაზაში ჰაერნაკადი ნაწილობრივ ცხვირის ღრუში იგზავნება, რის გამოც აღვილდება ხშულ-მსკდომის არტიკულაციის გადალახვა. ამიტომ ხშულ-მსკდომებს იმპლოზიის მომენტში ემატება ცხვირისმიერი ელფერა, რომელიც შემდგომ დამოუკიდებელ დამდგარ ბგერად ფორმდება¹.

¹ შტრ. В. А. Богородицкий, Наблюдения посредством мышечно-го чувства над произношением звуков русского языка, Казань, 1906 г, გვ. 8 (ცალკეაშონაბეჭდი); G. Panconcelli-Calzia, Die experimentelle Phonetik in ihrer Anwendung auf die Sprachwissenschaft, 1924. გვ. 70.

XVIII. მარცვლის აგებულება სიტყვის თავსა და ბოლოში

§ 215. ქართული წარმოთქმისათვის ჩვეულებრივია რამდენიმე თანხმოვნის სიტყვის თავში ერთად შეყრა. ორი, სამი და მეტი ერთად მიჯრილი თანხმოვანი ქართულში ბუნებრივად წარმოითქმის; მაგ.: წ რ თ ო ბ ა, ქ ყ ლ ე ტ ს, ფ ხ ე ნ ი ლ ი, წ ვ რ თ ნ ა, ფ ც ქ ე ნ ა, ბ რ წ ყ ი ნ ე ა და სხვ.

ამ მხრივ სხვაგვარი ვითარებაა მეგრულ-ქანურში. ესენი ვერ იგუებენ თანხმოვანთა ერთად შეყრას. მარცვალთა აგებულება ამ ენებში ასეთია: თანხმოვანი + ხმოვანი; მაგ.: ქართ. ძ მ ა — მეგრ.-ქან. ჯ ი მ ა; ქართ. ძ მ ა რ ი — ქან. ჯ უ მ ო რ ი; ქართ. თ მ ა — მეგრ.-ქან. თ ო მ ა; ქართ. ქ მ ა რ ი — მეგრ.-ქან. ქ ო მ ო ნ ჯ ი; ქართ. კ ბ ი ლ ი — მეგრ.-ქან. კ ი ბ ი რ ი; ქართ. ფ რ ი ნ ე ა — მეგრ.-ქან. ფ უ რ ი ნ უ ა და სხვ.

სვანურსაც ასეთი ტენდენცია ახასიათებს, მაგრამ ვითარება ამ მხრივ საკმაოდ განსხვავებულია მეგრულ-ქანურისაგან.

§ 216. სვანურს არ შეუძლია სიტყვის თავში ერთად შეყრილ თანხმოვანთა ატანა. ამიტომ ყოველი სიტყვის თავში ერთად შეყრილი თანხმოვნები განაწილებულია სრული ან ნეიტრალური ხმოვნით. სამაკიეროდ, სვანურში ჩვეულებრივია სიტყვის ბოლოში თანხმოვანთა ერთად შეყრა, ზოგჯერ ქართულისათვის უჩვეულო სახით.

ჯერ განვიხილოთ სიტყვის თავში თანხმოვანთა გაყრის შემთხვევები; მაგ.:

ფ ი რ თ ხ ი ლ დ (ბზ. 53,20; 199,20), ლხმ. ფ გ რ თ ხ ი ლ დ.
'ფრთხილად'

პ ი რ ი ს დ ე ვ (ბზ. 27,7) ← პ რ ი ს ტ ა ვ (← რუს. пристав)

ყ უ რ ი ე დ (სენ. პოეზ. 80,21) — ყ რ უ დ

ქ ა რ ა ე ვ ე ტ (სენ. პოეზ. 328,11) ← к р о в а т ь

ქილეზარდ (ნიე. 422), ლშხ. ქილიავ — ლხმ. ქირვად
‘ქლიავი’

ხალაფოროთ (ბზ. 279,13), ლხმ. ხალაფოთ ← ხლა-
ფოთი

გირგველდ (ნიე. 156), ლხმ. გირგედელ || გ'ირგვედილ,
ლშხ. გირგოლდაა ← გრგვალი (შდრ. ხევსურ. გურგალი)

ყურუშგაა (ლშხ.) ← крыжка

ბულზა (ბზ.), ბქე. ბოლოზა ← ბლუზა. პირველ შემთხვევა-
ში თავიკიდურ თანხმოვანთა გაყრა ხმოვნის გადასმითაა მიღწეული.

პილატოკ || პოლატუკ (ბზ.) ← პლატოკი (რუს.)

ბიზიკ (ბზ.) ← ბზიკი

ძულვა (ბზ. 201,1) ← ზღვა

ლშხ. ლხმ. კინიაზ ← რუს. князь

ქურივ (ბზ. ლნტ.), ქრუვ (ბზ. ლშხ.) — ქვრივი.

კურუ (ბზ. 32,15) — ხვრელი. უკანასკნელ ორ მაგალითში
ქართ. ვ (|| უ)-ს შესატყვისად სვანურში უ ხმოვანი გვაქვს (შდრ.
ძვ. ქართ. ქურივი, კურელი. ქართ. ხვრელი ნარედუქციული
ფორმაა).

სენ. ტებდი (ბზ. 78,37) — თბილი, ძვ. ქართ. ტფილი
(შდრ. მეგრ. ტიბუ, ქან. ტუბუ)

სენ. მეგვარ — ქართ. მხარ-ი

ხორაავ (სენ. პოეზ. 200,36) — ხროვა (შეშისა)

გურიპლ (ლხმ.), გგრიალ (ლშხ.) — გრიალი

გურგუნ (ლხმ.) — გრგვინვა და სხვ.

5. მარმა ეს ფაქტი თავის დროზე შენიშნა სვანურში და
სწორედ ამას გულისხმობდა, როდესაც წერდა: „Сванский огласовку
перевосит всегда на первом корснннн“¹. ამის საილუსტრაციო
მაგალითად მას მოჰყავდა: ქართ. შვიდი, მეგრ. შქვითი, სენ.
ი-შგვიდ.

3. თოფურია რამდენიმე მაგალითს განიხილავს იმის დასადას-
ტურებლად, რომ ქართულ-მეგრულში ხმოვანი ბოლოკიდურია და სვა-
ნურში კი ინლაუტად გვევლინება, მაგ. დლე || დლა — სენ. ლადელ,
მზე || ბეა — მიე, თხა დაქჯლ². ეს მაგალითები ჩვენ მიერ

¹ Н. Я. Марр, Из поездок в Сванию, გვ. 19.

² ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, 1,
გვ. 212.

ზემოთ დასმული საკითხის საილუსტრაციო მაგალითებია. ახლა გარკვეულია, რომ ქართულსა და მეგრულში ფუძის ხმოვანი ამოღებულია.

§ 217. მეგრულშიც და სვანურშიც სიტყვის თავში თანხმოვანთა გაყრა გარკვეული კანონის მიხედვით ხდება. ეს კანონი ზოგად ფონეტიკაში ცნობილი კანონია. ასე მაგ., ვ. ბოგოროდიცკი ამ თვალსაზრისით განიხილავს ბერძნულიდან ლათინურში ნასესხებ სიტყვებს: ლათ. drachma — ბერძ. δραχμή, ლათ. tuchia — ბერძ. τέχνη.

ლათინურში პირველ შემთხვევაში ch-სა და m-ს შორის გაჩნდა ხმოვანი u. ხოლო მეორე შემთხვევაში ch-სა და n-ს შორის მოგვევლინა i. ავტორი ასკვნის, რომ თანხმოვნებს შორის ამა თუ იმ ხმოვნის გაჩენა შეპირობებულია მეზობელი თანხმოვნების ბუნებით. ასეთ შემთხვევაში თანხმოვნებს შორის ისეთი ხმოვანი ჩნდება, რომელსაც ფიზიოლოგიური მახლობლობა ან. საერთო თვისება აქვს მეზობელ თანხმოვნებთან. ავტორი აღნიშნავს, რომ ეს კანონი მოქმედებს რუსულ ვოკალიზმშიც¹.

მეგრულ-ქანურსა და სვანურში სიტყვის თავში თანხმოვანთა გაყრა ხდება შემდეგი წესით:

ა) თავიკიდური თანხმოვნები გაიყრება მომდევნო მარცვალში არსებული მსგავსი ხმოვნის საშუალებით, როგორც, მაგ., მეგრ.-ქან. კიბირი ('კბილი'); ასევე: სენ. ფირთხილდ ('ფრთხილად'), კარავჷტ (რუს.), პირისდჷვ ('პრისთავი'), ბიზიკ ('ბზიკი'), კინიაზ, ხალაფორთ (ხლაფოთი) და მისთ. სვანურში უმთავრესად ამ წესით ქარბობს თავიკიდურ თანხმოვანთა გაყრა.

ბ) მეზობელ თანხმოვნებთან შეგუების გამო გასაყარი ხმოვანი სახეს იცვლის: ლხმ. პილატოკ || პოლატუკ — რუს. платок და სხვები მისთ.

§ 218. ამ მოვლენასთან დაკავშირებით საყურადღებოა ერთი სიტყვის აყბა'ს შედგენილობა. აყბა ნიშნავს 'ლოყას, ყბას' (შდრ. აყბურაჷ: სენ. პოეზ. 188, 16 'ჟებო'). ეს სიტყვა იგივე ქართული ყბა არის, რატომ განვითარდა ყბ კომპლექსის წინ ა? ყბ კომპლექსის წარმოთქმა სვანურისათვის უჩვეულოა. ამიტომ ან ა უნდა გან-

¹ В. Богородицкий, Гласные без ударения в общерусском ям. .ке, გვ. 140.

ვითარებულყოფიერ კომპლექსის წინ — ეს ასეც მოხდა ბალსზემოურსა და ლაშურში: აყბა, — ანდა უბ კომპლექსის გაყოფა უნდა მომხდარიყო რაიმე ხმოვნით. ეცერული სწორედ ამ გზით წავიდა. იქ დადასტურებულია ყაფ 'ყბა' (ნ. მარი, ლექს. 32; შდრ. ყაბევეშ: სენ. პოეზ. 180,66 'ყბისა'). შეიძლება ამ გზით იყოს განვითარებული ასიტყვაში: აკვედ (ლშხ.), ჰაკვედ (ბზ.) — ქართ. კუდი (შდრ. ქართ. შვიდი — სენ. იშგვიდი; ქართ. შუა, მეგრ. შქა — სენ. ი-სგა და მისთ.).

§ 219. სიტყვის თავში დაჯგუფებულ თანხმოვანთა გაყრა წარმოთქმაში ხშირად ნეიტრალური ხმოვნის გაჩენით წარმოებს; მაგ.: ლგმზრნე (ბზ. 212,39) 'კურთხეულიმც', წგრანი (ბზ. 200,33) 'წითელი', ლგფკელ (ბზ. 200,27) 'ქალბატონი', აკლდამისგა (ბზ. 32,12) 'აკლდამაში', ჰგრელ (სენ. პოეზ. 206,8) 'ქრელი', ბგზა (ბზ.) 'ბზა', ცგქემშდ (ბზ. 397,16; შდრ. ცექემშდ 173,19) 'მშვილდი', კკლდე (ბზ. 51,21; შდრ. ხევს. კილდე) 'კლდე', წგრწნაჲ (სენ. პოეზ. 256,41) 'წრუწუნა', ბგგიდ (ბზ. 113,36) მაგრად, მგხარ (ბზ. 91,1) 'ხვალ', ბგლაი (ლშხ.) 'ბლანდი' (თვალზე), გგრძნეულ (ლშხ.) 'გრძნეული' და სხვ.

§ 220. გ. ახვლედიანს მსგავსი ფაქტები ქართველურსა და ევროპულ ენებში ახსნილი აქვს ფიზიოლოგიურ საფუძველზე. მისი აზრით, ენამ ფიზიოლოგიური სიძნელეები რომ სძლიოს, ამისი ერთ-ერთი საშუალებაა (ექვსი საშუალებიდან) სრული ან ნეიტრალური ხმოვნის ჩართვა კომპლექსში. ენაში ფიზიოლოგიურ სიძნელეს ჰქმნის საარტიკულაციო წერტილების აქეთური ანუ აქცესიური თანამიმდევრობა, რომლის დროსაც შეფერხება-დაყოვნებას აქვს ადგილი (შდრ. კკლდე, აყბა, გგრიანლ და სხვ.). მაგრამ როდესაც საარტიკულაციო წერტილთა თანამიმდევრობა იქითურია ანუ დეცესიური, მაშინ შესაძლებელია დაყოვნებას არა აქვს ადგილი¹.

¹ გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, გვ. 148—149; მისივე, თეზისები მოხსენებისა „თანხმოვანთა აქცესიური კომპლექსის საკითხისათვის ძველ ფრანგულში“ (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XIX სამეცნიერო სესია, 1945 წ.); მისივე, თეზისები მოხსენებისა: „გრძელი ხმოვნის საკითხისათვის გემინატის წინ ძველ ისლანდურში“ (საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სესია, მიძღვნილი საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავისადმი, 1946 წ.)—

სვანურის თავისებურება ამ მხრივ ისაა, რომ იგი სიტყვის თავში თანხმოვანთა ვერც ერთ თანამიმდევრობას ვერ იტანს, ვერც აქცესიურსა და ვერც დეცესიურს და მათ შორის სრულს ან ნეიტრალურ ხმოვანს ჩართავს, როგორც ეს ზემოთ ვნახეთ.

განსაკუთრებით საკურადღებოა ის გარემოება, რომ სვანურში სიტყვის თავში ჰარმონიული კომპლექსების ძღ, ბღ, დღ, წყ, ჭყ, ტყ, ქა, ტა, ფბ, თბ, ცხ, ჩხ, ჯგ-ს გაყრა რაიმე ხმოვნით არ ხდება. ეს კომპლექსები თავისუფლად წარმოითქმის ხმოვნის ჩაურთველად; მაგ.: ძღღღ (ბზ. 197,33) 'ქალიან', ბღე (ბზ. 37,15) 'ნაპრალი', დღღღ (140,32) 'წველისას გამოცემული ხმა'... ტყინტ (ბზ. 199,21) 'ბიჭი'; ჭყღღ (ბზ. 140,11) 'ქეიელი', ტყინბ (ლხბ.) 'ქაობი', ტკგ-ტავ (პოეზ. 198,3) 'ფეტვის მქაღკამიები', ტყენ (ბზ. 224,2) 'ყე-ტი'... ტკგრჩენ (პოეზ. 156,18) 'ტკატკუტი', ტკისდ (ბზ. 215,29) 'მართლაც'... ცხამ (პოეზ. 228,46) 'ღვარძლი', ცხგრილ (პოეზ. 196,37) 'ცხრილი' (საცერი), ცხეკ (ბზ. 213,26) 'ტყე', ჩხარა (ბზ. 189,9) 'ცხრა' (შდრ. მეგრ.-ქან. ჩხორო)... წყგნწრდ (ბზ. 121,1) 'ნელა', წყგლიან (ბზ.) 'წმინდა'... ფხა (ბზ. 200,33) 'ფხა', თხერე (ბზ. 196,8) 'მგელი', თხვიმ (ბზ. 177,36) 'თავი'... ჯგგრწგ (ბზ. 88,19) 'წაშიდა გიორგი', ჯგონღწწამულ აღ-გილის სახელია ლახამულაში.

სვანურში როდესაც თანხმოვნით დაწყებულ უპრევერო ზნნებს I და II პირის ობიექტური ნიშნები (მ, ჯ) ემატება, მათ შორის -გ- ჩნდება; მაგ.: „მ-გ-ტხე 'მაბრუნებს', ჯ-გ-ტხე 'გაბრუნებს', მ-გ-ღგე 'ქაქრობს', ჯ-გ-ღგე 'გაქრობს'“, მაგრამ „პრევერბისეული ა-სა, ან რომილიმე პრევერბის გამოყენებისას -გ- არა ჩანს. ა-მ-თჷიფ 'დამქარგა', ა-ჯ-თჷიფ 'დაგქარგა'... -გ- აქ ამოღებული არ არის. იგი, როგორც თანხმოვანთგასაყარი ზგერა, ვერ განვითარდა: არ იყო საქირო“¹.

§ 221. ანალოგიური ვითარება დასტურდება მეგრულ-ქანურ-შიც და ქართულშიც. ჰარმონიულ კომპლექსათა გაყრა არ დასტურ-

1946 წ. 13 დეკემბერს თბილისის სახ. უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის საჯარო სხდომაზე წაკითხულ მიხ.ენგებაში გ. ა. ივლიდიანს დადგინილი აქვს, რომ რეგრესული და პროგრესული ასიმილაციის მიზართულება შეპირობებულია დეცესიური და აქცესიური კომპლექსებით.

¹ ვ. თოფურიია, სვანური ენა, ვვ. 30

დება სიტყვის არც ერთ პოზიციაში. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს მეგრ.-ქანურიდან; მაგ.: ჰან. ჩხალა მდინარის სახელია, ბღეთი ადგილის სახელია ვიწეში, ჰან. ბღუ 'ბუ', მეგრ.-ჰან. თხირი 'თხილი', თხოშუ 'თხმელა', ჩხოში 'თევზი', მეგრ. დღეანა სოფელია, ტყები 'ტყავი', ჰყორი 'მწყერი' და სხვ.¹

§ 222. თუ სვანური ენა სიტყვის თავში თანხმოვანთა შეყრას გაურბის, სამაგიეროდ, სიტყვის ბოლოში თანხმოვანთა თავმოყრა მისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა; მაგ.: აფხვე (ბზ. 108,37) 'ბაყაყი', დშღდე (ბზ. 434,21) 'დათვი', ბეფშე (ბზ. 412,1) 'ბავში', კინჩხ (ბზ. 231,32) 'კისერი', უცხედ (ბზ. 62,6) 'უცხოდ', აშხვე (ეშხუ) (ბზ. 104,1) 'ერთს', მერშქ (ბზ. 396,4) 'ქიანქველა' და სხვ.

სიტყვის ბოლოში ვოკალიზაციის დასუსტება მის გაქრობამდის სვანური ენის ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშან-თვისებას შეადგენს და ამით სვანური გამოირჩევა მოძმე ქართველურ ენებში. სვანურში ეს ტენდენცია ისტორიულად იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ დღეს, ამ მოვლენის წყალობით, სახელთა დაბოლოება აღსადგენი ხდება².

ამ მხრივ სრულიად საწინააღმდეგო ტენდენცია შეინიშნება მეგრულ-ქანურში. განსაკუთრებით მეგრული, ქართულისაგან განსხვავებით, სახელთა და ზმნათა ფლექსიებშიც კი ხმოვნურ დაბოლოებას იჩენს³. მეგრულს ამ მხრივ ნაწილობრივ ქვემოიმერული უკერს მხარს.

¹ გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, გვ. 139.

² ე. თოფურია, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში.

³ А. Чагарели, Мингрельские этюды, II, გვ. 19.

დასკვნითი დებულებანი

1. სვანური ვოკალიზმი და კონსონანტიზმი ერთხელ კიდევ ადასტურებენ ზოგადი ფონეტიკის ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან დებულებას იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ ენის ხმოვნთა და თანხმოვანთა წარმოებაში ყოველთვის არსებობს გარკვეული პარპონიულობა და ამდენად ვოკალიზმისა და კონსონანტიზმის განვითარება მკიდრო კავშირშია ერთმანეთთან¹.

სვანურის არტიკულაციული თავისებურება მდგომარეობს თანხმოვან ბგერათა წარმოქმნის ინტენსიურობასა და ენერგიულობაში. ამ ფაქტმა უდავოდ ხელი შეუწყო, რომ სვანურს გამოემუშაებინა შედარებით დახურული არტიკულაცია, რამაც საფუძველი შექმნა სვანურში ხმოვანთა ვარიაციებისათვის.

2. ქართველურ ენათა შორის სვანური ყველაზე უფრო მდიდარია ხმოვანი ბგერებით. ამ მხრივ სვანურის ოთხ დიალექტში განსაკუთრებით გამოირჩევა ბალსზემოური, რომელშიც ხმოვანი ფონემებისა და მათი ვარიანტების რიცხვი ოცამდის აღწევს: ა ე ეი ი ო უ ჯ ჯგ; ა რ რ; ა რ ო რ უ რ; ა რ რ.

ხელოვნური სასისა და რენტგენოგრაფიის მეთოდებით სვანურ ხმოვანთა ბუნებისა და პოზიციების შესწავლა ადასტურებს პალატალიზაციისა და ლაბიალიზაციის ცხოველ პროცესებს სვანურში.

ხელოვნური სასის მეთოდიო გამოირკვა, რომ სვანურს აქვს მაგარ და შერბილებულ ხმოვანთა წყვილებები: ა — ა, ე — ეი, ი — ი, ო — ო, უ — უ, ჯ — ჯგ, სვანური შერბილებული ხმოვნები არტიკულაციურად უფრო წინ არის წამოწეული და მათ სხვაგვარა აკუსტიკური ეფექტი აქვთ, ვიდრე შესატყვის მაგარ ხმოვნებს. მეორე რიგის ხმოვნები პალატალიზებული ვარიანტებია პირველი რიგის ხმოვნებისა. თანხმოვნებიც ამ ხმოვანთა წინ პალატალიზებულია.

¹ შტრ. В. Богородицкий, Гласные без ударения в общерусском языке, стр. 144.

3. რენტგენოგრაფიის მეთოდით შესაძლებელი გახდა სვანურ ხმოვანთა წარმოთქმისას პირისა და ხახის ღრუებში სარეზონანსო არის განსაზღვრა. გამოირკვა, რომ პალატალიზებულ სვანურ ხმოვანთა პ, ზ, ო, ო, უ, უ, ღე და ღე-ს წარმოთქმისას ენის ტანი წინ არის წამოწეული მაგარი სასისაკენ, რის გამოც პირის ღრუს წინა ნაწილში სარეზონანსო არე უფრო მეტად შემცირებულია, ვიდრე შესატყვისი მაგარი ხმოვნების წარმოთქმისას.

სვანურ ხმოვანთა რენტგენოგრაფების უნგრული, გერმანული, ინგლისური და ესპანური ენების ხმოვანთა რენტგენოგრაფებთან შედარებით გამოირკვა, რომ არტიკულაციურად სვანური პალატალიზებული ხმოვნები შესაძინეველ განსხვავდება დასახელებულ ენათა შერეული ხმოვნებისაგან, ისე როგორც სვანურის გრძელი ხმოვნები განსხვავდება ამ ენათა გრძელი ხმოვნებისაგან.

რენტგენოგრაფების ანალიზით აშკარა გახდა, რომ მხოლოდ ბაგეთა ენერგიული მონაწილეობა განასხვავებს ო-ს ე-საგან, ო-ს ე-საგან, უ-ს ი-საგან, უ-ს ი-საგან, უ-ს ე-საგან და უ-ს ე-საგან. ენის არტიკულაციის მხრივ კი ლაბიალიზებულ და მის შესატყვის არალაბიალიზებულ ხმოვნებს შორის სრული მსგავსებაა.

4. სვანურის ორი დიალექტის — ბალსზემოურისა და ლაშხურის — დამახასიათებელი ხმოვანთა სიგრძე ფონეტიკურად და ფუნქციურად განსხვავდება იმ ენათა ხმოვნების სიგრძისაგან, რომლებსაც იგი ისტორიულად ახასიათებს.

ხმოვანთა სიგრძე სვანურში ფონეტიკურია და არა ფონოლოგიური. იგი სვანურში კომბინაციურ ნიადაგზეა განვითარებული. ბევრ შემთხვევაში სიგრძე მიღებულია ორი ხმოვნის საერთო მახვილით გაერთიანების გზით. მაგ., ნაცვალსახელის, ზმნიზედის ან პრევერბის ბოლოკიდური ხმოვანი უერთდება ხმოვნით დაწყებულ ფუძეს და გრძელი ხმოვანი წარმოიშვება. ხშირია შემთხვევა აგრეთვე, რომ ორი ფუძისეული ხმოვნის შეერთებით გრძელი ხმოვანია მიღებული.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ხმოვნის შეგუება მეზობელ რღნ მ სონანტებთან და ვ (უ) ზ უ მჟღერ სპირანტებთან. ამ თანხმოვნებთან ხშირად გრძელდება წინამავალი ხმოვანი, უკეთეს მახვილიც ამ ხმოვანზეა. შედარებით იშვიათად ხმოვანთა სიგრძე სხვა მჟღერ და ყრუ თანხმოვნებთანაც დასტურდება, თუ ეს თანხმოვნები

პოზიციას არ ქმნიან. გამოირკვა, რომ ხმოვანთა სიგრძე სევანურში გაბატონებული აღმაეალი და დამაეალი ტონის მოძრაობის ფუნქციაა, იგი მის ინტეგრალურ ნაწილს შეადგენს.

5. სევანურის აქცენტუაცია და ინტონაცია იმდენად მდიდარია, რომ ამ მხრივ მას დღეს ვერ შეედრება ვერც ერთი სხვა ქართველური ენა. ბევრი რამ, რაც მოძმე ქართველურ ენებში მიჩქმალულია საესებით, ან შესუსტებულია, სევანურში რელიეფურადაა წარმოჩენილი. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ სევანური აქცენტუაცია ნარევი ტიპისაა, ისე როგორც ნარევია თვით სევანური ენის ბუნებაც. სევანური მახვილის ანალაზი გვიჩვენებს, რომ იგი რამდენიმე მომენტს შეიცავს: მუსიკალურს, სუსტ დინამიკურსა და ამავე დროს კვანტიტატურს.

სევანურს მოძრავი მახვილი ახასიაფებს, თუმცა შეინიშნება მეორე მარცვალზე მახვილის სტაბილიზაციის ტენდენცია (განსაკუთრებით ნაწარმოებ ფუძეებში). ცალკეულ სიტყვებს მახვილი ჩვეულებრივ ბოლოდან პირველ ან მეორე მარცვალზე მოუდის. როდესაც მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზეა, ეს ხელს უწყობს აბსოლუტური ბოლო ხმოვნის მოკვეცას (მაგ.: ს უ რ — ს უ რ ა, ბ ა პ — მე გ რ. პ ა პ ა 'მღედელი').

განსაკუთრებით თვალსაჩინოა სევანურში მახვილის დასმა პრევერბებსა და სუფიქსებზე. მახვილს ატარებენ თანდებულთა, ნათესაობითი და მოთხრობითი ბრუნვების ფორმანტთა, მრავლობითი რიცხვის დაბოლოებისა და ზმნის წინ ხმარებულ უარყოფით ნაწილაკთა ხმოვნები. რთულ სიტყვებში შეინიშნება მთავარი და მეორეხარისხოვანი მახვილი.

✓ სევანური მახვილის მუსიკალური მხარე ნათლად ირკვევა წინადადების მელოდიკის გათვალისწინებით. მთავარ და დამოკიდებულ წინადადებათა მიჯნაზე მოლოდინის ინტონაცია მკვეთრად გამოირჩევა მთავარი წინადადების აბსოლუტურ ბოლოში მოქცეულ ნაცვალსახელურ ხმოვანზე მახვილის დასმით. ამ შემთხვევაში მახვილი და ინტონაცია შერწყმულია. სევანურ ფრაზაში ჩართული სიტყვები და წინადადებები გამოიყოფა განსაკუთრებული მელოდიკით: ასევე განსაკუთრებული მელოდიკით წარმოითქმის კითხვის გამომხატველი ნაწილაკი.

6. დიფთონგებით სვანური მის მოძმე ქართველურ ენათა შორის ყველაზე უფრო მდიდარია. სვანურში გაბატონებული ტონის აღმავალი და დამავალი მოძრაობის შედეგად უხედაა წარმოდგენილი როგორც აღმავალი, ისე დამავალი დიფთონგები. დიფთონგების უმარცვლო კომპონენტებია **ა** და **ჟ**.

დახურულ ერთმარცვლიან სიტყვებში უკანა რიგის **ო**, **უ** ხმოვნებს მახვილის შედეგად დიფთონგიზაცია მოსდის, ხოლო მახვილის გადანაცვლების შემთხვევაში ისინი კვლავ მონოფთონგებად გვევლინებიან. ფუძეში მარცვალთა რაოდენობის შემცირება მკიდროდაა დაკავშირებული მახვილთან. ამ მხრივ შეინიშნება სამმარცვლიან სიტყვათა გაორმარცვლიანების ტენდენცია (შდრ. დ ე დ ბ ე რ — დ ე დ ა ბ ე რ ი, ჯ ო ჯ ხ ე თ — ჯ ო ჯ ო ხ ე თ-ი, მ ე ზ ვ ბ ე ლ — მ ე ზ ო ბ ე ლ ი და სხვა).

7. სვანური უმლაუტის ფონეტიკური პროცესი მდგომარეობს წინამავალი ფართო ხმოვნის მოძღვნი ვიწროსადმი „თანაგრძნობაში“, რაც განიხილება ამავე დროს წინა ხმოვნის ტემპრის მომდევნო ხმოვნის ტემპრთან მიახლოებაში. ა. შანიძემ სვანურში უმლაუტის ანალიზის საფუძველზე ზაუსლაუტებელ ხმოვნებად **ე** და **ი** ხმოვნები გამოაცხადა. ვ. თოფურიამ დაადგინა, რომ ნაუმლაუტე **ე**, ი's წინამავალი **ა** ო უ's გაუმლაუტება არ შეუძლია. ჩვენ ვეარაუდობთ, რომ გარდა ზემოდსახელებულისა სვანურში უმლაუტს იწვევს პალატალიზებული თახხმოვნის გავლენა ხმოვნებზე. ამ მხრივ ყველაზე თვალსაჩინოა **ბ მ ვ (ჟ)**-ს გავლენის შედეგად უმლაუტის წარმოშობა (შდრ. დ ა ბ დ ა ბ — დ ა ბ ა დ ე ბ ა, დ ა ბ — დ ა ბ ა 'ყანა', გ ა მ — გ ე მ ო და სხვა).

8. სვანურს ხმოვანთა რბილი ანუ ნელი შემართვა არ ახასიათებს. ამ მხრივ სვანურის დიალექტები სხვადასხვაგვარ სურათს გვიჩვენებენ. ბალსზემოურსა და ბალსქვემოურ დიალექტებს აქვთ ხმოვანთა ფშვინვიერი შეძართვა, ლაშხურსა და ლენტეხურს კი — არა. უკანასკნელთ ბალსზემოურისა და ბალსქვემოურის ფშვინვიერი შემართვის შესატყვისად იოტირებული ხმოვნები და დიფთონგობები ახასიათებს. ლაშხურში არის შემთხვევები, როდესაც ფშვინვიერი შემართვა-დამართვის შესატყვისად გრძელი ხმოვანია წარმოშობილი. ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა, რაც დღეს ასე დამახასიათებელია ზემოსვანურისათვის, ისტორიულად გავრცელებული

უნდა ყოფილიყო სხვა ქართველურ ენებშიც. საერთოდ შეინიშნება ასპირაციის შესუსტების ტენდენცია.

9. ისტორიულად სვანურზე შიშინა ფენის ენის (მეგრულ-ქანურის, ასევე აფხაზურ-ადიღეურის) გავლენა იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ დღესაც სვანურს ახასიათებს შიშინა გაფორმებისაკენ ტენდენცია. შიშინა ფენა სისინა ფენის გვერდით განსაკუთრებით საგრძნობია სვანურის არა მარტო ლექსიკასა და ფონეტიკაში, არამედ მორფოლოგიაშიც.

მეგრულ-ქანურისა და სვანურის შიშინა გაფორმება კანონზომიერ შეფარდებაშია ამ ენათა ძირითად ხმოვანთა წარმოებასთან.

10. სვანურისათვის დამახასიათებელია ლაბიო-ველარიზაცია, რის საფუძველზედაც წინაენისმიერთა მეზობლობაში ვითარდება უკანაენისმიერი ხშულები: წინაენისმიერ ფშვინვიერებთან უკანაენისმიერი ფშვინვიერები, ხოლო წინაენისმიერ მკვეთრებთან უკანაენისმიერი და ფარინგალი მკვეთრები.

11. სვანურში შემონახულია ე. წ. მეღერი ხშული ფარინგალი დ', რომელიც ქართველურ ენებს ოდესღაც უნდა ჰქონოდა, მაგრამ გადაშენებულა. სვანურში ეს ბგერა დღეს დასტურდება უფრო მოხუცების წარმოთქმაში და დაცულია ისეთ სპეციფიკურ ონომატოპოეტურ სიტყვებში, ფრინველთა და მცენარეთა სახელწოდებებში, რომლებიც ამსახველია ბგერათა უფრო ძველი მდგომარეობისა.

12. სვანურის მეღერ ხშულებში, გარდა ლენტეხურისა, უფრო მეტი მეღერობის ხარისხიანობა გვაქვს, ვიდრე ქართულისა და მეგრულ-ქანურის მეღერ ხშულებში. ექსპერიმენტულმა მონაცემებმა ნათელყვეს, რომ სვანურს ახასიათებს ძლიერშემართვიანი და ძლიერდამართვიანი მეღერი ხშულები. ამიტომ სვანურის მეღერი ხშულები აბსოლუტურ ბოლოში მხოლოდ ნაწილობრივ ჰკარგავენ მეღერობას, მაშინ როდესაც ქართულსა და მეგრულში აბსოლუტურ ბოლოში მეღერი ჩვეულებრივ ყრუვდება.

13. სვანურში თანხმოვანთა ასიმილაციის ბუნებასა და თავისებურებას მეღერ ხშულთა ძლიერი დაწყება და ძლიერი დამთავრება და აგრეთვე მეღერობის მეტი ხარისხიანობა განსაზღვრავს.

ქართულ ცოცხალ კილოებსა და მეგრულში გავრცელებული ასიმილაცია უმეტესად სახმო სიმების მოქმედების მიმსგავსების შედეგია. ეს არის ასიმილაცია მელერობა-სიყრუის მიხედვით; სვანურს კი სახმო სიმების მოქმედების მიხედვით ასიმილაცია არ სჩვევია. ასეთი სახის ასიმილაცია იშვიათად გვხვდება. ამიტომ მკვლერი ყრუს მეზობლობაში იმდენად გამძლეა, რომ ყრუ მასზე ვერ მოქმედებს. სვანურს ფრანგულინებური ასიმილაცია ახასიათებს. ეს გამოწვეულია იმით, რომ ფრანგულსა და სვანურს ერთნაირი ძლიერშემართვიანი და ძლიერდამართვიანი მკვლერა ხშულები აქვთ.

სვანურში შედარებით უფრო ძლიერი ჩანს თანხმოვანთა წარმოთქმისას საარტიკულაციო ორგანოების მოქმედების მიხედვით მიმსგავსების ტენდენცია, აგრეთვე შიშინა თანხმოვანთა მიერ სისინა თანხმოვნების ასიმილაცია.

14. სვანური ენა დისიმილაციური პროცესის მეტად საყურადღებო და მდიდარ მასალას იძლევა მასში დასტურდება დისიმილაცია საერთო ფონეტიკურ ელემენტთა მქონე ბგერებისა როგორც ადგილის წარმოების მიხედვით, ისე რაგვარობის ანუ ხასიათის მიხედვითაც.

სვანურის დისიმილაციური ტენდენცია არ უქერს მხარს ქართული ცოცხალი კილოებისა და მეგრულაა მონაცემებს. თვით სვანურის დიალექტებშიც არ არის ერთნაირად გავრცელებული დისიმილაციის წეაი. ბალსხემოურსა და მეტადრე ბალსქემოურში იშვიათია დისიმილირებული ფორმები, ლამხურსა და ლენტეხურში კი ჩვეულებრივია ასეთი ფორმები. ბალსხემოურიდან ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა უშგულური და ლენტეხური, ბალსქემოურიდან — ლახამულური და ჩუბუხური. ეს კილოკავები თუ თქმები ყველაზე უფრო იცავენ ორსა და ზოგჯერ სამ რ-ს სიტყვაში.

სვანურის სამ დიალექტში — ბალსხემოურში, ბალსქემოურსა და ლახურში — განსაკუთრებით აღსანიშნავია ე. წ. დისიმილაციური განქვლერების შემთხვევები. სიტყვაში წარმოდგენილი ორი მკვეთრიდან ან ორი ფშეინვიერიდან, ან კიდევ მკვეთრიდან და ფშეინვიერიდან ერთი გამკვლერდება. დისიმილაციური გამკვლერება დასტურდება პროგრესულიცა და რეგრესულიც. ამ მხრივ სვანურს მხარს უჭერენ მთის კილოები და ძველი ქართული.

რაგვარობის მიხედვით დისიმილაციის საყურადღებო ნიმუშებს იძლევა, ერთი მხრით, სვანურ დიალექტთა ზონაციემები და, მეორე მხრით, ქართულიდან და მეგრულ-ქანურიდან სვანურში შესული სიტყვები.

